

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტი

# სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები

---

№3

ISSN 2449-3112

---

თბილისი, 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტი

# სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები

№3

ISSN 2449-3112

თბილისი  
2018

**თსუ იურიდიული ფაკულტეტი**  
**სისხლის სამართლის მიმართულების**  
**პერიოდული გამოცემა**

სარედაქციო საბჭო:

**მანია ივანიძე**  
**მარინა მესხი**  
**ნინო გოგინიაშვილი**  
**თამარ მახარაძე**

კორექტორი **ნელი ელიზბარაშვილი**

ტექ. რედაქტორი **პასახაძე რუსიკა**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **დავით კუტუბიძე**

© ავტორთა ჯგუფი, 2018

ISSN 2449-3112

გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47.

☎ 239-15-22; E-mail: meridiani777@gmail.com

# შინაარსი

ირინა აშუბარლია გამოძიების სტადიაზე დაკითხვის საპროცესო წესის სრულყოფის შესახებ.....	4
ირინა ხერხეულიძე მსხვერპლის სწრაფი იდენტიფიკაციის მნიშვნელობა ტრეფიკინგის სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიებისათვის, პროაქტიული გამოძიება და ტრეფიკინგის შემთხვევების პროაქტიული გამოვლენა.....	16
ნინო ცნობილაძე ფშავ-ხევსურეთში ძველად გავრცელებული სისხლისსამართლებრივი ურთიერთობები.....	29
მასა ბორბოძე სასამართლო გადაწყვეტილებათა ლეგიტიმაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი აქტუალური საკითხი .....	36
ვერა ღოლიძე საპროცესო შეთანხმება საქართველოში – გამოწვევები და ტენდენციები.....	45
ნათია მერაბაშვილი ადევნების დასჯადობის ლეგიტიმაცია.....	65
მინლია ღავითაძე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენება და მისი კანონისმიერი შეზღუდვები.....	78
მარიამ მითაიშვილი მონმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი).....	87
თამარ მაზანაშვილი ფემციდი, როგორც გენდერული ნიშნით ქალთა მკვლელობა .....	100
ზურაბ მოგვილიძე მკვლელობის მომზადების დასჯადობის საკითხი .....	113

# გამოძიების სტადიაზე დაკითხვის საპროცესო წესის სრულყოფის შესახებ

ირინა აქუბარდია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

## შესავალი

დაკითხვა ერთ-ერთი რთული და მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებაა, რომლის გარეშე, შეიძლება ითქვას, არ ხდება არც ერთ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ჩატარება და სასამართლოში საქმის განხილვა.<sup>1</sup> „დაკითხვაში“ ვგულისხმობთ პროცედურას, როდესაც მოწმე კანონით ვალდებულია გამოცხადდეს კითხვებზე პასუხის გასაცემად და იძულებულია უპასუხოს მისთვის დასმულ კითხვებს, ფიცის ქვეშ ან ფიცის გარეშე. დაკითხვის ამსახველი მასალა, როგორც წესი, თან ერთვის საქმის მასალებს.<sup>2</sup> დაკითხვა წარმოადგენს ერთდროულად როგორც ინფორმაციის მოპოვების, ასევე მისი შემოწმების საშუალებას, ვინაიდან დაკითხვისას ხდება პირის მიერ ადრე მიწოდებული ინფორმაციის სარწმუნოების გადამოწმება.<sup>3</sup>

2009 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა (ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბრიდან), მრავალი ნოვაცია შემოიტანა, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს მოწმის დაკითხვის განხორციელება მხოლოდ სასამართლოში. მართალია, დაკითხვის ახალი წესის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ საკითხი აქტუალურობას არ კარგავს, რადგან აღნიშნულმა წესმა კოდექსის ამოქმედებიდან დღემდე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რაც განხილვას და ანალიზს მოითხოვს.

ნაშრომის მიზანია გავარკვიოთ რამდენად თანხვედრაში მოდის მოწმის დაკითხვის საპროცესო წესი მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპთან, მოვახდინოთ იმ ხარვეზების იდენტიფიცირება, რომლებსაც შეიცავს გამოძიების ეტაპზე გამოკითხვა/დაკითხვის მარეგულირებელი ნორმები და განვსაზღვროთ მათი დაძლევის სამართლებრივი გზები.

## 1. გამოძიების სტადიაზე მოწმის დაკითხვის წესის ცალკეული ასპექტები

### 1.1. საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოს კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, მე-6 მუხლის მე-3 (დ) პუნქტის თანახმად, ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, როგორც მინიმუმ, შემდეგი უფლებები: პირადად ან სხვების მეშვეობით დაკითხოს ბრალდების მოწმეები და ჰქონდეს უფლება, რომ გამოიძახოს და დაკითხოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეებთან თანაბარ პირობებში; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის აღნიშნული დანაშაულის იდენ-

<sup>1</sup> სისხლის სამართლის პროცესი, ავტორთა ჯგუფი, თბ., 2002წ., გვ. 279.

<sup>2</sup> ას დე ვილდე, რიჩარდ ვოგლერი, მოწმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში, თბ., 2015წ., გვ. 4. <http://www.osgf.ge/files/2015/2015/Human%20Rights%20Program/Reports-GEO-web.pdf>

<sup>3</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, კერძო ნაწილი, ავტორთა ჯგუფი, თბ., 2017წ., გვ. 405.

ტურია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 (ე) პუნქტის დებულებები, კერძოდ, მისთვის წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება, როგორც მინიმუმ მიიღოს შემდეგი გარანტიები სრული თანასწორობის საფუძველზე: პირადად ან სხვების მეშვეობით დაკითხოს ბრალდების მოწმეები და ჰქონდეს უფლება, რომ გამოიძახონ და დაკითხონ დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეებთან თანაბარ პირობებში.

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია განსხვავებულ ფორმულირებას იყენებს. ის შეეხება მხოლოდ „სასამართლოში გამოცხადებულ“ მოწმეებს, რაც ზღუდავს დებულების მოქმედების სფეროს მხოლოდ სასამართლო განხილვით.<sup>4</sup>

საქართველოს კონსტიტუცია ბრალდებულს უფლებას ანიჭებს მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და ისეთივე პირობებში დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს (მუხლი 31, მე-4 ნაწ.).

საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მოწმე ვალდებული იყო გამოცხადებულყო გამოძიებულთან, პროკურორთან და მიეცა სწორი ჩვენება. გარდა ამისა, გამოძიების სტადიაზე მხოლოდ ბრალდების მხარეს ჰქონდა უფლება დაეკითხა მოწმე. მოქმედმა კოდექსმა დიამეტრალურად შეცვალა დაკითხვის წესი, დაკითხვასთან ერთად შემოიღო გამოკითხვის ინსტიტუტი და შეჯიბრებითობის გათვალისწინებით, გამოკითხვა/დაკითხვის უფლებამოსილება ბრალდების მხარესთან ერთად დაცვის მხარესაც მიაკუთვნა. საგულისხმოა, რომ გამოძიების ეტაპზე მხარეებს შეუძლიათ აწარმოონ გამოკითხვა, ხოლო დაკითხვა განხორციელდება სასამართლოში.

ამასთან, სსსკ 114-ე მუხლი შეიცავს საგამონაკლისო შემთხვევებს, რომელთა არსებობისას შესაძლებელია გამოძიების სტადიაზე მხარის შუამდგომლობით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის დაკითხვა. კერძოდ, ასეთ შემთხვევებს მიეკუთვნება:

ა) არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს;

ბ) იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს;

გ) არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს;

დ) ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული ნორმის ამოქმედება გადავადებულ იქნა რამდენჯერმე. საბოლოოდ იგი ნაწილობრივ ამოქმედდა 2016 წლის 20 თებერვლიდან, სრულად კი 2018 წლის იანვრიდან. უშუალოდ სასამართლოში დაკითხვის საპროცესო წესის დამკვიდრება წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტს. შესაბამისად, საჯაროობის, ზეპირობის, უშუალოების და შეჯიბრებითობის პირობებში დაკითხული მოწმის ჩვენების სარწმუნოების ხარისხი და ზოგადად, ნდობა მოწმის ჩვენების მიმართ უფრო მაღალი უნდა იყოს.

## 1.2. გამოძიების სტადიაზე მხარეთა მონაწილეობა დაკითხვის პროცესში და „მართლმსაჯულების ინტერესები“

სსსკ 114-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირის მოწმედ დაკითხვა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მხარეთა მონაწილეობით მიმდინარეობს. დაკითხვის ინიციატორი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოწმე არ დაიკითხება. მეორე მხარის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს დაკითხვის წარმოებას. თუმცა, ამ საერთო წესიდან გამონაკლისს უშვებს კანონი, კერძოდ, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე ან/და სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების, პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით, მხა-

<sup>4</sup> ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009წ., გვ. 329.

რის დასაბუთებული შუამდგომლობითა და მაგისტრაცი მოსამართლის გადანყვეტილებით, შესაძლებელია მოწმის დაკითხვა ჩატარდეს მეორე მხარის წინასწარი ინფორმირებისა და დასწრების გარეშე. ამ შემთხვევაში მოწმის მიერ მიცემული ჩვენება სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ შესაძლებელია მისი ხელახალი დაკითხვა. კანონი არ განმარტავს, თუ რა იგულისხმება მართლმსაჯულების ინტერესებში. დასახელებულ ნორმაში აქცენტი კეთდება ისეთ გარემოებებზე, როგორცაა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების, პირადი ცხოვრების დაცვა, რაც თავისთავად შეიძლება მართლმსაჯულების ინტერესებში იყოს მოაზრებული, თუმცა, საპროცესო კანონი მართლმსაჯულების ინტერესებს დამოუკიდებელ გარემოებად ასახელებს. ამიტომ აღნიშნული ნორმა დაზუსტებას მოითხოვს. ჯერ ერთი, აუცილებელია დაკონკრეტდეს თუ რა იგულისხმება მართლმსაჯულების ინტერესებში; მეორე, მართალია, მოწმის მიერ მიცემული ჩვენება სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ შესაძლებელია მისი ხელახალი დაკითხვა, მაგრამ თუ მოწმის ხელახალი დაკითხვა არ იქნება შესაძლებელი, მოწმის ჩვენება დასაშვებ მტკიცებულებად ჩაითვლება. რეალურად კი ასეთი ჩვენება ნაკლებად უნდა იყოს სანდო და დამაჯერებელი, რადგან მეორე მხარეს არ ჰქონდა მისი გამოკვლევის შესაძლებლობა და შესაბამისად, მიღებულია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევით.

შედარებისათვის, ჰოლანდიის სისხლის სამართლის პროცესის მთავარი პრინციპი არის ის, რომ დაცვის მხარეს უნდა მიეცეს მოწმის მიერ გაკეთებული განცხადებების სანდოობის შემოწმების შესაძლებლობა სამართალწარმოების რომელიმე ეტაპზე მოწმის დაკითხვის გზით, იქნება ეს უშუალოდ სასამართლო პროცესი თუ მანამდე პერიოდი.<sup>5</sup> გამომძიებელი მოსამართლის მიერ მოწმის დაკითხვას შეიძლება დაესწრონ და ესწრებიან კიდევ პროკურორი და დაცვის მხარე. თუ დაცვის მხარეს არ დაუშვებენ დაკითხვაზე, მაშინ არც პროკურორს ექნება დასწრების უფლება.<sup>6</sup> თუ პროკურორს ჰქონდა უფლება მოწმისგან ჩვენება მიეღო, ხოლო დაცვის მხარეს სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე არ მიეცა მოწმის ეფექტურად დაკითხვის შესაძლებლობა, მხარეთა თანასწორობის უფლება დაირღვევა.

ინგლისში მოწმის ჩვენებას მხოლოდ მაშინ აქვს მტკიცებულებითი ღირებულება, თუ იგი მიცემულია ზეპირი ფორმით სასამართლოში და ამასთან, თუ შესაძლებელია მისი ჯვარედინი დაკითხვა.

მოწმის დეპონირებულ ჩვენებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება. სსსკ 118-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს მხოლოდ პირის წინასასამართლო ჩვენება,<sup>7</sup> თუ იგი პირის ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით არ დასტურდება. შესაბამისად, თუ მაგისტრაცი მოსამართლის წინაშე მეორე მხარის მონაწილეობის გარეშე დაკითხული მოწმის ჩვენება დასტურდება საქმეზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებით, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა ლეგიტიმურია, რადგან განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მინიმუმ ორ პირდაპირ მტკიცებულებას. მაგრამ რამდენად იქნება ასეთი საეჭვო ჩვენება, რომელიც მიღებულ იქნა დაკითხვის პროცესში მეორე მხარის მონაწილეობისა და მის მიერ ჯვარედინი დაკითხვის უფლების გამოყენების გარეშე (შესაბამისად, ობიექტური გამოკვლევის გარეშე), უტყუარი და რამდენად შექმნის სხვა მტკიცებულებასთან ერთად შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას?

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დანაშაულებრივი ქმედება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაუ-

<sup>5</sup> HR 29 იანვარი 2013წ., NJ 2013/145. იხ. ას დე ვილდე, რიჩარდ ვოგლერი, მოწმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში, თბ., 2015წ., გვ. 59.

<sup>6</sup> იხ. ას დე ვილდე, რიჩარდ ვოგლერი, მოწმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში, თბ., 2015წ., გ. 63.

<sup>7</sup> თუ პირი დასაკითხად ვერ გამოცხადდება სასამართლოში სსსკ 114-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ ან „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის გამო, ამ შემთხვევაში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ქვეყნდება პირის წინასასამართლო ჩვენება, იხ. სსსკ მუხლი 118, პ. 3.

ლის ჩადენასთან დაკავშირებით... გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტი თამაშობს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს სისხლის სამართლის პროცესში. იგი უზრუნველყოფს უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპის დაცვას, არსებითად ამცირებს უსამართლო და დაუსაბუთებელი გამამტყუნებელი განაჩენის საფრთხეს, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ხელს უწყობს შეცდომის დაშვების საფრთხის თავიდან აცილებას. მსჯავრდების შემთხვევაში შეზღუდვას ექვემდებარება პირის თავისუფლება, ასევე ხდება მისი პიროვნების სტიგმატიზაცია. ბრალდებულს არ უნდა შეერაცხოს დანაშაული მანამ, სანამ მტკიცებულებების საკმარისი და დამაჯერებელი ერთობლიობით არ დადასტურდება დანაშაულის თითოეული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში.<sup>8</sup> ამასთანავე, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი თამაშობს მნიშვნელოვან როლს მართლმსაჯულებისადმი საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებაში. სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ სახელმწიფოს ლეგიტიმური უფლება, განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა, აღასრულოს მართლმსაჯულება, არ იქნეს დასუსტებული ისეთი მტკიცებულებითი სტანდარტით, რომელიც მიუკერძოებულ ადამიანს, საზოგადოებას გაუჩინს ეჭვს უდანაშაულო პირის მსჯავრდების შესახებ. ასევე აუცილებელია, რომ თავისუფალ საზოგადოებაში თითოეულ პირს ჰქონდეს იმის რწმენაცა და სამართლებრივი გარანტიაც, რომ სახელმწიფო არ მოახდენს მის მსჯავრდებას, თუკი სამართლიანი სასამართლო პროცესის შედეგად, ყველაზე მაღალი დამაჯერებლობით (სიზუსტით) არ დარწმუნდება პირის ბრალეულობაში.<sup>9</sup> გონივრულ ეჭვს მიღმა ტესტი წარმოადგენს სახელმძღვანელო კრიტერიუმს, რომელსაც სასამართლო იყენებს პირის დამნაშავედ ცნობისთვის, მიანიშნებს სასამართლოს, თუ რამდენად მყარი უნდა იყოს რწმენა იმისა, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული. სასამართლო ბრალდებულს დამნაშავედ ცნობს, როდესაც საქმეში არსებული მტკიცებულებები მას გონივრულ ეჭვს მიღმა დაარწმუნებს პირის ბრალეულობაში. ეს რწმენა სასამართლოს, კანონით დადგენილი წესის მიხედვით წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით უყალიბდება, რომელსაც კანონით სანდო და დასაშვებად მიიჩნევს.<sup>10</sup>

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მეორე მხარის მონაწილეობის გარეშე დაკითხული მოწმის ჩვენება მხოლოდ ერთ, სხვა მტკიცებულებასთან ერთად ვერ შექმნის მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებითი სტანდარტით ნებისმიერ გარეშე დამკვირვებელს უტყუარად დაარწმუნებს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენაში. ამიტომ სსსკ 118-ე მუხლის მე-3 ნაწილში აქცენტი უნდა გაკეთდეს სხვა მტკიცებულებებზე (და არა სხვა მტკიცებულებაზე), ვინაიდან ნაკლებად სანდო დეპონირებული მოწმის ჩვენება მხოლოდ ერთ, სხვა მტკიცებულებასთან ერთად არ უნდა იყოს საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

### 1.3. გამოსაკითხი პირის დაკითხვა მაგისტრატ მოსამართლესთან

2015 წლის 18 დეკემბერს საქართველოს სსსკ-ის 114-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, ბრალდების მხარეს დამატებით მიეცა უფლება, გამოძიების ეტაპზე მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხოს პირი, რომელიც გამოკითხვაზე უარს ამბობს. დაცვის მხარეს კი არ აქვს უფლება მიმართოს მაგისტრატ მოსამართლეს იმ პირის დაკითხვის შუამდგომლობით, რომელმაც მას გამოკითხვაზე უარი უთხრა.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არ არის გამართლებული ბრალდების მხარის უპირატესობა მაგისტრატ მოსამართლეს მიმართოს გამოსაკითხი პირის დაკითხვის მოთხოვნით, ვინაიდან თუ საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე პირი პასუხისმგებლობით ეკიდება თავისი მოვალეობის შესრულებას და თანამშრომლობს ბრალდების მხარესთან, მაშინ იგი ამ ინ-

<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/548, § 42, 41.

<sup>9</sup> იქვე, § 43.

<sup>10</sup> იქვე, § 45.



ფორმაციას დაკითხვამდე გამოკითხვის გზით ნებაყოფლობით მიაწვდის გამომძიებელს; და, თუ პირს არ სურს თავისი მოვალეობის შესრულება და მას არა აქვს ბრალდების მხარესთან თანამშრომლობის სურვილი, მაშინ იგი ამ ინფორმაციას ბრალდების მხარეს არც მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის სახით დაკითხვის დროს მიაწვდის. მეორეც: გამოძიების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესაძლო დაცემის არსებობის რისკის გამო, აღნიშნული უფლება არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ ბრალდების მხარეს, რადგან დაცვის მხარისთვისაც ამ უფლების მინიჭება (რომელიც თავის მხრივ, ზოგადად, ასევე უფლებამოსილია ჩაატაროს საგამომძიებო მოქმედება) ბრალდების მხარის მიერ გამოძიების ობიექტურ ჩატარებას ხელს არანაირად არ შეუშლის.<sup>11</sup> ვერ დავეთანხმებით აღნიშნულ მოსაზრებას იმის გამო, რომ ჯერ ერთი, პირს შეიძლება არ ჰქონდეს ბრალდების მხარესთან თანამშრომლობის სურვილი, მაგრამ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის სახით დაკითხვის დროს ის ვალდებული იქნება მიანოდოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია სასამართლოს, რადგან ის დაკითხვის დაწყებამდე გაფრთხილდება მოსამართლის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ; მეორე, უნდა ჰქონდეს თუ არა იგივე უფლება დაცვის მხარეს? საკამათოა, რადგან ასეთ შემთხვევაში გამოკითხვის ნებაყოფლობითობა გამოირიცხება და შესაბამისად, იგი აზრს დაკარგავს.

გამოკითხვა დაკითხვისგან განსხვავებით ნებაყოფლობითია. ნებაყოფლობითობა ყველა კატეგორიის დანაშაულის გახსნის დროს პოზიტიურ როლს ვერ ითამაშებს. მაგალითისთვის, მკვლელობის, ნარკოტიკული დანაშაულის, ორგანიზებული დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მქონე პირები, სავარაუდოდ ყოველთვის ნებაყოფლობით არ ითანამშრომლებენ გამოძიებასთან. ამიტომ, აღნიშნული ცვლილება არ შეიძლება განხილული იყოს მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში, რადგან თუ გამოსაკითხი პირი ნებაყოფლობით ინფორმაციის გაცემაზე უარს იტყვის, ბრალდების მხარემ შესაძლოა ვერ მოიპოვოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია. გამოძიების ეფექტიანად განხორციელება კი წარმოადგენს მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს. გამოსაკითხი პირისაგან, პოტენციური მოწმისგან საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების, მოწმისგან ჩვენების მიღების გარეშე კი „ხელი შეეშლება ეფექტური, ობიექტური და სრულყოფილი გამოძიების ჩატარებას და საბოლოოდ მართლმსაჯულების განხორციელებას“.<sup>12</sup> ამასთან, თუ პირი არ არის გამოკითხული, მისი მოწმის სახით გამოძახება სასამართლოში დაუშვებელია.

თუ გადავხედავთ სხვა ქვეყნების გამოცდილებას, მაგალითისთვის, აშშ-ში მოწმის გამოკითხვა ნებაყოფლობითია. ამ წესიდან გამონაკლისი ეხება ე.წ. „მნიშვნელოვანი მოწმის“ ინსტიტუტს (Material witness). პოლიციას თუ აქვს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის ინფორმაცია, რომ პირი ფლობს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, შეუძლია დააკავოს იგი სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. დეპონირებული ჩვენების მიღების შემდეგ დაკავებული გათავისუფლდება. დაკავების ხანგრძლივობაზე კი სასამართლო კონტროლი ხორციელდება.<sup>13</sup> კიდევ ერთი თავისებურება, რომელიც ახასიათებს აშშ-ში დაკითხვის ჩატარების საპროცესო წესს არის მოწმის სავალდებულო დაკითხვა ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიურის წინაშე. ამ შემთხვევაში პროკურორი მოსამართლისა და ადვოკატის გარეშე, დახურულ სხდომაზე დაკითხავს მოწმეს 16-დან 23-მდე მსაჯულთა თანდასწრებით. ამასთან, ეს საგამონაკლისო წესი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესი.<sup>14</sup>

გერმანიაში მოწმის გამოკითხვას ატარებს პოლიცია, რომელიც დამოკიდებულია მოწმის ნებაყოფლობით გამოცხადებაზე. რაც შეეხება დაკითხვას, პროკურორი მიმართავს მოსამართლეს მოწმის დაკითხვის შუამდგომლობით. ამასთან მოსამართლეს აქვს მხოლოდ მოწმის დაკითხ-

<sup>11</sup> მეიშვილი ზ., მოწმის დაკითხვა გამოძიების ეტაპზე, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2 (50), 2016წ., გვ. 25.

<sup>12</sup> შენგელია ს., მოწმის გამოკითხვა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2014წ., გვ.162

<sup>13</sup> იხ. 18 U.S. Code § 3144 – Release or detention of a material witness.

<sup>14</sup> Federal Rules of Criminal Procedure (1946) amended to December 2015, rule 6.

ვის კანონიერების შემონმების უფლება. გამოძიების მოსამართლემ მხოლოდ უნდა შეამოწმოს, არის თუ არა მოთხოვნილი ზომები გარემოებების მიხედვით კანონით დასაშვები (§162 III სსსკ).<sup>15</sup> მიზნობრიობას პროკურორი განიხილავს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და ამასთან მოსამართლეს კავშირი არ აქვს. შესაბამისად, თუკი პროკურორი მოითხოვს მონმის დაკითხვას მოსამართლის მიერ, მოსამართლე ამ მოთხოვნაზე უარს ვერ ეტყვის იმ მიზეზით, რომ პროკურორს თავადაც შეეძლო მონმის დაკითხვა (161 ა სსსკ).<sup>16</sup>

მონმე იკითხება გამოძიების მოსამართლის მიერ ფიცის ქვეშ ძირითადად იმ შემთხვევაში, როცა არსებობს არსებითი განხილვის სხდომაზე მისი გამოცხადების დამაბრკოლებელი გარემოებები.<sup>17</sup> ამასთან, თუ მონმე, რომელიც დაიკითხა გამოძიების ეტაპზე გამოძიების მოსამართლის წინაშე, არსებითი განხილვის სხდომაზე უარს იტყვის ჩვენების მიცემაზე და გამოიყენებს დუმილის უფლებას, მისი წინასასამართლო ჩვენება სასამართლოს მიერ გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში, თუკი წინასასამართლო სხდომის მოსამართლე დაიკითხება მონმის მიერ ჩვენების მიცემის ფაქტთან დაკავშირებით.<sup>18</sup>

თუ მონმე არსებითი განხილვის სხდომაზე (მთავარ სხდომაზე) გამოიყენებს დუმილის უფლებას, მის მიერ პოლიციის ან პროკურორის წინაშე მიცემული ჩვენებები არ გამოიყენება, როგორც მტკიცებულება, განსხვავებით გამოძიების მოსამართლის წინაშე მიცემული ჩვენებისა. შესაბამისად, მონმის მიერ წინასასამართლო ეტაპზე მიცემული ჩვენების თაობაზე არ დაიკითხება არც პოლიციის მუშაკი და არც პროკურორი. ამიტომ, პრაქტიკაში როცა ცნობილი ხდება, რომ პირი ფლობს საქმისათვის მნიშვნელოვან, ბრალდებულის მამხილებელ ინფორმაციას, პროკურორი მიმართავს გამოძიების მოსამართლეს შუამდგომლობით და პირი დაიკითხება მონმის სახით.<sup>19</sup>

პროკურორსაც და ბრალდებულსაც აქვთ სასამართლოში მონმის დაკითხვაზე დასწრების უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მათი დასწრება საფრთხეს შეუქმნის გამოძიების მიზანს, განსაკუთრებით, როდესაც არის საშიშროება, რომ ბრალდებულის თანდასწრებით მონმე არ იტყვის სიმართლეს.<sup>20</sup>

ამ მცირე შედარებითი ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საერთო და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში გამოკითხვა/დაკითხვა განსხვავებული წესით ხორციელდება. საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა უფრო ახლოს დგას საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობასთან. პროკურორს, ადვოკატისაგან განსხვავებით, მისი სტატუსიდან, ამოცანებიდან და სამართალწარმოების მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება ჰქონდეს უპირატესობა სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით იმ პირის დაკითხვის შესახებ, რომელიც ნებაყოფლობით უარს ამბობს გამოკითხვაზე. ამიტომ, მართალია, აღნიშნული დანაწესი ფორმალურად არღვევს მხარეთა თანასწორობას, მაგრამ საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, გამართლებულია ბრალდების მხარის მიერ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე შუამდგომლობის დაყენება იმ პირის დაკითხვის თაობაზე, რომელიც სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციას ფლობს, მაგრამ ნებაყოფლობით უარს ამბობს გამოკითხვაზე. ამასთან, ევროპული სასამართლოს განმარტებით, აუცილებელი არ არის, რომ დაცვის მხარე ზუსტად იგივე მდგომარეობაში იყოს, როგორშიც პროკურორი.<sup>21</sup> მთავარი პრობლემა აღნიშნული ცვლილებით არის ის, რომ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე ბრალდების მხარის შუამდგომლობით იმ პირის დაკითხვას, რომელიც გამოკითხვაზე ნებაყოფლობით უარს ამბობს, არ ესწრება დაცვის მხარე. სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობისა და თანასწორობის მაღალი სტანდარტის დამკვიდრება მოითხოვს, რომ ასეთ შემთხვევაში დაცვის მხარეს ჰქონდეს დასწრების

<sup>15</sup> Werner Beulke, *Strafprozessrecht*, 8., neu bearbeitete Auflage, Heidelberg, 2005(8), z. 182.

<sup>16</sup> Arthur Hartmann, Rolf Schmidt, *Strafprozessrecht, Grundzüge des Strafverfahrens*, 4. Auflage 2012, z. 251.

<sup>17</sup> იგივე, გვ. 252.

<sup>18</sup> Arthur Hartmann, Rolf Schmidt, *Strafprozessrecht, Grundzüge des Strafverfahrens*, 4. Auflage 2012, z. 253.

<sup>19</sup> Werner Beulke, *Strafprozessrecht*, 8., neu bearbeitete Auflage, Heidelberg, 2005(8), z. 181.

<sup>20</sup> ას დე ვილდე, რიჩარდ ვოგლერი, მონმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში, თბ., 2015წ., გვ. 37. <http://www.osgf.ge/files/2015/2015/Human%20Rights%20Program/Reports-GEO-web.pdf>

<sup>21</sup> Lorse/Netherlands, 27/01/2004, N44484/98, 12.

შესაძლებლობა. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამოძიების ინტერესები, რომ თუ დაცვის მხარე შეიტყობს ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული ინფორმაციის შესახებ, ამით შესაძლოა ხელი შეეშალოს დანაშაულის გახსნას, რადგან სსსკ 83-ე მუხლი ისედაც ავალდებულებს ბრალდების მხარეს, დაცვის მხარის მოთხოვნის შემთხვევაში გააცნოს მას და გადასცეს იმ მომენტისათვის მის ხელთ არსებული ინფორმაცია. მართალია, საქართველოს სსსკ ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ დაცვის მხარემ მოითხოვოს წინასასამართლო სხდომაზე ამ წესით დაკითხული მონმის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა, მაგრამ ამ შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია, დადგინდეს კანონის არსებითი დარღვევით მონმის დაკითხვის ფაქტი, რისი მტკიცებაც, სავარაუდოდ, დაცვის მხარეს გაუჭირდება და შესაბამისად, აღნიშნული გარანტია ნაკლებად ეფექტიანი და ხშირ შემთხვევაში, ფორმალური იქნება. ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის კვლევის თანახმად, პრაქტიკაში ადვოკატის არც ერთი შუამდგომლობა ასეთი მონმის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს არ დაუქმყოფილებია.<sup>22</sup> ამასთან, არ არსებობს სტატისტიკა, თუ რამდენმა ადვოკატმა მიმართა წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს მაგისტრალი მოსამართლის წინაშე დაკითხული მონმის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ და რა გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ცვლილება არღვევს მხარეთა თანასწორობის პრინციპს. საგულისხმოა ევროპული სასამართლოს მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით. ეროვნული სასამართლოს უფლებამოსილებას განეკუთვნება იმის განსაზღვრა, მონმის ჩვენება კანონიერად იყო თუ არა მიღებული, ცნობილ უნდა იქნას თუ არა იგი დასაშვებ მტკიცებულებად და რა მტკიცებულებითი ნონა უნდა მიენიჭოს მას.<sup>23</sup> სასამართლოში საქმის განხილვისას გაკეთებული განცხადებები *a priori* არ არის უფრო ჭეშმარიტი, ვიდრე წინასასამართლო ეტაპზე გაკეთებული განცხადებები.<sup>24</sup> სამართლიანი პროცესის მნიშვნელოვანი ასპექტი არის ბრალდებულის შესაძლებლობა, დაუპირისპირდეს მონმებს მოსამართლის წინაშე, რომელიც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს. დაცვის მხარე არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან მას არ ექნება მონმის საქციელზე დაკვირვების საშუალება, თუ ეს მონმე ჩვენებას მისცემს დაცვის მხარის დასწრების გარეშე.<sup>25</sup> ჯვარედინი დაკითხვა, როგორც ფუნდამენტური პრინციპი, ასეთ შემთხვევაში გაუქმებულია. ამასთან, „ვერც ერთი ლეგიტიმური მიზნის მიღწევა თავისთავად ვერ გაამართლებს უფლებაში იმაზე უფრო მკაცრ ჩარევას, ვიდრე ეს აუცილებელი და საკმარისია ამ მიზნის მისაღწევად“.<sup>26</sup> შესაბამისად, საჯარო ინტერესის გათვალისწინებით შეიძლება გამართლებული იყოს ბრალდების მხარის უპირატესობა გამოსაკითხი პირის დაკითხვის შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად გამართლებული ვერ იქნება აღნიშნული პირის დაკითხვა დაცვის მხარის მონაწილეობის გარეშე და ამ კონტექსტში მხარეთა თანასწორობის პრინციპის სრული უგულვებელყოფა.

#### 1.4. გამოსაკითხი პირის იდენტიფიკაციის პრობლემა

პრაქტიკაში შეიძლება წარმოიშვას იმ პირის იდენტიფიკაციის პრობლემა, რომელიც უარს ამბობს გამოკითხვაზე, რაც ხელს შეუშლის ბრალდების მხარის მიერ გამოსაკითხი პირის სასამართლოში დაკითხვას. საქმე იმაშია, რომ გამოსაკითხი პირი გამოკითხვაზე როგორც თანხმობის, ისე უარის თქმის შემთხვევაში ვალდებულია გამომკითხველს თავისი პირადი მონაცემების შესახებ სწორი ინფორმაცია მიაწოდოს.<sup>27</sup> აღნიშნული დანაწესი შეიცავს ვალდებულებას პასუხ-

<sup>22</sup> მონმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა, ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბ., 2017წ., გვ. 27.

<sup>23</sup> Sommerfeld/Germany, 11/10/2001, N 31871/96, 62.

<sup>24</sup> Lindgren/Sweden, 08/04/2003, N 39470/98, §8.

<sup>25</sup> Kovač/Croatia, 12/07/2007, N 503/05, §30.

<sup>26</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/4/557.571.576, II. § 27.

<sup>27</sup> იხ. სსსკ მუხლი 113, მე-5 ნაწ.

ისმგებლობის გარეშე, რადგან თუ მოწმე უარს იტყვის ასეთი ინფორმაციის მიწოდებაზე, არ არსებობს მექანიზმი, რომლითაც მოწმისგან შესაძლებელი გახდება პერსონალური მონაცემების მიღება/გამჟღავნება. მაგისტრატის მოსამართლის წინაშე პროკურორის მიერ წარდგენილ შუამდგომლობაში პირის მოწმედ დაკითხვის საფუძველთან ერთად უნდა იყოს აღნიშნული მოწმის სახელი, გვარი, მისამართი და პირის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი სხვა ინფორმაცია.<sup>28</sup> შესაბამისად, ბრალდების მხარე ვერ შეძლებს შუამდგომლობაში მიუთითოს გამოსაძახებელი პირის ზუსტი მონაცემები, რაც დაბრკოლებას შეუქმნის ბრალდების მხარეს მოწმის დაკითხვაში. ამიტომ, აუცილებელია სსსკ 113-ე მუხლში განისაზღვროს პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომა დასახელებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

## 1.5. გამოკითხვა/დაკითხვის ხანგრძლივობა და მაგისტრატის მოსამართლის როლი

გამოკითხვა/დაკითხვასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს გამოკითხვა/დაკითხვის ხანგრძლივობა. გამოკითხვასთან მიმართებაში საპროცესო კოდექსი ამ საკითხს საერთოდ ღიად ტოვებს. დაკითხვასთან დაკავშირებით კი კანონში მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ დაუშვებელია მოწმის ღამით დაკითხვა. დაწყებული დაკითხვა ღამის დადგომისთანავე უნდა შეწყდეს და მეორე დღისთვის უნდა გადაიდოს. 1998 წლის 20 თებერვლის კოდექსით დაკითხვა სრულწლოვანებთან მიმართებაში 4 საათზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს. დაშვებული იყო დღის განმავლობაში პირის რამდენჯერმე დაკითხვა დასასვენებლად არანაკლებ ერთსაათიანი პაუზებით. ამასთან, დაკითხვის საერთო ხანგრძლივობა დღის განმავლობაში 8 საათს არ უნდა გადაცილებოდა.

მოქმედი კანონმდებლობით არც სრულწლოვანთა და არც არასრულწლოვანთა მიმართ დაკითხვის ხანგრძლივობა ზუსტად განსაზღვრული არ არის. აღნიშნული საკითხის ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესაბამისად რეგულირება შეიცავს ერთგვარი თვითნებობის, ადამიანის უფლებების დარღვევის და მოწმისგან არასრულყოფილი ინფორმაციის მოპოვების საფრთხეს. ამიტომ, აუცილებელია კანონში დღე-ღამეში გამოკითხვა/დაკითხვის ხანგრძლივობის მკაფიოდ განსაზღვრა.

გარდა ამისა, გამოკითხვა/დაკითხვის დროს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული მაგისტრატის მოსამართლის როლი. მართალია, მოსამართლე ვალდებულია ყველა შემთხვევაში სამართლიანად წარმართოს სასამართლო განხილვა, მაგრამ ამავდროულად მიზანშეწონილია გამოძიების სტადიაზე მოწმის დაკითხვის პროცესში მაგისტრატის მოსამართლის კონკრეტული უფლებამოსილება იყოს გამოკვეთილი, რაც ხელს შეუწყობდა სასამართლო კონტროლის გაძლიერებას გამოძიების ეტაპზე.

## 1.6. არასრულწლოვნის გამოკითხვა/დაკითხვის თავისებურებები

არასრულწლოვნის გამოკითხვა/დაკითხვისას მოქმედებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი, თუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

არასრულწლოვნის პროცესში მონაწილეობისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მისი ასაკი და რესოციალიზაციის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. შესაბამისად, ყველა გადწყვეტილება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით უნდა იყოს მიღებული. არასრულწლოვნებს ნაკლები ცხოვრებისეული გამოცდილება გააჩნიათ, ასევე მათი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური განვითარების დონეც განსხვავდება სრულწლოვანებისაგან, რაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული არასრულწლოვანთა დაკითხვის დროს. ეს ასეც არის. კანონი არ ადგენს მინიმალურ ასაკს, რომლის მიღწევის შემდეგ შესა-

<sup>28</sup> სსსკ მუხლი 114, მე-5 ნაწ.

ძლებელია არასრულწლოვნის დაკითხვა. არასრულწლოვანი შეიძლება გამოიკითხოს/დაიკითხოს, თუ მას შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით გადმოსცეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია. ასაკის გათვალისწინებით, კანონი არასრულწლოვანთა დაკითხვის ორ რეჟიმს ითვალისწინებს. კერძოდ, 14 წლამდე და 14-დან 18 წლამდე. 14 წლამდე ასაკის პირის დაკითხვა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობითა და თანდასწრებით. კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, გამოთქვას თავისი მოსაზრება და სასამართლოს ნებართვით დააზუსტოს 14 წლამდე ასაკის პირისათვის დასმული შეკითხვა. ამასთან, 14 წლამდე ასაკის მოწმეს განუმარტავენ მის მოვალეობას, თქვას მხოლოდ სიმართლე, მაგრამ არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.

პეკინური წესები განსაზღვრავს, რომ მშობელი ან მეურვე უნდა იყოს უფლებამოსილი მონაწილეობა მიიღოს პროცედურებში. ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით, ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა მაქსიმალურად უნდა ჩართონ და მონაწილეობა მიაღებინონ მშობლებსა და მეურვეებს არასრულწლოვნის წინააღმდეგ წარმართულ სამართლებრივ პროცედურებში.<sup>29</sup>

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს სავალდებულოა ჰყავდეს ადვოკატი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მის გამოკითხვა/დაკითხვაში. კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით დამოუკიდებლად შეარჩიოს და მოინვიოს ადვოკატი. თუ არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს/გამართლებულს ადვოკატი არ ჰყავს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირი დაუყოვნებლივ მიმართავს იურიდიული დახმარების სამსახურს მისთვის ადვოკატის დაუყოვნებლივ დანიშვნის მოთხოვნით.

არასრულწლოვან მოწმეს გამოკითხვა/დაკითხვისას შეუძლია ჰყავდეს ადვოკატი. თუ არასრულწლოვანი მოწმე გადახდისუუნარო იყო, მას უფლება ჰქონდა ესარგებლა უფასო იურიდიული დახმარებით. 2018 წლის 30 მაისს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში შესული ცვლილებით არასრულწლოვან მოწმეს უფასო იურიდიული დახმარება გაენევა, თუ ჩადენილია სსკ მე-19, მე-20 და 22-ე თავებითა და სსკ 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული.<sup>30</sup> არასრულწლოვანი მოწმის შეზღუდვა – ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარებით მხოლოდ ცალკეულ დანაშაულებთან მიმართებაში არ არის გამართლებული. ნებისმიერი დანაშაულის საქმეზე სამართალწარმოებაში მონაწილეობისას არასრულწლოვან მოწმეს უნდა ჰქონდეს გარანტირებული უფასო იურიდიული დახმარების უფლება.

მეორეული ვიქტიმიზაციისა და ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად საპროცესო მოქმედებას, რომელშიც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირი/მოწმე/დაზარალებული მონაწილეობს, მისი კანონიერი წარმომადგენელი ესწრება. ამასთან, მოსამართლე და პროკურორი უფლებამოსილნი არიან არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/მოწმის გამოკითხვას/დაკითხვას არ დაასწროს ის კანონიერი წარმომადგენელი, რომელიც იმავე საქმეში გამოსაკითხ პირად/მოწმედ მონაწილეობს.<sup>31</sup> გარდა ამისა, კანონიერ წარმომადგენელს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით შეიძლება აეკრძალოს საპროცესო მოქმედებაზე დასწრება.

ოჯახურ დანაშაულთან, ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით დაუშვებელია არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/მოწმის და არასრულწლოვანი დაზარალებულის გამოკითხვა/დაკითხვა, აგრეთვე დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემისას და არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში სოციალური მუშაკის მიერ არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვა/დაკითხვა (მისგან ახს-

<sup>29</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა ჯგუფი, თბ., 2015წ., გვ. 385.

<sup>30</sup> იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, შემდეგში ამკ, (12.06.2015), მუხლი 23, ნაწ. 1.

<sup>31</sup> იხ. ამკ მუხლი 23, ნაწ. 1, 8.

ნა-განმარტების მიღება) მოძალადე მშობლის (მშობლების) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით.<sup>32</sup> არასრულწლოვნის გამოკითხვა/დაკითხვისას ადრე თუ საჭიროებისამებრ, უზრუნველყოფილი იყო ფსიქოლოგის მონაწილეობა, 2018 წლის 30 მაისს კანონში შესული ცვლილებით, მოსამართლის/ბრალდების მხარის ინიციატივით, ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფსიქოლოგის მონაწილეობაც. ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და გამოკითხვის/დაკითხვის დროს ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. ამასთან, ფსიქოლოგი უნდა იყოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონიერი წარმომადგენლის და ფსიქოლოგის დასწრება არასრულწლოვნის დაკითხვის პროცესში ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს. მათ უნდა დაიცვან არასრულწლოვნის ინტერესები, ნათლად გამოხატონ თავიანთი მოსაზრება, ურჩიონ არასრულწლოვანს გაესაუბროს თავის ადვოკატს, გაარკვიოს არასრულწლოვანმა კარგად გაიგო დასმული შეკითხვის და მისთვის განმარტებული უფლებების შინაარსი თუ არა და დაეხმაროს მას სწორედ ამაში. კანონიერი წარმომადგენლის როლი და დაკითხვის პროცესში მისი მონაწილეობის მიზანი უფრო მკაფიოდ უნდა იყოს კანონში განვრცობილი.

გამოკითხვა/დაკითხვისას არასრულწლოვანი უფასოდ სარგებლობს თარჯიმნის მომსახურებით, თუ მან არ იცის ან სათანადოდ არ იცის სამართალწარმოების ენა ან/და/მას არ შეუძლია ილაპარაკოს ამ ენაზე, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 121-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 171-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაში თარჯიმანი ნებისმიერ საპროცესო მოქმედებას ესწრება.<sup>33</sup>

კანონში შესული ცვლილებით, სისხლის სამართალწარმოებაში შემოდის ახალი სუბიექტი – მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, რომელიც არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის სურვილის შემთხვევაში ესწრება არასრულწლოვანი მოწმისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის სასამართლოში დაკითხვისა და მათი მონაწილეობით მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესს მოწმის/დაზარალებულის ემოციური მხარდაჭერის მიზნით.

არასრულწლოვნის დაკითხვისას შესვენებისათვის შესაფერისი ინტერვალის დასადგენად მოსამართლე ითვალისწინებს არასრულწლოვნის ასაკს, განვითარების დონეს და სხვა გარემოებებს ევროპული სასამართლო ზღუდავს სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მოწმე ან მსხვერპლი არასრულწლოვანის მრავალჯერ დაკითხვას, რაც განპირობებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ევროპული სასამართლოს რეკომენდაციის გათვალისწინებით ამკ-ც აწესებს იგივე შეზღუდვას, კერძოდ, 52-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ არასრულწლოვანი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მოწმე ან მსხვერპლია, დაკითხვათა რაოდენობა შეძლებისდაგვარად შეზღუდული უნდა იყოს და სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მიღწევის აუცილებლობით უნდა იყოს განპირობებული. არასრულწლოვანი არ შეიძლება დაიკითხოს 22:00 საათიდან 08:00 საათამდე. არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაფერისი საკვებითა და სასმელი წყლით არანაკლებ ყოველ 4 საათში ერთხელ, 08:00 საათიდან 22:00 საათამდე, აგრეთვე, საპირფარეშოთი შეუზღუდავად სარგებლობის უფლებით.<sup>34</sup> მართალია, აღნიშნული წესი ითვალისწინებს არასრულწლოვნის დაკითხვისას გონივრულ ფარგლებში შესვენების გამოყენების შესაძლებლობას და მისი საკვებითა და წყლით უზრუნველყოფას, მაგრამ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ამავე დროს არაფერს ამბობს დღე-ღამის განმავლობაში მთლიანობაში რამდენ საათს შეიძლება გაგრძელდეს მაქსიმუმ არასრულწლოვნის დაკითხვა, სწორედ მისი ფიზიკური, გონებრივი, ემოციური მდგომარეობიდან გამომდინარე. საგულისხმოა, რომ 1998 წლის კოდექსით არასრულწლოვნის დაკითხვა შეუსვენებლივ არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო 2 საათზე მეტხანს, ხოლო მთლიანად

<sup>32</sup> იხ. ამკ, მუხლი 52, მე-10, მე-11 ნაწ.

<sup>33</sup> იხ. ამკ, მუხლი 30, 1-ლი ნაწ.

<sup>34</sup> იხ. ამკ, მუხლი 52.

დღეში 4 საათზე მეტ ხანს. ამასთან, კანონი მიუთითებდა, რომ თუ არასრულწლოვანი აშკარად დაიღალა, დაკითხვა უნდა შეწყდეს აღნიშნული დროის გასვლამდეც. როგორც ვხედავთ 1998 წლის კოდექსი არასრულწლოვნის დაკითხვის დროის მონაკვეთთან დაკავშირებით კონკრეტულ და ამომწურავ რეგულაციას ადგენდა. აუცილებელია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსშიც გაჩნდეს მკაფიო ჩანაწერი, რომელიც ზუსტად დაადგენს არასრულწლოვნის დაკითხვის ხანგრძლივობას.

თუ არასრულწლოვანი არის სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის საქმეზე გამოსაკითხი პირი/მონმე ან მსხვერპლი, მისი გამოკითხვისას/დაკითხვისას შეიძლება განხორციელდეს აუდიო ან ვიდეოჩანაწერი. სასამართლო სხდომაზე შესაძლებელია არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება).<sup>35</sup> მიუხედავად იმისა, რომ მონმის დაკითხვის აუდიო-ვიდეო ჩანაწერის დემონსტრირება ზღუდავს ჯვარედინი დაკითხვის უფლებას, დასახელებულ შემთხვევებში გამართლებულია აღნიშნული ჩანაწერის დემონსტრირება მონმის უსაფრთხოების და მსხვერპლის უფლებების დაცვის მიზნით.

არასრულწლოვნის გამოკითხვა/დაკითხვასთან დაკავშირებით საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოება, კერძოდ, თუ არასრულწლოვანი გამოკითხვაზე ნებაყოფლობით უარს იტყვის, ბრალდების მხარის შუამდგომლობით არ შეიძლება დაიკითხოს მაგისტრეტი მოსამართლის წინაშე, რაც გამართლებულია და ემსახურება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

## დასკვნა

გამოძიების სტადიაზე დაკითხვის საპროცესო წესის ცალკეული ასპექტების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით შემოღებულ იქნა დაკითხვის სრულიად ახალი წესი, რომელიც რადიკალურად განსხვავდება გამოძიების სტადიაზე დაკითხვის ე.წ. ძველი წესისაგან, რომელიც მხოლოდ ბრალდების მხარეს ანიჭებდა გამოძიების ეტაპზე მონმის დაკითხვის უფლებას. ახალი წესით კი მაგისტრეტი მოსამართლის წინაშე მონმის დაკითხვის უფლება დაცვის მხარესაც მიეცა. გარდა ამისა, საჯაროობის, ზეპირობის, უშუალოების და შეჯიბრებითობის პირობებში დაკითხული მონმის ჩვენების სარწმუნოების ხარისხი და ზოგადად, ნდობა მონმის ჩვენების მიმართ უფრო მაღალი უნდა იყოს. ამიტომ საპროცესო კანონმდებლობაში მონმის დაკითხვის ახალი წესის დამკვიდრება პოზიტიურ ჭრილში უნდა განვიხილოთ. შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით, საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობის გვერდით დგას.

ამასთან, გამოძიების სტადიაზე მონმის გამოკითხვა/დაკითხვის მარეგულირებელი ნორმები შეიცავენ გარკვეულ ხარვეზებს, რომელთა დასაძლევად შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება, კერძოდ:

- როცა მაგისტრეტი მოსამართლის წინაშე მონმის დაკითხვა ტარდება მეორე მხარის წინასწარი ინფორმირებისა და დასწრების გარეშე და სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს მონმის ხელახალი დაკითხვა არ იქნება შესაძლებელი, მონმის ჩვენება დასაშვებ მტკიცებულებად ჩაითვლება. რეალურად კი, ასეთი ჩვენება ნაკლებად უნდა იყოს სანდო და დამაჯერებელი, რადგან მეორე მხარემ ვერ შეძლო მისი ობიექტური გამოკვლევა. შესაბამისად, აღნიშნული ჩვენება მიღებულია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევით;

- თუ მონმე არ დაიკითხება სასამართლოში არსებითი განხილვის დროს და გამოქვეყნდება მისი წინასასამართლო ჩვენება, რომელიც მიღებულია მეორე მხარის მიერ ჯვარედინი დაკითხვის უფლების გამოყენების გარეშე, ის არ უნდა დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად პირის ბრალეულობის დამადასტურებელ სხვა მტკიცებულებასთან ერთად, ვინაიდან ნაკლებად სანდო დეპონირებული მონმის ჩვენება მხოლოდ ერთ, სხვა მტკიცებულებასთან ერთად ვერ შექმნის აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას და შესაბამისად, არ უნდა იყოს

<sup>35</sup> იხ. ამკ მუხლი 52, მე-3 ნაწ.

საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად;

– ბრალდების მხარის მიერ გამოსაკითხი პირის დაკითხვას მაგისტრაცი მოსამართლის წინაშე უნდა ესწრებოდეს დაცვის მხარე. საჯარო ინტერესის გათვალისწინებით შეიძლება გამართლებული იყოს ბრალდების მხარის უპირატესობა გამოსაკითხი პირის დაკითხვის შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად გამართლებული ვერ იქნება აღნიშნული პირის დაკითხვა დაცვის მხარის მონაწილეობის გარეშე, რაც გულისხმობს მხარეთა თანასწორობის პრინციპის სრულ უგულვებელყოფას;

– თუ გამოსაკითხი პირი გამოკითხვაზე როგორც თანხმობის, ისე უარის თქმის შემთხვევაში უარს იტყვის გამომკითხველს მიანოდოს პირადი მონაცემების შესახებ სწორი ინფორმაცია, არ არსებობს იძულების მექანიზმი, რომლითაც მოწმისგან შესაძლებელი გახდება პერსონალური მონაცემების მიღება. კანონის დანაწესი შეიცავს მხოლოდ ვალდებულებას პასუხისმგებლობის გარეშე, რაც დაბრკოლებას შეუქმნის ბრალდების მხარეს მოწმის დაკითხვაში, ვინაიდან შუამდგომლობაში უნდა იყოს მითითებული გამოსაძახებელი პირის ზუსტი მონაცემები. ამიტომ აუცილებელია სსსკ 113-ე მუხლში განისაზღვროს პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომა დასახელებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

– ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობით დაკითხვის ხანგრძლივობა ზუსტად განსაზღვრული არ არის, ხოლო აღნიშნული საკითხის ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესაბამისად რეგულირება შეიცავს ერთგვარი თვითნებობის, ადამიანის უფლებების დარღვევის და მოწმისგან არასრულყოფილი ინფორმაციის მოპოვების საფრთხეს, ამიტომ, აუცილებელია საპროცესო კოდექსში დღე-ღამეში გამოკითხვა/დაკითხვის ხანგრძლივობის მკაფიოდ განსაზღვრა;

– აუცილებელია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსშიც გაჩნდეს მკაფიო ჩანაწერი, რომელიც ზუსტად დაადგენს არასრულწლოვნის დაკითხვის ხანგრძლივობას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;

– ვინაიდან კანონიერი წარმომადგენლის და ფსიქოლოგის დასწრება არასრულწლოვნის დაკითხვის პროცესში ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს, ამიტომ უფრო მკაფიოდ უნდა იყოს განერილი კანონში კანონიერი წარმომადგენლის როლი და დაკითხვის პროცესში მისი მონაწილეობის მიზანი;

– არასრულწლოვანი მოწმის შეზღუდვა – ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარებით მხოლოდ ცალკეულ დანაშაულებთან მიმართებაში, არ არის გამართლებული. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ნებისმიერი დანაშაულის საქმეზე სამართალწარმოებაში მონაწილეობისას (მათ შორის გამოკითხვა/დაკითხვის დროს) არასრულწლოვან მოწმეს უნდა ჰქონდეს გარანტირებული უფასო იურიდიული დახმარების უფლება;

– მართალია, მოსამართლე ვალდებულია ყველა შემთხვევაში სამართლიანად წარმართოს სასამართლო განხილვა, მაგრამ ამავდროულად მიზანშეწონილია მოწმის დაკითხვის პროცესში მაგისტრაცი მოსამართლის როლი იყოს გამოკვეთილი საპროცესო კანონმდებლობით, რაც გააძლიერებდა სასამართლო კონტროლს გამოძიების სტადიაზე.

აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობდა გამოკითხვა/დაკითხვის მარეგულირებელი ნორმების დაზუსტებას, შევსებას, გამოძიების სტადიაზე გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის უზრუნველყოფას, საბოლოოდ კი პრაქტიკის დახვეწასა და კანონმდებლობის სრულყოფას.



# მსხვერპლის სწრაფი იდენტიფიკაციის მნიშვნელობა ტრეფიკინგის სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიებისათვის, პროაქტიული გამოძიება და ტრეფიკინგის შემთხვევების პროაქტიული გამოვლენა

ირინე ხერხეულიძე

სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტი-პროფესორი

## შესავალი

ტრეფიკინგის მსხვერპლის სწრაფი იდენტიფიკაცია, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის გახსნისა და დამნაშავეთა დასჯადობის თვალსაზრისით პროცესუალურად დიდ ძალისხმევას უკავშირდება და განსაკუთრებულ ცოდნასა და მიდგომებს მოითხოვს აღნიშნული საკითხის პრაქტიკაში განხორციელებისას.

ამ პერსპექტივიდან, სტატია მიზნად ისახავს წარმოაჩინოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ წარმოებული ეფექტური და პროაქტიული სისხლისსამართლებრივი დევნის მნიშვნელობა როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო ქვეყნების კანონმდებლობისა და პრაქტიკის სრულყოფისათვის.

ამ მხრივ არც სახელმწიფოს მიერ გატარებული სტრატეგიული ნაბიჯები უნდა დარჩეს შეუფასებელი. ისევე როგორც სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს აღნიშნულ სფეროში თანამშრომლობას და მსხვერპლთა დახმარებასა და დაცვას.

სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესის წარმატებული მსვლელობის ურთიერთდაკავშირებულობა ტრეფიკინგის მსხვერპლის სწრაფ იდენტიფიკაციასა და მის ეფექტურ დახმარებასა და დაცვასთან ნათლად ჩანს შემდეგი ანალიზიდან: ტრეფიკინგის ევროპული კონვენცია, მაგალითად, ცალსახად აღიარებს რომ, მსხვერპლის სწორი იდენტიფიკაცია აუცილებელია დაცვის და დახმარებისათვის და წარუმატებლობა მსხვერპლის იდენტიფიკაციაში სავარაუდოდ მიგვიყვანას ამ პირის ადამიანის უფლებების დაცვაზე უარის თქმასთან, ისევე როგორც შექმნის პრობლემებს საქმის სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესის განხორციელებასა და მიმდინარეობასთან დაკავშირებით.<sup>1</sup> მეორე და პრაქტიკული მიზეზი მსხვერპლის სწრაფი და აკურატული იდენტიფიკაციის პრიორიტეტულობისათვის, არის ის ფაქტი, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიება იშვიათად თუ წარმოებს მსხვერპლის თანამშრომლობის გარეშე.<sup>2</sup> საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, სტატიაში სპეციალური აქცენტი გაკეთებული სამართალდამცავთა პროაქტიულ საქმიანობაზე.

<sup>1</sup> *European Trafficking Convention Explanatory Report, 2005, paragraph 127.*

<sup>2</sup> *Gallagher, Anne; Holmes, Paul, Developing an Effective Criminal Justice Response to Human Trafficking: Lessons from the Front Line, 18 International Criminal Justice Review, 2008, 318, 329.*

## 1. სამართალდამცავთა სპეციალური ცოდნის აუცილებლობა ტრეფიკინგის ეფექტური სისხლისსამართლებრივი გამოძიებისა და დევნისათვის

კომპლექსური საგამოძიებო საკითხების ფართო სპექტრი, რაც ახასიათებს ტრეფიკინგის გამოძიებას, გვკარნახობს, რომ ეროვნულ დონეზე სპეციალისტების კომპეტენცია და ფუნქციონალური უნარი მოიცავს ტექნიკურ შესაძლებლობას, რათა მოხდეს საჭირო საგამოძიებო ტექნიკის იმპლემენტაცია. უფრო კონკრეტულად, სპეციალურ პერსონალს გავლილი უნდა ჰქონდეს მომზადება რეაქტიულ გამოძიებაში მსხვერპლის იდენტიფიკაციის ჩათვლით, შეეძლოს ტრამვის მართვა და ერკვეოდეს კულტურალურ გამოწვევებში, ფლობდეს სპეციალურ ვიდეო ჩანაწერებით დაკითხვის ტექნიკას როგორც სრულწლოვნების, ისე ბავშვების მიმართ, გამოცდილება მიიღოს მტკიცებულებების შეგროვებაში, მონმეთა დაცვასა და საერთაშორისო თანამშრომლობაში. სპეციალისტები ასევე უნდა ფლობდნენ ამომწურავ უნარს, ჩაატარონ პროაქტიული გამოძიება, მტკიცებულებათა შეგროვებისა და მართვის, ადამიანური რესურსით და ტექნიკური საშუალებებით თვალთვალის გამოყენების, ფარული საგამოძიებო მოქმედებების, კონტროლირებადი მინოდების, პარალელური საფინანსო და ფულის გათეთრების გამოძიებების ჩათვლით. სპეციალური საგამოძიებო ტექნიკის ფლობისა და მათ გამოყენებაში სამართალდამცავთა მომზადების კრიტიკული მნიშვნელოვნება აღიარებულია ყველა რელევანტური საერთაშორისო სამართლებრივი და პოლიტიკური ინსტრუმენტით.<sup>3</sup>

ამასთან, საგამოძიებო ტექნიკის სწორად და მიზანმიმართულად გამოყენებისთვის საკმარისი არაა მხოლოდ ტექნიკური მხარის გაუცნობიერებელი, ერთგვარად სახელმძღვანელო პრინციპების დონეზე ცოდნა, არამედ აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავად ამ სახის დანაშაულის მატერიალური ელემენტების კარგად და საფუძვლიანად გაგებას, სადაც კიდევ უფრო კარგად ჩანს ორგანული კავშირი სისხლის პროცესუალურ და მატერიალურ სამართალს შორის. მეტიც, როგორც ამას აშშ-ის შესაბამისი გამოცდილება მოგვინოვებს, არ არის გამორიცხული, ადამიანით ვაჭრობის ეფექტური გამოძიებით, სხვა, მასთან დაკავშირებული და მისი მომიჯნავე დანაშაულებიც ეფექტურად გაიხსნას, მაგრამ ამისთვის ჯერ ის უნდა გვესმოდეს, როგორ „მუშაობს“ თავად ტრეფიკინგის დანაშაული.

იმისათვის რომ, სამართალდამცავები და პროკურორები ეფექტურად ებრძოლონ ადამიანით ვაჭრობას, პირველ რიგში, მათ უნდა იცოდნენ როგორც ხორციელდება ეს დანაშაული, სხვადასხვა ხერხები, რომლებსაც დამნაშავეები იყენებენ გადაბირების და ტრანსპორტირებისა და ადამიანის გასაყიდად, ასევე მათ უნდა იცოდნენ ბევრი სხვადასხვა მოქმედი სუბიექტისა თუ ორგანიზაციის შესახებ, რომლებიც ჩართული არიან თანამედროვე მონებით ვაჭრობაში. ადამიანის ტრეფიკინგის ქსელის გაზრდის ფონზე, პროკურორები უნიკალურ პოზიციას იკავებენ იმ თვალსაზრისით, რომ გამოიყენონ ადამიანით ვაჭრობის ფაქტის გამოძიება მთელი დანაშაულებრივი წარმონაქმნის (ორგანიზებული დანაშაულის ქსელი) დასაშლელად და განსაიარაღებლად და არა მხოლოდ იმ რამოდენიმე პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, რომელიც ჩართულია ტრეფიკინგსა და პროსტიტუციის კონკრეტულ შემთხვევაში. მაგალითად, ტრეფიკიორები იყენებენ იმავე გზას ადამიანების ტრანსპორტირებისათვის, რომელსაც ისინი მიმართავენ ნარკოტიკებისა და იარაღის გადასატანად. თუ ტრეფიკინგის მსხვერპლი გამოცდილების მქონე პროფესიონალის მიერ გამოიკითხება (დაკითხება), მაშინ ასეთ მონმეს შეეძლება აღწეროს ტრანსპორტირების სახეობა, ადამიანები, შენობები, ხმები, და დროის ხანგრძლივობა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ თუ ამ დანაშაულებრივ საქმიანობაში კორუმპირებული სამართალდამცავები ან საზღვრის დაცვის სამსახურის თანამშრომლები არიან ჩართული, მსხვერპლს მასთან ექნებოდა პირისპირ კონტაქტი. ამდენად, ადამიანებს გაცილებით უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება შეუძლიათ,

<sup>3</sup> იხ. ASEAN, 2007c; UN Organized Crime Convention, 2000, Art. 20; UNODC, 2004, pp. 384-393; UN Trafficking Principles and Guidelines, 2002, Principle 5; UN Trafficking Protocol, 2000, Art. 10.2); Gallagher, Anne; Holmes, Paul, Developing an Effective Criminal Justice Response to Human Trafficking: Lessons from the Front Line, 18 International Criminal Justice Review, 2008, 318, 325.

ვიდრე ოდესმე ამას შეძლებს იარაღი და ნარკოტიკი.<sup>4</sup>

## 2. საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები ტრეფიკინგის დანაშაულის ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნის, პროაქტიული გამოძიებისა და გამოვლენის კუთხით

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საქართველოს 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში, რომელიც სხვა ასპექტებთან ერთად ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტურ სისხლისსამართლებრივი დევნასაც ეხება, სხვადასხვა საქმიანობებთან ერთად, მითითებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიებისათვის პროაქტიული მიდგომების და სხვა უახლესი მეთოდოლოგიების დანერგვაზე საუკეთესო უცხოური პრაქტიკის გამოყენებით. ანგარიშში, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნისათვის მნიშვნელოვან კომპონენტად წარმოაჩინეს ასევე „გამომძიებლებისა და ოპერატიული მუშაკებისთვის შემუშავებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის სტანდარტული ოპერატიული პროცედურების (SOP)“ და „სამართალდამცავი ორგანოებისათვის შემუშავებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის სახელმძღვანელო პრინციპების“ დანერგვას.<sup>5</sup>

სახელმძღვანელო პრინციპებში, რომელიც პოლიციისა და პროკურორებისთვის შეიქმნა, ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანით ვაჭრობის მომიჯნავე მუხლებით წარმოებულ საქმეების განხილვისას ტრეფიკინგის ნიშნების გათვალისწინების აუცილებლობას, რომელიც ემსახურება პროაქტიული გამოძიების წარმოებასა და მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესაძლო მსხვერპლთა იდენტიფიცირებას. ადამიანით ვაჭრობის ფაქტების გამოძიების სტანდარტები სახელმძღვანელო პრინციპებში დეტალურად არის ასახული. კერძოდ: ეფექტიანი, სრულყოფილი და პროაქტიული გამოძიებების სავალდებულობა/მიზანშეწონილობა; გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვება; პოტენციურ მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაკითხვის მეთოდიკა; არასრულწლოვანთა დაკითხვის/გამოკითხვის თავისებურებები, სავარაუდო მსხვერპლისათვის/დაზარალებულისათვის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების გაცნობა და სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის შეთავაზება.<sup>6</sup> აღნიშნულ სახელმძღვანელო პრინციპებს ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე გამოძიებლები და პროკურორები სახელმძღვანელო დოკუმენტად იყენებენ ყოველდღიურ საქმიანობაში.<sup>7</sup>

აქედან, თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო ცალკე წარმოსაჩინ საკითხს წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების პროაქტიული გამოვლენა. ამ მიმართებით, ქვეყნის მიერ გადადგმული ნაბიჯებიდან ორი მიმართულება უნდა გამოიყოს. ესენია: (1) სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფის რაოდენობის გაზრდა და ფუნქციონირება და (2) სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) შესაძლებლობების გაზრდა და მისი ნევრების მონაწილეობა ტრეფიკინგის რისკის შემცველი ადგილების შემოწმებისას და პოლიციური კონტროლის განხორციელება.

<sup>4</sup> Dill, Sara Elizabeth, *Human Trafficking: A Decade's Track Record, Plus Techniques for Prosecutors and Police Moving Forward*, 26 *Criminal Justice Magazine*, 2011, 18, გვ. 20.

<sup>5</sup> ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში, გვ. 46.

<sup>6</sup> ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის სახელმძღვანელო პრინციპები სამართალდამცავი ორგანოებისათვის, 2014წ., გვ. 1.

<sup>7</sup> ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში, გვ. 47.

### ა) სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემონმების მობილური ჯგუფები (ტრეფიკინგის) შემთხვევების პროაქტიულ გამოვლენად

ზემოაღნიშნულთაგან პირველი აქტივობის ფარგლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს<sup>8</sup> ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში ფუნქციონირებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემონმების მობილური ჯგუფი. ამჟამად ასეთ ჯგუფთა რაოდენობა ოთხს აღწევს და თითოეული დაკომპლექტებულია ორი სამართალდამცველისგან, რომელთა ძირითად მოვალეობას წარმოადგენს ტრეფიკინგის რისკის შემცველი დაწესებულებების, ადგილების გამოვლენა, სადაც შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ადამიანით ვაჭრობის ფაქტებს, ასევე, რისკ-ჯგუფს მიკუთვნებულ პირთა გამოკითხვა მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით.

2015-2016 წლებში საქართველოს მასშტაბით მობილური ჯგუფების მიერ განხორციელდა ტრეფიკინგის რისკის შემცველი ადგილების გამოვლენა-აღრიცხვა. შედეგად გამოვლენილ იქნა რიგი დაწესებულებებისა, მათ შორის, ისინი, სადაც სისტემატურად ხდებოდა პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემა. ტრეფიკინგის შემთხვევების გამოვლენის მიზნით გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად მობილური ჯგუფების მიერ 2015 წელს გამოიკითხა 386, ხოლო 2016 წელს 440 პირი. 2015 წელს შემონმდა 54 დაწესებულება, ხოლო 2016 წელს – 102.<sup>9</sup>

დამატებით, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, პროაქტიული და პრევენციული ღონისძიებების გაძლიერების მიზნით შემონმების მობილური ჯგუფების მიერ აქტიურად მიმდინარეობს იმ პირებისა და ორგანიზაციების შესწავლა, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. შრომითი ექსპლუატაციის ფაქტების უფრო მეტი გამოვლენის მიზნით 2015 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს მობილური ჯგუფების მიერ პროაქტიულად გატარებული ღონისძიებების შედეგად დაიკითხა 50-ზე მეტი მოქალაქე, ხოლო 2016 წელს 30 მოქალაქე, რომლებმაც ისარგებლეს დასაქმების სააგენტოს მომსახურებით და დასაქმდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებში.<sup>10</sup>

### ბ) სპეციალისტების ჯგუფის (Task Force)-ის როლი ტრეფიკინგის პროაქტიულად გამოვლენაში.

რაც შეეხება სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) – ის დანიშნულებას და ამოცანებს, ეს არის ე.წ. სპეციალისტების ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია 7 დეტექტივ-გამომძიებლით და 5 პროკურორით, რათა პროაქტიულად გამოავლინონ, ეფექტურად გამოიძიონ და აწარმოონ სისხლისსამართლებრივი დევნა ადამიანით ვაჭრობის დანაშაულებზე. ეს ჯგუფი 2014 წლის 27 თებერვალს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავარ პროკურატურასა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიას შორის ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებში სამართალდამცავი ორგანოების პროფესიონალიზმის ამაღლების სფეროში გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე შექმნილი. სპეციალისტების ჯგუფი კონცენტრირებულია აჭარის რეგიონზე.<sup>11</sup> ასეთი სპეციალური ლოკალიზაცია, სავარაუდოდ, განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ყველაზე მეტი სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევა სწორედ აჭარაში გამოვლინდა, როდესაც საქართველო როგორც მიმღებ, ისე სატრანზიტო ქვეყანად ჩაითავლა შუააზიიდან საქართველოში შემოდინებული მსხვერპლი ქალებისათვის.

ამ ჯგუფის მთავარ ფუნქცია-მოვალეობას წარმოადგენს ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენა, პრევენციული ღონისძიებების გატარება, ტრეფიკინგის რისკ-ჯგუფს მიკუთვნებულ დაწესებულებათა და პირთა გამოვლენა, ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირება, სარფის სასაზღვრო

<sup>8</sup> ტექსტში შემოკლებულია როგორც შსს.

<sup>9</sup> ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 48.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 49-50.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 50.

გამშვებ პუნქტზე მოქალაქეთა გამოკითხვა, მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით ტრეფიკინგის დანაშაულზე ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო საქმიანობის განხორციელება, ტრეფიკინგის ფაქტებზე ოპერატიული ინფორმაციის მოპოვება და სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების დაწყება, დაზარალებულ პირთა გამოვლენა (იდენტიფიცირება), სახელმწიფო ფონდთან კოორდინირებული მუშაობით მათი დახმარება, ტრეფიკინგის დანაშაულის ჩამდენ პირთა დადგენა-დაკავება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

სპეციალისტთა ჯგუფის მიერ აქტიურად მიმდინარეობს ტრეფიკინგის ფაქტების პროაქტიული გამოვლენა, მათ შორის, სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე მოქალაქეთა გამოკითხვა. 2015-2016 წლებში სპეციალისტთა ჯგუფის მიერ დასავლეთ საქართველოს მასშტაბით განხორციელდა რისკის შემცველი ადგილების გამოვლენა-აღრიცხვა და პირების გამოკითხვა.<sup>12</sup>

ამ მიმართებით, რაც ტრეფიკინგის გამოვლენის მიზნით სასაზღვრო ზონაში (გამშვებ პუნქტზე) მოქალაქეთა გამოკითხვის საკითხს ეხება, საყურადღებოა აღნიშნული საქმიანობის კავშირი კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენასთან, რასაც სახელმწიფო უსაფრთხოება ჰქვია.

საქმე იმაშია, რომ აშშ-ის ლიტერატურაში გამოთქმულია საინტერესო იდეა, რომ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა ჩაითვალოს ეროვნული უსაფრთხოების საკითხადაც. თუ ორგანიზებული დანაშაულის ჩამდენ გაერთიანებებს შეუძინებდად შეუძლიათ ქვეყანაში ხალხის შემოყვანა, ან თუნდაც ყალბი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გამოყენებით, მაშინ გამოდის რომ, სახელმწიფო საზღვარი არ არის დაცული ტერორისტებისაგან ან ნებისმიერ სხვა პირისგან, რომლებიც მსგავსი არხებით ცდილობენ ქვეყანაში შემოსვლას. თუ მარშრუტები და საშუალებები უკვე კარგად დამკვიდრებულია, მაშინ, რა შეაკავებს ტერორისტს ან უცხო სახელმწიფოს ჯაშუშს იმავე მარშრუტებით სარგებლობისათვის თანხის გადახდისგან?<sup>13</sup> მართალია, ასეთ კავშირზე ტრეფიკინგსა და ტერორიზმს შორის არ აკეთებს აქცენტს ქართული, ეროვნული კანონმდებლობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუნწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლთა იდენტიფიცირების სახელმძღვანელო პრინციპები საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე (სასაზღვრო გამტარი და საბაჟო გამშვები პუნქტები, სახმელეთო და სანაპირო საზღვარი) მომუშავე პერსონალისთვის“,<sup>14</sup> მაგრამ ამ დოკუმენტის არსებობა და მისი განხილვა რელევანტურია, რამდენადაც იგი სწორედ ყველაზე პრობლემურ ზონაში (სასაზღვრო არე) განსახორციელებელ ისეთ უმნიშვნელოვანეს ქმედებას ეხება, როგორც ტრეფიკინგის დანაშაულის მსხვერპლთა იდენტიფიკაცია, და რომელიც, ზემოთ განხილული მოსაზრების თანახმად, შესაძლოა, დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თვალსაზრისით ყველაზე მეტად ეფექტური აღმოჩნდეს არა მხოლოდ ადამიანით ვაჭრობის დანაშაულთან მიმართებით, არამედ ასევე ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობასთან დაკავშირებით, ისევე როგორც ტერორიზმის გამოძიებისა და გახსნის თვალსაზრისით.

**გ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლთა იდენტიფიცირების სახელმძღვანელო პრინციპები საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მომუშავე პერსონალისთვის და მათი დიდი მნიშვნელობა**

იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის გამოვლენა პრაქტიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, მაშინ როცა ეს დანაშაული, ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია საზღვრის კვეთასთან, ამდენად ძალიან მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული დოკუმენტის შექმნა, რომელიც იმ სამართალდამცველებისათვის (პოლიციელებისათვის) იქმნება,

<sup>12</sup> ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 51.

<sup>13</sup> Dill, Sara Elizabeth, *Human Trafficking: A Decade's Track Record, Plus Techniques for Prosecutors and Police Moving Forward*, 26 *Criminal Justice Magazine*, 2011, 18, 20.

<sup>14</sup> დამტკიცებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუნწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ 19 დეკემბერი, 2017წ., თბ., საქართველო.

რომელთაც, როგორც წესი, პირველი კონტაქტი აქვთ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო მსხვერპლთან. ასევე, მესაზღვრეები, მესაზღვრე-კონტროლიორები და, საბაჟო გამშვებ პუნქტზე მომუშავე თანამშრომლები უფლებამოსილნი არიან, შეამოწმონ შესაბამისად ფიზიკური პირები და სატრანსპორტო საშუალებები.<sup>15</sup> ვიდრე უშუალოდ აღნიშნული დოკუმენტის დიდ დატვირთვას შეეცებოდნენ, მანამდე, ზოგადად უნდა აღინიშნოს პოლიციის როლი დანაშაულთან ბრძოლის საქმეში.

პოლიცია წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი იუსტიციის ყველაზე ქვედა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან რგოლს. სწორედ პოლიციის ორგანოებს აქვთ უმეტეს შემთხვევებში დანაშაულბრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენ პირებთან შეხება და სწორედ ისინი ახდენენ პირველად რეაგირებას სამართალდარღვევასთან დაკავშირებით.<sup>16</sup>

საერთაშორისო დონეზე, ტრეფიკინგის კონტექსტში, როდესაც მიუთითებენ მსხვერპლთან პირველი კონტაქტის საკითხის მნიშვნელოვანებაზე, აღნიშნავენ რომ, ხშირ შემთხვევაში ვერ ხდება მსხვერპლის იდენტიფიკაციის შესაძლებლობის გამოყენება, რადგან მსხვერპლთან პირველი კონტაქტის მქონე სახელმწიფოს წარმომადგენლები, – იქნებიან ისინი პოლიციიდან, შრომის ინსპექციიდან, საემიგრაციო თუ სასაზღვრო კონტროლის სამსახურებიდან, მოკლებულნი არიან სათანადო ცოდნასა და გამოცდილებას, თუ როგორ ამოიცნონ მსხვერპლი და ააცილონ მათ ზიანი. მეტწილად, ტრეფიკინგის საეჭვო, (სავარაუდო) შემთხვევებთან შეხება სწორედ მათთან პირველი კონტაქტის მქონე სახელმწიფო პირებს უწევთ და არა მათ სპეციალიზებულ კოლეგებს. ამიტომ, სწორედ ამ სახელმწიფო პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ნებისმიერი სახის ტრეფიკინგის გამოძიების პირველი უმნიშვნელოვანესი საათების სწორად წარმართვისათვის, მანამდე ვიდრე სპეციალიზებულ გამოძიებელს გადაეცემა საქმე. ეს ნიშნავს რომ, მსხვერპლთან პირველი კონტაქტის მქონე სახელმწიფო პირები ხშირად იქნებიან პასუხისმგებელი ისეთი კრიტიკული ამოცანების შესრულებაში, როგორცაა მსხვერპლის უსაფრთხოება, მტკიცებულებათა დაცვა, შენახვა და პირის დაკავება.<sup>17</sup>

საქართველოს კანონმდებლობით საკმაოდ ფართოა ის საქმიანობა, რასაც პოლიციის თანამშრომლები ეწევიან მათთვის დადგენილი სპეციალური რეგულაციების მიხედვით. „პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-17, მე-18 და მე-20 მუხლებში დეტალურად არის ჩამოყალიბებული პოლიციის უფლებამოსილებანი, პოლიციის პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებები და მათ მიერ პირის იდენტიფიკაცია.

რაც შეეხება გამოძიების საკითხს, ზოგადი წესის მიხედვით, გამოძიებას, ძირითად შემთხვევებში, სრული მოცულობით აწარმოებს გამოძიებელი და მას საპროცესო ხელმძღვანელობას უწევს პროკურორი. როგორც გამოძიებელი, ისე პროკურორი სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს არსებითად არიან დამოკიდებული პოლიციის თანამშრომლებზე და აძლევენ წერილობით დავალებებს და მითითებებს პოლიციის მუშაკებს, რათა აღმოუჩინონ მათ დახმარება საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას. თუმცა, ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ პოლიციას დამოუკიდებლად, პროკურატურის დავალებებისა და მითითებების გარეშე არ შეუძლია გამოძიების წარმოება და საგამოძიებო მოქმედებთა ჩატარება. პოლიციას თავისი ფუნქციიდან გამომდინარე, უფლება აქვს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, თუ დაყოვნება საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, დაუბრკოლებლად შევიდეს საცხოვრებელ ბინებსა თუ შენობა-ნაგებობაში დანაშაულის აღსაკვეთად ან იმ პირის დასაკავებლად, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული ან ბრალდებულია დანაშაულის ჩადენაში, ამასთან ერთად, პოლიცია უფლებამოსილია განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო და ოპერატიულ-ტექნიკური

<sup>15</sup> „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლთა იდენტიფიცირების სახელმძღვანელო პრინციპები საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე (სასაზღვრო გამტარი და საბაჟო გამშვები პუნქტები, სახმელეთო და სანაპირო საზღვარი) მომუშავე პერსონალისთვის“, 2017წ., გვ. 7.

<sup>16</sup> თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2014წ., გვ. 115.

<sup>17</sup> Gallagher, Anne; Holmes, Paul, *Developing an Effective Criminal Justice Response to Human Trafficking: Lessons from the Front Line*, 18 *International Criminal Justice Review*, 2008, 318, 326.

ლონისძეები, ასევე სხვა საგამოძიებო მოქმედებები იმ დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, რომლის გამოძიება კანონმდებლობის შესაბამისად პოლიციის კომპეტენციას განეკუთვნება.<sup>18</sup>

პოლიციის საქმიანობის ამგვარ ფართო სპექტრს კიდევ უფრო ქმედითს ხდის „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლთა იდენტიფიცირების სახელმძღვანელო პრინციპები საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მომუშავე პერსონალისთვის“, რამდენადაც მისი ადრესატები საქართველოს შსს-ს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები, ასევე, სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლები არიან და რამდენადაც, იგი მიმართულია ყველაზე სენსიტიური საკითხის – სავარაუდო მსხვერპლთან პირველი კონტაქტის დამყარებაზე და მოიცავს შესაბამის პროცედურებს, რომელიც, საბოლოო ჯამში, ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სწრაფი იდენტიფიკაციისთვის, არამედ ზოგადად, დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით.

დოკუმენტი არაერთ ინდიკატორსა და სახელმძღვანელო პრინციპს ადგენს, რომლებიც დაეხმარებათ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მომუშავე პერსონალს, დროულად და ეფექტიანად მოახდინონ ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა იდენტიფიცირება და უზრუნველყონ მსხვერპლთან სათანადო მოპყრობა. მაგალითად, დოკუმენტის მე-8 მუხლით გათვალისწინებულია პირის გამოკითხვა, რომელიც პირველადი გამოკითხვის დროს დასაადგენ კომპონენტთა მიზანშეწონილებას განსაზღვრავს. ამავე მუხლის შენიშვნა კი საზღვარზე მომუშავე პერსონალს ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა გამოვლენის მიზნით, გამოსაკითხ პირთა მიმართ სწორი დამოკიდებულების შერჩევას ავალდებულებს. კერძოდ, გამოკითხვა უნდა მიმდინარეობდეს ინდივიდუალურად, მშვიდ გარემოში და არ უნდა გამოიწვიოს სავარაუდო მსხვერპლისათვის დამატებითი სტრესი. მათ უნდა განემარტოთ, რომ მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში ისინი დაცულები იქნებიან და გათავისუფლდებიან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთისა (სსკ 344-ე მუხლი) და ყალბი დოკუმენტების, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადების, გასაღების ან გამოყენებისთვის (სსკ 362-ე მუხლი). ასევე, უნდა მოხდეს ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა ინფორმირება იმის შესახებ, რომ ზემოთ აღნიშნული სტატუსის მქონე პირები გათავისუფლდებიან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან პროსტიტუციისა (ასკ-ის 172 (3) მუხლი და საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისთვის დადგენილი წესის დარღვევით საქართველოში ცხოვრებისთვის (ასკ-ის 185-ე მუხლი).<sup>19</sup>

ასეთი სპეციფიკური წესების შემოღება მსხვერპლთა იდენტიფიკაციის და გამოკითხვის წარმოებასთან დაკავშირებით შსს-ს და სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურების თანამშრომლებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი, მათთვის დაკისრებული უპირველესი მოვალეობის სწორად შესრულებისათვის. ამ მხრივ, ზემოაღნიშნული „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლთა იდენტიფიცირების სახელმძღვანელო პრინციპები საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მომუშავე პერსონალისთვის“, მე-9 მუხლში ცალსახად ადგენს პირის მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის შესახებ ეჭვის წარმოშობის ან მსხვერპლის მიერ თვითიდენტიფიცირების შემთხვევაში განსახორციელებელ ქმედებებს.<sup>20</sup>

სამართალდამცავთა ასეთ სპეციფიურ ფუნქცია-მოვალეობებზე საუბრისას, აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგადად, პოლიციას თავისი საქმიანობის განხორციელებისას გააჩნია პრევენციული ან რეპრესიული ფუნქცია.<sup>21</sup> თუმცა, განსახილველ საკითხთან, ტრეფიკინგთან მიმართებით,

<sup>18</sup> თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2014, გვ. 120.

<sup>19</sup> „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლთა იდენტიფიცირების სახელმძღვანელო პრინციპები საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე (სასაზღვრო გამტარი და საბაჟო გამშვები პუნქტები, სახმელეთო და სანაპირო საზღვარი) მომუშავე პერსონალისთვის“, 2017წ., გვ. 7.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 8-9.

<sup>21</sup> თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2014წ., გვ. 117-120.

პოლიცია, შეიძლება ითქვას, გაორმაგებულად ფუნქციონარიანია, რამდენადაც საპოლიციო ღონისძიებებს ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს ძირითადად ორმაგი ფუნქცია აქვს. პოლიციის მიერ სისტემატურად ინფორმაციების მოპოვება კრიმინალური ორგანიზაციების, მათი საქმიანობის, სტრუქტურის, ორგანიზაციის წევრების, და მათი ფუნქციების შესახებ, შესაძლებელია ორ მიზანს ერთდროულად ემსახურებოდეს: (1) უკვე ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას, დანაშაულის ორგანიზატორებისა და ამსრულებლების დაკავებას (რესპესია); და (2) კრიმინალური ორგანიზაციის დაშლას და მათი შემდგომი დანაშაულებრივი ქმედების პრევენციას (პრევენცია).<sup>22</sup>

მაშასადამე, გლობალურ ტრეფიკინგთან საბრძოლველად, პროცესუალური კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა პროაქტიული გამოვლენა და საქართველოს საზღვარზე ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა იდენტიფიცირება და დახმარება, რაც გათვალისწინებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლთა იდენტიფიცირების სახელმძღვანელო პრინციპებით.

### 3. პროაქტიული გამოძიების მნიშვნელოვანება საერთაშორისო (ევროპული და ამერიკული) და ეროვნული პერსპექტივიდან

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მსხვერპლთა ჩვენების არარსებობისას გამოძიებების დაწყება პროაქტიულად, რომელიც (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნისათვის არა მარტო საქართველოს მიერ გადადმულ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს წარმოადგენს, არამედ იგი მიღებული, მონონებული, მონოდებული და ნახალისებულია საერთაშორისო დონეზე – როგორც აშშ-ში, ისევე ევროპაში.

ამ მხრივ ხაზგასასმელია რომ, ადამიანით ვაჭრობის კომპლექსური ხასიათის გათვალისწინებით, სამართალდამცავებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა მათი საქმიანობის სხვადასხვა ადგილას აღმოაჩინონ მსხვერპლი და მოაპოვონ მტკიცებულებები ტრეფიკიორის წინააღმდეგ. ზოგადად და ტრადიციულად, სამართალდამცავები დამნაშავეს ეძებენ და გამოძიებაც იწყებენ ამ პერსპექტივიდან. თუმცა, ტრეფიკინგის შემთხვევაში, ამის ნაცვლად სამართალდამცავებმა მსხვერპლები უნდა ეძებონ. თუ ისინი აღმოაჩინენ მსხვერპლს, მაშინ ეს მსხვერპლები მიიყვანენ სამართალდამცველებს დამნაშავემდე. ამ მხრივ, იმისთვის რომ აღმოაჩინონ მსხვერპლი, მნიშვნელოვანია სამართალდამცავებს ვასწავლოთ პროსტიტუციის სხვა რაკურსიდან ხედვა.<sup>23</sup> როგორც ამერიკული კვლევები მიუთითებენ, ასევე, ერთ-ერთი წამყვანი სფერო, რომელიც სამართალდამცავებს დაეხმარება კვალში ჩაუდგინენ ტრეფიკიორებს, არის ადამიანით ვაჭრობის ბიზნესში „ბაზრის რეკლამირების საჭიროება“, ანუ აუცილებლობა იმისა, რომ „სავაჭროდ გამოიტანონ თავიანთი პროდუქტი“, რასაც ისინი ახდენენ ქალებისა და ბავშვების ხელმისაწვდომობის რეკლამირებით, რომელიც პოტენციურ კლიენტებზეა გათვლილი. თუ მსხვერპლის ადგილმდებარეობის დადგენა შესაძლებელი იქნება, შესაბამისად, დადგინდება ტრეფიკერიც. თუმცა, ეს მოითხოვს პროაქტიული ქმედებების გატარებას სამართალდამცავების მხრიდან, განხორციელებულს გაუმჯობესებული ტექნოლოგიის გამოყენებითა და ტრეფიკიორთა აღმოჩენის სურვილით. როგორც პროკურორებმა, ისე დამცველებმა, სასამართლო მოსმენების თავდაპირველ, საწყის ეტაპზე უნდა აღაირონ ტრეფიკინგის გავრცელებულობა და მიიღონ ყველა ზომა პოტენციური მსხვერპლის გამოსაკითხად, ვიდრე ეს უკანასკნელი დაუბრუნდება საზოგადოებას, საიდანაც დამნაშავეები სწრაფად გადაიყვანენ მას სხვა ადგილას.<sup>24</sup>

**ა) პროაქტიული გამოძიების მნიშვნელოვანებაზე ხაზგასმა ევროპულ სამართლებრივ სივრცეში**  
ამ საკითხებზე რელევანტურია „ტრეფიკინგის აღმოსაფხვრელად მიმართული ევროკავშირის

<sup>22</sup> იქვე, გვ. 121.

<sup>23</sup> Dill, Sara Elizabeth, *Human Trafficking: A Decade's Track Record, Plus Techniques for Prosecutors and Police Moving Forward*, 26 *Criminal Justice Magazine*, 2011, 18, 20.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 18, 24.



2012-2016 წლების სტრატეგიაში“ გაკეთებული აქცენტი პროაქტიული გამოძიების მნიშვნელოვანებასთან დაკავშირებით. დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ფინანსური მოქმედებების განმახორციელებელი სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციასთან შესაბამისობით,<sup>25</sup> წევრ სახელმწიფოებს პროაქტიულად უნდა ჩაეტარებინათ ტრეფიკინგის დანაშაულთა ფინანსური გამოძიება 2013 წელს, წარმოედგინათ ინფორმაცია ევროპოლის ანალიტიკური მუშაობისათვის და გაეგრძელებინათ შემდგომი თანამშრომლობა ევროკავშირის სააგენტოებთან, როგორცაა ევროიუსტი და ევროპული პოლიციის კოლეჯი (CEPOL). ევროპოლი გააკეთებდა ანალიზს იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელსაც იგი წევრ-სახელმწიფოებისგან მიიღებდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფინანსური გამოძიების თობაზე 2015 წლისთვის. ამ ანალიზის დანიშნულებაა მიგვიყვანოს ფინანსური საპოლიციო გამოძიების საუკეთესო პრაქტიკისა და მოდელების იდენტიფიკაციამდე. ფინანსური გამოძიება აღიარებულ იქნა როგორც მტკიცებულებათა შეგროვების საშუალება. როდესაც მტკიცებულებათა შეგროვება ხდება მიზანმიმართულად ტრეფიკინგის სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით, გამოძიებათა მნიშვნელოვანი ნაწილი უმეტესად დამოკიდებულია მსხვერპლის განაცხადზე. მტკიცებულება, მოპოვებული იმ ურთიერთდაკავშირებული ფინანსური ტრანზაქციებიდან, რომლებიც გამოვლინდება დანაშაულის გამოძიების მსვლელობის პროცესში, შესაძლოა, წარმოადგენდეს აუცილებელ, დამატებით მტკიცებულებას, განსაკუთრებით მაღალი რისკის მქონე სექტორებში,<sup>26</sup> და ამდენად, მათ, შესაძლოა, გაათავისუფლონ მსხვერპლები ჩვენების მიცემის ტვირთისგან სასამართლოში. ფინანსური გამოძიება შეიძლება, ასევე, გამოსადეგი იყოს რისკის შეფასების განხორციელებისას, იმ პირების *modus operandi* ცოდნის გაზრდისათვის, რომლებიც ჩადიან ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებულ დანაშაულებს და ხვენენ მისი დადგენის საშუალებებს.<sup>27</sup>

ამ სტრატეგიაში დასახული გეგმების რეალურ იმპლემენტაციას ეხება 2016 წლის „ევროკომისიის ანგარიში ევროპარლამენტსა და ევროსაბჭოს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მიღწეული პროგრესის თაობაზე, როგორც ეს 2011/36/EU დირექტივის მე-20 მუხლით არის მოთხოვნილი.“ ანგარიშის იმ ნაწილში, რომელიც ეხება სისხლის სამართალს, გამოძიებას და სისხლისსამართლებრივ დევნას, ადამიანთა ვაჭრობის საქმეებზე სისხლის სამართლებრივი გამოძიებისა და დევნის რიცხვის ზრდა ერთ-ერთი ძირითად პრიორიტეტად არის დასახელებული ევროკავშირის სამართლის და პოლიტიკის ჩარჩოში. დოკუმენტში ნათქვამია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდებათა რიცხვი საგანგაშოდ დაბალი რჩება, განსაკუთრებით თუ მას იდენტიფიცირებულ მსხვერპლთა რიცხვს შევადარებთ. მართალია ამ სფეროში გამოძიება მოითხოვს მატერიალური მტკიცებულების არსებობას პირის მსჯავრდებისათვის, ამ ანგარიშისათვის შეგროვებული ინფორმაცია აღნიშნავს, რომ წევრი სახელმწიფოები არ იყენებენ საკმარისად ეფექტურ საგამოძიებო საშუალებებს. ფინანსური გამოძიება ძირითადად ტარდება „საქმე საქმეზე მიყოლებით“ საფუძველზე, და არა სისტემატიურად და ძალიან ხშირად შემოიფარგლება (შეზღუდულია) აქტივების აღდგენის გამოძიებით. ეს კი ეწინააღმდეგება ფინანსური მოქმედებების განმახორციელებელი სპეციალური ჯგუფის (FATF) სტანდარტს და საბჭოს რეკომენდაციებს.

გარდა ამისა, ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ გადაჭარბებული ტვირთი აწევთ მსხვერპლებს როგორც სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს, ისე მანამდე. ზოგი ინფორმაცია იმასაც კი მიუთითებს, რომ ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა მსხვერპლებს დახმარების განევაზე

<sup>25</sup> *International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation, the FATF recommendations, OECD Financial Action Task Force, February 2012.*

<sup>26</sup> *Europol, „EU Organised Crime Threat Assessment 2011“. These sectors are agriculture, construction, the textile industry, healthcare, domestic service and the sex industry, გვ. 19.*

<sup>27</sup> *Communication From The Commission To The European Parliament, The Council, The European Economic And Social Committee And The Committee Of The Regions, The EU Strategy towards the Eradication of Trafficking in Human Beings 2012-2016, Brussels, 19.6.2012 COM(2012) 286 final, გვ. 10.*

უარს ეუბნებიან პოლიციის ოფისებში ან ხდება მათი არასწორი, მცადრი იდენტიფიკაცია დამნაშავეებად, რასაც შედეგად მოჰყვება მათი სისხლისსამართლებრივი დევნა და მსჯავრდება.<sup>28</sup>

### **ბ) აშშ-ს გამოცდილება ეფექტურ ფინანსურ პროაქტიულ გამოძიებისთან მიმართებით**

ამასთანავე, როგორც აშშ-ში ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, ეფექტური ფინანსური პროაქტიული გამოძიებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ყველაზე მეტად გავრცელებული ტრეფიკინგის დაჯგუფებათა სახეების არსებობის ცოდნა, ისე გაცნობიერება იმისა რომ, რომელ ბიზნეს მოდელსაც არ უნდა მიუყვებოდეს ტრეფიკიორთა ცალკეული დაჯგუფება, – მოგების მიღება მათ საერთო მოტივსა და მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. აშშ-ის გამოცდილების მიხედვით ეს ჯგუფებია: საერთაშორისო კრიმინალური სინდიკატი სხვადასხვაგვარი აქტივობებით, რომლებიც ერთსადაიმთავე გზას იყენებენ ნარკოტიკებით, იარაღითა და ადამიანებით სავაჭროდ; „ადგილობრივი კრიმინალური სინდიკატები, რომელიც მოცავს ქუჩურ დაჯგუფებებს; „ოჯახური ოპერაციები განვრცობილი ოჯახური თანამშრომლობის ფორმატში საერთაშორისო საზღვრების ფარგლებში; „ერთპიროვნული ბიზნესები კონტრაქტორებით და აგენტებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშათა კადრებს; ზერელედ დაფუძნებული ორგანიზაციები ან ნაცნობები, რომლებიც ადამიანთა შეზღუდული რაოდენობის მსვლელობას ახდენენ; და ინდივიდები, „სუტენიორები“, ბარების მესაკუთრეები და აღმასრულებლები.<sup>29</sup> პროკურატურა ძალიან ხშირად წარუმატებელია ამ საკითხის გადაჭრაში და არ ახდენს აქტივების სახით არსებული ქონების კონფისკაციას და საბანკო ანგარიშის დაყადებას რათა ნამდვილად დასაჯოს დამნაშავე და ფინანსურად ჩაახშოს ტრეფიკიორი. ნებისმიერი გამოძიებისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ, რაც უფრო მეტად იერარქიულია ჯგუფი, – განვითარებული სტრუქტურისა და ორგანიზაციის ჩათვლით, – მით მეტად იქნებიან ჩართული ტრეფიკიორები ძალადობაში, რომელიც ტრეფიკინგის ნაწილს წარმოადგენს. გარდა ამისა, ასეთ ჯგუფებს ახასიათებს ლეგალური და არალეგალური საქმიანობის ხშირი კვეთა, და ბიზნეს ინტრესების გამოყენება ტრეფიკინგის ხელშესაწყობად და სხვა უკანონო საქმიანობისათვის, როგორც არის ფულის გათეთრება, დოკუმენტების გაყალბება, მექრთამეობა, მიგრანტთა უკანონო გადაყვანა სახელმწიფო საზღვარზე, არჩევნების გაყალბება და გადახდისთვის თავის არიდება. რამდენდაც კორუფცია გავრცელებულია მსოფლიო საზღვრებს გასწვრივ, ორგანიზებული დანაშაულის შემადგენელი წარმონაქმნები ერთად მუშაობენ ორგანიზაციულ და კოოპერაციულ დონეზე, რათა დაიცვან და ხელი შეუწყონ ტრანსპორტირების მარშრუტებს ყველა მათგანის ურთიერთ მომგებიანობის პერსპექტივიდან. აქვე უნდა ითქვას, რომ არის ხუთი ძირითადი მოდელი (ბუნებრივი რესურსების მოდელი; ვაჭრობისა და განვითარების მოდელი; სუპერ-მარკეტის მოდელი; ძალმომრეობითი მენარმეობის მოდელი; თანამედროვე მონობა ტრადიციული ტექნოლოგიით მოდელი), რომელთაც ყველაზე ხშირად მიუყვებიან ტრეფიკიორები და სამართალდამცავებმა უნდა იცოდნენ მათი არსებობის შესახებ, როდესაც ისინი გამოძიებას აწარმოებენ და კოორდინირებას უწევენ ძალისხმევას სხვადასხვა დაზვერვისა და უსაფრთხოების ჯგუფებს შორის.<sup>30</sup>

### **გ) საქართველოში (ტრეფიკინგის) დანაშაულის პროაქტიული გამოძიებისკენ გადადგმული ნაბიჯები**

საქართველოში (ტრეფიკინგის) დანაშაულის პროაქტიული გამოძიების პასუხისმგებელი უწყება არის შსს. ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის პროაქტიული გამოძიების წარმოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ტრეფიკინგის სავარაუდო შემთხვევების გამოვლენისას. პროაქტიული გამოძიება ორიენტირებულია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ინიციატივაზე და გულისხმობს გამოძიების იმ მეთოდს, რომელიც არ არის დამოკიდებული მსხვერპლის

<sup>28</sup> Report from the Commission to The European Parliament And The Council. Report on the progress made in the fight against trafficking in human beings (2016) as required under Article 20 of Directive 2011/36/EU on preventing and combating trafficking in human beings and protecting its victims [SWD(2016) 159 final], Brussels, 19.5.2016 COM(2016) 267 final, გვ. 10.

<sup>29</sup> Dill, Sara Elizabeth, Human Trafficking: A Decade's Track Record, Plus Techniques for Prosecutors and Police Moving Forward, 26 Criminal Justice Magazine, 2011, 18, 22.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 18, 23.

განცხადებაზე/მიმართვაზე და ითვალისწინებს გამოძიების დაწყებას ოპერატიული ანგარიშის საფუძველზე. მობილური ჯგუფების მიერ წინასწარ ხორციელდება ტრეფიკინგის რისკის შემცველი დაწესებულებების გამოვლენა-აღრიცხვა, მათ შორის, იმ ადგილების, სადაც სისტემატურად ხდება პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემა. ზემოაღნიშნულის საფუძველზე მიმდინარეობს მონაცემთა პერიოდული აღრიცხვა და სისტემატურად ხორციელდება იდენტიფიცირებული ადგილების შემოწმება. ასევე, მიმდინარეობს აღნიშნული რისკ-ჯგუფის შემცველი დაწესებულებების მფლობელთა, ხელმძღვანელთა და დაწესებულებაში მომუშავე პირთა, მათ შორის, პროსტიტუციაში ჩართულ პირთა, დადგენა და ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით მათი შემოწმება-შესწავლა და გამოკითხვა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ხდება იმ ორგანიზაციების შესწავლა, რომლებიც ეწევიან საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ და უზრუნველყოფენ საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ გაყვანას და, პირიქით, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საქართველოში ჩამოყვანას დასაქმების მიზნით.

2015 წელს სამართალდამცავი ორგანოების მიერ გატარებული პროაქტიული ღონისძიებების შედეგად გამოვლინდა და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე პროაქტიულად გამოძიება დაიწყო 11, ხოლო 2016 წელს 15 სისხლის სამართლის საქმეზე, მათ შორის, ორი არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტზე. საერთო ჯამში, სტატისტიკური მონაცემებით, 2015 წელს ტრეფიკინგის ფაქტზე გამოძიება დაწყებულ იქნა 18 და 2016 წელს – 20 სისხლის სამართლის საქმეზე.<sup>31</sup>

პროაქტიული გამოძიების თაობაზე შემაჯამებელი კუთხით უნდა ითქვას: ტრეფიკინგის გამოძიების კომპლექსურობა ნიშნავს რომ, უაღრესად სენსიტიური საკითხები, მაგალითად, მსხვერპლთა დაცვა და ინვაზიური პროაქტიული საგამოძიებო ტექნიკის გამოყენების საკითხი წამოიჭრება გამოძიებათა უმრავლეს შემთხვევაში. ამიტომ არის აუცილებელი, რომ სპეციალურმა გამოძიებლებმა იმოქმედონ იმ სტანდარტთან მკაცრი ლეგალური და პროცედურული შესაბამისობით, რომლებიც მოქმედებენ მათი საგამოძიებო საქმიანობის პროცედურული რეგულირებისათვის. უფრო მეტიც, რამდენადაც მათი საქმიანობა სენსიტიურია სამომავლოდ მათი მტკიცებულებითი ხასიათიდან გამომდინარე, ასევე არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცედურები და მათი გამოყენების ოქმები (ჩანაწერები) ხელმისაწვდომი იყოს სასამართლო განხილვის ყველა ეტაპზე. სამწუხაროდ, ბევრი ქვეყნის სისხლისსამართლებრივი სისტემა (და ამასთან მათი სპეციალიზებული ტრეფიკინგის სანინააღმდეგო ინსტიტუციები), როგორც ჩანს, ვერ აკმაყოფილებს ამ მინიმალურ სტანდარტებს.<sup>32</sup>

საბედნიეროდ, იგივე არ ითქმის საქართველოზე, რომელმაც არაერთი პროგრესული ნაბიჯი გადადგა ტრეფიკინგის სანინააღმდეგო პოლიტიკის სწორად და ეფექტურად წარმართვისათვის. პროაქტიული გამოძიების დანერგვის პარალელურად, ძალიან აქტუალურია შრომის ინსპექტორის ინსტიტუტის შემოღების საკითხიც. კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შექმნილია შრომის ინსპექტორების ჯგუფი, რომელთა ამოცანაა, ნებისმიერ სანარმოსა და დაწესებულებაში შევიდეს, შეამოწმოს დოკუმენტაცია და გამოკითხოს თანამშრომლები. შრომის ინსპექტორი, დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში ინფორმაციას მიაწვდის კრიმინალური პოლიციის სპეციალურ ჯგუფს, რომელიც შეისწავლის მდგომარეობას. საქართველოს ტრეფიკინგის სანინააღმდეგო კანონმდებლობის თანახმად: „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენტური სამსახური იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით ამონიშნავს შრომის პირობებს და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში საგამოძიებო ორგანოებს“.

<sup>31</sup> ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 51-52.

<sup>32</sup> Gallagher, Anne; Holmes, Paul, *Developing an Effective Criminal Justice Response to Human Trafficking: Lessons from the Front Line*, 18 *International Criminal Justice Review*, 2008, 318, 325.

ნოებს მიმართავს“.<sup>33</sup> შესაბამისად, მნიშვნელოვანია ქვეყანაში მიმდინარე პროცესი, რომელიც უკავშირდება ზემოთ განხილული სახელმწიფო უწყებების კოორდინაციას, კერძოდ, პოლიციისა და შრომის ინსპექციის წარმომადგენელთა თანამშრომლობას ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის და პრევენციის მიზნით. ამ საკითხმა სპეციალური ადგილიც კი დაიკავა ადამიანთ ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მსოფლიო მასშტაბით გამოქვეყნებულ ანგარიშში.

## დასკვნა

ტრეფიკინგის დანაშაულზე ეფექტური სისხლისსამართლებრივი პასუხის გამონახვა და შენარჩუნება მოითხოვს პოლიტიკური მხარდაჭერის მაღალსა და უწყვეტ დონეს, სათანადო რესურსებსა და ვალდებულების აღებას. ამიტომ არის იგი მუდმივი გამოწვევა ყველა სახელმწიფოსათვის.<sup>34</sup> საქართველომ 2006 წლიდან დღემდე, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ტრეფიკინგთან, როგორც ტრანსნაციონალურ დანაშაულთან საბრძოლველად.

ადამიანთ ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა, მსოფლიოს მასშტაბით, სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შეფასების შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშთა შორის საქართველოს ანგარიშიც გამოაქვეყნა, რომელშიც შეფასებული 187 სახელმწიფოდან საქართველო უკვე მეორედ მოხვდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების შეფასების უმაღლეს საფეხურზე – ე.წ. „პირველ კალათაში“. ანგარიშში აღნიშნულია რომ, 2017 წლისთვის საქართველოს მთავრობა სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგის აღმოფხვრისთვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს. შეფასებაში ხაზგასმულია შსს-ს მიერ მიღწეული პროგრესი, ასევე, დაწყებული გამოძიებების გაზრდილი მაჩვენებელი, რაც შემთხვევების გამოვლენისა და პროაქტიული გამოძიებების გაძლიერებას მოწმობს. დოკუმენტში ნათქვამია, რომ „საქართველოს მთავრობამ კიდევ ერთხელ გამოავლინა მტკიცე და ურყევი ძალისხმევა 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცებით, პროაქტიული გამოძიების და ტრეფიკინგისთვის მოწყვლადი ჯგუფების ინდიკატორების განსაზღვრით“.<sup>35</sup>

ადამიანთ ვაჭრობის ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნისთვის აუცილებლად გასათვალისწინებელია მისი კომპლექსური ხასიათი. საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი სინდიკატები, რომლებიც ადამიანებით, იარაღით, ნარკოტიკით ვაჭრობენ, – სამივე შემთხვევაში ერთსადაიმაცე მარშრუტს იყენებენ. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული (TOC) იზრდება მოცულობაში, გეოგრაფიულ ველზე და მოგებაში. გლობალურიზაციის შედეგად მოჰყვა გაზრდილი მოგება და დანაშაულის სამომავლოდ მატება. სწრაფი ტემპით გავრცელებადი ორგანიზებული დანაშაული ზრდის ტერორიზმის გაფართოვების რისკს, რამდენადაც ტერორისტებს პირი აქვთ შეკრული ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფებთან, რათა მოახდინონ ფულის, ადამიანების და მასალების გადაადგილება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. კორუფცია იმატებს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფების კავლდაკვალ და ასუსტებს სახელმწიფოს უნარს, აღასრულოს კანონის უზენაესობა და აფერხებს სისხლისსამართლებრივ გამოძიებასა და დევნას. როდესაც ამას თან ერთვის ადამიანთ ვაჭრობის მაღალი სარგებლიანობა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფები უდიდეს საფრთხეს წარმოადგენენ და განსაკუთრებით შეუბრალებლები არიან. ტრეფიკინგის დანაშაულის კრიმინოლოგიური აღწერა კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს ამ დანაშაულის გამოძიების განახლებულ სტრატეგიებზე, რომლის დროსაც სამართალდამცავებმა არ უნდა მოახდინონ იმ

<sup>33</sup> საქართველოს 2006 წლის კანონი „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, მუხლი მე-7, ნაწილი მე-7.

<sup>34</sup> Gallagher, Anne; Holmes, Paul, *Developing an Effective Criminal Justice Response to Human Trafficking: Lessons from the Front Line*, 18 *International Criminal Justice Review*, 2008, 318, 336.

<sup>35</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს შინაგან შსს-ს გვერდზე: <http://police.ge/ge/saqartvelo-trefikingis-tsinaaghmdag-mebdzoli-qveknobis-umaghles-safekhurze-rcheba/10735?print=1>

ფაქტის იგნორირება, რომ ტრეკინგი ხშირად ჩადენილია იმავე პირების მიერ, რომლებიც ჩართული არიან იარაღითა და ნარკოტიკით ვაჭრობაში.<sup>36</sup>

ამგვარი მოცემულობის კვალდაკვალ სამართალდამცავთა ძალისხმევა გაზრდილია და გახდა უფრო სტრატეგიული და პროაქტიული. სამართალდამცავები სულ უფრო მზარდი ტემპით გადადიან რეაქტიული სტრატეგიიდან უფრო პროაქტიულ მიდგომაზე, როგორც არის გამოძიება და ზედამხედველობა, ხშირ შემთხვევაში კოორდინირებული სხვადასხვა ქალაქებსა და ქვეყნებს შორისაც კი. მართალია ეს მიდგომა უფრო ბევრ დროს მოითხოვს, და შესაძლოა, მოკლევადიან პერსპექტივაში ნაკლები კრიმინალი გამოავლინოს, მიუხედავად ამისა, – გრძელვადიან პერსპექტივაში ის მაინც უფრო ეფექტურია დამნაშავეთა დაკავებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თვალსაზრისით. პოლიციის ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ დამნაშავეთა დიდი რაოდენობის თანაფარდობა გამოძიებათა დიდ რაოდენობასთან – უკეთესი, გაუმჯობესებული ხარისხის გამოძიებაზე მეტყველებს. მხოლოდ ადგილობრივ კრიმინალთა სამიზნეში ამოღების გარდა, ამგვარი სტრატეგია მიზნად ისახავს მთლიანი ქსელის დაშლა-განაიარაღებას. სხვა ინოვაციური სტრატეგიებიც სწრაფად უნდა განვითარდეს და ოპერატიულად შეფასდეს, თუ ჩვენს მიზანს ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებების მიერ განხორციელებული ადამიანით ვაჭრობის ეფექტური შემცირება და მისი თავიდან აცილება წარმოადგენს.<sup>37</sup>

საბოლოო ჯამში, იმისათვის რომ შეწყდეს ადამიანის უფლებათა გლობალური დარღვევა და მონობა, საერთაშორისო საზოგადოებამ კიდევ უფრო უნდა გაზარდოს თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზე, მაგრამ მთავარი სამუშაო მაინც ეროვნულ დონეზე უნდა შესრულდეს. მხოლოდ მაშინ შემცირდება ტრეფიკინგის რიცხვი, როცა სისხლისსამართლებრივი დევნა მოიმატებს და მოხდება დამნაშავეთა ფინანსური აქტივების დაყადაღება, რესტიტუციის ძალით ჩამოერთმევათ ამ დანაშაულით მიღებული სარგებელი და გაიზრდება მათი გამოვლენის რისკ-ფაქტორები. ჩვენ, როგორც ადამიანებს, გვაკისრია ერთმანეთის ზიანისგან დაცვის ვალდებულება. ამდენად, „არ უნდა დავუშვათ, რომ მონობა არსებობდეს 21-ე საუკუნეში.“<sup>38</sup>

<sup>36</sup> Dill, Sara Elizabeth, *Human Trafficking: A Decade's Track Record, Plus Techniques for Prosecutors and Police Moving Forward*, 26 *Criminal Justice Magazine*, 2011, 18, 22.

<sup>37</sup> Surtees, Rebecca, *Traffickers and Trafficking in Southern and Eastern Europe*, 5 *European Journal of Criminology*, 2008, 39, 62-63.

<sup>38</sup> Dill, Sara Elizabeth, *Human Trafficking: A Decade's Track Record, Plus Techniques for Prosecutors and Police Moving Forward*, 26 *Criminal Justice Magazine*, 2011, 18, 26.

## ფშავ-ხევსურეთში ძველად გავრცელებული სისხლისსამართლებრივი ურთიერთობები

ნინო ცნობილაძე

სამართლის დოქტორი, თბილისის ღია  
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

### შესავალი

საქართველო წარმოადგენს უძველეს ქვეყანას, სადაც სახელმწიფო და სამართალი ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ჩამოყალიბდა. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შემდეგ საზოგადოებრივი ურთიერთობების უმრავლესობას არეგულირებენ სამართლებრივი ნორმები, რომლებსაც ადგენს სახელმწიფო, როგორც სრულიად ახალ ქვეყნის წესებს ან სამართლებრივ სანქციას ანიჭებს წინაპართა მიერ შემუშავებულ მისთვის სასარგებლო წეს-ჩვეულებებს.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხში, რომელთა ისტორიული განვითარება მრავალი სპეციფიკურობით გამოირჩევა, ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულებანი და ტრადიციები წარმოადგენს გვიქმნიან ქვეყნის შიგნით არსებულ ცალკეულ სოციალური ფენების ყოფა-ცხოვრებაზე. ბუნებრივია, ჩვეულებითი სამართალი მისი ნორმებით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი გარკვეულ დაღს ასვამს ხალხის ყოფას, მის სულიერ და მატერიალურ ცხოვრებას, იდეოლოგიურ განვითარებას, ისევე როგორც თვით ჩვეულებითი სამართლის შინაარსს მოცემული საზოგადოებრივი ცხოვრება განსაზღვრავს.

ჩვეულებები დაუნერელი ქვეყნის წესებია, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ხალხთა მასების ყოველდღიური ცხოვრების საფუძველზე. ისინი აწესრიგებენ ცალკეულ საზოგადოებათა ჯგუფებში წარმოქმნილ სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს. აღსანიშნავია, რომ ჩვეულებითი სამართლის ნორმები, როგორც წესი, ხორციელდება უმრავლეს შემთხვევაში. მხოლოდ განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში, მაგალითად, ფშავში არსებული ჩვეულებითი სამართლის ნორმები შეიძლება არ ვრცელდებოდეს საქართველოს სხვა ტერიტორიაზე. მაშასადამე, ჩვეულებითი სამართლის ნორმები, როგორც წესი, ადგილობრივი ხასიათის მატარებელი ქვეყნის წესებია.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში გავრცელებული წეს-ჩვეულებანი და ადათ-წესები ჯერ კიდევ სრულად არაა შესწავლილი, ნიშანდობლივია, რომ ამ ხარვეზის შესავსებად დიდი სამუშაო შეასრულა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა მაქსიმ კოვალევსკიმ, რომელმაც შეაგროვა, გაანალიზა და გამოსცა საქართველოს მთიანეთში არსებული ადათ-წესები.<sup>1</sup> მრავალ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით საქართველოში სხვადასხვა სახის ურთიერთობებისა და მათი მარეგულირებელი ნორმების თავისებურებანი შესწავლილი აქვთ გამოჩენილ ქართველ მეცნიერს ივ. ჯავახიშვილს, ა. ვაჩიშვილს, დ. ბაქრაძეს, ექ. თაყაიშვილს, ი. დოლიძეს, ივ. სურგულაძეს, რ. ხარაძეს და ა.შ.

საუკუნის განმავლობაში საქართველოში მოქმედი წეს-ჩვეულებების შესწავლის მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენენ ჩვენამდე მოღწეული უცხოური და ქართული წერილობითი ძეგლები. სხვადასხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებული ეთნოგრაფიული ხასიათის მასალები. გარდა ამისა, საქართველოში მოქმედ წეს-ჩვეულებებზე წარმოდგენას გვიქმნის ქართველ მწერალთა მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც გადმოცემულია ის ნორმები, რომლებიც მოქმედებდნენ ადრეც და ამ ნაწარმოების დაწერის პერიოდში. მასში არა მარტო გამოცემულია ადათ-წესები და

<sup>1</sup> Ковалевский, М., Закон и обычай на Кавказе, 1890.

ჩვეულებები, არამედ მოცემულია მათი კრიტიკა, ახალი სოციალური ურთიერთობების ფონზე განსაზღვრულია სხვადასხვა ურთიერთობების სფეროში მოქმედი ადათების განვითარებისა და სრულყოფის ძირითადი მიმართულებანი.

ვაჟა-ფშაველა მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ცნობილ მოაზროვნეებთან (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და სხვა) ერთად თავის შრომებში მოითხოვს ძველი, დრომოჭმული ჩვეულებების აღმოფხვრას და იბრძვის საზოგადოებაში პროგრესული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად.

წინამდებარე სტატიის მიზანია ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით იდენტიფიცირებულ იქნეს წეს-ჩვეულებები და ადათები, რომლებიც გავრცელებული იყო ფშავ-ხევსურეთში. მასში განხილულია ფშავ-ხევსურეთში ძველად გავრცელებული სისხლისსამართლებრივი ჩვეულებითი ნორმების საფუძვლები, სისხლის სამართლის პროცესთან, მტკიცებულებებთან და სასჯელებთან დაკავშირებული საკითხები.

## 1. ფშავ-ხევსურეთში არსებული სისხლისსამართლებრივი ჩვეულებების თეოლოგიური საფუძველი

ვაჟა-ფშაველას გადმოცემით, ფშავ-ხევსურეთში მოქმედი ჩვეულებითი სამართალი, რომელიც ადათებსა და წეს-ჩვეულებებს ემყარებოდა „არ იყო მრავალმუხლოვანი და რთული“.<sup>2</sup> სისხლის სამართლებრივი ურთიერთობების თავისებურებათა დადგენამდე ვაჟა-ფშაველა განსაზღვრავს იურიდიული ტერმინის – „სისხლის“ ცნებას. ტერმინ „სისხლს“ უაღრესად დიდი ძალა ჰქონდა ფშავ-ხევსურეთში. აქ გაბატონებული ყოფილა „კულტი სისხლისა“. ყოველ რელიგიურ დღესასწაულზე მსხვერპლთმენიერვა აუცილებლად პირუტყვით უნდა მომხდარიყო, რომ მისი სისხლი დაღვრილიყო წმინდა ადგილას ანუ „სახატე“ ადგილას. თვით ხევისბერებსაც, მათი არჩევის პერიოდში შუბლსა და ხელებზე სისხლს უსვამდნენ. ვაჟა-ფშაველა ასკვნის – „სისხლს რაკი ეს ძალა აქვს, უეჭველად, მოვალენი ვართ ვიფიქროთ, რომ თვით ჩვეულება მთიელთა შორის სისხლის აღებისა თუ სისხლის ძიებისა, საღვთო მოვალეობად ჩასათვლელია“.<sup>3</sup> სწორედ ამიტომ, ვაჟა-ფშაველას აზრით, ფშავ-ხევსურეთში სისხლის აღების საფუძველი იყო ღვთის მიერ დადგენილი კანონი, რომელიც ავალებდა მოკლულის ნათესავებს აეღოთ დაკარგული ახლობლის სისხლი, რადგან მკვლელი იმ ქვეყნიდან მისი მონა-მორჩილი ყოფილიყო. ფშავ-ხევსურთა ასეთი მოქმედება რელიგიური ცრუმორწმუნეობის ნაყოფს წარმოადგენდა.

სისხლის აღება მეტად გავრცელებული იყო ფშავ-ხევსურეთში, მაგრამ საინტერესოა, რომ ასეთი წესი საგვარეულო წრეზე არ ვრცელდებოდა. ე. ი. ნათესავის მკვლელი კაცი პასუხს არ აგებდა სისხლისსამართლებრივი წესით. მას სიცოცხლეს არავინ გამოასალმებდა. ეს, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ საგვარეულო წრე მოკლულის სახით კარგავდა თავისი „ოჯახის წევრს“ და მცირდებოდა მისი რაოდენობა. თუკი მეორე ნათესავსაც სიცოცხლეს გამოასალმებდნენ, მაშინ საგვარეულოს ოჯახის დანაკლისი რიცხოვნობივად საგრძნობი გახდებოდა, რაც მთიელი ხალხის აზრით, დაასუსტებდა მათ ნათესაურ მოდგმას და შეიძლებოდა გადაშენების საფრთხის წინაშე აღმოჩენილიყვნენ. თუმცა, ნათესავის მკვლელი ხალხის თვალში ღირსებასა და პატივისცემას კარგავდა. ვაჟა-ფშაველა წერს: „კაცი მკვლელი თავისის ნათესავისა, განთავისუფლებული იყო სისხლის ზღვევიდამა და აღმანიდამაც. საგვარეულოში სისხლის აღება წესად არ იყო. მამას შეეძლო შვილი მოეკლა დაუსჯელად, ძმას – ძმა. „თავსისხლს“ იმათ არავინ მოსთხოვდა. თემი იმათ პასუხისგებაში ვერ მისცემდა, მაგრამ ღირსება მათი კი დამცირებული იყო ხალხის თვალში. ყველანი ზიზღით უცქეროდნენ ამგვარ მკვლელსა და „ცოდვიანს“ ეძახდნენ.“<sup>4</sup> ნათესავის მკვლელის მიმართ ასეთი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, სავსებით ბუნებრივია. იგი ნამდვილად

<sup>2</sup> ვაჟა-ფშაველა, *თხზულებათა სრული კრებული*, ტ. IX, თბ., 1964წ., გვ. 71.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 238.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 73.

საერთო ზიზღს იმსახურებდა. საზოგადოება აღარ ცნობდა თავის სრულფასოვან წევრად და სააშკარაოდ ჰკიცხავდა.

## 2. „თავისსხლის“ ტრადიციები ფშავ-ხევსურეთში

ზღვევას მთაში ვაჟა-ფშაველას გადმოცემით ეწოდებოდა – „თავისსხლი“. ინტერესს იწვევს ამ ტერმინის შინაარსი. სავარაუდოა, რომ „თავისსხლი“ იყოფა ორ სიტყვად – „თავისი“ „სისხლი“ ანუ ერთი კაცის სისხლი. უფრო ადვილი გადმოცემისთვის სიტყვა შეკვეცილია და წარმოითქმება როგორც „თავისსხლი“ იგი მიუთითებს, რომ პირმა მხოლოდ თავისი სისხლით უნდა გამოისყიდოს მის მიერ ჩადენილი დანაშაული.<sup>5</sup> სხვანაირად რომ ვთქვათ, დაზარალებულის ოჯახი მხოლოდ იმ პირს მოსთხოვდა პასუხს, რომელიც კონკრეტულად ჩაიდენდა მოცემულ დანაშაულს.<sup>6</sup> ეს გარემოება კი იმაზე მიგვითითებს, რომ სისხლის აღება არ ვრცელდებოდა დამნაშავეს ნათესავებზე. ამასთან, თავისსხლის გადახდა მდგომარეობდა არა მარტო დამნაშავესათვის სიცოცხლის მოსპობაში, არამედ თავისსხლის გადახდა შეიძლებოდა ნატურალური ფორმითაც.

მართალია, ფშავ-ხევსურეთში სისხლის აღების უფლებაცა და მოვალეობაც დაკანონებული იყო, თუმცა მისი აცილებაც შესაძლებელი ყოფილა. ეს ხდებოდა შერიგების გზით, რაც უთუოდ პროგრესულ მოვლენად უნდა ჩავთვალოთ. ვაჟა-ფშაველას გადმოცემით, არსებობდა ე.წ. „თავ-სისხლის საფასური“.<sup>7</sup> გამოთქმა მიგვითითებს, რომ ყოველი დანაშაულისათვის წინასწარ დაწესებული ყოფილა გარკვეული საფასური. დამნაშავე დანაშაულის ჩადენის შემდეგ უნდა მისულიყო დაზარალებულის ნათესავთან და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სისხლი ეზღო.

ნიშანდობლივია, რომ სისხლის სამართლის ანალოგიური სისტემა ცნობილია სხვადასხვა სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. აქ მოხსენიებულია თუ რომელი დანაშაულისთვის რამდენი უნდა გადაეხადა დამნაშავეს დაზარალებულისთვის.<sup>8</sup> ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია შევხებით ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, კერძოდ, მიყენებული ზიანის ანაზღაურების საგადასახადო ღირებულების საკითხს.<sup>9</sup>

ვაჟა-ფშაველას მიერ გადმოცემული მასალიდან კარგად ჩანს, რომ ფშავ-ხევსურეთში ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენისათვის სისხლის საზღაურად დაწესებული ყოფილა არა ფულადი, არამედ – ნატურალური საფასური. საცვლელ ღირებულებად იშვიათ შემთხვევაში თუ გამოიყენებოდა ფული. ძირითად საგადასახადო ერთეულს პირუტყვი (ძროხა, ცხვარი) წარმოადგენდა. ამ მოსაზრებას ადასტურებს რუსი სოციოლოგი და ეთნოგრაფი კოვალევსკი, რომელსაც ვაჟა-ფშაველა პირადად იცნობდა.<sup>10</sup> ვაჟა-ფშაველას გადმოცემით, ფშავეში არსებობდა სისხლის საფასურის სხვადასხვა კატეგორია. ე.ი. დაზარალებულისათვის საზღაურის გადახდა ხდებოდა მისთვის მიყენებული ზიანის ხარისხის შესაბამისად. მაგალითად, თუ დამნაშავეს მიერ მიყენებული ჭრილობა მომაკვდინებელი აღმოჩნდებოდა, მაშინ დამნაშავეს უნდა გადაეხადა 80 ძროხა, რაც უდრიდა 360 ცხვარს. ფულის სახით ჯარიმა აღწევდა 400 მანეთს. თუ მიყენებული ჭრილობა არ იქნებოდა საშიში სიცოცხლისათვის, დამნაშავეს გადაეხდებოდა უფრო მცირე სისხლის საფასური.

ადამიანის სხეულის ყველა ნაწილი შეფასებული იყო „მატერიალურად“.<sup>11</sup> რა თქმა უნდა მკვ-

<sup>5</sup> დავითაშვილი გ., დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თ. „სამართლის ჟურნალი“, N2, 2011წ., გვ. 285.

<sup>6</sup> მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ქართული ჩვეულებითი სამართალი იცნობს დანაშაულის თანამონაწილის ინსტიტუტს, დეტალურად იხ.: დავითაშვილი გ., თანამონაწილეობის საკითხი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თ. „სამართლის ჟურნალი“, N1, 2009წ., გვ. 7-25.

<sup>7</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, თბ., 1964წ., გვ. 72.

<sup>8</sup> სურგულაძე ი., ქართული სამართლის ისტორიის წყაროები, 1984წ., გვ. 111; ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, 1937წ., გვ. 126.

<sup>9</sup> დავითაშვილი გ., დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თ. „სამართლის ჟურნალი“, N2, 2011წ., გვ. 290-291.

<sup>10</sup> Ковалевский, М., Закон и обычай на Кавказе, 1890, стр. 208.

<sup>11</sup> ნიჟარაძე ბ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. I, 1962წ., გვ. 117.



ლელობის შემდეგ ყველაზე დიდ დანაშაულს წარმოადგენდა სხეულის მძიმე დაზიანება, თუმცა, სხეულის ყოველი ნაწილის, ორგანოს დაზიანება როდი იყო შეფასებული ერთნაირად.<sup>12</sup> ვაჟა-ფშაველა ამის შესახებ გადმოგვცემს: „მთელი ხელი იყო დაფასებული თხუტმეტ ძროხად. ნეკი ღირდა ერთი, მაჩვენებელი ოთხი, ცერი – ხუთი ძროხა, საშუალო თითი – სამი ძროხა, ნეკიდან დაწყებული რიგზე თითოეულს თითს თითო ძროხა ემატება“.<sup>13</sup> ასეთი დაყოფა ცხადია, შემთხვევითი არ არის. მხედველობაში იყო მიღებული მათი მნიშვნელობა და დანიშნულება.

აღსანიშნავია რომ, ვახტანგ VI სამართლის წიგნი, რომელიც ვაჟა-ფშაველას გადმოცემით, გავრცელებული იყო ფშავ-ხევსურეთში, შეიცავს ზემოთაღნიშნული საკითხის განმარტებას. სამართლის წიგნის 46-ე მუხლში ნათქვამია: „ფეხის თითი ხელის თითთან არ ჩავარდების. ამიტომ რომე არც ხელის თითის ოდენი სამხრობა შეუძლია და არც გამოჩენით სახიჩრად დაინახების ხელსავით. ამაოდ, ერთის ფეხის თითს ნახევარის ხელის თითის სისხლი ადინეთ, რომე ორის ფეხის თითი და ერთი ხელის თით სწორედ ჩავარდების“.<sup>14</sup> ასეთი დამთხვევა შემთხვევითი არ არის, რადგან მეფე „ვახტანგის სამართლის წიგნი ქართულ ჩვეულებათა საფუძველზე იყო შედგენილი“.<sup>15</sup> ფშავ-ხევსურეთშიც, როგორც გადმოგვცემს ვაჟა-ფშაველა, საზოგადოებრივ ურთიერთობებს სწორედ ჩვეულებითი სამართლის ნორმები არეგულირებდნენ.

სისხლის დაურეების ერთი საგულისხმო წესი ჰქონდათ ფშავ-ხევსურებს: როდესაც ერთი პირი დაჭრიდა მეორეს, ანუ „დაჰკეჭნიდა“, დაკეჭნილ პირს წყლულებზე სიგრძივ დაადებდნენ მარცვლებს და რამდენი მარცვალისც მოთავსდებოდა მასზე, იმდენი ძროხა უნდა მიეცა დამკეჭნელს. „დაჭრილობა პირსახეზე მარცვლით იზომება: ერთი მარცვალი დაედებოდა სიგრძივ სხვა გარდიგარდმო. დანარჩენი მარცვლებიც ამრიგად. მარცვლების რიცხვი და ძროხებისა, რამდენიც დამჭრელს უნდა მიეცა დაჭრილისათვის, სწორე უნდა ყოფილიყო“.<sup>16</sup> კოვალევსკიც მიუთითებდა, რომ „სისხლის ძიებისას მიმართავდნენ მკვლელობას და ჩვეულებრივად საქმე სისხლის შესყიდვით მთავრდებოდა“.<sup>17</sup>

ყურადსაღებია სხვა მომენტიც: მოკლულის ოჯახს მკვლელისაგან „თავსისხლის“ გარდა შეეძლო მოეთხოვა სხვა რომელიმე საგანი, ნივთი, რომელიც მოეწონებოდა, დამნაშავე კი ამ მოთხოვნაზე უარს ვერ ეტყოდა და ვალდებულიც იყო იგი მიეცა. ვაჟა-ფშაველას გადმოცემით, ამგვარ ჩვეულებას ეწოდებოდა „ალმანია“, ანუ იგივე „ყისტი“. „ამ ჩვეულებას „ალმანია“, „ყისტი“ ჰქვიან, „ალმანის“ გალება“.<sup>18</sup>

### 3. ძველად გავრცელებული სისხლის სამართალწარმოების წესი და სასჯელები ფშავ-ხევსურეთში

ძველად ფშავ-ხევსურეთში ყოველგვარი საქმის წარმოება ხდებოდა არა რომელიმე ოფიციალური სასამართლო დაწესებულების მიერ, არამედ მედიატორული სასამართლოს წესით. მომჩივანი და მოპასუხე საქმის გასარჩევად არც მეფის და არც სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებს არ მიმართავდნენ. საქმე განიხილებოდა თვითონ იმ სოფელში, იმ თემში, სადაც კონკრეტული დანაშაული მოხდებოდა სადაც მომჩივანი და მოპასუხე ცხოვრობდნენ. ერთობ დამახასიათებელია, რომ ფშავ-ხევსურები უპირატესობას მედიატორულ სასამართლოებს ანიჭებდნენ. მათ სწამდათ, რომ მედიატორებმა უფრო კარგად იცოდნენ მომხდარი ამბავი, ვინ იყო მართალი ვინ – მტყუანი, რამეთუ, ყველაფერი მათ თვალწინ ხდებოდა. თუ რომელიმე მედიატორი მაინც გაბედავდა დამ-

<sup>12</sup> დავითაშვილი გ., პასუხისმგებლობა თავისა და სახის არეში მიყენებული ქრილობებისათვის ქართულ ჩვეულებით სამართალში, ჟ. „სამართლის ჟურნალი“, N1, 2014წ., გვ. 5-6.

<sup>13</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, თბ., 1964წ., გვ. 72.

<sup>14</sup> იქვე.

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> იქვე.

<sup>17</sup> Ковалевский, М., Закон и обычай на Кавказе, 1890, стр. 118.

<sup>18</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, თბ., 1964წ., გვ. 72.

ნაშავის გამართლებას და მას მიუდგებოდა, ასეთ მოსამართლეს ხალხის რისხვა – გაკიცხვა არ ასცდებოდა, ნდობასაც დაკარგავდა, ამიტომ თვითონ მედიატორი ცდილობდა საქმე გადაეწყვიტა ისე, როგორც ხალხის სინდისი და ჩვეულება უკარნახებდა. რა თქმა უნდა, მაშინაც ხდებოდა უსამართლობა, იქნებოდა ეს ნაჩქარევი გადაწყვეტილება, ფაქტების სიმცირით გამოწვეული შეცდომა თუ სხვა რამ, მაგრამ ხალხი მაინც გადაწყვეტილების კმაყოფილი რჩებოდა, რამეთუ იგი ხალხის ჩვეულებაზე იყო დაფუძნებული.

როგორც ვაჟა-ფშაველა გადმოგვცემს, სასამართლო პროცესს საჯარო და შეჯიბრებითი<sup>19</sup> ხასიათი ჰქონდა, ე.ი. საქმის გარჩევასა და განაჩენის გამოტანას ესწრებოდა მთელი სოფელი, თემი. ადამიანებს შეეძლოთ საკუთარი აზრის გამოთქმა, წინადადებების წამოჭრა, ამა თუ იმ ამბის დამატება, რაც საქმეს მეტ შუქს მოჰფენდა.

საინტერესოა, რომ სასამართლოს პროცესში მონაწილეობდნენ არა მარტო უხუცესები, არამედ ახალგაზრდა თემის წევრებიც. მაშასადამე, პროცესის მონაწილეთათვის ასაკოვანი ცენზი არ იყო დანესებული. ვაჟა-ფშაველა ამის შეახებ ამბობს: „განსამართლებაში ყოველის ასაკის მქონე საზოგადოების წევრი იღებდა მონაწილეობას, სასჯელს დამნაშავესათვის მთელი თემი, სოფელი დაადგენდა“.<sup>20</sup> ხანდაზმულია ცხოვრებისეული გამოცდილება და სიბრძნე ახალგაზრდულ გონებაგამჭრიახობასა და აზრის სილალეს ერწყმოდა და ავსებდა. თანაც, ეს არა მარტო დიდი ნდობა იყო, არამედ მათი აღზრდის კარგი სკოლაც.

სასამართლო პროცესი იმართებოდა სახატე ადგილას და მას, როგორც წესი, ხელმძღვანელობდა ხევისბერი, ყველაზე პატივცემული და გამორჩეული ადამიანი თავისი შეუვალი ავტორიტეტით: „მომჩივარს და მოპასუხეს დაიბარებდა ყრილობა, რომელიც მოხდებოდა ან ხატის ეზოში, „კარმიდამოში“, ან სხვაგან ამორჩეულს ადგილას. გარეთ, ყრილობის თავმჯდომარე იყო ხევისბერი.“<sup>21</sup>

ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს, რომ ფშაველების ჩვეულებითი სამართალი იცნობდა სასჯელის ორ სახეს: ა) ფიზიკური სასჯელი, იგი თავის მხრივ გულისხმობდა სიკვდილით დასჯას, ჩაქოლვას, სხეულის მძიმე დაზიანებას, ანუ გახეიბრებას და ა.შ.<sup>22</sup> ბ) ზნეობრივი სასჯელი, ანუ საზოგადოებრივი გაკიცხვა, დაჯარიმება, თემიდან მოკვეთა და ა.შ. ფიზიკური სასჯელები პირველ ყოვლისა, გამოიყენებოდა შედარებით მძიმე დანაშაულებრივი ქმედობებისათვის. მაგალითად, თემის ღალატის შემთხვევაში მოლაღატეს სიკვდილით სჯიდნენ.

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად მიაჩნდათ მრუშობა, რომლის მიმდევართაც უსასტიკესად სჯიდნენ. ძირითადად მიმართავდნენ ჩაქოლვას და გაქვავებას: „მრუშობა ძველად მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა, მრუშს ჩაქოლავდნენ, ვირზე შეჰსვამდნენ და დაჰყავდათ სოფლად სანახავად, ესროდნენ ლაფს, აფურთხებდნენ, ბოლოს კიდევ აქვავებდნენ“.<sup>23</sup>

ზნეობრივი სასჯელები კი გამოიყენებოდა შედარებით მსუბუქი დანაშაულებისათვის, როგორცაა: ქურდობა, რელიგიური წესის დარღვევა, თემისადმი ურჩობის გამოხატვა და სხვა. ზნეობრივი სასჯელის ისეთი ზომა, როგორც იყო დაჯარიმება, გამოიყენებოდა ცილისწამებისა და დაბეზლების გამო, როდესაც მათ განსაკუთრებით საშიში შედეგი მოჰყვებოდა. ასეთ შემთხვევაში ცილისწამებულს და დაბეზლებულს უნდა გადაეხადა დაზარალებულისათვის 5 ძროხა, რომელსაც მთაში, ვაჟა-ფშაველას გადმოცემით, ეწოდებოდა – „საენაო“. „თუ ერთი რომელიმე წევრი ენატანიობით, ანუ როგორც ფშაველი ამბობს, „ენაკაჭალაობით“, „მოყურადობით“ ერთი მეორეს გადაემტერებოდა და სისხლიც დაიქცეოდა, მაშინ ამ ლაქლაქას უნდა გადაეხადა დაზარალებულის ნათესავების სასარგებლოდ ხუთი ძროხა „საენაო“.<sup>24</sup>

თემისაგან მოკვეთა, როგორც სასჯელთაგან შედარებით ყველაზე მკაცრი ფორმა, გამოი-

<sup>19</sup> ბენაშვილი დ., ვაჟა-ფშაველა შემოქმედი და მოაზროვნე, 1989წ., გვ. 390.

<sup>20</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, თბ., 1964წ., გვ. 71.

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> ბენაშვილი დ., ვაჟა-ფშაველა შემოქმედი და მოაზროვნე, 1989წ., გვ. 391.

<sup>23</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, თბ., 1964წ., გვ. 71.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 76.

ყენებოდა რელიგიური წესის დარღვევისას, თემისადმი ურჩობის გამოხატვისას. ქურდობისა და სხვა შემთხვევების გამო. თემისგან მოკვეთილ კაცს ფაქტიურად, ჩამორთმეული ჰქონდა ყველა უფლება და აღარ წარმოადგენდა საზოგადოების სრულუფლებიან წევრს.<sup>25</sup> არავის არ ჰქონდა უფლება არათუ დახმარებოდა „რანაირ გასაჭირშიც უნდა ჩავარდნილიყო, უბრალოდ ხმაც კი გაეცა თუ შეეყვარებული მაინც გაჰყვებოდა ასეთს, მასაც შერისხავდნენ. პიროვნების მოკვეთა ხდებოდა ხატში სახალხოდ. ამ წესს ფშავში ეწოდებოდა „ფიხონი“. „მოლაპარაკება ვისიმე მოკვეთაზე, ხატში მოხდება, რომელსაც „ფიხონი“ ერქვა“. საინტერესოა ამ სიტყვის მნიშვნელობაც „ფიხონი“ ნაწარმოები უნდა იყოს სიტყვა „საფიხვნოსაგან“, რომელიც ვაჟა-ფშაველას მოხსენიებული აქვს თავის ერთ-ერთ პოემაში – „ალუდა ქეთელაური“, სადაც ნათქვამია, რომ: „ალუდა ქეთელაური საფიხვნოს თავში დაჯდების, სიტყვა მაუდის გზიანი“. აქედან გამომდინარე. საფიხვნო ან ფიხონი ეს არის სახატე ადგილი, სამსჯავრო, სადაც იკრიბებოდნენ თემის მცხოვრებნი სხვადასხვა საჭირობო საკითხის გადასაჭრელად. პიროვნების თემიდან მოკვეთის მაგალითსაც ვაჟა-ფშაველას ზემოთ დასახელებულ პოემაში ვხვდებით. თემის ჭეშმარიტი გმირი, ახლებურად მოაზრევენე ალუდა ქეთელაური წინ აღუდგება თავისი კუთხის უკვე მოძველებულ, დრომოჭმულ ნორმებსა და ტრადიციებს, რომლებშიც იგი ვერ ხედავდა ზნეობრივ ელემენტებს. მან მოინდომა მათი შეცვლა უფრო პროგრესული წესებით. ასეთი საქციელისა და ურჩობისთვის თემმა იგი მოიკვეთა თავისი სხეულიდან და გაუმართლებლად გარიყა თავისი ოჯახიდან. ალუდა, მართალია დამარცხდა თემთან ბრძოლაში, მაგრამ მან გამოავლინა მაღალი ჰუმანიზმი და არსებითად ზნეობრივად გაიმარჯვა. აქვე აღსანიშნავია, რომ თემმა გარიყა არა მარტო ალუდა, არამედ მისი ოჯახი და ნათესაობაც. ხევისბერი ბერდია მოუწოდებს ხალხს: „დაჯარდით, ხევსურთ შვილებო, ყველანი-დიდნი, მცირენი სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ ალუდას სახლის დირენი... შატილს ცოლ-შვილი უტირეთ...“. მაშასადამე, თემის ურჩობისთვის მოკვეთდნენ არა მარტო კონკრეტულ პირს, არამედ მის ოჯახსა და სხვა ნათესავებსაც. მოკვეთილი პირი გამოცხადებული იყო კანონგარეშედ.

ამასთან აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ჩვეულებითი სამართლის ასეთი დაუნდობლობისა, თემისაგან მოკვეთილ პიროვნებას თემთან შერიგების საშუალება ეძლეოდა. ეს ალბათ, ძველი ჩვეულებითი სამართლის ერთ-ერთი დადებითი ელემენტია, იმისთვის რომ მოკვეთილი შერიგებოდა თემს. მას გარკვეული წესი უნდა შეესრულებინა: ხატში მიეყვანა საკლავი, მოებოდიმა სოფლის წინაშე და ფიცი დაედო, რომ აღარ განმეოდებოდა კონკრეტული დანაშაული. ამის შემდეგ, მოკვეთილი ხალხის წინაშე ხეზე ამოსთლიდა ნაფოტს. ამ წესს ფშავში ვაჟა-ფშაველას გადმოცემით ეწოდებოდა „ჭდის ამოგდება“. იგი აუცილებელი ატრიბუტი იყო მოკვეთილის თემთან შერიგებისათვის. ვაჟა-ფშაველა ამის თაობაზე წერს: „შესარიგებლად... თვითონ დამნაშავე, მოკვეთილი „ჭდეს ამოაგდებდა“ ხალხისა და ხევისბერის თანდასწრებით“.<sup>26</sup>

ვაჟა-ფშაველა ეხება საქმის გარჩევის წესებს ფშავ-ხევსურეთში. მისი გადმოცემით, სასამართლო უმრავლეს შემთხვევაში შეჯიბრებითობით ხასიათს ატარებდა. ე.ი. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თვით მომჩივანი და მოპასუხე, რომლებიც პირადი ინიციატივით აღძრავდნენ კონკრეტულ საქმეს ბრალდების წაყენებით ან სარჩელის წარდგენით. ეს პროცესი ვაჟა-ფშაველას ასე აქვს დახასიათებული: „მოჩივარს უნდა წარედგინა მოწმეები და მოპასუხესაც აგრეთვე, თუ მოპასუხეს არა ჰყვანდა მოწმეები და მოპასუხეს ყრილობისაგან ეძლეოდა ნება „ხელზე მოსჭიდებოდა“ იმ თავკაცებს, რომელსაც სოფელი დაუნიშნავდა. ამ კაცებს უნდა დაეფიცნათ მოპასუხის მაგივრად, რომ იგი მართალია და არ ჩაიდენდა ამ საქმეს, რომელიც იმასა ჰბრალდებოდა. უკეთუ ხელზე არავინ „მოიჭიდებდა“ და ბრალდებული არ გამოტყდებოდა. მაშინ მიჰმართავდნენ სამართლის სინამდვილის გასაგებად „ღვთიურს მსჯავრს“. მდულარეს ან შანთს. გამოცდა მოხდებოდა იმ წესით – რა წესითაც აქვს ვახტანგს მოხსენებული თავის კანონებში“.<sup>27</sup>

<sup>25</sup> დავითაშვილი გ., საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებები ქართული ჩვეულებითი (ხალხური) სამართლის მიხედვით, ჟ. „სამართლის ჟურნალი“, N2, 2015წ., გვ. 8-13.

<sup>26</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, თბ., 1964წ., გვ. 72.

<sup>27</sup> დანვრილებით იხ.: დოლიძე ი., (რედ.) ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, 1965წ., გვ. 482.

მეფე ვახტანგ VI სამართლის წიგნის მიხედვით, „ღვთიური მსჯავრს“ ფაქტიურად ჩამორთმეული ჰქონდა ყველა უფლება და აღარ წარმოადგენდა საზოგადოების სრულუფლებიან წევრს. არავის არ ჰქონდა უფლება არათუ დახმარებოდა „რანაირ გასაჭირშიც უნდა ჩავარდნილიყო, უბრალოდ ხმაც კი გაეცა. თუ შეყვარებული მაინც გაჰყვებოდა ასეთს, მასაც შერისხავდნენ. პიროვნების მოკვეთა ხდებოდა ხატში, სახალხოდ. ზემოთაღნიშნული ფორმების შესახებ ლაპარაკია სამართლის წიგნის მე-8-9 მუხლებში.

როგორც ვაჟა-ფშაველა გადმოგვცემს, საქმეების გარჩევისას დიდი ადგილი ეკავა მონმეს, რომელთა ჩვენებაც აუცილებლად ფიცით უნდა ყოფილიყო განმტკიცებული. მათი დანიშვნა შეეძლო როგორც მომჩივანს, ისე მოპასუხეს, რომელთა ჩვენებასაც ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სინამდვილის დასადგენად. მონმეები იცავდნენ იმის ინტერესებს, რომელი მხარეც მათ წარადგენდა, ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ფიცთან ერთად. როგორც სასამართლო მტკიცებულის საშუალება ფშავ-ხევსურეთში არსებობდა „მოფიცართა“ ინსტიტუტიც.

გარდა ამისა, არსებობდა მტკიცების ისეთი საშუალებანი როგორებიც იყო შანთი და მდულარე, რომლებიც სამართლის განვითარების დაბალი დონისათვის არიან დამახასიათებელი. აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესში შანთი და მდულარე ბრალდების წაყენების მომენტიდან არ გამოიყენებოდა, არამედ მოპასუხეს საშუალება ეძლეოდა დაემტკიცებინა მონმეთა და მოფიცართა მეშვეობით სიმართლე. აქედან გამომდინარე, „ღვთიური მსჯავრი“ წარმოადგენდა ქვიშარისგან დადგენის უკიდურეს საშუალებას.

წყაროები ცხადყოფენ, რომ „ღვთიური მსჯავრის“, ანუ ორდალების გამოყენება ფაქტობრივად არ ხდებოდა. მას შეიძლება ადგილი ჰქონოდა მხოლოდ გვიანფეოდალური ეპოქის დროს, როდესაც სამართალი სათანადო დონეზე ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული. თუმცა, იგი ცნობილია უცხოეთის სახელმწიფოების სამართალში, მაგალითად: ძველ რომში, ძველ საბერძნეთში და ა.შ.

## დასკვნა

მოცემული სტატიიდან იკვეთება, რომ ფშავ-ხევსურეთში მოქმედი ჩვეულებითი სამართალი ეფუძნებოდა ადათებსა და წეს-ჩვეულებებს და იგი არ იყო კომპლექსური. თუმცა, ეს წეს-ჩვეულებები იმ ეტაპზე საკმარისად აწესრიგებდნენ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობებს. ფშავ-ხევსურეთში გავრცელებული ყოფილა „კულტი სისხლისა“. რელიგიურ დღესასწაულებზე ხორციელდებოდა პირუტყვის მსხვერპლთშენიწირვა, რათა სისხლი დაღვრილიყო წმინდა ადგილას.

მთაში ზღვევას ვაჟა-ფშაველას გადმოცემით ეწოდებოდა – „თავსისხლი“. იგი მიუთითებს, რომ პირმა მხოლოდ თავისი სისხლით უნდა გამოისყიდოს მის მიერ ჩადენილი დანაშაული. დანაშაულის ჩადენისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მხოლოდ იმ პირს, ვინც მას ჩაიდენდა. სისხლის აღების ტრადიცია არ ვრცელდებოდა დამნაშავის ნათესავებზე. ნიშანდობლივია, რომ თავსისხლის გადახდის ერთადერთი საშუალებას დამნაშავის სიცოცხლის მოსპობა არ წარმოადგენდა, მისი გადახდა შეიძლებოდა ნატურით. თუმცა, შესაძლებელი იყო მისი აცილებაც, შერიგების გზით.

ფშავ-ხევსურეთში სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოება ხდებოდა არა რომელიმე ოფიციალური სასამართლო დაწესებულების მიერ, არამედ მედიატორული სასამართლოს წესით. იგი იყო შეჯიბრებითი. ამასთან, ხორციელდებოდა მტკიცებულებების შეგროვება და გამოკვლევა. ვაჟა-ფშაველას გადმოცემით, ფშაველების ჩვეულებითი სამართალი იცნობდა სასჯელის ორ სახეს: ა) ფიზიკური სასჯელი, იგი თავის მხრივ გულისხმობდა სიკვდილით დასჯას, ჩაქოლვას, სხეულის მძიმე დაზიანებას, ანუ გახეობრებას და ა.შ. ბ) ზნეობრივი სასჯელი, ანუ საზოგადოებრივი გაკიცხვა, დაჯარიმება, თემიდან მოკვეთა და ა.შ. ფიზიკური სასჯელები პირველ ყოვლისა, გამოიყენებოდა შედარებით მძიმე დანაშაულებრივი ქმედობებისათვის.

# სასამართლო გადაწყვეტილებათა ლეგიტიმაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი აქტუალური საკითხი

მაკა გორგოძე

*ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი*

## შესავალი

სასამართლო რეფორმირებისა და მართლმსაჯულების სრულყოფის გზაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო გადაწყვეტილებათა სანდოობისა და ლეგიტიმაციის როლის გაზრდას. იმისათვის, რომ სასამართლოს მიერ მიღებული ესა თუ ის ვერდიქტი გასაგები, მისაღები და განჭვრეტადი იყოს საზოგადოებისათვის, აუცილებელია ისეთი ინსტიტუტების ამოქმედება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ ამოცანების რეალურ სამართალწარმოებაში განხორციელებას.

ამა თუ იმ სამართლის სისტემის ქვეყნებში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაარსებულ სასამართლოებში მრავალი სამართლებრივი ინსტიტუტის აპრობირება მოხდა. დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მართლმსაჯულების პრაქტიკამ გამოაჩინა ის ხარვეზები, რომლებიც გადაწყვეტილების ლეგიტიმაციას ასუსტებდა და მიღწეულ იქნა ისეთი სიახლეების დანერგვა, რომლებმაც პირიქით, ხელი შეუწყო სასამართლო გადაწყვეტილებების სანდოობის ხარისხის ამაღლებას.

იმისათვის, რომ ეროვნული მართლმსაჯულება კვალდაკვალ მისდევდეს საერთაშორისო სამართლებრივ განვითარებას, აუცილებელია ყველა მიღწევისა თუ სიახლის კარგად გააზრება, რეფორმირებისას გათვალისწინება და ქვეყნის სამართლებრივ სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანა. ეს რომ ასე მოხდეს, უპირველეს ყოვლისა, შესწავლილ უნდა იქნეს საერთაშორისო სასამართლოებისა და სხვა ქვეყნების სასამართლოების მიერ გადაწყვეტილებათა ლეგიტიმაციის როლის გაზრდისათვის გატარებული ღონისძიებანი. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი იმ სამოქმედო გეგმის შექმნა და გზამკვლევის დასახვა, რომელიც ქართული მართლმსაჯულების განმარტოვებული სასამართლოების ვერდიქტების ნდობას სულ სხვა ხარისხს მიცემს და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს.

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია სასამართლო გადაწყვეტილების ლეგიტიმაციის სრულყოფისათვის იმ პროცედურების ტრანსფორმაციის განხილვა, რომელიც აუცილებელია დასახული მიზნის განხორციელებისათვის. უნდა შეფასდეს პროცესუალური ნორმების შესაბამისი განვითარება საჯაროობის ამაღლების მიმართულებით და მასში საზოგადოების მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. აუცილებელია, გაძლიერდეს სასამართლო პროცედურების მალეგმიტირებელი ეფექტი მატერიალური სამართლის მიღმა. პროცესში მონაწილე სუბიექტების წრის გაფართოების ტენდენციაში, გამოიკვეთა სასამართლო პრაქტიკის აღიარების მნიშვნელობა, რომელიც უფრო ყოვლისმომცველია, ვიდრე კონკრეტული დავის და მონაწილე მხარეების ინტერესთა ჩარჩოები.

მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რამდენად მოახდინა გავლენა საქმეთა განხილვაში „მესამე პირების“ მონაწილეობამ მითითებული გადაწყვეტილებების ხარისხზე, რაც, რა თქმა უნდა, სასამართლო გადაწყვეტილებათა ლეგიტიმაციის როლის გაზრდის მთავარი წინაპირობაა.

## 1. სასამართლო გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციის სრულყოფა და პროცედურების ტრანსფორმაცია სასამართლო განხილვებში „მესამე“ პირების მონაწილეობის აუცილებლობის ფონზე

საერთაშორისო იურისდიქციის ორგანოების სასამართლო პრაქტიკა ეყრდნობა ხელშემკვრელ მხარე სახელმწიფოებს, განსაკუთრებით კი, იმ შემთხვევაში თუ მათი მოქმედება ფუნქციონალური თვალსაზრისით გადის სახელმეკრულებო ნორმის ვინრო ჩარჩოებიდან. უპირველეს ყოვლისა, საუბარია გარკვეული ღირებულებების, საერთო ინტერესებისა და მიზნების დაცვის ხელშეწყობაზე, კონკრეტულად კი საერთაშორისო მშვიდობის დაცვის გარანტიებზე.<sup>1</sup>

არსებობს მთელი რიგი გარემოებებისა, რომლებიც წარმოადგენენ აუცილებლობას სასამართლოს საქმიანობის ლეგიტიმაციისათვის. ზოგიერთი სასამართლოს ავტონომიურობის ხარისხის გათვალისწინებით, აგრეთვე სადავო სოციალური საკითხების მასშტაბის მიხედვით, გარემოება, რომელიც სასამართლოების გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი ხდება, მათ შორის სანდო კონსესუსი და საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფის მიზანი, ხშირად უკვე არასაკმარისია აღნიშნული ლეგიტიმაციისათვის. საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილების მშვიდობისმყოფელობითი ფუნქცია რჩება მნიშვნელოვნად დემოკრატიული მმართველობის მიზნების რეალიზებისათვის, რამდენადაც დემოკრატიული ინსტიტუტები ფუნქციონირებენ უფრო ქმედითად და საიმედოდ საერთაშორისო მშვიდობიანობის პირობებში.<sup>2</sup> საერთაშორისო სასამართლოები, რომლებიც სპეციალიზებულია გარკვეულ სამართლებრივ საფუძველზე (სექტორზე), ამ მიზნით ლეგიტიმაციას იძენენ კონკრეტული, სპეციფიკური ამოცანის ეფექტურად განსახორციელებლად და გამოდიან დამატებითი მისიის როლში მშვიდობისმყოფელობით ორგანოებთან ერთად. საერთაშორისო სასამართლოების ხელისუფლების საკითხთან დაკავშირებით ლეგიტიმაციის ლოგიკა ეყრდნობა უნივერსალური ღირებულებების ეფექტურ განხორციელებას ან თანასაზოგადოების საერთო ინტერესების რეალიზებას.<sup>3</sup> ზოგიერთი სასამართლო დაწესებულებების ინსტიტუციონალური „დიზაინი“ მეტყველებს იმ მიდგომის სასარგებლოდ, რომ სასამართლო პროცედურებში შეიძლება მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, აგრეთვე კერძო პირები იქნან ჩართული საქმეთა განხილვაში. სახელმეკრულებო საფუძველებთან მიერთებით, რომლებითაც რეგულირდება შესაბამისი საერთაშორისო სასამართლოების საქმიანობა, ხელშემკვრელი მხარეები ერთდროულად აღიარებენ მათ სავალდებულო იურისდიქციას, რაც გამართლებულია სამართლებრივ დაცვას დაქვემდებარებული საზოგადოებრივი ინტერესების განსაკუთრებული მნიშვნელობით.<sup>4</sup> ასე მაგალითად, საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალები და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო აძლიერებენ თავიანთ ლეგიტიმურობას იმით, რომ მათი საქმიანობის დამსახურებით, ბოლო მოეღება დანაშაულის ჩამდენ პირთა დაუსჯელობას.<sup>5</sup>

საერთაშორისო სასამართლო დაწესებულებების პროცესუალური სამართლის რეგულირება მნიშვნელოვან წილად ფორმდება თავად სასამართლოების მიერ. ამ წესებმა რადიკალური ცვლილებები განიცადა, რაც შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის შედეგია (სასამართლოს პრეცედენ-

<sup>1</sup> Kelsen H., *Law and Peace in International Relations*, 1942, 146; по данному вопросу см. C. Jabloner, *Verrechtlichung und Rechtsdynamik*, ZÖR 54 (1999), 261.

<sup>2</sup> საერთაშორისო სასამართლოებს შეუძლიათ მოახდინონ გავლენა ასევე დემოკრატიულ პროცესებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. იხ. Matthews/Großbritannien, EGMR (GK), Nr. 24833/94, ECHR 1999-I; G. Ress, *Das Europäische Parlament als Gesetzgeber: Der Blickpunkt der EMRK*, ZEuS 2 (1999), 219 (226); Martinez J., *Towards an International Judicial System*, Stan. L. Rev. 56 (2003), 429 (461).

<sup>3</sup> Oellers-Frahm K., *Nowhere to Go? – The Obligation to Settle Disputes Peacefully in the Absence of Compulsory Jurisdiction*, в: T. Giegerich, *A Wiser Century?*, 2009, 435, 440; Thiele C., *Fragmentierung des Völkerrechts als Herausforderung für die Staatengemeinschaft*, AVR 46 (2008), 1 (13); Broude T., *The Rule(s) of Trade and the Rhetos of Development: Reflections on the Functional and Aspirational Legitimacy of the WTO*, Colum. J. Transnat'l L. 45 (2006–2007), 221.

<sup>4</sup> Oellers-Frahm K. (сноска 123); C. Romano, *The Shift from Consensual to Compulsory Paradigm in International Adjudication: Elements for a Theory of Consent*, N.Y.U. J. Int'l L. & Pol. 39 (2007), 791.

<sup>5</sup> Benzing M., *Community Interests in the Procedure of International Courts and Tribunals*, *The Law and Practice of International Courts and Tribunals* 5 (2006), 369 (373–374).

ტული სამართალი).<sup>6</sup>

დღეს საერთაშორისო სასამართლოები გამოდიან „პროცედურების მანსპიდლებად“. თვითრეგულირება „ნარმოადგენს გაბატონებულ სისტემას, რაც გულისხმობს პროცედურული წესების ცვალებადობას წესდების ნორმატივების ფარგლებში. ეს არის დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი წყარო და ერთ-ერთი ხერხთაგანი, რომლის მეშვეობითაც ქმნილება თავისუფლდება მისი შემქმნელების დიქტატისაგან“.<sup>7</sup>

ამ ნაშრომის ფარგლებში უნდა შეფასდეს, პროცესუალური ნორმების შესაბამისი განვითარება საჯაროობის ამალგების მიმართულებით და მასში საზოგადოების მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. აუცილებელია, გაძლიერდეს სასამართლო პროცედურების მალეგმიტირებელი ეფექტი მატერიალური სამართლის მიღმა. განმარტება „საპროცესო სამართალი“ – აღწერს სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასამართლო განხილვის რეგულირებას, თუმცა, ეს განმარტება ყველა სასამართლოსათვის პოსტულატს არ წარმოადგენს.<sup>8</sup> საპროცესო სამართლისა და სასამართლოს დამოკიდებულებაზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს ის საკითხი, როგორცაა საქმის განხილვაში დაინტერესებული პირების პერსპექტივა, იმ დროს როცა არსებობს პრინციპი „Jura nivit curiae“ („სასამართლო იცნობს კანონებს“). სასამართლო თავისი მხრივ, გადაწყვეტილების დასასაბუთებლად ვალდებულია გულდასმით გამოიკვილოს და მისცეს შეფასება მხარეთა წარმოდგენილ არგუმენტებს. თუმცა, „სხვა პირების“ მონაწილეობით „ერთობლივი“ განხილვის შედეგად მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებას, გაცილებით უფრო ლეგიტიმური გამოხატულება აქვს.

## 1.1. „მესამე“ პირის მონაწილეობა

სასამართლოების მიერ საჯარო ხელისუფლების განხორციელებისას პროცესუალურ-სამართლებრივი ლეგიტიმაციის გაზრდის შესაძლებლობა მონაწილეთა წრის გაფართოებაში ვლინდება. ფუნდამენტური და პროცედურული ცვლილების გამოყენებით, საერთაშორისო სასამართლომ „Pulau Ligitan“ საქმეთა განხილვისას, წესები შეარბილა და დაუშვა „მესამე“ პირის პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა.<sup>9</sup> პროცესში მონაწილე სუბიექტების წრის გაფართოების ტენდენციაში, გამოიკვეთა სასამართლო პრაქტიკის აღიარების მნიშვნელობა, რომელიც უფრო ყოვლისმომცველია, ვიდრე კონკრეტული დავის და მონაწილე მხარეების ინტერესთა ჩარჩოები. აქ თავის ანარეკლს პოულობს, აგრეთვე, მზარდი აღიარებითი მტკიცება იმ ფაქტისა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების წარმოჩენა გამორჩეულად, როგორც სამართლებრივი ცოდნის და გამოცდილების წყარო (Rechtserkenntnisakt), ასევე სასამართლოს გადაწყვეტილების ისეთ აქტად წარმოჩენა, რომელსაც გააჩნია ძალა და მნიშვნელობა მხოლოდ მოდავე მხარეებისათვის – წარმოადგენს მცდარ შეხედულებას.<sup>10</sup>

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში სამართალწარმოების პროცედურაში მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებიც არ წარმოადგენენ დავის მხარეს, უკვე წლებია შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პროცესის ყველა სტადიაში (კონსულტაციები, სამართალწარმოების საარბიტრაჟო პროცედურები ან სააპელაციო ინსტანციები, კოლექტიური კონტროლის აღსრულების ღონისძიება),<sup>11</sup> თუმცა, საერთაშორისო სასამართლოსა და საზღვაო სამართლის საერთაშორის-

<sup>6</sup> Kolb R., *General Principles of Procedural Law*, в: A. Zimmermann/C. Tomuschat/K. Oellers-Frahm (сноска 83), 793 (795), пункт 3; C. Brown, *A Common Law of International Adjudication*, 2007, 6.

<sup>7</sup> Sorel J.-M., *International Courts and Tribunals, Procedure*, R. Wolfrum C. Tomuschat, *International Courts and Tribunals*, в: R. Wolfrum (Hrsg.), MPEPIL, 1.

<sup>8</sup> Pellet A., *Article 38*, в: A. Zimmermann/C. Tomuschat/K. Oellers-Frahm, *Statute of the International Court of Justice, A Commentary*, 2006, 677, пункты 301-319; G. J. H. v. Hoof, *Rethinking the Sources of International Law*, 1983, 169.

<sup>9</sup> *Case concerning Sovereignty over Pulau Ligitan and Pulau Sipadan (Indonesien/Malaysia)*, 23.10.2001, *Application by the Philippines for Permission to Intervene*, ICJ Reports (2001), 575, para. 35.

<sup>10</sup> Zimmermann A., *International Courts and Tribunals, Intervention in Proceedings*, P. 5.

<sup>11</sup> Hilf M., §27. *Das Streitbeilegungssystem der WTO* P. 4, 10, 11, 17. M. Hilf/S. Oeter, *WTO-Recht, Rechtsordnung des Welthandels*, 2005, 505 (521); D. McRae, *What is the Future of WTO Dispute Settlement?*, JIEL 7 (2004), 2.

სო ტრიბუნალისაგან განსხვავებით, სამართალწარმოების პროცედურაში მონაწილეობისათვის დაშვებულ მხარეებს, სახელშეკრულებო დებულებების შესაბამისად, არა აქვთ უფლება დაესწრონ ყველა მოსმენას. დასწრების სიხშირე დამოკიდებულია მხარეთა ნებასა და შეთანხმებაზე.<sup>12</sup>

პრეცედენტულ სამართლის პრაქტიკაში, უკვე საკმაოდ მყარად დამკვიდრდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ განსაკუთრებული საქმეების განხილვისას აუცილებელია გამოყენებულ იქნას იმ პირთა ცოდნაც, რომელიც საშუალებას მისცემს მხარეებს დაიცვან საკუთარი ინტერესები, ხოლო სასამართლო ობიექტურ ქმედარტებამდე მივიდეს. ზოგიერთი საქმის სპეციფიკა კი ადგილს აღარ ტოვებს „მესამე“ პირის მონაწილეობისათვის. გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპის მიუხედავად არსებობს ისეთი დელიკატური ფაქტობრივი გარემოებები, კომერციული საიდუმლოებები და სხვა საკითხები, რომლებიც „მესამე პირებს“ სასამართლო დარბაზის კარს უხურავს.<sup>13</sup> მიუხედავად ამისა, იკვეთება ტენდენციები სასამართლო პროცესში მონაწილეთა წრის გაფართოების აუცილებლობის შესახებ. აქ კი ყველაზე უფრო უპრიანია მსჯელობა „Amicus curiae“-ს როლსა და უფლებამოსილებაზე.

## 2. „Amicus Curiae“, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტი სასამართლო გადაწყვეტილების ლეგიტიმაციისათვის

„Amicus curiae“-ს როლში, როგორც უკვე აღინიშნა, გამოდიან სუბიექტები, რომელთაც არ გააჩნიათ დასაბუთებული პირადი ინტერესი კონკრეტულ განსახილველ საქმეში.<sup>14</sup> მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ ინსტიტუტის გამოყენებით, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ შეიძინონ მნიშვნელოვანი ლეგიტიმური პოტენციალი. უკანასკნელი პერიოდისათვის, ისინი უფრო მეტად იღებენ თავის თავზე ტრანსმისიის ფუნქციას კონკრეტული საქმის წარმოებასა და გლობალურ, ნაციონალურ და საზოგადოებრივ აზრს შორის. ამასთან, მათ შეუძლიათ ფაკულტატურული აზრის ჩამოყალიბება, საქმეზე სკანდალური ხასიათის მიცემის ხერხით, ხელს უწყობენ უფრო ინტენსიურ დისკუსიას მოცემული საკითხის ირგვლივ და ამით ახდენენ საზოგადოების მობილიზებას. გარდა ამისა, საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებს, რომლებიც მდებარეობენ, როგორც წესი, სხვადასხვა პერიფერიაზე გააჩნიათ უფრო მაღალი მგრძობელობა ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა მაგალითად, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემები.<sup>15</sup>

გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოში, ასევე, საერთაშორისო საზღვაო სამართლის ტრიბუნალში სამართლებრივად რეგულირებული პროცედურები არ ითვალისწინებს „Amicus curiae“-ს

<sup>12</sup> Arend K., *Article 10 DSU*, P10. R. Wolfrum/P.-T. Stoll/K. Kaiser, *Max Planck Commentaries on World Trade Law*, Bd. 2, 2006, 373.

<sup>13</sup> J. Delaney/D. B. Magraw, *Procedural Transparency*, в: P. Muchlinski/F. Ortino /C. Schreuer, *The Oxford Handbook of International Investment Law*, 2009, 721 (775).

<sup>14</sup> P. Sands/R. Mackenzie, *International Courts and Tribunals, Amicus Curiae*, R. Wolfrum (Hrsg.), MPEPIL, A.1., Zimmermann A., *Case concerning Sovereignty over Pulau Ligitan and Pulau Sipadan (Indonesien/Malaysia)*, 23.10.2001, *Application by the Philippines for Permission to Intervene*, ICJ Reports (2001), 575, „ტერმინოლოგია ნებისმიერ შემთხვევაში არ არის ერთგვაროვანი. იხ. L. Vierucci, *NGOs before International Courts and Tribunals*, P.-M. Dupuy/L. Vierucci, *NGOs in International Law. Efficiency in Flexibility?*, 2008, 155 (156); H. Ascensio, *L'amicus curiae devant les juridictions internationales*, RGDIP 105 (2001), 897.

<sup>15</sup> Hegel G. W. F., *Philosophie des Rechts*, 1970, § 219; J. Habermas, *Faktizität und Geltung*, 1992, 241; N. Luhmann, *Das Recht der Gesellschaft*, 1995, 321., 367, 462; J. Habermas, *Hat die Konstitutionalisierung des Völkerrechts noch eine Chance?*, J. Habermas, *Der gesplattene Westen*, 2004, 113; P. Nanz/J. Steffek, *Zivilgesellschaftliche Partizipation und die Demokratisierung internationalen Regierens*, в: P. Niesen/B. Herborth, *Anarchie der kommunikativen Freiheit, Jürgen Habermas und die Theorie der internationalen Politik*, 2007, 87; J. v. Bernstorff, *Zivilgesellschaftliche Partizipation in Internationalen Organisationen: Form globaler Demokratie oder Baustein westlicher Expertenhegemonie?*, в: H. Brunkhorst (Hrsg.), *277 Baustein westlicher Expertenhegemonie?*, H. Brunkhorst e J. Bast, *Das Demokratiedefizit fragmentierter Internationalisierung*, H. Brunkhorst, *Demokratie in der Weltgesellschaft, Soziale Welt Sonderband 18* (2009), 177, 277. 147 R. Wolfrum C. Chinkin, Art. 62, A. Zimmermann/C. Tomuschat/K. Oellers-Frahm, 1331, (1366), p 95-99; P. Palchetti, *Opening the International Court of Justice to Third States Intervention and Beyond*, *Max Planck UNYB* 6 (2002), 139; R. Wolfrum, *Intervention in the Proceedings before the International Court of Justice and the International Tribunal for the Law of the Sea*, V. Götz/P. Selmer/R. Wolfrum, *Liber amicorum Günther Jaenicke – zum 85. Geburtstag*, 1998, 427. 429.



შესაძლებლობას მოსაზრებებით მიმართონ სასამართლოს.<sup>16</sup>

1950 წელს საერთაშორისო სასამართლოს მდივანმა პროცესებზე, ზედმეტი ფიქრის გარეშე, განარიდა ერთ-ერთი ორგანიზაციის განცხადება, მისცემოდა უფლება წარედგინა წერილობითი და ზეპირი კომენტარები განსახილველ საქმესთან დაკავშირებით.<sup>17</sup> თუმცა, განსხვავებული ნესები გამოიყენება, ისეთ შემთხვევაში თუ საერთაშორისო სასამართლო განიხილავს რომელიმე საკითხს საკონსულტაციო დასკვნის გაცემის პროცედურის ჩარჩოში.<sup>18</sup> მოგვიანებით იგივე ორგანიზაციამ, იმავე წელს მიიღო დადებითი პასუხი სასამართლოსგან და შეძლო გამოსვლა „Amicus curiae“-დ საკონსულტაციო დასკვნის გაცემის პროცედურაში, საკითხზე – სამხრეთ აფრიკის საერთაშორისო სტატუსის შესახებ.<sup>19</sup>

სამართალწარმოებაში საქმეზე გაბჩიკოვო-ნადიამარომ (Gabcikovo-Nagymaros)<sup>20</sup> ნათელი გახდა, რომ „Amicus curiae“-ს მოსაზრების წარდგენა შესაძლებელია ინიცირებული იყოს დავის ერთ-ერთი მხარის მიერაც.<sup>21</sup> გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოს დამოკიდებულება „Amicus curiae“-ს მოსაზრების ამ წესით წარდგენაზე რჩება უაღრესად საკამათო და ურთიერთსაინანაღმდეგო პოზიციების გამოხატვის საფუძვლად. მონინააღმდეგეებს მიაჩნიათ, რომ ეს პრეცედენტი ხელს უშლის ტენდენციის რეალიზებას, რომლებიც შეინიშნება სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების საქმიანობაში და რომელიც გულისხმობს სასამართლო მეგობრის ნეიტრალიტეტს განსახილველ საქმეში.<sup>22</sup> ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო იყო ყოფილი თავმჯდომარის, ჟილბერ გიომის (Gilber Guillaume) პოზიცია. ის ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო და საერთაშორისო სახელისუფლებო ორგანიზაციები, ვალდებული არიან თავი დაიცვან ძლიერი ზეგავლენის მქონე ჯგუფების ზენოლისაგან, რომლებიც ცდილობენ „ალყაში“ მოაქციონ სასამართლო, განსაკუთრებით კი მასობრივი ინფორმაციის მხარდაჭერის შემთხვევაში. იგი ამ მიზეზით ეწინააღმდეგებოდა „Amicus curiae“-ს მონაწილეობას სასამართლო განხილვებში.<sup>23</sup>

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სახელმეკრულებო-სამართლებრივი ბაზა არ შეიცავს არანაირ სახელმძღვანელო პრინციპებს „Amicus curiae“-ს დასკვნების მიმართ. თუმცა, ფართო დისკუსიის საფუძველზე შექმნილმა სამართლებრივმა პრაქტიკამ პოზიტიურად მიიღო მოცემული ინსტიტუტი.<sup>24</sup>

<sup>16</sup> V. Götz/P. Selmer/R. Wolfrum, *Liber amicorum Günther Jaenicke – zum 85. Geburtstag*, 1998, 427.

<sup>17</sup> P. M. Dupuy, *Article 34 A. Zimmermann/C. Tomuschat/K. Oellers-Frahm*, 545 (548); A.-K. Lindblom, *Non-Governmental Organizations in International Law*, 2005, 303; E. Valencia-Ospina, *Non-Governmental Organizations and the International Court of Justice*, T. Treves/M. Frigessi di Rattalma/A. Tanzi/A. Fodella/C. Pitea/C. Ragni, *Civil Society, International Courts and Compliance Bodies*, 2005, 227.

<sup>18</sup> გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 66-ე მუხლი.

<sup>19</sup> Lindblom A.-K., *Non-Governmental Organisations in International Law*, 2005, 303.

<sup>20</sup> 1993 წლის ივლისში, უნგრეთმა და სლოვაკეთმა ერთობლივი განცხადებით მიმართეს გაეროს საერთაშორისო სასამართლოს, მათ შორის, არსებული დავის გადასაწყვეტად. მხარეები ერთმანეთს ადანაშაულებდნენ 1977 წლის ხელშეკრულების დარღვევაში, რომლითაც დუნაის მონაკვეთში ერთობლივად უნდა აეშენებინათ ჰიდრო დანადგარი: სახელით „გაბჩიკოვო-ნადმოროში“. საქმის განხილვისას საერთაშორისო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სასაზღვრო ზოლში მშენებლობისას ორივე მხარემ დაარღვია ხელშეკრულება და უნდა დაუბრუნდნენ ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებას.

*Стороны обвиняли друг друга в нарушении Договора 1977 г. о совместном строительстве гигантского гидроузла на пограничном участке Дуная под названием «Система шлюзов Габчи́ково—Надьма́рош». Международный Суд ООН по этому делу пришел к выводу, что оба государства нарушили Договор 1977 г. и несут ответственность друг перед другом. 25 сентября 1997 г. суд вынес решение, что обе стороны должны вернуться к добросовестному выполнению условий этого договора (который продолжает оставаться в силе), чтобы закончить намеченную программу строительства гидротехнических сооружений и осуществления дальнейшего совместного управления ими. Обстоятельства дела таковы.*

<sup>21</sup> *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, Advisory Opinion*, 8.7.1996, *Separate Opinion, Judge Guillaume*, ICJ Reports 1996, 287.

<sup>22</sup> *Practice Direction XII (2004) International Court of Justice*.

<sup>23</sup> *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, Advisory Opinion*, 8.7.1996, *Separate Opinion, Judge Guillaume*, ICJ Reports 1996, 287.

<sup>24</sup> Howse R., *Membership and Its Privileges: the WTO, Civil Society, and the Amicus Brief Controversy*, ELJ 9 (2003), 496; Mavroidis P. C., *Amicus curiae briefs before the WTO, Much Ado about Nothing*, в: A. v. Bogdandy/Y. Mény/P. Mavroidis, *European Integration and International Co-ordination. Studies in Transnational Economic Law in Honour of ClausDieter Ehlermann*, 2002.

სამართალწარმოებისას საქმეზე US-Gasoline, სხვადასხვა არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები შეეცადნენ წარმოედგინათ თავიანთი შენიშვნები და კომენტარები განსახილველი საკითხის ირგვლივ, ეს მოსაზრებები სრულად იქნა იგნორირებული საქმის განმხილველი საარბიტრაჟო პანელის მიერ. საქმის განხილვის თავისებური ინოვაციური მიდგომით US-SHrimp, საარბიტრაჟო პანელმა განარიდა „Amicus curiae“-სგან შენიშვნების მიღება, თუმცა, სააპელაციო ორგანომ (Appellate Body) სხვაგვარად გადაწყვიტა.

დიდი ხნის განმავლობაში, საქმეში მონაწილე მხარეების გარდა, სრულიად ხელმიუწვდომელი იყო სასამართლო განხილვები ICSID-ს (საერთაშორისო არბიტრაჟი) ფარგლებში. თუმცა, აქაც შესამჩნევი გახდა „Amicus curiae“-ს უფლებამოსილების გაფართოება.<sup>25</sup> 2006 წლიდან „Amicus curiae“-ს ინსტიტუტი აქტიურად მუშაობს ICSID-ის ფარგლებში და „მესამე პირებს“ საშუალება ეძლევათ ICSID-ის საქმიანობის განმსაზღვრელი საპროცესო სამართლის 37-ე მუხლის გამოყენებით, წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ.<sup>26</sup>

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩრდილო-ამერიკული შეთანხმების (North American Free Trade Agreement – NAFTA) მექანიზმის ჩარჩოებში, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ კომისიამ 2004 წელს მოახდინა ნორმათა კონსტანტირება და გააკეთა კომენტარი იმასთან დაკავშირებით, რომ პროცესუალური დანაწესები პრინციპულად არ გამორიცხავდნენ საქმეში „მესამე პირების“ დაშვებას და მიზანშეწონილად მიიჩნია საქმეთა განხილვის დროს „Amicus curiae“-ს მოსაზრებების მიღების აუცილებლობა, განსაკუთრებით კი საჯარო ინტერესების არსებობისას.<sup>27</sup>

იგივე პოზიცია გამოხატა OECD (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის) კომიტეტმა მის საანგარიშო მოხსენებაში და განმარტა, რომ „მესამე პირების“ მონაწილეობა ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას აუცილებელია საზოგადოებრივი, საჯარო ინტერესების გათვალისწინებით. თუმცა, გარდაუვლად მიიჩნია ასეთი მონაწილეობის სპეციალურად განსაზღვრული სამართლებრივი ნორმებით რეგულირება.<sup>28</sup>

### 3. „Amicus Curiae“-ს მოსაზრება – სამართლებრივი ხასიათის არგუმენტები თუ კვალიფიციური და რელევანტური ცნობები ბაზისური მეცნიერებებიდან

სასამართლოს მეგობრის მონაწილეობა სასამართლო პროცესში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ინტერესების, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, უფრო მეტად ისეთ საქმეებში, რომლებიც დიდი სოციალური რეზონანსით გამოირჩევიან. სასამართლო მეგობრის ფუნქციის ასეთი განმარტება ფართოდაა გავრცელებული და დასტურდება ამ მიმართულებით ქვეყანაში არსებული პრაქტიკითაც.

უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა იმ საკითხის დადგენა, როცა საქმე რეზონანსულადაა მიჩნეული, ეს ნიშნავს იმას, რომ მხედველობაში მიიღება დაინტერესებული „ექსპერტის“ სუბიექტური შეფასება (სამართლდაცვითი ორგანიზაცია, დამოუკიდებელი, საზოგადოებრივი საგამოძიებო ცენტრი და ა.შ.) თუ საქმის ეს სტატუსი რაიმე ობიექტურ მონაცემებს ემყარება. პირველ შემთხვევაში არსებობს მნიშვნელოვანი რისკი იმისა, რომ სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი არ გახდეს კერძო ინტერესების ლობირების პლაცდარმი. მეორეც, აუცილებელია სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში მოცემული იყოს ამა თუ იმ საკითხის არა მხოლოდ რეტროსპექტიული შეფასება, არამედ გადმოცემულ იქნეს სამართლებრივი სიახლე, რომელიც დამყარებულია არა მარტო საქართველოს გამოცდილებაზე, არამედ უცხო ქვეყნების სასამართლო მაგალითებზე, მათ შორის კი უპირველესია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. ეს უკანასკნელი მისი

<sup>25</sup> J. Delaney/D. B. Magraw, *Procedural Transparency*, P. Muchlinski/F. Ortino/ C. Schreuer *The Oxford Handbook of International Investment Law*, 2009, 721-788.

<sup>26</sup> ICSID Discussion Paper „Possible Improvements of the Framework for ICSID Arbitration“, 22.10.2004.

<sup>27</sup> NAFTA Free Trade Commission, *Recommendation on Non-disputing Party Participation*, 7.10.2004.

<sup>28</sup> OECD, *Transparency and Third Party Participation, Investor-State Dispute Settlement Procedures: Statement by the OECD Investment Committee 2005*, P. 1.

მოქმედების უფლებამოსილების ფარგლებით, თავადვე განსაზღვრავს პრიორიტეტულ საქმეებს, ისევე როგორც აშშ-ს უზენაესი სასამართლო, რომელიც მხოლოდ ისეთ საქმეებს იღებს განსახილველად, რომლებიც „განსაკუთრებული ფედერალური მნიშვნელობით“ ან „დიდი საზოგადოებრივი ინტერესით“ ხასიათდებიან.<sup>29</sup>

რეზონანსული საქმეების განხილვისას, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, პროცესის წონასწორობის შესანარჩუნებლად, აუცილებელია მოსაზრების ავტორებმა გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ კიდევ უფრო არ გააძლიერონ განხილვაში მონაწილე ერთ-ერთი მხარის პოზიცია, არამედ პირიქით, შეძლებისდაგვარად უნდა მოახდინონ საკუთარი ძალების კონცენტრირება მეორე მხარის ინტერესების დასაცავად, თუკი კანონიერი საფუძველი არსებობს და ე.წ. „გახმაურებულ“ საქმეში, წინასწარ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრის მიუხედავად, დაეხმარონ სასამართლოს ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაში. ასე მაგალითად აშშ-ს უმაღლესმა სასამართლომ 2014 წლის ზაფხულში მიიღო გადაწყვეტილება 5 ხმით ოთხის წინააღმდეგ საქმეზე „Burwell v. Hobby Lobby Stores“, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო მეგობრის 80 მემორანდუმი-მოსაზრება მოისმინა და შეისწავლა.<sup>30</sup>

განსახილველი საქმე რეზონანსულია, თუ ის პოლიტიკურია, ან/და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაინტერესების საგანი, სხვა რაიმე საკითხის გამო გახდა. დიდი ხმაურისა და აჟიოტაჟის გამო, ასეთ საქმეებზე თუნდაც ის სამართლებრივად მარტივად გადასაწყვეტი იყოს, ძალისხმევას არ იშურებენ საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები და „რჩევა-დარიგებებს“ აძლევენ სასამართლოს. თუმცა, ისეთი საქმეები, რომლებიც არ გახმაურებულა, მაგრამ რთულ კატეგორიათა რიცხვს მიეკუთვნება და სპეციფიკური ცოდნით აღჭურვილი პირების კონსულტირებას საჭიროებს – ყურადღების მიღმა რჩება. კარგი იქნება თუ სასამართლო მეგობრები, სასამართლოს მიმართავენ თავიანთი მოსაზრებით ისეთი საქმეების გადასაწყვეტად, რომლებიც მაგალითად საფინანსო, სამედიცინო, ეკოლოგიურ საკითხებს ეხება და მტკიცებულებად წარმოდგენილ, ექსპერტიზის დაკვნებთან ერთად, საკუთარი რეზიუმეებით შეავსებენ იმ ვაკუუმს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საქმის გადასაწყვეტად აუცილებელი მოტივაციის მისადაგებისას.

სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის განხილვისას, საყურადღებოა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. როგორც ცნობილია, სასამართლო ხელისუფლებაში, განსაკუთრებით კი მაღალ ინსტანციაში, მოსამართლეებად გამწესებული არიან შესაბამისი ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი იურისტები, ისინი გამოიჩეული არიან არა მხოლოდ პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, ასევე როგორც პედაგოგიური, ისე სამეცნიერო მოღვაწეობით. შესაბამისად, მესამე პირის მოსაზრება ამა თუ იმ საკითხზე, უნდა იყოს იმდენად კვალიფიციური და მაღალხარისხოვანი, რომ შეძლოს მოსამართლეთა ყურადღების მიპყრობა და მოსაზრების დებულებებით დაეხმაროს სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებაში. ამიტომ აუცილებელია, სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტით დაინტერესება გამოიჩინონ არა მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სახალხო დამცველის ინსტიტუტმა, არამედ აკადემიურმა, სამეცნიერო წრეებმა, ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო დაწესებულებებში მოღვაწე პერსონალმა. ეს ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს და სასამართლო გადაწყვეტილებებს კიდევ უფრო მაღალ ლეგიტიმაციას შესძენს. ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოზე, რომელიც წარმატებით მუშაობს და მართლმსაჯულების განხორციელებისას წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით, საინტერესო და მნიშვნელოვან განმარტებებს იძლევა. ამ საბჭოს გარკვეულ წილად აქვს შეთავსებული „Amicus curiae“-ს ფუნქცია და უფლებამოსილების ფარ-

<sup>29</sup> *Евсеев А.П. Верховный суд США сегодня. Харьков: Юрайт, 2014, С. 22-26.*

<sup>30</sup> საქმე ეხებოდა ქალთა უფლებას ფეხმძიმობის ხელოვნურად შეწყვეტის შესახებ მის მიერვე შერჩეული საშუალებით, ასევე საოჯახო კორპორაციის რელიგიურ თავისუფლებას, რომლებსაც არ სურდათ შესაბამისი სადაზღვეო შენატანების გადახდა.

გლებში დახმარებით უზუნველყოფს საქართველოს სასამართლო სისტემას.

აშშ-ს სასამართლო სისტემის კვლევისას, მეცნიერთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება სწორედ სასამართლოს მეგობრების მიერ შედგენილი მოსაზრებების სასამართლოს გადაწყვეტილებებზე გავლენას ეთმობა და ასეთ გამოკვლევათა შორის ფიგურირებს: მაგალითად „ნევროლოგიის გავლენა, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ – აშშ-ს უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე“.<sup>31</sup>

საინტერესოა მსჯელობა თავად სასამართლოს მეგობრის დასკვნის შინაარსთან დაკავშირებითაც. უნდა შეიცავდეს თუ არა მოსაზრება მხოლოდ სამართლებრივი ხასიათის არგუმენტებს (მაგ. ეკოლოგიური, საფინანსო მედია-სამართლის მიმართულებით) თუ შესაძლებელია მასში თავმოყრილი იყოს ასევე კვალიფიციური და რელევანტური ცნობები შესაბამისი, ბაზისური მეცნიერებებიდან (მაგ. ეკოლოგია, ფინანსები და კრედიტები, ინფორმაციული ტექნოლოგიები, სტატისტიკური მონაცემები და ა.შ.). შესაბამისი კვლევებით დადგენილია, რომ აშშ-ში 2008-2013 წლებში, სასამართლოს მეგობართა მოსაზრებები, 606 გზავნილიდან 124 ანუ 20%, არაიურიდიულ არგუმენტებს ეხებოდა.<sup>32</sup>

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოც ხშირად იზიარებს სასამართლოს მეგობრის მოსაზრებებს და თავის გადაწყვეტილებებში ასახავს სპეციალიზირებული სამედიცინო დანესებულებების, IT-ს სფეროში დასაქმებული სპეციალისტების, სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლების არგუმენტებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ასე მაგალითად, კვების ობიექტებში მონევის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილებაში<sup>33</sup> საკუთარი მოსაზრებები წარადგინეს სტატისტიკის ფედერალურმა ბიურომ, კიბოს კვლევის გერმანიის ცენტრმა, სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესის გერმანიის ასოციაციამ, მაშინ როცა ფედერალურმა მთავრობამ, პარლამენტმა და ჰამბურგის სენატმა, თავი შეიკავეს რაიმე შენიშვნების გაკეთებისაგან.

საზღვარგარეთის ქვეყნებში სასამართლოს მეგობრის როლში გამოდიან არა მხოლოდ რიგითი მოქალაქეები, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელწიფო ორგანოები, სენატორები და ყოფილი მოსამართლეებიც კი.<sup>34</sup>

რაც შეეხება საქართველოს, პრაქტიკის ნაკლებობის გამო ძნელია იმის დადგენა, აუცილებლობას წარმოადგენს თუ არა მოსაზრების ნაწილი შეეხებოდა არა მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს, არამედ ის გაჯერებული იყოს მეცნიერების სხვადასხვა სფეროში არსებული მონაცემებითა და გარკვეული საკითხების ირგვლივ სპეციალური დებულებებით. თუმცა, სხვა ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით შესაძლებელია ვარაუდი იმისა, რომ სპეციფიკური საქმეების განხილვისას, საქართველოს სასამართლოები აქტიურად გამოიყენებდნენ სპეციალური ცოდნით აღჭურვილ პირთა მოსაზრებებს ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში.

## დასკვნა

განხილულ საკითხთა გააზრებისას მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ სასამართლო პრაქტიკაში, უკვე საკმაოდ მყარად დამკვიდრდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ განსაკუთრებული საქმეების განხილვისას აუცილებელია გამოყენებულ იქნას იმ პირთა ცოდნაც, რომელიც საშუალებას მისცემს მხარეებს დაიცვან საკუთარი ინტერესები, ხოლო სასამართლო ობიექტურ ქვშმარიტებამდე მივიდეს. სასამართლო გადაწყვეტილებათა ლეგიტიმაციის ამალღებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლეთა პროფესიონალიზმის გაზრდა და სამართლებრივი ცოდნის განმტკიცება, არამედ საქმეში „მესამე პირების“ პოზიციონირება. კიდევ ერთხელ უნდა

<sup>31</sup> Steinberg L., *The Influence of Neuroscience on US Supreme Court Decisions about Adolescents' Criminal Culpability*, *Nature Reviews Neuroscience*. Vol. 14. 2013. No. 7, P. 513-518.

<sup>32</sup> Larsen A.O., *The Trouble with Amicus Facts*, *Virginia Law Review*. Vol. 100. 2014, P. 1757-1818, 1778.

<sup>33</sup> BverfG. 1 BvL 21/11 vom 24.01.2012.

<sup>34</sup> Neudorf L., *Intervention at the UK Supreme Court*, *Cambridge Journal of International and Comparative Law*. Vol. 2. 2013. No. 1, P. 18.

აღინიშნოს, რომ სასამართლოს მეგობრის მონაწილეობა სასამართლო პროცესში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ინტერესების, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, უფრო მეტად ისეთ საქმეებში, რომლებიც დიდი სოციალური რეზონანსით გამოირჩევიან. „მესამე პირების“ – სასამართლო მეგობრის ფუნქციის ასეთი განმარტება ფართოდაა გავრცელებული და დასტურდება ამ მიმართულებით სხვადასხვა ქვეყანაში არსებული პრაქტიკითაც.

საკითხის განხილვისას გამოვლენილ იქნა ის გარემოებაც, რომ სასამართლო გადაწყვეტილებათა ლეგიტიმაციის გაზრდის საქმეში არამხარე პირების მონაწილეობისას აუცილებელია იმ ოქროს შუალედის და ბალანსის დაცვაც, რომელიც „მესამე პირს“ რომელიმე მხარის ადვოკატურებისაგან გაარჩევს და მისი ინტერესები დაემთხვევა არა რომელიმე მოდავის ინტერესს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მართლმსაჯულების ინტერესებს მოემსახურება, რათა მიღებულმა გადაწყვეტილებამ საზოგადოების მეტი ნდობა და ლეგიტიმაცია მოიპოვოს.

დამოუკიდებელი და ძლიერი სასამართლო ვერ დამკვიდრდება ბრალდებისა და დაცვის მხარეებისა თუ ინსტიტუტების რეფორმის, მათი გაძლიერების გარეშე, ამ ინსტიტუტების თანასწორობის გარეშე. სასამართლო ხომ არბიტრია – ძლიერი მხარეების თანასწორობის პირობებში, სამართლიანი შეჯიბრებითობით ადგენს ფაქტებს და გამოაქვს გადაწყვეტილება. თუმცა, ამ პროცესის კიდევ უფრო სრულყოფისათვის საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით აუცილებლობას წარმოადგენს ისეთი ინსტიტუტების დანერგვა და მათი განვითარებისათვის ხელის შეწყობა, როგორცაა „მესამე პირები“ საქმეთა განხილვაში, მათ შორის, სასამართლო მეგობარი.

## საპროცესო შეთანხმება საქართველოში – გამოწვევები და ტენდენციები

ვერა დოლიძე

*ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი*

### შესავალი

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების შესაბამისად, მართლმსაჯულების განხორციელება სამართლიანი სასამართლო განხილვის გარეშე წარმოუდგენელია. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებას წარმოადგენს, რომელიც გარანტირებულია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 მუხლით. აღნიშნული მუხლი შეიცავს ისეთ უმნიშვნელოვანეს და ფუძემდებლურ გარანტიებს, როგორცაა უდანაშაულობის პრეცეპტი, ბრალდებისა და დაცვის მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის უზრუნველყოფის მიზნით მტკიცებულებათა მოპოვებისა და გამოკვლევის პროცესში თანაბარი უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა და ა.შ.<sup>1</sup> ყველა ეს ელემენტი არის მინიმალური სტანდარტი, რასაც სასამართლო განხილვა უნდა აკმაყოფილებდეს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ ქვეყნებში, პირის მიერ ბრალის აღიარების შემთხვევაში, დანერგილია გამარტივებული სამართალწარმოების სისტემა.

სისხლის სამართლის აღიარებული ექსპერტი და პრაქტიკოსი იურისტი შტეფან ტრექსელი წიგნში „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“ აღნიშნავს: „სისხლის სამართლის პროცესის ორგანიზება და წარმართვა საკმაოდ მძიმე ამოცანაა. გამოძიების ეტაპზე გადწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ეჭვმიტანილისთვის ბრალდების წარდგენის შესახებ. ამას მოჰყვება სასამართლოს მიერ საქმის განხილვა და განაჩენის გამოტანა, რომელიც შესაძლოა გასაჩივრდეს ერთ ან ორ ზემდგომ ინსტანციაში. ასეთი გრძელი გზის გავლა გამართლებულია მნიშვნელოვან ან ისეთ საქმეებში, რომლებშიც ერთი ან რამდენიმე საკითხი არის არსებითი დავის საგანი. თუმცა, საქმეთა უმრავლესობა არც განსაკუთრებით მძიმეა და არც მნიშვნელოვანი დავის საგანია. მსგავსი საქმეების გადწყვეტის ერთ-ერთი გზა არის სპეციალური, გამარტივებული სამართალწარმოების გამოყენება. მაგ., შეერთებულ შტატებში გამოიყენება საპროცესო გარიგება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვის თავიდან ასაცილებლად. ევროპაში კი ფართოდ არის გავრცელებული განაჩენის გამოტანა საქმის არსებითად განხილვის გარეშე და „განკარგულება სანქციის დაკისრების შესახებ“.<sup>2</sup>

მსგავსი ალტერნატიული ტიპის სამართალწარმოება რეკომენდებულია ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1987 წელს მიღებული საერთაშორისო დოკუმენტით, რომლითაც მინისტრთა კომიტეტის წარმომადგენლებმა მოუწოდეს ნევრ სახელმწიფოებს, დაენერგათ გამარტივებული სამართალწარმოება. კერძოდ: ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების მიმართ მინისტრთა

<sup>1</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი.

<sup>2</sup> ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009წ., გვ. 138.

კომიტეტის რეკომენდაცია №R (87) 18 – სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამარტივების შესახებ, ადგენს, რომ:

1. კონსტიტუციური მოთხოვნების გათვალისწინებით, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა გადასინჯონ თავიანთი კანონმდებლობები სასამართლოს გარეშე გადაწყვეტის წესთან დაკავშირებით, რათა სისხლის სამართლის საკითხებში კომპეტენტურ ორგანოებსა და ამ სფეროში მონაწილე სხვა ორგანოებს მიეცეთ საქმეების სასამართლოს გარეშე გადაწყვეტის შესაძლებლობა, კერძოდ, მსუბუქ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით, შემდეგი პირობების საფუძველზე:

2. კანონი უნდა ითვალისწინებდეს იმ შემთხვევებს, როდესაც ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ ბრალდებულს შესთავაზონ:

I. თანხის გადახდა სახელმწიფოს ანდა საჯარო ან საქველმოქმედო დაწესებულების სასარგებლოდ;

II. სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული მატერიალური სიკეთის ან უპირატესობის უკან დაბრუნება;

III. სასამართლოს გარეშე გადაწყვეტამდე ან მის ფარგლებში დაზარალებულისთვის შესაბამისი კომპენსაციის მიცემა.<sup>3</sup>

საქართველოში ასეთი გამარტივებული სამართალწარმოების სახით გამოიყენება საპროცესო შეთანხმება. ეს არის ინსტიტუტი, რომელიც იძლევა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას. მისი მთავარი უპირატესობა ისაა, რომ მართლმსაჯულების სწრაფ განხორციელებას უწყობს ხელს. აღნიშნულმა ინსტიტუტმა ფართოდ დაიმკვიდრა ადგილი საქართველოში და კრიტიკის მიუხედავად, შემოღების დღიდან სისხლის სამართლის საქმეების უმრავლესობაში იქნა გამოყენებული. ბოლო 10 წლის სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ საპროცესო შეთანხმების გამოყენების სიხშირე თანდათან იზრდებოდა და პიკს 2013 წელს მიაღწია, თუმცა 2014 წელს საპროცესო შეთანხმების გამოყენება საქმეების მთლიან რაოდენობასთან შედარებით მკვეთრად შემცირდა. კერძოდ: 2007 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით განხილული სისხლის სამართლის საქმეებიდან საპროცესო შეთანხმებით დასრულდა საქმეთა საერთო რაოდენობის 48,1%, 2008 წელს – 52,2%, 2009 წელს – 58,2%, 2010 წელს – 80,2%, 2011 წელს – 87,5%, 2012 წელს – 87,8%, 2013 წელს – 89,1%, 2014 წელს – 69,7%, 2015 წელს – 63,7%, 2016 წელს – 62,5%, 2017 წელს კი საპროცესო შეთანხმებით დასრულებულ საქმეთა მაჩვენებელი კვლავ გაიზარდა და 69,6% შეადგინა.<sup>4</sup>

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ბევრს მიაჩნია, რომ საპროცესო შეთანხმება სამართლიანი სასამართლოს უფლებას ზღუდავს და სასამართლო სისტემას ასუსტებს. აკმაყოფილებს თუ არა საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელი საერთაშორისო სტანდარტებს, დღემდე დავის საგანია. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო შეთანხმების, როგორც საკანონმდებლო ნოვაციური ინსტიტუტის რეფორმის საჭიროება ხშირად იყო აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტებში, 2014 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე – ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ,<sup>5</sup> ევროპის სასამართლომ განაცხადა, რომ საპროცესო შეთანხმება თავისი არსით არ ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებს.

საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით იურისტებს შორის ყოველთვის არსებობდა განსხვავებული პოზიციები. ზოგი მას დადებითად აფასებდა და არგუმენტად მოჰქონდა ის, რომ საპროცესო შეთანხმება მართლმსაჯულების სისტემას უფრო სწრაფსა და ეფექტიანს ხდიდა, ოპონენტებს კი მიაჩნდათ, რომ ის ეწინააღმდეგებოდა სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებს, ზღუდავდა მხარეთა შეჯიბრებითობას და სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ზოგიც ეჭვქვეშ აყენებდა საპროცესო შეთანხმების მიზანშეწონილობას, რადგან, მიიჩნევა, რომ იგი ჯეროვნად

<sup>3</sup> იხ. <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016804e19f8>

<sup>4</sup> იხ. <http://www.supremecourt.ge/statistics/>

<sup>5</sup> CASE OF NATSVLISHVILI AND TOGONIDZE v. GEORGIA, (Application no. 9043/05; 24.04.2014).

არ სჯიდა დამნაშავეს და ამით უგულებელყოფდა სასჯელის პრევენციულ მიზანს.

საპროცესო შეთანხმება დღემდე მწვავე სამართლებრივი დისკუსიის საგანია. ისინიც კი, ვინც ამ ინსტიტუტს დადებითად აფასებენ, აღიარებენ, რომ ის პრაგმატული მიდგომის პროდუქტია, რადგან იდეალურ შემთხვევაში ყველა საქმე სამართლიანი სასამართლოს გზით უნდა წყდებოდეს. აკადემიურ ლიტერატურაში საპროცესო შეთანხმების მხარდასაჭერად რამდენიმე ძირითადი არ-გუმენცია გამოკვეთილი, რომლებსაც ეყრდნობიან მისი ქართველი მხარდამჭერებიც. ესენია: სასამართლოში დაგროვილი განუხილველი საქმეების შემცირების საშუალება, კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტი, საპატიმრო დაწესებულებების განტვირთვის გზა. აღნიშნული ინსტიტუტის მთავარი გამართლება კი, სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფაა. ყველაზე ხშირად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სწორედ ეს არგუმენტი მოჰყავთ საპროცესო შეთანხმების სასარგებლოდ.

## 1. საქართველოში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღებისა და მისი განვითარების მოკლე მიმოხილვა (შედარებითი ანალიზი)

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში 2004 წლის 13 თებერვლის კანონით დამკვიდრდა. იგი სასამართლოს მიმართ დაბალი საზოგადოებრივი ნდობის, სასამართლო სისტემის ფუნქციონირების არაეფექტურობისა და ნელი მართლმსაჯულების პირობებში შემოიღეს, რაც სისხლის სამართლის საქმეების სიმრავლით და სასამართლო რესურსის ნაკლებობით იყო განპირობებული.

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი არ გახლავთ წმინდა ქართული ნოვაცია. მის სამშობლოდ ამერიკის შეერთებული შტატები ითვლება, სადაც პირველად 1900 წელს იქნა შემოღებული, ხოლო დღეისათვის ევროპის მრავალ ქვეყანაშიც წარმატებით მოქმედებს. ამერიკაში საპროცესო შეთანხმება ფართოდ გამოიყენება და სისხლის სამართლის საქმეების 90% სწორედ ასეთი შეთანხმებით სრულდება.

საპროცესო შეთანხმების შინაარსი (გაფორმების პროცედურა, დაზარალებულის უფლებები, გამოყენების შეზღუდვა დანაშაულთა გარკვეული წრით, სასამართლოს როლი) იცვლება სამართლებრივი სისტემის, ეროვნული კანონმდებლობის სპეციფიკის და საპროცესო შეთანხმების მიზნის გათვალისწინებით.<sup>6</sup> მაგალითად:

იტალიაში, სადაც საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი მე-20 საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისიდან მოქმედებს, არსებობს შეზღუდვები იმ მიმართებით, თუ რა კატეგორიის დანაშაულებზეა შესაძლებელი საპროცესო შეთანხმების დადება. კერძოდ, ასეთი შეთანხმებები იდება მხოლოდ ისეთ დანაშაულებზე, რომელთათვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე ვადით ან ჯარიმა. ამასთან, საპროცესო შეთანხმება იდება მხოლოდ სასჯელზე, რის შედეგადაც შესაძლებელია სასჯელის შემცირება 1/3-მდე.

სლოვაკეთში საპროცესო შეთანხმების გაფორმება შესაძლებელია განზრახ დანაშაულებზე, თუ სასჯელის სახით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ვადა არ აღემატება 3 წელს, ხოლო გაურთხილებლობით დანაშაულებზე – 5 წელს.

ესტონეთში საპროცესო შეთანხმება არ გამოიყენება, თუ მინიმალური სასჯელი 4 წელს აღემატება, ხოლო მაქსიმალური უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ასევე თუ დაზარალებული და ერთ-ერთი თანამონაწილე წინააღმდეგია.

ინდოეთშიც საპროცესო შეთანხმების გამოყენება მხოლოდ გარკვეული კატეგორიის, კერძოდ, ისეთ დანაშაულებზეა შესაძლებელი, რომელთათვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 7 წლამდე ვადით. ინდოეთის კანონმდებლობით საპროცესო შეთანხმების გაფორმება დაუშვებელია, თუ დანაშაულის მსხვერპლი არის ქალი ან 14 წელს მიუღწეველი

<sup>6</sup> ავტორთა ჯგუფი, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, 2017წ., გვ. 566.



პირი. გარდა ამისა, ასეთი შეთანხმების დადება იზღუდება იმგვარ დანაშაულებზეც, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას.

საქართველოსა და საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი პრაქტიკულად ერთდროულად იქნა შემოღებული. საფრანგეთში ამ ინსტიტუტის შემოღების მოტივაცია ძირითადად ორგანიზებულ დანაშაულთან უფრო ეფექტური ბრძოლა იყო. თავდაპირველად აღნიშნული პროცედურა გამოიყენებოდა გარკვეული კატეგორიის საქმეებზე, ხოლო ცოტა მოგვიანებით მისი არეალი გაფართოვდა. დღესდღეობით საფრანგეთში საპროცესო შეთანხმებას ყველა იმ დანაშაულზე იყენებენ, რომელთა ჩადენისათვის სასჯელი არ აღემატება 5 წლით თავისუფლების აღკვეთას.<sup>7</sup>

გერმანიაში საპროცესო შეთანხმება იდება ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარების შემთხვევაში, ყველა კატეგორიის დანაშაულის საქმეზე, მაგრამ შეთანხმება ეხება მხოლოდ სასჯელის ფარგლებს და არა ბრალდებას.

გერმანიის მსგავსად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს საპროცესო შეთანხმების გამოყენების შეზღუდვას დანაშაულთა გარკვეული წრის მიხედვით და თუ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, საპროცესო შეთანხმება შესაძლებელია დაიდოს ყველა კატეგორიის დანაშაულზე. ამასთან, ქართული მოდელის მიხედვით, საპროცესო შეთანხმება შეიძლება შეეხოს როგორც სასჯელს, ასევე ბრალდების ფარგლებს.

შედარებითი ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ საპროცესო შეთანხმება სხვადასხვა ფორმით არსებობს განსხვავებული სამართლებრივი მემკვიდრეობის ქვეყნებში. მისი გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის შემცირების მიზნით, რადგან ბრალდებული გათავისუფლების ან სასჯელის შემსუბუქების სანაცვლოდ, გამოძიებას ინფორმაციას აწვდის დამნაშავეთა ჯგუფის სხვა წევრებზე და უფრო მნიშვნელოვანი დანაშაულის გახსნაში ეხმარება. საპროცესო შეთანხმება ხელს უწყობს სასამართლოს, სწრაფად და ეფექტურად დაასრულოს საქმის განხილვა, შესაბამისად, იზოგება დრო, მატერიალური და ადამიანური რესურსი, რაც შეიძლება მოხმარდეს უფრო რთული საქმეების წარმოებას.<sup>8</sup>

საქართველოშიც საპროცესო შეთანხმების შემოღების მიზანი, ერთი მხრივ, მართლმსაჯულების პროცესის დაჩქარება, ხოლო, მეორე მხრივ, გამეფებულ კორუფციასთან ბრძოლა და ორგანიზებული დანაშაულის დამარცხება იყო. აღნიშნულმა ინსტიტუტმა იმთავითვე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართული მართლმსაჯულების სისტემაში. გამოძიებასთან ბრალდებულების თანამშრომლობით სამართალდამცავ ორგანოებს საშუალება მიეცათ ეფექტურად ებრძოლათ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. თავდაპირველად საპროცესო შეთანხმებას ძირითადად კორუფციულ დანაშაულებზე მიმართავდნენ, ბოლო პერიოდში კი, იგი თითქმის ყველა სახის დანაშაულზე გამოიყენება.

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტმა საქართველოში გარკვეული ისტორიული გზა განვლო, უმნიშვნელოვანესი ცვლილებები განიცადა და საბოლოო ჯამში საკმაოდ დაშორდა თავის პირვანდელ სახეს. მაგალითად:

საპროცესო შეთანხმების შემოღებისას მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – საქ. სსსკ) 679<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის თავდაპირველი რედაქცია განსაზღვრავდა, რომ თუ პროკურორი და ბრალდებულის დამცველი შეთანხმდებოდნენ, რომ ბრალდებული თანახმა იყო ეთანამშრომლა ბრალდების მხარესთან, აღიარებდა დანაშაულის ჩადენას და საგამოძიებო ორგანოებს მიაწვდიდა უტყუარ ინფორმაციას ან/და მტკიცებულებებს მძიმე დანაშაულის ან თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, რაც ხელს შეუწყობდა ამ დანაშაულის გახსნას, პროკურატურას უფლება ჰქონდა უარი ეთქვა საბრალდებო დასკვნაზე და მის ნაცვლად სასამართლოსთვის წარედგინა შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, ე.ი. საპროცესო შეთანხმე-

<sup>7</sup> Messitte Peter J., *Plea Bargaining in Various Criminal Justice Systems*, Montevideo, Uruguay, May, 2010, 21.

<sup>8</sup> ავტორთა ჯგუფი, *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, 2017წ., გვ. 566.*

ბის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ბრალდებულის ნება დახმარებოდა და ეთანამშრომლა გამოძიებასთან.

მითითებულ მუხლში, ამოქმედებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 2004 წლის 24 ივნისის კანონით შეტანილი ცვლილების თანახმად, წინა რედაქციისგან განსხვავებით, კანონმდებელმა საპროცესო შეთანხმებისთვის აღარ მიიჩნია სავალდებულოდ საგამოძიებო ორგანოებისათვის მძიმე დანაშაულის ან თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ ისეთი უტყუარი ინფორმაციის ან/და მტკიცებულებების მიწოდება, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ დანაშაულის გახსნას. ამასთან, საპროცესო შეთანხმების პირობები ორად გაიყო და მიეთითა, რომ საპროცესო შეთანხმების საფუძველი იყო გარიგება ბრალზე ან შეთანხმება სასჯელზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბრალდებული ეთანხმებოდა პროკურორს სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულად გათავისუფლებაზე, რა დროსაც მას არ მოეთხოვებოდა დანაშაულის აღიარება, მაგრამ სავალდებულო მოთხოვნად რჩებოდა გამოძიებასთან თანამშრომლობა. რაც შეეხება ბრალზე გარიგებას, ასეთ შემთხვევაში აუცილებელ პირობად იქნა მიჩნეული ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარება ან/და გამოძიებასთან თანამშრომლობა.

საპროცესო კანონმდებლობაში 2005 წლის 25 მარტის კანონით შეტანილი ცვლილებით საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ახლებური მოდელი იქნა შემოთავაზებული. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის წინა რედაქციისაგან განსხვავებით, აღნიშნული ინსტიტუტი მისი ორივე საფუძველით (შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე) გათავისუფლდა ისეთი პირობისაგან, როგორც იყო გამოძიებასთან თანამშრომლობა. შესაბამისად, 2004 წლის 25 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებით საპროცესო შეთანხმების ორი საფუძველი – ბრალზე გარიგება და სასჯელზე შეთანხმება ფორმალური გაყოფა აღმოჩნდა და ისედაც არაერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას კიდევ უფრო მეტი პრობლემა შეუქმნა, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ბრალზე გარიგება თავისთავად გულისხმობდა სასჯელზე შეთანხმებისას კანონში ბრალდებულისათვის არსებულ ისეთ შეღავათს, როგორცაა სასჯელის შემცირება, ან დანაშაულის ერთობლიობისას ბრალდების შემსუბუქება ან ნაწილობრივი მოხსნის შესაძლებლობა.<sup>9</sup>

2005 წლის მოდელით საპროცესო შეთანხმებისას გამოძიებასთან თანამშრომლობა სავალდებულო დარჩა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საქმე სასჯელისაგან სრულად გათავისუფლებას შეეხებოდა და ის უკვე ცალკე ინსტიტუტად ჩამოყალიბდა (საქ. სსსკ მუხ. 679<sup>9</sup>). დროთა განმავლობაში მითითებული მუხლი დაიხვეწა, მაგ., დაზუსტდა, რომ სასჯელისაგან გათავისუფლების შემთხვევაში პირი ითვლებოდა ნასამართლევად.

საქ. სსსკ 679<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილში 2006 წლის 28 აპრილის კანონით შესული ცვლილებებით სასჯელზე შეთანხმებისას საერთოდ ამოღებული იქნა ბრალდებულის მიერ დანაშაულის არაღიარება, ასევე გამოძიებასთან თანამშრომლობის ვალდებულება და მიეთითა, რომ სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებული (განსასჯელი) არ ეწინააღმდეგებოდა წაყენებულ ბრალდებას, თუმცა, ეთანხმებოდა პროკურორს სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულად გათავისუფლებაზე. ამდენად, ასეთ შემთხვევაში ბრალდებული აღიარებდა თუ არა დანაშაულს და თანამშრომლობდა თუ არა გამოძიებასთან, საპროცესო შეთანხმებისათვის მნიშვნელობა აღარ ენიჭებოდა.

2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის 209-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული იქნა საპროცესო შეთანხმების ორი საფუძველი – შეთანხმება ბრალსა და სასჯელზე. აღნიშნული მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების რედაქცია, რომელთა თანახმად, სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებული არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალს, თუმცა, ეთანხმება პროკურორს სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულად გათავისუფლებაზე, ხოლო ბრალზე შეთანხმებისას ბრალდებული აღიარებს დანაშაულს – თითქმის უცვლელი სახით იქნა გადმოტანილი ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო შეთანხმების საფუძვლის ორად გაყოფაზე იურიდიულ ლიტერატურაში თავიდანვე უარყოფითი მოსაზრებები იყო გამოთქმული. მაგ., პროფესორებს:

<sup>9</sup> გვენეტაძე ნ., ტურავა მ., სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2005წ., გვ. 142-143.

ნ. გვენეტაძეს და მ. ტურავას მიაჩნდათ, რომ საქ. სსსკ 679<sup>1</sup>-ე მუხლი როგორც ბრალზე, ისე სასჯელზე შეთანხმების შემთხვევაში ადგენდა ანალოგიურ შეღავათებს, რაც რაიმე განსხვავებას საპროცესო შეთანხმების ამ ორ საფუძველს (ბრალზე ან სასჯელზე შეთანხმებას) შორის აბსოლუტურად შლიდა. მითითებული მუხლის მე-2 ნაწილით სასჯელზე შეთანხმების შემთხვევაში ბრალდებულს უფლება ეძლეოდა დათანხმებოდა პროკურორს სასჯელის ზომაზე, ისე, რომ არ ელიარებინა დანაშაული, რაც გაუგებარს ხდიდა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის არსს და მიზანს.<sup>10</sup>

პროფ. რ. გოგშელიძეს „სასჯელზე შეთანხმების“ საფუძვლის ცალკე არსებობა ზედმეტად მიაჩნდა.<sup>11</sup>

პროფესორების: ჯ.გახოკიძისა და მ.მამნიაშვილის მოსაზრებით, საპროცესო შეთანხმების დადების საფუძვლის ორად გაყოფას მხოლოდ და მხოლოდ ის მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ ამით უფრო მეტად გაიზრდებოდა საპროცესო შეთანხმების გამოყენების არეალი, რადგანაც საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში, როგორც წესი, ბრალდებული ან აღიარებს წარდგენილ ბრალდებას ან არა, მაგრამ თანახმაა პროკურორის მიერ შეთავაზებულ სასჯელის ზომაზე. ამდენად, პირველი საფუძვლის არსებობითაც ბრალდებულს შესაძლებლობა ჰქონდა დათანხმებოდა პროკურორის მიერ შეთავაზებულ სასჯელის ზომაზე, როგორც ამას ცალკეული (ესპანეთი, იტალია და ა.შ.) კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს.<sup>12</sup>

2014 წლის 24 ივლისს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტმა კვლავ განიცადა გარკვეული ცვლილებები, რის შემდეგაც გაუქმდა სასჯელზე შეთანხმების მოდელი, როცა პირი არ ეწინააღმდეგებოდა წაყენებულ ბრალს (თუმცა არც ეთანხმებოდა მას), მაგრამ თანხმდებოდა სასჯელზე, რაც უდავოდ დადებითად უნდა შეფასდეს. საქ. სსსკ 209-ე მუხლის ამჟამად მოქმედი რედაქციის მიხედვით, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩინის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე.

იმავე ცვლილებებით დანერგულ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ისიც, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალდებული პროკურორს საქ. სსსკ 209-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პირობებთან ერთად შეიძლება შეუთანხმდეს თანამშრომლობაზე ან/და ზიანის ანაზღაურებაზე (საქ. სსსკ მუხ. 209, ნაწ. 2).

მიუხედავად იმისა, რომ დღეს თითქმის ყველა აღიარებს ამ სფეროში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო პროგრესის არსებობას, მაინც არის საკითხები, რომლებიც კვლავ რჩება გადაუჭრელი.

## 2. საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელი

საქართველოში მოქმედი საპროცესო შეთანხმება არ არის აშშ-ში არსებული „ბრალის აღიარებაზე გარიგების“ სრული კოპირება. იგი პირდაპირ გადმოღებული არ ყოფილა არც ევროპისა და არც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობიდან. თითოეულ სახელმწიფოში, მათ შორის, საქართველოშიც, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს თავისი დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა სახელმწიფოთა მოდელელებსაგან.<sup>13</sup>

<sup>10</sup> გვენეტაძე ნ., ტურავა მ., სისხლის სამართლის საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდთა, თბ., 2005წ., გვ. 143.

<sup>11</sup> გოგშელიძე რ., საპროცესო შეთანხმება – ყველა კატეგორიის დანაშაულზე?, თ. „პროფესია ადვოკატი“, 2007წ., გვ. 2, 91.

<sup>12</sup> საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი – კერძო ნაწილი ჯ. გახოკიძის, ი. გაბისონიასა და გ. მამნიაშვილის რედაქტორებით, თბ., 2015წ., გვ. 259.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 254.

## 2.1. საპროცესო შეთანხმების არსი და მისი დადების პროცედურა

ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმემ უნდა გაიაროს შემდეგი ეტაპები: პირველი წარდგენის სხდომა; წინასასამართლო სხდომა; საქმის არსებითი განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში; სააპელაციო განხილვა (პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაში) და საკასაციო განხილვა (სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაში). საქმის არსებითი განხილვა გულისხმობს განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა პროცედურის გავლას – მხარეთა მიერ შესავალი და დასკვნითი სიტყვების წარმოთქმას, მტკიცებულებების გამოკვლევას და ა.შ.

საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმე ზემოაღნიშნულ პროცედურებს აღარ გადის და მოსამართლეს განაჩენი გამოაქვს არსებითი განხილვის, მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის გარეშე. ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება შეიძლება გაფორმდეს სისხლის სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, მას შემდეგ, რაც პირის მიმართ დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა – პროკურორი გამოიტანს დადგენილებას პირის ბრალდების შესახებ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამჟამად მოქმედი რედაქციის მიხედვით, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე (საქ. სსსკ მუხ. 209, ნაწ. 1), რაც ნიშნავს იმას, რომ ბრალის აღიარების გარეშე საპროცესო შეთანხმების მხოლოდ სასჯელზე გაფორმება შეუძლებელია, ხოლო ბრალზე საპროცესო შეთანხმების გაფორმება სასჯელზე შეთანხმებასაც მოიცავს.

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, საპროცესო შეთანხმება შესაძლებელია გაფორმდეს ყველა კატეგორიის დანაშაულზე და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამ კუთხით არანაირ შეზღუდვას არ ითვალისწინებს, რაც სრულიად გამართლებულია, ვინაიდან, საპროცესო შეთანხმება არის სწრაფი მართლმსაჯულების აღსრულების ეფექტური საშუალება, რომელიც მოითხოვს ნაკლებ ადამიანურ რესურსს, ამასთან, სასჯელის შემცირებით ან ბრალდების შემსუბუქებით უფრო მეტ სტიმულს აძლევს ბრალდებულებს, ითანამშრომლონ გამოძიებასთან და ამ გზით იძლევა არაერთი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გახსნისა და საშიში დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემის შესაძლებლობას. საპროცესო შეთანხმების გამოყენების შეზღუდვამ დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით კი შეიძლება შეაფერხოს ეს პროცესი, ამასთან, გამოიწვიოს მთელი რიგი სისტემური პრობლემები, რაც სისხლის სამართლის საქმეთა სიმრავლის გათვალისწინებით, უარყოფითად აისახება ბრალდებულებზე, გაჭიანურებული სასამართლო პროცესების სახით.

მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კანონმდებლობა ბრალის აღიარებას არ ანიჭებს უპირატესობას მტკიცებულებათა შეფასების პროცესში, სხვადასხვა საპროცესო ინსტიტუტის, მაგ., განრიდების, საპროცესო შეთანხმების გამოყენებას, ასევე სასჯელის ზომის გასაზღვრავს პირდაპირ თუ ირიბად უკავშირებს ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარებას და გამოძიების ორგანოებთან თანამშრომლობის სურვილს.

ბრალის აღიარება საპროცესო შეთანხმების გაფორმების აუცილებელი წინაპირობაა. აღნიშნულთან ერთად ბრალდებული უთანხმდება პროკურორს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ პირობაზე: სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ბრალდების ნაწილობრივ მოხსნაზე.

საქ. სსსკ-ის 209-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს საპროცესო შეთანხმების დამატებით პირობებს, როგორცაა თანამშრომლობა ან/და ზიანის ანაზღაურება. ბრალის აღიარებასთან ერთად შესაძლებელია ზემოაღნიშნული დამატებითი პირობებიდან ერთ-ერთის ან ორივეს ერთდროულად გამოყენება, ანუ ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარების გარეშე მხოლოდ თა-

ნამშრომლობაზე ან/და მხოლოდ ზიანის ანაზღაურებაზე საპროცესო შეთანხმების გაფორმება დაუშვებელია.

საპროცესო შეთანხმების დადება ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებაა. სწორედ ის იღებს გადაწყვეტილებას მისთვის გარანტირებული საქმის არსებითი განხილვის უფლების შეზღუდვაზე და თავად ამბობს უარს კანონით მინიჭებულ მთელ რიგ უფლებებზე, ანუ საპროცესო შეთანხმების დადება და საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანა ხორციელდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარკვეული საპროცესო უფლებების ნებაყოფლობით შეკვეცის ხარჯზე. სწორედ ამიტომ უმნიშვნელოვანესია, რომ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული იყოს შესაბამისი საპროცესო გარანტიები, იმისათვის, რომ არ დაირღვეს სამართლიანი სასამართლოს უფლება. ამ მხრივ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი რამდენიმე გარანტიას ითვალისწინებს. კერძოდ: საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე მოლაპარაკების მიმდინარეობისას ბრალდებულს სავალდებულოა ჰყავდეს ადვოკატი და ჰქონდეს მისგან კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა; საპროცესო შეთანხმება უნდა დაიდოს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების გარეშე. ბრალდებულს უფლება აქვს, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანამდე, ნებისმიერ დროს თქვას უარი საპროცესო შეთანხმებაზე და მოითხოვოს სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვა. ამასთან, თუ სასამართლო გააუქმებს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ განაჩენს ან ბრალდებულს თვითონ განაცხადებს უარს საპროცესო შეთანხმებაზე, დაუშვებელია ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების მის საწინააღმდეგოდ გამოყენება.

საქ. სსსკ 210-ე მუხლის თანახმად, საპროცესო შეთანხმება იდება პროკურორსა და ბრალდებულს/მსჯავრდებულს შორის. საპროცესო შეთანხმების დადების შეთავაზება შეუძლია როგორც ბრალდებულს/მსჯავრდებულს, ისე პროკურორს. თუმცა პროკურორი არ არის უფლებამოსილი დამოუკიდებლად მიიღოს საპროცესო შეთანხმების დადების გადაწყვეტილება, ვინაიდან, კანონმდებლის იმპერატიული მოთხოვნაა საპროცესო შეთანხმების დადებისას ზემდგომი პროკურორის წერილობითი თანხმობა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს პროკურატურის საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციას.<sup>14</sup> ასევე სავალდებულო მოთხოვნაა საპროცესო შეთანხმების დადებისას ადვოკატის უშუალო მონაწილეობა და მის დადებაზე ბრალდებულის წინასწარი წერილობითი თანხმობა (საქ. სსსკ მუხ. 210, ნან. 4). შესაბამისად, საპროცესო შეთანხმების გაფორმების გადაწყვეტილების მიღებისას, პროკურორი პირველ რიგში უნდა დარწმუნდეს: აცხადებს თუ არა ზემდგომი პროკურორი თანხმობას საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე; ჰყავს თუ არა ბრალდებულს ადვოკატი და აცხადებს თუ არა ბრალდებულს თანხმობას საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე.

ბრალდებულის წინასწარი თანხმობის დასადასტურებლად, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებულ საპროცესო დოკუმენტს განცხადება წარმოადგენს. პროფესორების: ნ. გვენეტაძის და მ. ტურავას მოსაზრებით, საპროცესო შეთანხმების დადებაზე ბრალდებულის წერილობითი თანხმობა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, როცა საპროცესო შეთანხმების შეთავაზება ხდება პროკურორის მიერ. აღნიშნული განსხვავდება თვით ბრალდებულის ინიციატივისაგან, როცა საპროცესო შეთანხმებას პროკურორს ის სთავაზობს. ასეთ შემთხვევაში გვექნება არა თანხმობის, არამედ სურვილის შესახებ განცხადება. ორივე შემთხვევაში ბრალდებულს სრულყოფილად უნდა აღიქვამდეს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის მიერ შედგენილი შუამდგომლობის შინაარსსა და მოსალოდნელი განაჩენის სამართლებრივ შედეგებს.<sup>15</sup> აღნიშნული მსჯელობის საწინააღმდეგო მიზანი არც საქ. სსსკ-ის 211-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან იკვეთება, რომლის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლო-

<sup>14</sup> ჭანტურიძე გ., საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის საპროცესო პრინციპებთან მიმართებაში, თბ., 2007წ., გვ. 59.

<sup>15</sup> გვენეტაძე ნ., ტურავა მ., სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2005წ., გვ. 146.

ბას თან ერთვის ბრალდებულის წერილობითი განცხადება, რომელშიც დადასტურებული უნდა იყოს, რომ სასამართლოს საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე თანხმობა ბრალდებულმა ნებაყოფლობით, ადვოკატისაგან იურიდიული დახმარების მიღების შემდეგ განაცხადა. თუმცა, სასამართლო პრაქტიკა სხვაგვარად წარმართა და იმისათვის, რომ სასამართლომ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება, მიუხედავად იმისა, თუ ვისი ინიციატივით დაიდო საპროცესო შეთანხმება, პროკურორის შუამდგომლობას უნდა ერთვოდეს ბრალდებულის წერილობითი განცხადება.

ის გარემოება, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ შეიცავს რაიმე შეზღუდვებს ან დათქმებს სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებს პროკურორს, თუმცა, იმავდროულად საქ. სსსკ 210-ე მუხლის მე-3 ნაწილი გვთავაზობს ერთგვარ შეზღუდვას, როცა პროკურორს იმპერატიულად თხოვს გამოიჩინოს მეტი წინდახედულება და ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირების მოთხოვნისას ან ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს საჯარო ინტერესი, რომელსაც იგი სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტების, ჩადენილი დანაშაულისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის, დანაშაულის ხასიათის, ბრალეულობის ხარისხის, ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროების, პიროვნული მახასიათებლების, ნასამართლობის, გამოძიებასთან თანამშრომლობისა და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ბრალდებულის ქცევის შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს.

გარდა ამისა, საქ. სსსკ 210-ე მუხლის 1<sup>2</sup> ნაწილი პროკურორს ავალდებულებს საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ მოლაპარაკების მიმდინარეობისას გააფრთხილოს ბრალდებული საპროცესო შეთანხმების შედეგების შესახებ და განუმარტოს მას, რომ საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მტკიცებულებების უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის გარეშე გამოაქვს და საპროცესო შეთანხმების დადება არ ათავისუფლებს ბრალდებულს სამოქალაქო და სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან. აღნიშული ნორმა შეიცავს გარკვეულ ბუნდოვანებას, რადგან გაუგებარია სამოქალაქო პასუხისმგებლობის გარდა სხვა რა სახის პასუხისმგებლობაზეა აქ საუბარი.

საქ. სსსკ 210-ე მუხლის 1<sup>3</sup> ნაწილის მიხედვით, ბრალდებული შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის გადაწყვეტილებით, რომელიც შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობა სახელმწიფოს დაეკისრება. სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას კანონი ითვალისწინებს განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუმცა, არ მიუთითებს რა შეიძლება იქნეს მიჩნეული ამგვარ შემთხვევადად. საპროცესო შეთანხმების მიზნებიდან და ზოგადი სულისკვეთებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ბრალდებული საპროცესო შეღავათებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების სახით მაშინ მიიღებს, თუ სახეზეა საქ. სსსკ 210-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებები, რომლებიც თავისი არსით განსხვავდება საპროცესო შეთანხმების გაფორმების ჩვეულებრივი შემთხვევებისგან. მაგალითად, სახეზეა განსაკუთრებული თანამშრომლობა, სრულად არის ანაზღაურებული დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი, ბრალდებულის მონაწილეობის ხარისხი დანაშაულის ჩადენაში მინიმალურია და ა.შ.<sup>16</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2014 წლის 24 ივლისის კანონით განხორციელებული ცვლილების შედეგად, საპროცესო შეთანხმების შესახებ დგება ოქმი, რომელშიც ასახულია ბრალდებულსა და პროკურორს შორის მოლაპარაკების პროცესი (საპროცესო შეთანხმების ოქმი) (საქ. სსსკ მუხ. 210, ნაწ. 6). აღსანიშნავია, რომ ამ ცვლილებამდე მოქმედი კანონი, მართალია, საპროცესო შეთანხმების ოქმს არ ითვალისწინებდა, მაგრამ საპროცესო შე-

<sup>16</sup> საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი – კერძო ნაწილი, ჯ. გახოკიძის, ი. გაბისონიასა და გ. მამნიაშვილის რედაქტორებით, თბ., 2015წ., 636.

თანხმების წერილობით გაფორმებას მოითხოვდა. შესაბამისად, პრაქტიკაშიც დგებოდა საპროცესო შეთანხმების დადების წერილობითი დოკუმენტი, ოქმის სახით.

## 2.2. მოსამართლის როლი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების პროცესში

თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის პროცესი წარმოადგენს მხარეთა შეჯიბრებითობაზე დაფუძნებულ პროცესს. მტკიცებულებების მოპოვება, სასამართლოში მათი წარდგენა და გამოკვლევა მხოლოდ მხარეების კომპეტენციაა. მხარეებს შეუძლიათ პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაამთავრონ საქმის წარმოება ბრალდებაზე უარის თქმის ან საპროცესო შეთანხმების გზით. მოსამართლე ინარჩუნებს ნეიტრალურ პოზიციას და საბოლოო გადაწყვეტილებას მხარეების მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე იღებს.

სისხლის სამართლის პროცესში ნებისმიერი პრობლემა გამომდინარეობს ორი მხარის ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციიდან, რომლებიც იბრძვიან გამარჯვებისათვის.<sup>17</sup> სისხლის სამართალში მოქმედი რეგულაციების აქტუალობას ზრდის სამართლის ამ დარგისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური სირთულეებიც. სისხლის სამართლის შეჯიბრებით პროცესში პროკურატურა ცდილობს, დაამტკიცოს პირის ბრალეულობა, ხოლო დაცვის მხარე დავობს საწინააღმდეგოს დამტკიცების მიზნით.<sup>18</sup> სწორედ სისხლის სამართლის პროცესისათვის დამახასიათებელი ამ სირთულეებიდან გამომდინარე, სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის მიზნით, უმნიშვნელოვანესია მოსამართლის როლისა და მისი უფლებამოსილების ფარგლების შესაბამისი რეგულირება.

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტზე მსჯელობისას უნდა ითქვას, რომ საპროცესო შეთანხმების პირობების შესახებ მოლაპარაკება პროკურორსა და დაცვის მხარეს შორის მიმდინარეობს, რაშიც მოსამართლე არ მონაწილეობს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, თუ რაზე მოილაპარაკეს მხარეებმა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მაინც სასამართლოს პრეროგატივაა და საპროცესო შეთანხმება ძალას მხოლოდ მას შემდეგ იძენს, რაც სასამართლო მას დაამტკიცებს გამამტყუნებელი განაჩენით. სწორედ მოსამართლე უნდა იყოს იმის გარანტი, რომ ასეთი შეთანხმებით ზიანი არ მიადგეს ბრალდებულის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

მოსამართლე სისხლის სამართლის საქმის განხილვის სხვადასხვა ეტაპზე არკვევს მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობას, ასევე საკითხს, დაყენებულია თუ არა შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. ამ საკითხს სასამართლო არკვევს როგორც პირველი წარდგენის სასამართლო სხდომაზე, ასევე წინასასამართლო და საქმის არსებითი განხილვის სხდომებზეც. თუკი გაირკვევა, რომ დაყენებულია შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, ასეთ შემთხვევაში სასამართლო იხილავს აღნიშნულ შუამდგომლობას საქ. სსსკ XXI თავით დადგენილი წესით და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო შეთანხმების პირობებს თავად მხარეები განსაზღვრავენ და მოსამართლეს უფლება არ აქვს ჩაერიოს ამ პროცესში, მას შეუძლია შესთავაზოს მხარეებს, შუამდგომლობის სასამართლო სხდომაზე განხილვისას შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები და მათი თანხმობის შემთხვევაში, შეიტანოს მასში ცვლილებები.

გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლო ვალდებულია დარწმუნდეს, რომ: საპროცესო შეთანხმება დადებულია წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების გარეშე; საპროცესო შეთანხმება ნებაყოფლობით არის დადებული და ბრალდებული ნებაყოფლობით აღიარებს ბრალს; ბრალდებული სრულად აცნობიერებს საპროცესო შეთანხმების, მათ შორის, ნასამართლობის, სამართლებრივ შედეგებს – კერძოდ, იმ ფაქტს, რომ საპროცესო შეთანხმების დამტკიცება ნიშნავს ბრალდებულის დამნაშავედ ცნობას, რაც იწვევს ნასამართლობას, რომ საპროცესო შეთანხმება

<sup>17</sup> William van Caenegem., *Adversarial Systems and Adversarial Mindsets: Do We Need Either?*, *Bond Law Review*, 2003, 112.

<sup>18</sup> Paul Roberts, *Science in the Criminal Process*, *Oxford Journal of Legal Studies*, 1994, 471.

არ ათავისუფლებს ბრალდებულს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან; ბრალდებულს ჰქონდა კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა – საპროცესო შეთანხმების შეთავაზების და მოლაპარაკების მიმდინარეობის პროცესში ჰყავდა ადვოკატი, რომელმაც მისთვის გასაგებ ენაზე განუმარტა საპროცესო შეთანხმების არსი, უფლება არსებით განხილვაზე და როგორც არსებითი განხილვით, ისე არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები; ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც მას ბრალი ედება; ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს; ბრალდებულისათვის ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული, კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ; ბრალდებული აცნობიერებს, რომ, თუ სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, დაუშვებელია მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი საპროცესო შეთანხმების განხილვისას სასამართლოს მიანვდის; ბრალდებული აცნობიერებს, რომ მას აქვს დაცვის, საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის და სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლება; ბრალდებული ეთანხმება ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს; საპროცესო შეთანხმებაში ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმების ყველა პირობაა ასახული; ბრალდებული და მისი ადვოკატი სრულად იცნობენ საქმის მასალებს (საქ. სსსკ მუხ. 212, ნაწ. 2).

მითითებული საკითხები მოსამართლემ ბრალდებულისთვის კითხვების დასმის გზით უნდა გაარკვიოს და გადაწყვეტილება თითოეულ ამ საკითხთან დაკავშირებით ბრალდებულის განცხადების და საქმის მასალების საფუძველზე უნდა მიიღოს.

კანონმდებლის მიზანი იყო რა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების პროცესში, კანონით გათვალისწინებული საკითხების გარკვევისას, სასამართლოსთვის მეტი სამართლებრივი ბერკეტის მიცემა, 2014 წლის 24 ივლისს განხორციელებული ცვლილების შედეგად საქ. სსსკ 212-ე მუხლს დაემატა მე-3<sup>1</sup> ნაწილი, რომელიც იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ სასამართლომ არ უნდა დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება, თუ მას მიაჩნია, რომ საქ. სსსკ 212-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებზე დამარწმუნებელი პასუხები ვერ მიიღო. საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციით, მოსამართლისთვის აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რადგან საპროცესო შეთანხმების დადებისას, მიუხედავად იმისა, რომ პირი აღიარებს ბრალს, აუცილებელია ზემოაღნიშნული გარანტიები დაცული იყოს და მათი უგულებელყოფის შემთხვევაში, სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია არ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება.<sup>19</sup>

ასევე დადებითად უნდა შეფასდეს საქ. სსსკ 213-ე მუხლში 2014 წლის 24 ივლისის კანონით შეტანილი ცვლილებით მოსამართლის როლის გააქტიურება, თუკი ის მიიჩნევს, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას ადგილი ჰქონდა ბრალდებულის უფლებების დარღვევას. კერძოდ, თუ წინასასამართლო სხდომის გამართვამდე იხილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობა და სასამართლო მიიჩნევს, რომ საპროცესო შეთანხმება წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების შედეგად არის დადებული, იგი საქმეს ზემდგომ პროკურორს გადასცემს. ზემდგომი პროკურორი საპროკურორო საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას სხვა პროკურორს აკისრებს (საქ. სსსკ მუხ. 213, ნაწ. 5).

საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალდებული/მსჯავრდებული აღიარებს ბრალს, რაც საკმარისი არ არის განაჩენის გამოსატანად. მაგ., აშშ-ში ბრალის აღიარება განიხილება როგორც ფაქტი, რომლის გამოც საჭირო აღარ არის მტკიცებულებათა გამოკვლევა და შეფასება, ვინაიდან, ამით ისპობა დავა ბრალდებულსა და ბრალმდებელს შორის. ამერიკის კანონმდებლო-

<sup>19</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, თბ., 2014წ., გვ. 286, იხ.: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3509.pdf>



ბისგან განსხვავებით, საქართველოში საპროცესო შეთანხმების დასამტკიცებლად მოსამართლეს ბრალდებულის აღიარების გარდა უნდა წარედგინოს სხვა მტკიცებულებებიც, რის საფუძველზეც დარწმუნდება, რომ ბრალდებულმა ნამდვილად ჩაიდინა მასზე ბრალად შერაცხული დანაშაული. ასეთი მიდგომა შესაბამისობაშია საქ. სსსკ მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის დებულებასთან, რომ მხოლოდ ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

მოსამართლის როლზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია ასევე საპროცესო შეთანხმების დადების დროს სასჯელის დანიშვნის საკითხი. საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელის კრიტიკოსების აზრით, ასეთი შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი მოსამართლეთა შეზღუდული უფლებებია. განსაკუთრებული კრიტიკა გამოიწვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილმა იმ ცვლილებამ, რომელმაც საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანისას მოსამართლეს ჩამოართვა უფლება, თუ პროკურორის მიერ მოთხოვნილ სასჯელს მკაცრად მიიჩნევდა, შეემსუბუქებინა იგი. არასწორია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამით შეიზღუდა სასამართლოს როლი, ვინაიდან, საპროცესო შეთანხმება სწორედ პროკურორსა და ბრალდებულს შორის შეთანხმებაა, დადებული ნებაყოფლობით, ბრალდებულის სრული სამართლებრივი ინფორმირებულობის პირობებში, წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების გარეშე. აქედან გამომდინარე, მოსამართლისათვის კანონის მოთხოვნათა დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების პირობებში ჩარევისა და მხარეთა თანხმობის გარეშე ამ პირობების შეცვლის უფლების არმცემად არ ნიშნავს მისი როლის შეზღუდვას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს იმავე კოდექსის შესაბამისი მუხლით დანესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი. ეს ნიშნავს იმას, რომ ბრალდებულის მიმართ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენება სასამართლოს არ შეუძლია, თუ მხარეთა შორის დადებული არ არის საპროცესო შეთანხმება, რაც ეწინააღმდეგება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს. პროფ. ნ. თოდუას მოსაზრებით, ესაა სასამართლო ხელისუფლების აშკარა შეზღუდვა სასჯელის დანიშვნის საკითხში.<sup>20</sup> ამდენად, მოსამართლეს საპროცესო შეთანხმების გარეშეც უნდა ჰქონდეს კანონით გათვალისწინებულ სასჯელზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის უფლებამოსილება, რაც ხელს შეუწყობს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის რეალურად განხორციელებას.

### 2.3. სასამართლოს გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე

სასამართლო არ არის ვალდებული უპირობოდ გაიზიაროს და დაამტკიცოს მხარეთა შორის გაფორმებული საპროცესო შეთანხმება. მან გადაწყვეტილება კანონის საფუძველზე უნდა მიიღოს.

გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლომ საქმის მასალებისა და ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე უნდა შეამოწმოს: დასაბუთებულია თუ არა ბრალდება; არსებობს თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გარემოებები (საპროცესო შეთანხმება გაფორმდა თუ არა სსსკ-ის მოთხოვნათა დაცვით); კანონიერი და სამართლიანია თუ არა პროკურორის შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი; არსებობს თუ არა საქ. სსსკ მე-3 მუხლის მე-11<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის

<sup>20</sup> თოდუა ნ., სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები), სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ., 2015წ., 9.

გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები.

აღნიშნული გარემოებების შემონმების შემდეგ სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

**1) სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე.** ასეთ გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს სისხლის სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, თუ მიიჩნევს, რომ წარდგენილია საქ. სსსკ მე-3 მუხლის მე-11<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები, საქ. სსსკ 212-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებზე დამარწმუნებელი პასუხები მიიღო და მოთხოვნილი სასჯელი არის კანონიერი და სამართლიანი (საქ. სსსკ 213-ე მუხლის მე-4 ნაწილი);

**2) საქმის პროკურორისთვის დაბრუნების შესახებ.** საქ. სსსკ 213-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ წინასასამართლო სხდომის გამართვამდე იხილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობა და სასამართლო მიიჩნევს, რომ საპროცესო შეთანხმება წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების შედეგად არის დადებული, იგი საქმეს ზემდგომ პროკურორს გადასცემს, რომელიც საპროკურორო საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას სხვა პროკურორს აკისრებს. საქმის პროკურორისათვის დარუნების შესახებ გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს მაშინაც, თუ მიიჩნევს, რომ საქ. სსსკ მე-3 მუხლის მე-11<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს, ან დაადგენს, რომ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობა საქ. სსსკ XXI თავის მოთხოვნათა დარღვევით არის წარდგენილი. მითითებული საფუძვლების არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია საქმე დაუბრუნოს პროკურორს. თუმცა, თუ სასამართლო საპროცესო შეთანხმებას არ დაამტკიცებს სხვა საფუძვლით (მაგ., სასჯელის სიმკაცრის მოტივით), საქმის პროკურორთან უკან დაბრუნება დამოკიდებულია იმაზე, სამართალწარმოების რომელ ეტაპზე განიხილებოდა არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ შუამდგომლობა. თუ საკითხი იხილებოდა წინასასამართლო სხდომაზე, მოსამართლე, სასჯელის სიმკაცრის მოტივით საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის შემთხვევაში, საქმეს უბრუნებს პროკურორს.

**3) კანონით დადგენილი წესით საქმის არსებითი განხილვის თაობაზე.** ასეთ გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს მაშინ, როცა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების საკითხი განიხილება საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე და სასამართლო უარს ამბობს მის დამტკიცებაზე სხვა საფუძვლით (მაგ., სასჯელის სიმკაცრის მოტივით). საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის შემთხვევაში, საქმე უკან არ უბრუნდება პროკურორს, კანონით დადგენილი წესით გრძელდება არსებითი განხილვა და მოსამართლეს გამოაქვს გამამართლებელი ან გამამტყუებელი განაჩენი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლო უფლებამოსილია არ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება, თუმცა თუ დაამტკიცებს, მას არ აქვს პირობების საკუთარი ინიციატივით შეცვლის უფლება. პირობების შეცვლა შეიძლება განხორციელდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ან სასამართლოს წინადადებით. ამგვარი შეცვლა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანამდე უნდა განხორციელდეს. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო მხარეებს სთავაზობს შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები. პირობების ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს ზემდგომ პროკურორთან. თუ სასამართლოს საპროცესო შეთანხმების შეცვლილი პირობებიც არ აკმაყოფილებს, იგი არ ამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას და საქმეს პროკურორს უბრუნებს.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი მექანიზმების გაანალიზების შედეგად ჩნდება კითხვა, თუ რამდენად გამართლებულია მტკიცებულებების არასაკმარისობის გამო საქმის პროკურორისთვის დაბრუნება წინასასამართლო სხდომის ან საქმის არსებითი განხილვის ეტაპებზე, ანუ მაშინ, როცა მხარეების მიერ მტკიცებულებების მოპოვება და სასამართლოში წარდგენა უკვე დას-

რულებულია, ხოლო ახალი მტკიცებულების დაშვება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებშია შესაძლებელი. საგულისხმოა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2014 წლის 24 ივლისის კანონით განხორციელებულ ცვლილებებამდე, თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ არ არსებობდა ბრალის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებანი, მას პროკურორისთვის საქმის დაბრუნება მხოლოდ მაშინ შეეძლო, თუ შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე წინასასამართლო სხდომის ჩატარებამდე იხილებოდა.

## 2.4. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება

საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე და საჩივრდება მხოლოდ საქ. სსსკ 215-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. მითითებული მუხლის მიხედვით, მხარეებს შეუძლიათ გაასაჩივრონ როგორც საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება, ისე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარი.

საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში, განაჩენის გამოტანიდან 15 დღის ვადაში, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარის მიერ. ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით რეგულირებული არ არის გასაჩივრების წესი და პროცედურა, რაც სასამართლოს აიძულებს ანალოგიის პრინციპით იმოქმედოს. პროფესორების: ნ. გვენეტაძის და მ. ტურავას მოსაზრებით, ამ შემთხვევაში ანალოგიით უნდა იმუშაოს ერთჯერადი გასაჩივრების წესმა.<sup>21</sup> მართალია, კანონში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ რა სახის გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია სასამართლოს ასეთი საჩივრის განხილვის შედეგად, მაგრამ არსებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სააპელაციო სასამართლო ან უცვლელად ტოვებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ ან თავისი განაჩენით აკმაყოფილებს პროკურორის შუამდგომლობას საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე და ამტკიცებს მხარეთა შორის დადებულ საპროცესო შეთანხმებას.

რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენის გასაჩივრებას, საქ. სსსკ 215-ე მუხლი განსხვავებულ ვადებს და საფუძვლებს ითვალისწინებს იმის მიხედვით, თუ ვინ ასაჩივრებს განაჩენს. კერძოდ:

მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულს უფლება აქვს, განაჩენის გამოტანიდან 15 დღის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში შეიტანოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე, თუ: ა) საპროცესო შეთანხმება იძულებით, მუქარით, ძალადობით, დაშინებით ან მოტყუებით დაიდო; ბ) ბრალდებულს შეეზღუდა დაცვის უფლება; გ) საპროცესო შეთანხმება ისე დაიდო, რომ არ არსებობდა საქ. სსსკ მე-3 მუხლის 11<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები; დ) საქმის განმხილველმა სასამართლომ უგულებელყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXI თავით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნები.

პროკურორი კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი მიმართოს ზემდგომ სასამართლო ინსტანციას საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების მოთხოვნით, თუ მსჯავრდებული, რომელსაც გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება, დაარღვევს ამ საპროცესო შეთანხმების პირობას. მაგ., საპროცესო შეთანხმების დადებისას, საქ. სსსკ 209-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პირობებთან ერთად საპროცესო შეთანხმების პირობად გათვალისწინებული იყო თანამშრომლობა ან/და ზიანის ანაზღაურება. პირის მიერ ამ

<sup>21</sup> გვენეტაძე ნ., ტურავა მ., სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2005წ., გვ. 175.

პირობების შეუსრულებლობა პროკურორს აძლევს დარღვევის გამოვლენიდან 1 თვის ვადაში, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების მოთხოვნით სასამართლოსთვის საჩივრით მიმართვის შესაძლებლობას.

როგორც მსჯავრდებულის, ასევე, პროკურორის საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენი უქმდება და საქმე უბრუნდება პროკურორს (საქ. სსსკ მუხ. 215, ნან. 5). აღსანიშნავია, რომ კანონი არც ამ შემთხვევაში მიუთითებს გასაჩივრების წესზე – შესაძლებელია თუ არა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე შეტანილ საჩივარზე სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება, რაც წარმოადგენს სამართლებრივ ხარვეზს და საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებას.

### 3. დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმების დადებისას

დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილეა, რომლის უფლებებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად იყო დაცული კანონმდებლობით. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დაზარალებული წარმოადგენდა ბრალდების მხარეს და აქედან გამომდინარეობდა მისი მთელი რიგი საპროცესო უფლებები, რომლებიც ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით აღარ გააჩნია. 2010 წლის 1 ოქტომბრიდან მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, დაზარალებული აღარ წარმოადგენს მხარეს და მისი უფლებრივი მდგომარეობა შეიცვალა პროცესის მონაწილის სტატუსით. შესაბამისად, მას არ გააჩნია იმგვარი საპროცესო უფლებები, რომლითაც მხარე სარგებლობს სისხლის სამართალწარმოების პროცესში. მიუხედავად ამისა, ცალკეული საპროცესო გადაწყვეტილების მიღებისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პროცესის მწარმოებელ პირებს დაზარალებულის ინფორმირებას ავალდებულებს.

რაც შეეხება დაზარალებულის უფლებებს საპროცესო შეთანხმების დადების პროცესში, აღსანიშნავია, რომ დაზარალებულს არ აქვს საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების უფლება. თუმცა, საპროცესო შეთანხმება მას არ ართმევს უფლებას, შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი. საპროცესო შეთანხმების დადებისას დაზარალებულის მონაწილეობა მინიმალურია და შემოიფარგლება პროკურორის ვალდებულებით, კონსულტაცია გაიაროს მასთან. კერძოდ, საქ. სსსკ 217-ე მუხლის მიხედვით, პროკურორი ვალდებულია საპროცესო შეთანხმების დადებამდე დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია, რისი მიზანიც საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე დაზარალებულის პოზიციის გარკვევაა. მართალია, დაზარალებულის უარი სამართლებრივად არ აბრკოლებს საპროცესო შეთანხმების დადებას, მაგრამ მის პოზიციას დიდი მნიშვნელობა აქვს პროკურორისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განსაკუთრებით ისეთ სისხლის სამართლის საქმეებზე, სადაც დაზარალებულს მიადგა ფიზიკური ან მატერიალური ზიანი, რომელიც არ არის ანაზღაურებული.

საქართველოსაგან განსხვავებით, მაგ., სლოვაკეთში საპროცესო შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკების პროცესში ბრალდებულთან და პროკურორთან ერთად მონაწილეობს დაზარალებულიც. აშშ-ში დაზარალებულს უფლება აქვს წერილობით წარადგინოს ხედვა მოსამართლის წინაშე საპროცესო შეთანხმების შესახებ, რასაც მოსამართლე აუცილებლად გაითვალისწინებს. ინდოეთის კანონმდებლობის მიხედვით კი, სასამართლო არ დამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას, თუ დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი არ იქნება ანაზღაურებული.<sup>22</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილი დაზარალებულს უფლებას ანიჭებს სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას სასამართლოს წერილობით ან სასამართლო სხდომაზე მოსამართლეს ზეპირად მიანოდოს ინფორმაცია იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიადგა. თუმცა, აღნიშნული

<sup>22</sup> ავტორთა ჯგუფი, საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, 2017წ., გვ. 564-565.

ინფორმაციის მინოდება რაიმე გავლენას საპროცესო შეთანხმების დამტკიცების პროცესზე არ ახდენს და ამ მექანიზმს დაზარალებულისათვის სასურველი შედეგის მოტანა არ შეუძლია. დაზარალებულს უფლება არ აქვს სისხლის სამართალწარმოების წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და მან ამგვარი მოთხოვნით სამოქალაქო სარჩელით უნდა მიმართოს სასამართლოს. შესაბამისად, კონკრეტული მიზნის გარეშე დაზარალებულის მიერ მოსამართლისათვის ზიანის შესახებ ინფორმაციის მინოდებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს. სასურველია, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის ისეთ დანაშაულთა საქმეებზე, სადაც დაზარალებულს მიადგა ფიზიკური ან მატერიალური ზიანი, რომელიც ანაზღაურებადი არ არის, კანონმდებლობამ საპროცესო შეთანხმების სავალდებულო პირობად, ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარებასთან ერთად გაითვალისწინოს მის მიერ ზიანის ანაზღაურება.

რაც შეეხება საქ. სსსკ 210-ე მუხლის 1<sup>3</sup> ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევას, როცა მთავარ პროკურორს ან მის მოადგილეს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების შესახებ, დაზარალებულს უნარჩუნდება უფლება სახელმწიფოს მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება.

#### **4. ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება და თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვა**

საქ. სსსკ-ის 218-ე მუხლით გათვალისწინებულია საპროცესო შეთანხმების განსაკუთრებული შემთხვევა, რომელიც იძლევა ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების ან მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის შესაძლებლობას. აღნიშნულის თაობაზე შუამდგომლობის დაყენება მხოლოდ მთავარი პროკურორის უფლებამოსილებაა. ჩვეულებრივი საპროცესო შეთანხმებისაგან განსხვავებით, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია გარკვეული წინაპირობების არსებობა, კერძოდ:

განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს მთავარ პროკურორს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების ან მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის თაობაზე, თუ: ბრალდებულის/მსჯავრდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად ირკვევა დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირის ვინაობა ან/და მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით იქმნება ამ დანაშაულის გახსნისთვის არსებითი პირობები.

ასეთი შუამდგომლობის საფუძველია ბრალდებულსა/მსჯავრდებულსა და საქართველოს მთავარ პროკურორს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი შეთანხმება იდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის გახსნა ერთმნიშვნელოვნად განპირობებულია აღნიშნული თანამშრომლობით და ამ დანაშაულის გახსნის საჯარო ინტერესი აღემატება პირის პასუხისმგებაში მიცემის, მისთვის სასჯელის დაკისრების ან მის მიერ სასჯელის მოხდის ინტერესს.

თუ ჩვეულებრივ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების გაფორმების წინაპირობაა ბრალის აღიარება, პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების ან სასჯელის გადახედვის შემთხვევაში, ბრალის აღიარება აუცილებელი არ არის და საკმარისია მხოლოდ ზემოთ მითითებული წინაპირობების დაკმაყოფილება.

ვინაიდან, საპროცესო შეთანხმება განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ ბრალდებულს/მსჯავრდებულს განსაკუთრებულ საპროცესო შეღავათებს სთავაზობს, საქართველოს მთავარმა პროკურორმა ასეთი შეთანხმების დადებისას უნდა გაითვალისწინოს საჯარო ინტერესი, რომელსაც იგი სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტების, ჩადენილი დანაშაულისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის, დანაშაულის ხასიათის, ბრალეულობის ხარისხის, ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროების, პიროვნული მახასიათებლების, ნასამართლობის, გამოძიე-

ბასთან თანამშრომლობისა და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ბრალდებულის ქცევის მიხედვით განსაზღვრავს. თუ საპროცესო შეთანხმება განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ მსჯავრდებულთან იდება, საჯარო ინტერესის განსაზღვრისას ზემოაღნიშნულ გარემოებებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნეს აგრეთვე სასჯელის მოუხდელი ვადა.

განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერი დანაშაულის საქმეზე, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 144<sup>1</sup>–144<sup>3</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა (წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) საქმეებისა.

## 5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებრივ გარატიბთან შეთავსებადობის მხრივ მნიშვნელოვანია ამ საპროცესო ინსტიტუტის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზი. აქედან გამომდინარე, ორი კონკრეტული საქმის მაგალითზე ქვემოთ მიმოვიხილავთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან და პრაქტიკაში მის რეალიზებასთან დაკავშირებით:

საქმეში ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპული სისხლის სამართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელია, რომ ბრალდებულმა მიიღოს მსუბუქი სასჯელი ან სასჯელისაგან გათავისუფლდეს დანაშაულის აღიარების ან გამოძიებასთან თანამშრომლობის გამო. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი კონვენციის მოთხოვნებთან შეუსაბამო არ არის. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საპროცესო შეთანხმება შეიძლება წარმოადგენდეს კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან საშუალებას; რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს სწრაფი მართლმსაჯულება, გამოყენებული იქნეს მსუბუქი სასჯელები და შემცირდეს პატიმართა რაოდენობა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ზოგიერთ საპროცესო უფლებაზე უარის თქმით, სისხლის სამართალწარმოების შემცირება ხდება. აღნიშნული არ შეიძლება დარღვევად ჩაითვალოს კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად. სასამართლომ შენიშნა, რომ ჯერ კიდევ 1987 წელს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის წარმომადგენლებმა მოუწოდეს წევრ სახელმწიფოებს, დაენერგათ გამარტივებული სამართალწარმოება. თუმცა, იმისათვის, რომ უფლებაზე უარის თქმა, კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, ეფექტიანი იყოს, აუცილებელია, აღნიშნული განხორციელდეს აშკარა ფორმით და ასევე, უზრუნველყოფილი იყოს მინიმალური დაცვის გარანტიები. დამატებით, უფლებებზე უარის თქმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საჯარო ინტერესს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სასჯელზე შეთანხმებით პირველმა განმცხადებელმა უარი განაცხადა საქმის არსებითად განხილვის უფლებაზე. თუმცა ასეთი უარის საფუძველიანობაზე ზემოთ აღნიშნული პრინციპები ანალოგიის საფუძველზე უნდა იქნეს გამოყენებული და განმცხადებლის გადაწყვეტილება, გაეფორმებინა საპროცესო შეთანხმება, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: (1) განმცხადებელს საპროცესო შეთანხმებაზე თანხმობა ნებაყოფლობით უნდა განეცხადებინა და გაცნობოდა საქმის მასალებს სრულად და (2) სასამართლოს მხრიდან ჯეროვნად უნდა შემოწმებულიყო მხარებს შორის მიღწეული შეთანხმების და მოლაპარაკების სამართლიანობა.

ამასთან დაკავშირებით, უპირველესად სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველმა განმცხადებელმა თავად მიმართა პროკურატურას საპროცესო შეთანხმების დადების მიზნით. სხვა სიტყვებში

ბით რომ ითქვას, ინიციატივა პირადად მისგან მომდინარეობდა და პროკურატურის მხრიდან ადგილი არ ჰქონია ძალდატანებას. განმცხადებელმა ნათლად გამოხატა სურვილი, აენაზღაურებინა მის მიერ მიყენებული ზიანი. საქმის მასალები ბევრად ადრე, 2004 წლის 1 აგვისტოს გადაეცა. სასამართლომ შენიშნა, რომ პირველი განმცხადებელი წარმოდგენილი იყო ორი არჩეული დამცველის მიერ. ერთ-ერთი მათგანი განმცხადებლის დაცვას სისხლის სამართლის საქმის დასაწყისიდანვე ახორციელებდა და მონაწილეობდა მის დაკითხვაში. ორივე დამცველმა უზრუნველყო განმცხადებელი საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით სათანადო კონსულტაციით და ასევე, ორივე მონაწილეობდა სასამართლო განხილვაში. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2004 წლის 10 სექტემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ განმცხადებელსა და მის ადვოკატებს გამოჰკითხა, ხომ არ დაექვემდებარა განმცხადებელი იძულებას ან სხვა უკანონო ქმედებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელმა ნათლად დააფიქსირა თავისი პოზიცია, კერძოდ: რომ აცნობიერებდა საპროცესო შეთანხმების პირობებს, მის მნიშვნელობას და სამართლებრივ შედეგებს და აღნიშნული საპროცესო შეთანხმება იძულების ან სხვა რაიმე უკანონო ქმედების შედეგი არ ყოფილა.

სასამართლომ შენიშნა, რომ პირველ განმცხადებელსა და პროკურატურას შორის მიღწეული შეთანხმება დოკუმენტალურად დაფიქსირდა, მასზე ხელი პროკურორმა, განმცხადებელმა და მისმა ადვოკატებმა მოაწერეს და გადაწყვეტილების მისაღებად სასამართლოს გადაეცა. სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული მნიშვნელოვანი ფაქტორია იმდენად, რამდენაც მიღწეული შეთანხმების ყველა პირობა სასამართლო გადასინჯვას დაექვემდებარა.

საპროცესო შეთანხმების ჯეროვანი სასამართლო კონტროლის მიზნით, სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ შიდა კანონმდებლობის მიხედვით სასამართლო არ იყო შეზღუდული საპროცესო შეთანხმების პირობებით. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, სასამართლოს შეეძლო უარი ეთქვა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე, თუკი მიიჩნევდა, რომ საპროცესო შეთანხმების პირობები ან მისი დადების პროცედურა კანონის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა (ან უსამართლო იყო). სასამართლოს უფლება ჰქონდა, არა მხოლოდ შეეფასებინა პროკურატურის მიერ შემოთავაზებული სასჯელი, არამედ შეემცირებინა კიდეც (1998 წლის სსსკ-ის მუხლი 679<sup>4</sup>-ე, ნან. 1, 3, 4, 6). სასამართლომ შენიშნა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლომ საპროცესო შეთანხმებაში პროკურატურის როლის ჯეროვანი შეფასებისათვის, სასამართლო კონტროლის მიზნებიდან გამომდინარე, გამოიძია, იყო თუ არა განმცხადებლის მიმართ წარდგენილი ბრალდება მტკიცებულებებით გამყარებული (მუხლი 679<sup>4</sup>-ე, ნან. 5). ის ფაქტი, რომ აღნიშნული გარემოებები ღია სასამართლო სხდომაზე იქნა გამოკვლეული საქ. სსსკ-ის 679<sup>3</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მნიშვნელოვანია ჯეროვანი, ეფექტიანი სასამართლო შემოწმების თვალსაზრისით.

და ბოლოს, პირველი განმცხადებლის საჩივარის გამო მე-7 დამატებითი ოქმის მეორე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ნორმალურია, გასაჩივრების უფლება შეიზღუდოს საპროცესო შეთანხმებიდან გამომდინარე. რადგან ბრალდებული უარს ამბობს საქმის არსებითად განხილვაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ საპროცესო შეთანხმების დადებაზე თანხმობის განცხადებით პირველმა განმცხადებელმა დათმო თავისი უფლებები საქმის არსებითად განხილვისა და გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გადასინჯვის თაობაზე. ეს საპროცესო შეთანხმების ჩვეული შედეგია, რაც ნათლად არის ჩამოყალიბებული კანონმდებლობაში (მუხლი 679<sup>7</sup>-ე, ნან. 2). განმცხადებელს აღნიშნული მისმა ადვოკატებმა განუმარტეს, ან უნდა განემარტათ მისთვის. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლოს მსჯელობის ანალოგიით გამოყენებით სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრების უფლების შეზღუდვა თვითნებური არ ყოფილა და არ ეწინააღმდეგებოდა მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებით განმცხადებელმა უარი თქვა საქმის არსებითად განხილვაზე და გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე, რაც გაცნობიერებული და ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება

იყო. საქმის გარემოებების გათვალისწინებით, აღნიშნული გადაწყვეტილება ძალადობის ან სხვა რაიმე უკანონო ქმედების შედეგი არ ყოფილა. არ დგინდება ის, რომ უფლებაზე უარის თქმა საჯარო ინტერესს ეწინააღმდეგებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი და მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი.<sup>23</sup>

საქმეში დევერი ბელგიის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტის მიმართ სისხლის სამართალწარმოება დაიწყო ისე, რომ მას ბრალდებულის სტატუსი მინიჭებული არ ჰქონია. არც მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ მიუღია რაიმე შეტყობინება. განმცხადებელს მოქმედების რამდენიმე ვარიანტი შესთავაზეს და მას უნდა აერჩია შესაბამისი სამომავლო პროცედურები. აპლიკანტმა აირჩია თანხის გადახდა სისხლისსამართლებრივი დევნისგან თავის დაღწევის მიზნით. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, პროკურორი მომჩივანს არწმუნებდა არ მიემართა სასამართლოსთვის და გამოეყენებინა საპროცესო შეთანხმება, რითაც თავიდან აიცილებდა ხანგრძლივ სამართალწარმოებებს და უფრო მძიმე სასჯელს. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აპლიკანტის საჩივრის ძირითადი მოტივი იყო იძულებით საპროცესო შეთანხმების გაფორმება, რომელიც გამოუვალი მდგომარეობის გამო იქნა გაფორმებული მის მიერ. ამას გარდა, განმცხადებელმა გადაიხდა 10,000 ბელგიური ფრანკი, როცა ეროვნული აქტის მიხედვით – ჯარიმა განსაზღვრული იყო 3.000-30.000.000 ბელგიური ფრანკის ფარგლებში. ამ ორი თანხის ოდენობას შორის არსებული არაპროპორციული სხვაობა კიდევ უფრო დიდ ზენოლას ახდენდა განმცხადებელზე დაედო საპროცესო შეთანხმება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმება ბელგიის პრაქტიკაში შემდეგნაირი იყო: „ბ-ნი დევერის უარი სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე, რომელიც კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების უზრუნველყოფას გულისხმობდა, ზენოლით იყო განპირობებული“. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტს სრულებით ნაერთვა სამართლიანი სასამართლოს უფლება, რადგან „ზენოლის ქვეშ, მან უარი განაცხადა მის უფლებაზე“. სტრასბურგის სასამართლომ ერთხმად დაასკვნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი.<sup>24</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევროსასამართლო საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან დაკავშირებულ საჩივრებს ძირითადად კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) ფარგლებში განიხილავს. ზემოთ განხილულ საქმეებში სტრასბურგის სასამართლოს დასკვნა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ საპროცესო შეთანხმება თავისთავად წინააღმდეგობაში არ მოდის კონვენციით და მისი დამატებითი ოქმებით გარანტირებულ უფლებებთან და შეესაბამება მათ. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო შეთანხმებით მართლმსაჯულება უფრო სწრაფი ხდება და პატიმართა რაოდენობა კლებულობს, იგი ხორციელდება მსჯავრდებულთა გარკვეული საპროცესო უფლებების ნებაყოფლობით შეკვეცის ხარჯზე, თუმცა, უმნიშვნელოვანესია, რომ გარკვეული მინიმალური საპროცესო გარანტიები იყოს უზრუნველყოფილი, რათა სამართლიანი სასამართლოს უფლება არ დაირღვეს.

## დასკვნა

საქართველოში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გამოყენების თავისებურებებისა და ამ მიმართებით ქართული კანონმდებლობის მიმოხილვის შედეგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საპროცესო შეთანხმებას გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. კერძოდ: საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გამოყენება უზრუნველყოფს სასამართლო

<sup>23</sup> CASE OF NATSVLISHVILI AND TOGONIDZE v. GEORGIA, (Application no. 9043/05; 24.04.2014).

<sup>24</sup> CASE OF DEWEER v. BELGIUM (Application no. 6903/75; 27.02.1980).



---

ხარჯების შემცირებას, აჩქარებს საქმის გადაწყვეტას, ამცირებს საქმეთა რაოდენობას და ხელს უწყობს დამნაშავეთა მართლმსაჯულების წინაშე წარდგომას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი არ არის მხოლოდ დადებითი მხარეებით მოცული. მისი გამოყენებისას შეიძლება წარმოიშვას „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით“ აღიარებული და გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევის საფრთხე, რისი თავიდან აცილებაც უნდა უზრუნველყოს საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განმხილველმა სასამართლომ, რომელიც უნდა იყოს გარანტი იმისა, რომ საპროცესო შეთანხმებით ზიანი არ მიადგება ბრალდებულის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

## ადევნების დასჯადობის ლეგიტიმაცია

ნათია მერებაშვილი

საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო  
საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების  
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ივანე ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

### შესავალი

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისთვის მნიშვნელოვანი სიახლეა ადევნების კრიმინალიზაცია. სისხლის სამართლის კოდექსის 151<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს ქართული კანონმდებლობა არ იცნობდა და აღნიშნული ქმედებაც კანონდარღვევად არ განიხილებოდა.

ადევნება ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა. თავად ტერმინი „სტალკინგი“ (ინგ.: „Stalking“), მისი ამჟამინდელი კონტექსტით, შედარებით ახალი ტერმინია, თუმცა, იგი, როგორც ქცევის ფორმა, დიდი ხნის წინ გახდა ცნობილი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისთვის. ადევნების ლეგალური დეფინიცია განსხვავდება და ქმედების ერთიანი განმარტება არ არსებობს, ქმედებათა ერთობლიობა, რომელსაც ეს დანაშაული ფარავს, მაინც მსგავსია სხვადასხვა იურისდიქციებში.<sup>1</sup>

ყველაზე გავრცელებული განმარტებით, ადევნება ეს არის პირის ბოროტადგანზრახული და განმეორებადი დევნა და შევიწროვება, რომელიც ემუქრება მის უსაფრთხოებას.<sup>2</sup>

ადევნება განიხილება, როგორც ერთ-ერთი სერიოზული სოციალური პრობლემა. დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობამ მიიღო ადევნების საწინააღმდეგო კანონები, თუმცა, ადევნების ბუნება, გავრცელება და შედეგები ჯერ კიდევ შესწავლის საგანია. დავის საგანია როგორია ადევნების საუკეთესო კონცეპტუალიზაცია და იმის გაგება, თუ რა მიზეზით ახორციელებენ მადევრები იმ ობიექტის დევნას, რომლისთვისაც მისი ყურადღება არასასურველია. დიდია იმ პირთა რიცხვი, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში არიან ადევნების მსხვერპლნი და მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ზიანის განცდასთან ერთად, არიან ფიზიკური თუ სექსუალური თავდასხმის რისკის ქვეშ.<sup>3</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, ლიტერატურაში არსებობს ადევნების მრავალი განმარტება. ერთ-ერთი განმარტებით, ადევნება ეს არის „პათოლოგიური ან ხანგრძლივი მუქარის ან შევიწროვების ნიმუში, რომელიც მიმართულია კონკრეტულ ინდივიდზე“.<sup>4</sup>

ადევნება რომ სერიოზული საფრთხის შემცველი დანაშაულია, ამას არაერთი კვლევა ადასტურებს. მაგალითად, ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ინტიმური პარტნიორის მხრიდან მკვლელობის მსხვერპლთა უმრავლესობა ქალია, მათ შორის 9-ჯერ მეტია იმ ქალთა რაოდენობა, რომელიც მოკლულია პარტნიორის მიერ იმ ქალთა რაოდენობაზე, რომელიც მოკლულია ქმრის მიერ. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოკლულ ქალთაგან 30-დან 50%-მდე მოკლულია მოქმედი ან ყოფილი

<sup>1</sup> *Pathe M., Surviving Stalking, Cambridge, 2002.*

<sup>2</sup> *Meloy J.R., Stalking, An old behavior, a new crime, Forensic Psychiatry, 0193-953X, Volume 22, number 1, 1999, 85.*

<sup>3</sup> *Mullen P.E., Pathe, M., Stalking, Crime and Justice, Vol. 29(2002), 273.*

<sup>4</sup> *Meloy J.R., Gothard S., Demographic and clinical comparison of obsessional followers and offenders with mental disorders, the American journal of psychiatry; Vol 152 (1995), 259.*

ინტიმური პარტნიორის მიერ. მოკლულთა 20% არის 15-დან 24 წლამდე, მკვლელობის ფაქტებს 75% შემთხვევაში ჰქონდა ოჯახური ძალადობის გამოცდილება. მათ შორის, მოძალადეთა უმრავლესობა დევნიდა დაზარალებულს. შესაბამისად, ადევნება არის არა მხოლოდ შემანუხებელი ან მუქარის შემცველი მოქმედება, არამედ ბევრ შემთხვევაში იგი არის მკვლელობის მაუწყებელი.<sup>5</sup>

საქართველოს სახელმწიფომ საჭიროდ მიიჩნია ადევნების კრიმინალიზაცია. თუმცა, არსებობს ევროსაბჭოს ქვეყნები, სადაც ადევნება არ არის კრიმინალიზებული.

ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენციას „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (სტამბულის კონვენცია) საქართველოს მიერ ხელი მოეწერა 2014 წლის 19 ივნისს, რის შემდეგაც საქართველოს კანონმდებლობა სტამბულის კონვენციის ნორმებთან შესაბამისობაშია. საქართველოში ამოქმედებული ახალი საკანონმდებლო ნორმები მიზნად ისახავს ძალადობის მსხვერპლი ქალების დაცვის მექანიზმის გაძლიერებას, როგორც ოჯახში, ისე ოჯახს გარეთ. სტამბულის კონვენცია ეხება ძალადობის სხვადასხვა ფორმას, მათ შორის, ადევნებას და ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს მეორე პირის მიმართ მრავალჯერადი მუქარის შემცველი ქცევით გამოხატული წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც მასში საფრთხის შიშს იწვევს.

2017 წლის 4 მაისს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, კერძოდ, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, დანაშაულად გამოცხადდა ადევნება (სისხლის სამართლის კოდექსის 151<sup>1</sup>-ე მუხლი). დასჯადი გახდა პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძველიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის.

ადევნებისთვის განსაზღვრული სანქციის მიხედვით, ქმედება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას წარმოადგენს და სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე ვადით. იმავე ქმედების ჩადენა დამნაშავესთვის წინასწარ შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის და ორსული ქალის მიმართ, ასევე ჯგუფურად, არაერთგზის ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისევე თავისუფლების აღკვეთით ორიდან ხუთ წლამდე ვადით.

ამ ქმედების კრიმინალიზებით, სამართლებრივად დაცულია ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე, რაც გულისხმობს ადამიანის თავისუფლებას, დაცულობას, უსაფრთხოებას ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვინაიდან ადევნება უნდა განვიხილოთ ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმად, როდესაც მსხვერპლს უჩნდება შიში მოძალადის, ერთი შეხედვით მარტივი, თუმცა, გადაკიდებული და სისტემატური ქმედების გამო.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა და სკეპტიკური დამოკიდებულებები ამ ქმედების კრიმინალიზებაზე მსჯელობისას, პირველი დღიდანვე ამოქმედებულმა ნორმამ და განაჩენით დასრულებულმა საქმეებმა, რაზეც მოგვიანებით იქნება საუბარი, ცხადყო ქმედების საკანონმდებლო რეგულაციის აუცილებლობა. სტატიაში განხილული იქნება ამ ქმედების კრიმინალიზაციის მოკლე ისტორიული ექსკურსი, კანონმდებლობები, სადაც კრიმინალიზებულია ადევნება, ამ ქმედების ელემენტები საქართველოს კანონმდებლობით და არსებული სასამართლო პრაქტიკა.

<sup>5</sup> Lawson D.M., *Family Violence: Explanations and evidence-based clinical practice*, 2013, 169.

## 1. ისტორიული ექსკურსი

ტერმინს „სტალკი“ (ინგ. „Stalk“), დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა „უკან გაყოლის“ და „მიპარებით, ქურდულად სიარულის“ მნიშვნელობა. გვიან 1980-იანებში მედიაში „სტალკინგი“ და „სტალკერი“ გამოყენებულია იმ მნიშვნელობით, როგორც ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც დაჟინებულად დაყვებოდნენ უკან სხვებს და იჭრებოდნენ სხვის პირად სივრცეში. მოგვიანებით, მედიამ აღნიშნული ტერმინი დააკავშირა ძალადობასთან. აღნიშნულის ერთ-ერთი ადრეული მაგალითი იყო ცნობილი ამერიკელი მსახიობის – რებეკა შეფერის დაჟინებული დევნა მისი ფანის მიერ და მოგვიანებით – მისი მკვლელობა. ამის შემდეგ ადევნება მედია ნეოლოგიზმიდან სწრაფად გარდაიქმნა სოციალურ პრობლემად და დანაშაულის კონკრეტულ ფორმად. აღნიშნული მკვლელობა აღმოჩნდა ადევნების საწინააღმდეგო კანონმდებლობის შემუშავების იმპულსი ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ – კალიფორნიის შტატში. მსახიობის სიკვდილი საზოგადოების გამოძახილისა და მედიის სახელმწიფოზე ზეწოლის მიზეზი გახდა, რათა შექმნილიყო კანონები, რომლებიც ამგვარი ქმედების კონტროლს მოახდენდა. საზოგადოების ზეწოლამ კულმინაციას მიაღწია პირველი ადევნების საწინააღმდეგო კანონის მიღებით კალიფორნიის შტატში, რომელიც ძალაში შევიდა 1991 წლის 1 იანვარს.<sup>6</sup>

სხვა ამერიკულმა შტატებმაც მიბაძეს კალიფორნიას და სამი წლის შემდეგ ყველა შტატს ჰქონდა სპეციალური ადევნების საწინააღმდეგო კანონები. კალიფორნია სხვა ქვეყნებისთვისაც გახდა შთაგონების წყარო, მაგალითად, ავსტრალიისა და კანადისათვის, რომელთაც მოახდინეს ადევნების კრიმინალიზაცია.<sup>7</sup>

ევროპის კავშირის მრავალ წევრ სახელმწიფოში ადევნების საკანონმდებლო რეგულაციის იდეა წინააღმდეგობებს წააწყდა და შედეგად, დიდი ხნის განმავლობაში ამ ქვეყნებში არ არსებობდა ადევნების საწინააღმდეგო მარეგულირებელი ნაციონალური კანონმდებლობა. 2007 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, ევროკავშირის მხოლოდ 8 წევრს ქვეყანას ჰქონდა ასახული შიდა კანონმდებლობაში ადევნების საწინააღმდეგო ნორმები. დანარჩენ ქვეყნებში მიიჩნეოდა, რომ არ იყო ამგვარი რეგულაციების მიღების საჭიროება, ვინაიდან ადევნება არ იყო აღიარებული სოციალურ პრობლემად და საკითხი არ იყო სამსჯელოდ გამოტანილი საზოგადოებაში. მეორე მიზეზი, რის გამოც ქვეყნებმა დიდი ხნის განმავლობაში თქვეს უარი ადევნების კრიმინალიზებაზე იყო ის, რომ არსებული დანაშაულები, როგორიცაა თავდასხმა, მუქარა თუ იძულება მოიცავდა ადევნების ნიშნების შემცველ ქმედებას და მათი არსებობა კოდექსებში უზრუნველყოფდა მსხვერპლთა დაცვას.<sup>8</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც იმავე მიზეზების გამო არ იყო დანაშაულად აღიარებული ადევნება და მაშინაც, კი როდესაც განიხილებოდა ადევნების საკანონმდებლო რეგულაციის აუცილებლობის საკითხი, თემის მიმართ დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა სკეპტიკური განწყობა და აზრთა სხვადასხვაობა.

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის ძალაში შესვლა მნიშვნელოვანი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი საკანონმდებლო ცვლილებების განმაპირობებელი გახდა იმ ქვეყნებში, სადაც არ იყო კრიმინალიზებული ადევნება, რომელმაც წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა მიეღოთ ყველა საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობით დანაშაულად ჩაითვალოს მეორე პირის მიმართ მრავალჯერადი მუქარის შემცველი ქცევით გამოხატული წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც მასში საფრთხის შიშს იწვევს.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, ევროკავშირის წევრ იმ ქვეყანათა რაოდენობა, სადაც

<sup>6</sup> Mullen, P.E., Pathe M., *Stalking, Crime and Justice*, Vol. 29(2002), 273, 274.

<sup>7</sup> Aa S. van der., *New Trends in the Criminalization of Stalking in the EU Member States*, *Our J Crim Policy Res*, DOI 10.1007/s10610-017-9359-9, 2017, 1, 2.

<sup>8</sup> იქვე.

ადევნება კრიმინალიზებული იქნა, მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ დროისთვის, არანაკლებ 21 ქვეყანაში არსებობს ადევნების საწინააღმდეგო სისხლის სამართლის ნორმები. ის ქვეყნები, რომელთაც არ აქვთ ადევნება კრიმინალიზებული, არის: ბულგარეთი, ესტონეთი, დანია, საბერძნეთი, ლატვია, ლიტვა და კვიპროსი.

საინტერესოა, რომ დანიაში ჯერ კიდევ 1933 წლიდან იყო კრიმინალიზებული ადევნება, რომელიც გამოხატული იყო შემდეგი ფორმით: „პირი, რომელიც, პოლიციის გაფრთხილებათა მიუხედავად, დაარღვევს სხვა ადამიანის სიმშვიდეს მასზე გადაკიდებით, მისი დევნით, წერილების მეშვეობით ან ნებისიერი მსგავსი ხერხით მის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებით, პასუხის აგებს ჯარით ან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით“. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ნორმა ამოღებულია დანიის სისხლის სამართლის კოდექსიდან და ქმედება გადატანილია ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში.<sup>9</sup>

## 2. ადევნების სუბიექტი

როგორც კვლევები ცხაყოფს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ადევნების ოთხიდან სამი მსხვერპლი ნაცნობის მხრიდანაა ადევნების ობიექტი. ქალების 81% ადევნების და შემდეგ ფიზიკური ძალადობის ობიექტი ხდება მოქმედი ან ყოფილი ინტიმური პარტნიორის მხრიდან.<sup>10</sup>

ადევნების სუბიექტი განხილულია, როგორც საშიში პერსონა, რომელიც არის შემანუხებელი და არაპროგნოზირებადი.<sup>11</sup>

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტიპური მდევნელი ეს არის დაუსაქმებელი მამაკაცი, მისი ცხოვრების მეოთხე დეკადაში, რომელიც არის მარტოხელა ან განქორწინებული და აქვს კრიმინალური, ფსიქიატრიული ან ნარკოტიკზე დამოკიდებულების წარსული გამოცდილებები.<sup>12</sup>

მდევნელთა კლასიფიცირება პირველად 1993 წელს მოხდა და მდევნელები დაიყო სამ ძირითად ჯგუფად. პირველი კატეგორია არის ეროტომანები (რომლებსაც ბოდვითი აშლილობის გამო, აბსოლუტურად სჯერათ, რომ მსხვერპლს უყვართ, მიუხედავად იმისა, რომ მასთან არც ჰქონიათ ურთიერთობა), სიყვარულით აკვიატებულები და უბრალოდ აკვიატებულები.<sup>13</sup>

სხვები ასხვავებენ ძალადობის გარეშე მოქმედ და მოძალადე მდევნელებს. მოძალადე მდევნელებს ძალადობის გარეშე მოქმედ მდევნელებთან შედარებით, უფრო ხშირად აქვთ წინარე ურთიერთობა მსხვერპლებთან.<sup>14</sup>

სამართალდამცავთა პერსპექტივიდან, ლიტერატურაში არსებობს მდევნელთა დაყოფა მოტივაციის მიხედვით: მსხვერპლზე დამოკიდებული „მინებებული“ მდევნელები, იდენტობის მაძიებელი, უარყოფილი მდევნელები, წარმოსახვაზე დამოკიდებული – ბოდვითი მდევნელები.<sup>15</sup>

ლიტერატურაში განხილულია მდევნელების კიდევ რამდენიმე ტიპი:

1) ჩვეულებრივი დამნაშავეები – კვლევამ აჩვენა, რომ 346 მამაკაცი მდევნელიდან 27,4% იყო ჩვეულებრივი დამნაშავე, წინარე ნასამართლობის ისტორიებით, მაგალითად: ნარკოტიკების მომხმარებლები, სამართალდამცავთათვის წინააღმდეგობის გამწვანე და სხვა ანტისოციალური ქცევის მატარებელი. ასეთი კატეგორიის მდევნელები სერიოზულ ოჯახურ დანაშაულში ან ადევნებაში ერთვებიან და ხშირად განიხილებიან როგორც მაკონტროლებელი, შემაშინებელი, იმპულსური და მანიპულატორული.

<sup>9</sup> Aa S. van der., *New Trends in the Criminalization of Stalking in the EU Member States*, *Our J Crim Policy Res*, DOI 10.1007/s10610-017-9359-9, 2017, 5, 6.

<sup>10</sup> *Tribal Legal Code Resource: Sexual Assault and Stalking Laws. Guide for drafting or revising Victim-Centered Tribal Laws against sexual assault and stalking*, 2012, 9.

<sup>11</sup> Mullen P.E./Pathe M./Purcell R. *Stalkers and their victims*, Cambridge, 2000, 5.

<sup>12</sup> Meloy J.R., *Stalking, An old behavior, a new crime*, *Forensic Psychiatry*, 0193-953X, Volume 22, number 1, 1999, 86.

<sup>13</sup> Mullen P.E., Pathe M., *Stalking, Crime and Justice*, Vol. 29(2002), 279.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 282.

<sup>15</sup> იქვე.

2) დაბალი თვითშეფასების მქონენი, რომლებიც მომეტებული სენსიტიურობით რეაგირებენ უარყოფაზე და ხდებიან აგრესიულნი რომანტიული პარტნიორის მხრიდან უარყოფისას. მათ შესაძლოა საკუთარი უსუსურობის შეგრძნების კომპენსირება მოახდინონ პარტნიორის მიმართ ძალადობით.

3) ტრადიციული მამაკაცური დამოკიდებულებების მქონენი.<sup>16</sup>

ერთ-ერთი კვლევით, რომელიც განხორციელდა 124 მდევენელთან, გამოიკვეთა მათი შემდეგი კატეგორიები:

1) ყოფილი პარტნიორი მდევენელები (50%), რომელთაც ახასიათებთ მრისხანება, სიძულვილი, რაც დაკავშირებულია მსხვერპლთან წარსულში არსებულ ურთიერთობასთან, რომელიც ხშირად უკავშირდებოდა ძალადობას.

2) ე.წ. „გაგიჟებით შეყვარებულები“ (18,5%), რომელთა კატეგორია დაყოფილია ორად – ახალგაზრდები და შუახნის ასაკისანი. მათი სამიზნე აღიქმება მათ მიერ, როგორც „შეყვარებული“ და არა მსხვერპლი, რომელთანაც აკავშირებს მხოლოდ ფანტაზია. ამ კატეგორიაში საფრთხის უფრო დაბალი რისკია.

3) ბოღვითი ფიქსაციის მქონე მდევენელები (15,3%), რომლებიც არიან საფრთხის შემცველნი და მათი ძირითადი სამიზნეები ხდებიან ორივე სქესის, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელი ადამიანები, ცნობილი ადამიანები და მიმზიდველი ადამიანები. მათ სჯერათ მსხვერპლებთან კავშირის არსებობის, მიუხედავად იმისა, რომ არ აქვთ მათთან რეალური კომუნიკაცია.

4) ზემოაღნიშნული კატეგორიის, ოღონდ ნაკლები საფრთხის შემცველი მდევენელები (15,3%), რომელთაც სჯერათ, რომ მსხვერპლს უნდა მასთან ურთიერთობა. მსხვერპლები ძირითადად არიან სხვადასხვა პროფესიის ქალი წარმომადგენლები.

5) სადისტი მდევენელები (12,9%), რომლებისთვისაც მსხვერპლი არის აკვიატებული სამიზნე და ნადირობის ობიექტი. მათთვის დამახასიათებელია მუქარაც და ძალადობაც.<sup>17</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151<sup>1</sup>-ე მუხლის სუბიექტი არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული პირი, რომელიც პირადად ან მესამე პირის მეშვეობით ახორციელებს უკანონო თვალთვალს ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარებას. კანონმდებელმა დასჯადად გამოაცხადა ჩამოთვლილი ქმედებების ჩადენა მესამე პირის მეშვეობითაც, მაგალითად, დაქირავებული პირის მეშვეობით.

როგორც ქართული პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რაზეც მოგვიანებით იქნება საუბარი, ადევნების სუბიექტებად ძირითადად მამრობითი სქესის პირები გვევლინებიან, რომლებიც უარყოფის გამო, ახორციელებენ ადევნებას ყოფილი მეუღლეების ან „სასიყვარულო ობიექტების“ მიმართ.

### 3. ადევნების მსხვერპლი

„მსხვერპლი ადევნების ცენტრალური ფიგურაა, ვინაიდან ადევნება, მისი არსით, არის მსხვერპლზე ორიენტირებული ფენომენი“.<sup>18</sup>

ადევნების დასჯადობის შემთხვევაში, თუ სამართლებრივი სიკეთე ადამიანის თავისუფლება, დაცულობა, უსაფრთხოებაა, როგორც იდეალური სოციალური ფასეულობები,<sup>19</sup> ქმედების ობიექტია ადამიანი – მსხვერპლი.

ადევნების მსხვერპლნი მეტწილად არიან ქალები. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყოველ თორმეტ ქალში ერთი – ადევნების მსხვერპლია.<sup>20</sup>

<sup>16</sup> Lawson D.M., *Family Violence; Explanations and evidence-based clinical practice*, 2013, 174.

<sup>17</sup> Boon J., Sheridan, L., *Stalking and Psychosexual Obsession*, 2002, 78.

<sup>18</sup> Mullen P.E., Pathe M., *Stalking, Crime and Justice*, Vol. 29(2002), 277.

<sup>19</sup> ვესელსი ი., ბოიკლე ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბ., 2010წ., გვ. 3.

<sup>20</sup> Tribal Legal Code Resource: *Sexual Assault and Stalking Laws. Guide for drafting or revising Victim-Centered Tribal Laws against sexual assault and stalking*, 2012, 91.

როგორც კვლევები აჩვენებს, 60-80% შემთხვევებში მსხვერპლნი ხდებიან ყოფილი პარტნიორების ან ნაცნობების მხრიდან.<sup>21</sup>

ერთ-ერთი ადრეული კვლევა, რომელიც ჩატარდა ადევნების მსხვერპლების შესახებ, არის ორმოცდაათი ჩიკაგოელი ქალის გამოკითხვა. ყველა მათგანი იყო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ ადევნების ობიექტი იმ მამაკაცთა მხრიდან, რომლებთანაც მანამდე ჰქონდათ ურთიერთობა ან იმ მამაკაცთა მხრიდან, რომელნიც სთხოვდნენ ურთიერთობის დაწყებას. ყველა მათგანის მიმართ შემანუხებელი ქცევა ხორციელდებოდა მინიმუმ ერთი თვის განმავლობაში. მათგან 14%-ს პაემანიც კი არასდროს ჰქონია მდევნელთან.<sup>22</sup>

ლიტერატურაში განხილულია ადევნების მსხვერპლთა კატეგორიები. ზოგადად ძალადობის მსხვერპლებს ხშირად ახასიათებთ დეპრესია, შფოთვა, სასონარკვეთა, დაბალი თვითშეფასება, ხოლო მათ შორის ადევნების მსხვერპლებს: ტრავმატიზება, არასტაბილურობის შეგრძნება, შიში, სირცხვილი, უნდობლობა, თვითდადანაშაულება, ფსიქოზი.<sup>23</sup>

ავსტრალიაში მსხვერპლთან მუშაობის შედეგად შემოთავაზებულია შემდეგი სახის კლასიფიკაცია:

ყოფილი ინტიმური პარტნიორები, ჩვეულებრივი ნაცნობები ან მეგობრები, გარკვეული პროფესიის ადამიანები, თანამშრომლები, უცნობები და ცნობილი, პოპულარული ხალხი.<sup>24</sup>

ადევნების მსხვერპლთა ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაცია შემდეგია:

ყოფილი პარტნიორები – ყველა კვლევა ადასტურებს, რომ ეს არის მსხვერპლთა ყველაზე გავრცელებული კატეგორია და შედგება ყოფილი მეუღლეებისაგან, ყოფილი სექსუალური პარტნიორებისაგან, წარსულში ერთად მცხოვრებ ადამიანთაგან. ამავე კატეგორიაში შედის ურთიერთობაც სექსუალური კონტაქტის გარეშე – ახლო მეგობრები და დიდი ხნის საქმიანი პარტნიორები. ასევე, შესაძლებელია იყოს მდევნელის შვილიც. ლიტერატურაში მოყვანილია მამის მიერ სრულწლოვანი ქალიშვილის ადევნების მაგალითი, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა დატოვა მშობლების საცხოვრებელი სახლი.

ყოფილ პარტნიორთა უმრავლესობა არის მდევრობითი სქესის. მათგან ნახევარს ადევნებამდე განცდილი გქონდა მდევნელთან ერთად ცხოვრების დროს მუქარა ან ძალადობა.<sup>25</sup>

მეორე კატეგორიაა მეგობრები და შემთხვევითი ნაცნობები. ადევნების მამაკაც მსხვერპლთა უმრავლესობა შედის ამ კატეგორიაში.

შემდეგი კატეგორიაა კონკრეტული პროფესიების ადამიანები. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ხშირად ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, ჯანდაცვის სპეციალისტები, სოციალური მუშაკები, იურისტები და მასწავლებლები არიან ადევნების მსხვერპლად გახდომის რისკის ქვეშ. ეს კი გამომდინარეობს იქიდან, რომ პროფესიონალები, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია მარტოსული თუ რაიმე პრობლემის მქონე ადამიანთა კონტაქტთან, ხშირად ხდებიან ინტერესის ობიექტი და მათ მიმართ სიბმათია ხშირად გარდაიქმნება რომანტიულ ინტერესად. ამ კატეგორიის მსხვერპლები თითქმის არ ხდებიან ძალადობის და თავდასხმის მსხვერპლნი, თუმცა არიან მუდმივი სატელეფონო ზარების, წერილების ადრესატები და სხვაგვარი შევიწროების ობიექტები.<sup>26</sup>

მსხვერპლთა მეოთხე კატეგორიაა ადევნების ობიექტნი ხდებიან სამსახურში – კოლეგის მხრიდან დაქვემდებარებულები – უფროსების მხრიდან ან თანაბარ პოზიციაზე მყოფი კოლეგის მხრიდან, ასევე, მომსახურების გამწვევ კომპანიაში – კლიენტის მხრიდან.<sup>27</sup>

მეხუთე კატეგორიაა უცნობები, რომლებსაც მდევნელთან არანაირი წინარე ისტორია არ აკავშირებთ. ამ კატეგორიაში ხშირად ხვდებიან ის მსხვერპლები, რომლებიც შესაძლოა მოგვიანებით

<sup>21</sup> Mullen P.E., Pathe M., *Stalking, Crime and Justice*, Vol. 29(2002), 288.

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23</sup> Lawson D.M., *Family Violence; Explanations and evidence-based clinical practice*, 2013, 174.

<sup>24</sup> Mullen P.E., Pathe M., *Stalking, Crime and Justice*, Vol. 29(2002), 290-295.

<sup>25</sup> Boon J., Sheridan, L., *Stalking and Psychosexual Obsession*, 2002, 5.

<sup>26</sup> იქვე, 6.

<sup>27</sup> იქვე.

გახდნენ სექსუალური ძალადობის ობიექტი მდევნელის მხრიდან და მათ შორის არიან როგორც ქალები და კაცები, ისე ბავშვები. ასეთი დაზარალებულნი შესაძლოა ადევნების ობიექტად არჩეულნი იქნენ მათ მიმართ მდევნელის მხრიდან გაჩენილი ფიზიკური მიზიდულობის ან მათი სოციალური სტატუსის გამო.

ბოლო კატეგორიაა ცნობილი ადამიანები, რომლებიც ცნობილი ხდებიან მასმედიის ან შოუბიზნესის სფეროდან, ასევე, სპორტის, პოლიტიკოსების, მწერლებისა და თუნდაც, სამეფო ოჯახების წარმომადგენლები. ნებისმიერი საჯარო ფიგურა პოტენციურად არის მდევნელის სამიზნე. ამავე დროს, ასეთი მსხვერპლნი ხშირად ხდებიან არაერთგზისი ადევნების ობიექტები.<sup>28</sup>

აქვე უნდა განვიხილოთ ცრუ-საჩივრები ადევნებაზე. როგორც კვლევა აჩვენებს, იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც ცრუ შეტყობინებით მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოს ადევნებაზე, საკმაოდ მცირეა (დაახლოებით 2%). როგორც ლიტერატურაშია განმარტებული, აღნიშნული ფენომენი მოდის „ცნობიერი თუ ქვეცნობიერი სურვილიდან, იყოს მსხვერპლის როლში“. ცრუ შეტყობინებები ადევნებაზე განხილულია ხუთ კონტექსტში. პირველი, როდესაც თავად მდევნელი დაასწრებს მსხვერპლს და თავად დაადანაშაულებს ადევნებაში; მეორე, როდესაც მძიმე მენტალური დარღვევების მქონე ადამიანს აქვს ბოდვები, რომ არის ადევნების მსხვერპლი წარმოსახვითი მდევნელის მხრიდან. მესამე, როდესაც წინათ ადევნების მსხვერპლები არიან ჰიპერსენსიტიური რეციდივის მიმართ, ისე, რომ უწყინარ ქმედებებშიც ადევნება ეჩვენებათ; მეოთხე – ესაა ცრუ დაზარალებულები, რომლებიც სიმულირებენ, რათა გამოსცადონ მსხვერპლის როლი და მეხუთე – სიმულანტები, რომლებიც იგონებენ ადევნების ფაქტს, პერსონალური მიზნებისთვის, როგორცაა ფულადი კომპენსაცია ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავის არიდება.<sup>29</sup>

თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ადევნებაზე საჩივართა უმეტესობა არის ნამდვილი და საფუძვლიანი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151<sup>1</sup>-ე მუხლის დაზარალებული არის პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება უკანონო თვალთვალი ან არასასურველი კომუნიკაცია ან სხვა ნებისმიერი განზრახი ქმედება, რაც იწვევს მის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და საფუძვლიან შიშს მასში და ამავე დროს, აიძულებს მას შეიცვალოს ცხოვრების წესი ან უქმნის ამის რეალურ საჭიროებას. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა თუ მსხვერპლი არის არასრულწლოვანი, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან ორსული ქალი.

როგორც ქართული პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რაზეც მოგვიანებით იქნება საუბარი, ადევნების სუბიექტებიად ძირითადად ქალბატონები გვევლინებიან, რომლებიც არიან ადევნების ობიექტნი ყოფილი მეუღლეების ან „სასიყვარულო ობიექტების“ მხრიდან.

#### 4. ადევნების განხორციელების ფორმები

ზიანის მომტანი და დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებსაც ადევნება მოიცავს, ტრანს-ფორმირებულნი არიან იმ ქმედებიდან, რომელიც მიუღებელი და შეუფერებელია საზოგადოებაში იმ შიშისა და მღელვარების გამო, რომლებსაც ისინი წარმოშობენ მსხვერპლში. ბევრ იურისდიქციაში განმეორებადი კომუნიკაცია და შეჭრა პირად სივრცეში გადაიქცევა კრიმინალურ აქტად მაშინ, როდესაც ამგვარმა ქმედებებმა შესაძლოა გამოიწვიოს შიში და ტანჯვა და იწვევს კიდევ უფრო ზუსტად, გამყოფი ხაზი საზოგადოებრივად მიუღებელსა და დანაშაულებრივს შორის გადის მსხვერპლის დამოკიდებულებაზე, რეაქტიულობასა და ტოლერანტობაზე ამ ქმედების მიმართ. პრაქტიკულად, მდევნელი, რომელიც იპყრობს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ყურადღებას, არის იმ კატეგორიის, რომელიც იწვევს შიშს და სტრესს ყველასი თუ არა, უმეტესობა მსხვერპლების მაინც.<sup>30</sup>

<sup>28</sup> Boon J., Sheridan, L., *Stalking and Psychosexual Obsession*, 2002, 8.

<sup>29</sup> Mullen P.E., Pathe M., *Stalking, Crime and Justice*, Vol. 29(2002), 298.

<sup>30</sup> იქვე, 277.



მელი და გოთარდი განსაზღვრავდნენ ადევნებას, როგორც შემანუხებელ ადევნებას, მუქარი-სა და შევიწროვების არანორმალურ ან დიდხნიან ფორმას, მიმართულს კონკრეტული პიროვნების მიმართ. მოგვიანებით, მუქარა და შევიწროვება განიმარტა, როგორც არასასურველი, აშკარა დევნის ერთზე მეტი აქტი, რომელიც მსხვერპლის მიერ აღიქმება შემანუხებლად.<sup>31</sup>

როგორც სტამბულის კონვენცია განმარტავს, მუქარის გამომხატველი ქცევა შესაძლებელია გამოიხატებოდეს მრავალჯერად დევნაში, არასასურველი კომუნიკაციის დამყარებაში ან თვალთვალში, რომელიც შესამჩნევია ადევნების სუბიექტისთვის.

კვლევები აჩვენებს, რომ დაკვირვება, ანუ მუდმივი თვალთვალი და გაყოლა არის ადევნების ყველაზე გავრცელებული სახეები.

თუმცა, ბოლო ათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა ადევნების მეთოდები. დღესდღეობით ძალიან გავრცელებულია ადევნება თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინტერნეტ სივრცის გამოყენებით.<sup>32</sup>

ლიტერატურაში ადევნება განხილულია ასევე როგორც გაფრთხილება მომავალ ძალადობაზე. ადევნება არის ფსიქოლოგიური ზიანის მიზეზი და ვიქტიმიზაციის ფორმა.<sup>33</sup>

ჩვენი კანონმდებლობით, ადევნების განხორციელების ფორმები შემდეგია:

➤ უკანონო თვალთვალი, რომელიც შეიძლება გამოიხატოს დაზარალებულის გადაადგილებისას უკან გაყოლაში, როგორც ფეხით, ასევე ავტომანქანით, სახლთან თუ სამუშაო ადგილას დახვედრაში, მისი გადაადგილების ფარულად თუ ღიად და დაზარალებულის ნების საწინააღმდეგოდ კონტროლში, მოქმედებების მუდმივ თვალთვალში, სხვადასხვა ადგილას მოულოდნელად დახვედრაში, მიმოსვლის კონტროლში და ასე შემდეგ.

➤ არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით – როგორც ვხედავთ, ჩვენი კანონმდებლობა ითვალისწინებს კომუნიკაციის თანამედროვე ხერხებით ადევნების შესაძლებლობას, რაც შეიძლება გამოიხატოს მუდმივ ზარებში, ტექსტურ შეტყობინებებში, სოციალური ქსელის მეშვეობით თუ ელექტრონული ფოსტით.

➤ სხვა ნებისმიერი განზრახი ქმედება – ნებისმიერი ქმედება, რომელიც არასასურველია დაზარალებულისთვის, მაგალითად, არასასურველი საჩუქრების ჩუქება, პრაქტიკაში იყო ასევე შემთხვევა, როდესაც ბრალდებული დაზარალებულს სისტემატურად ხვდებოდა სამსახურთან და მასთან ერთად მგზავრობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მისი ნების საწინააღმდეგოდ.

➤ ზემოაღნიშნული ქმედებების ადევნებად კვალიფიკაციისთვის, აუცილებელია, რომ მათ ჰქონდეთ სისტემატური ხასიათი. სისტემატურად კი უნდა ჩაითვალოს ქმედებების სამჯერ ან მეტჯერ ჩადენა.

➤ აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ადევნება ეს არის ქრონიკული ქცევა, რომელიც გრძელდება თვეების ან წლების განმავლობაში, ხოლო ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ადევნების საშუალო ხანგრძლივობა დაახლოებით წელიწადნახევარია.<sup>34</sup>

## 5. ადევნების შედეგი

ადევნებამ მსხვერპლში შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ემოციური ტრავმა და ტერორი უშუალო კომუნიკაციისა და მუქარის გარეშე. ბევრი მსხვერპლი განიცდის უძილობას, ლამის კომმარს, წონაში კლებას ან მატებას, დეპრესიას, შფოთვის და კონცენტრაციის გართულებას. ზოგიერთი იძულებულია შეიცვალოს სამსახური ან სახლიც კი, რათა თავი აარიდოს მდევნელს.<sup>35</sup>

<sup>31</sup> Mullen P.E./Pathe M./Purcell R. *Stalkers and their victims*, Cambridge, 2000, 5.

<sup>32</sup> *Tribal Legal Code Resource: Sexual Assault and Stalking Laws. Guide for drafting or revising Victim-Centered Tribal Laws against sexual assault and stalking*, 2012, 91.

<sup>33</sup> Mullen, P.E./Pathe M./Purcell R. *Stalkers and their victims*, Cambridge, 2000, 5.

<sup>34</sup> Meloy, J.R., *Stalking, An old behavior, a new crime*, *Forensic Psychiatry*, 0193-953X, Volume 22, number 1, 1999, 89.

<sup>35</sup> *Tribal Legal Code Resource: Sexual Assault and Stalking Laws. Guide for drafting or revising Victim-Centered Tribal Laws against sexual assault and stalking*, 2012, 91.

ადევნების მავნე შედეგების გავლენა მუდმივი შესწავლის საგანია, რათა შემუშავდეს უფრო ეფექტიანი მექანიზმები მსხვერპლთა სტრესის შესამცირებლად. უმრავლეს საქმეში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა ადევნებას ადგილი, მსხვერპლის რეაბილიტაციისთვის მხოლოდ ადევნების შეწყვეტა აღარაა საკმარისი, ვინაიდან ტანჯვა და აშლილობა დიდი ხნის განმავლობაში ტოვებს ემოციურ და ფსიქოლოგიურ ზიანს.<sup>36</sup>

ადევნების მსხვერპლები ცხოვრობენ მუდმივი საშიშროების შეგრძნების მდგომარეობაში, მიუხედავად ამკარად გამოხატული მუქარის ან ძალადობის არარსებობისა. ადევნების ზოგიერთი მსხვერპლი საკუთარ მდგომარეობას გამოხატავდა, როგორც „ფსიქოლოგიურ ტერორიზმს“ და „ემოციურ გაუპატიურებას“. ადევნების 100 მსხვერპლთან ჩატარებულმა კვლევამ (პეთი და მულენი, 1997) ცხადყო, რომ საქმეთა უმეტესობაში ადევნებამ გამოიწვია დამანგრეველი შედეგი მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ, სოციალურ და დასაქმებით ფუნქციაზე. ადევნების გამო საჭირო გახდა ცხოვრების სტილის შეცვლა 94% შემთხვევაში, როგორცაა ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების წესის შეცვლა, კონკრეტული აქტივობებისათვის თავის დანებება, მანქანების შეცვლა. აღსანიშნავია, რომ ნახევარზე მეტმა შეამცირა სამუშაო საათები ან დაანება თავი მუშაობას. ასევე, გამოკითხულთა ნახევარმა აღნიშნა მადის მნიშვნელოვნად დაქვეითების, წონის ცვალებადობის შესახებ. ადევნების თანმდევ შედეგად ჩვეულებრივ ასახელებდნენ ასევე თავის ტკივილს, გულისრევას, სისუსტეს და მუდმივი დაღლილობის შეგრძნებას. ალკოჰოლისა და თამბაქოს მოხმარება გაიზარდა მსხვერპლთა მეოთხედი, ხოლო ზოგიერთმა ქალმა გამოსცადა თმის ცვენაც კი.<sup>37</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები ხშირად განიხილავენ ადევნების თანმდევად მკვლევლობაში ოჯახური ნიშნით, აღსანიშნავია, რომ დიდ ბრიტანეთში, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ოჯახური ნიშნით ჩადენილი მკვლევლობებიდან მხოლოდ ოცდაშვიდ შემთხვევაში იქნა დადასტურებული, რომ მკვლევლობას წინ უძღვოდა მსხვერპლის მიმართ ბრალდებულის მხრიდან ადევნების ჩადენა.<sup>38</sup>

ზოგ ქვეყანაში, სადაც კრიმინალიზებულია ადევნება, ადევნების ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია ნეგატიური შედეგის ქონა მსხვერპლისთვის, მაგალითად, მოთხოვნა, რომ მსხვერპლმა ადევნების შედეგად განიცადოს შიში. ამგვარ კანონმდებლობებში, მსგავსი ქმედება, შიშის გარეშე, შესაძლებელია ჩაითვალოს შევიწროებად (Harassment) და არა ადევნებად. ამ მიდგომის ოპონენტები კი ამტკიცებენ, რომ ფოკუსირება შიშზე, როგორც ადევნების ელემენტზე, არის ზედმეტად შემზღვეველი და ტოვებს მსხვერპლებს დაცვის გარეშე იმ ფაზაში, როდესაც ჯერ კიდევ არ არის გამწვავებული სიტუაცია და ადრეულ სისხლისამართლებრივ ჩარევას შეეძლო მოეხდინა სიტუაციის შემდგომი ესკალაციის პრევენცია და ფიზიკური თავდასხმის რისკის შემცირება. ამასთან, ამ მიდგომის მომხრეებს არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ სხვა დანაშაულებს აუცილებელ ელემენტად არ აქვთ შიშის გამოწვევა მსხვერპლებში. სპეციფიკური დებულებები, სადაც შიში აუცილებელი ელემენტია დაცვისგან გამორიცხავს იმ განონასწორებულ და სტაბილური ხასიათის მსხვერპლებს, რომლებიც არ გრძნობენ თავს დაშინებულად, თუმცა, მნიშვნელოვნად არიან შეწუხებულნი ადევნებით.<sup>39</sup>

ლიტერატურაში მოყვანილია 2016 წლის კვლევა (ოუნსი, 2016), რომლის მიხედვითაც, 1430 პოტენციური მსხვერპლი რესპონდენტისაგან მხოლოდ 36% განიცდიდა შიშს ადევნების გამო.<sup>40</sup>

მეორე საკითხია მტკიცების პრობლემა, მაშინ, როდესაც მსხვერპლში ნეგატიური შედეგის გამოწვევა აუცილებელი ელემენტი ადევნების ნორმაში. ასეთ შემთხვევებში ეს ნეგატიური შედეგი უნდა იყოს მტკიცებულებით გამყარებული. მაგალითად, ისევე როგორც საქართველოში, გერმანიაშიც პროკურორმა უნდა დაამტკიცოს, რომ ადევნებამ „მნიშვნელოვნად დაარღვია მსხვერპლის

<sup>36</sup> Mullen P.E., Pathe M., *Stalking, Crime and Justice*, Vol. 29(2002), 278.

<sup>37</sup> Boon J., Sheridan, L., *Stalking and Psychosexual Obsession*, 2002, 11, 12.

<sup>38</sup> Strickland P., *Stalking: criminal offenses, Briefing Papers, House of Commons library, number 06261, 2017, 6.*

<sup>39</sup> A. S. van der., *New Trends in the Criminalization of Stalking in the EU Member States, Our J Crim Policy Res, DOI 10.1007/s10610-017-9359-9, 2017, 7.*

<sup>40</sup> იქვე.

ცხოვრების სტილი“, მაშინ, როდესაც პოლონეთში ადევნებამ უნდა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი შიში მსხვერპლში ან მნიშვნელოვნად დაარღვიოს მისი სიმშვიდე. იტალიაში, ადევნებამ უნდა გამოიწვიოს შფოთვის ან შიშის კონკრეტული დონე, რომელსაც აფასებენ ექსპერტიზით ან უნდა შეუქმნას მსხვერპლს საფუძვლიანი შიში მის საკუთარ ან ახლობელი ადამიანების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ან გამოიწვიოს მისი ცხოვრების სტილის შეცვლა.<sup>41</sup>

ქართული კანონმდებლობით ადევნებას აქვს აუცილებელი შედეგი – ფსიქიკური ტანჯვა დაზარალებულში ან/და მისი ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიანი შიში, რამაც უნდა აიძულოს პირი მნიშვნელოვნად შეცვალოს ცხოვრების წესი ან შეუქმნას მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალური საჭიროება.

პრაქტიკულად, აღნიშნული შეიძლება გამოიხატოს შემდეგში: შეფერხება საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობის მიღებაში, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ტელეფონის ნომრის შეცვლა, ჩვეული მარშრუტის შეცვლა სამსახურში მისასვლელად, სოციალური ქსელით სარგებლობის შეზღუდვა, სახლიდან გარეთ გასვლის შეზღუდვა მოძალადისთვის თავის არიდების მიზნით და სხვა მრავალი. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ქმედების კვალიფიკაციისთვის აუცილებელი არ არის მსხვერპლმა შეცვალოს ცხოვრების წესი, საკმარისია მისი შეცვლის რეალური საჭიროების წინაშე ყოფნის ფაქტიც.

ამავე დროს, მსხვერპლს უნდა ჰქონდეს განცდილი ფსიქიკური ტანჯვა ან შიში, რის დასადგენადაც ხშირად ტარდება სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა.

შესაბამისად, ადევნება არის ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ფორმა. „ფსიქიკური ძალადობა არის ისეთი ქმედება, რომელსაც შეუძლია ადამიანის ფსიქიკის მოშლა, ანუ მისი გონებრივი და სულიერი მდგომარეობისთვის ზიანის მიყენება“.<sup>42</sup>

აქვე აღსანიშნავია, რომ ამგვარი განმარტება, როდესაც ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიანი შიშის არსებობა ადევნების შემადგენლობის აუცილებელი შედეგი არ არის და ერთ-ერთის – დაზარალებულში მხოლოდ ფსიქიკური ტანჯვის გამონვევა საკმარისია ქმედების ადევნებად კვალიფიკაციისთვის, უნდა მივიჩნიოთ სწორ მიდგომად, ვინაიდან როგორც ვნახეთ, მხოლოდ ფსიქიკური ტანჯვა და ამგვარი ფსიქოლოგიური ზიანი საკმარისი უნდა იყოს ქმედების სისხლისსამართლებრივი წესით დასჯისთვის.

როგორც უკვე აღინიშნა, საპირისპიროდ, არსებობს ასევე ქვეყნები სადაც ადევნებას აუცილებელ ელემენტად არ აქვს ნეგატიური შედეგი მსხვერპლისთვის, იმ მიზეზებით, რომ მსხვერპლის ინტერესებიდან გამომდინარე არსებობდეს შედეგისადმი ნეიტრალური მიდგომა და ამავე დროს, პროკურორს არ სჭირდებოდეს შედეგის მტკიცება მსხვერპლის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ამ მიზეზების გამო, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სულ უფრო და უფრო მეტი შტატი ამბობს უარს მსხვერპლის მიერ ადევნების ფაქტის სუბიექტურ აღქმაზე და აქცენტს აკეთებს იმაზე, ობიექტურად გამოიწვევდა თუ არა ადევნებისათვის დამახასიათებელი განმეორებითი ქმედებები ემოციურ სტრესს ადამიანში.

ასეთივე ნეიტრალური მიდგომა აქვს შედეგისადმი ევროკავშირის წევრ შვიდ ქვეყანას.

## 6. ადევნების სასამართლო პრაქტიკა

ადევნების ქმედების კრიმინალიზების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ მუხლი ფართოდ ამოქმედდა პრაქტიკაში. დაახლოებით 30 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება ადევნების – სისხლის სამართლის კოდექსის 151<sup>1</sup>-ე მუხლის კვალიფიკაციით. სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 19 საქმეზე, საიდანაც 10 საქმეზე უკვე დამდგარია განაჩენი, მათ შორის – 1 გამ-

<sup>41</sup> Aa S. van der., *New Trends in the Criminalization of Stalking in the EU Member States*, *Our J Crim Policy Res*, DOI 10.1007/s10610-017-9359-9, 2017, 7.

<sup>42</sup> შალიკაშვილი მ., *ძალადობის კრიმინოლოგია*, თბ., 2012წ., 18.

ამართლებელი განაჩენი.

პირველი განაჩენი, რომელიც გამოტანილი იქნა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ 2017 წლის 18 ნოემბერს, ადგენს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა უკანონო თვალთვალი, არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული საშუალებით, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის საჭიროებას უქმნის, რაც გამოიხატა შემდეგში:

ს.შ.-მ სოციალური ქსელის მეშვეობით გაიცნო ვ.ჭ., რომელთანაც ჩამოუყალიბდა ურთიერთობა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ს.შ.-მ შეიტყო, რომ ვ.ჭ. იყო დაოჯახებული, მასთან მოისურვა ურთიერთობის განწყვეტა. აღნიშნული გადაწყვეტილება ვ.ჭ.-სთვის არ აღმოჩნდა მისაღები, რის შემდეგაც იგი განუწყვეტლივ ახორციელებდა ს.შ.-ს ადევნებას. კერძოდ, 2017 წლის ოქტომბრის თვის პირველ რიცხვამდე, სისტემატურად, პირადად მიდიოდა ს.შ.-ს საცხოვრებელ სახლში, ყოველ დილით ს.შ.-ს, რომელსაც თავისი მცირეწლოვანი შვილი მიჰყავდა სკოლაში, საკუთარი ავტომანქანით მიჰყვებოდა უკან, ანალოგიურად იქცეოდა სკოლიდან სახლში დაბრუნების დროსაც, რის გამოც ს.შ.-ს ეზღუდებოდა თავისუფლად გადაადგილების საშუალება. ვ.ჭ. ს.შ.-ს აიძულებდა მასთან ურთიერთობის აღდგენას, ემუქრებოდა, რომ თუკი ს.შ.-ს არ აღადგენდა მასთან ურთიერთობას და არ დათანხმდებოდა ცოლად გაყოლაზე, იგი მუდმივად განახორციელებდა ს.შ.-ს მიმართ თვალთვალსა და ადევნებას. აღნიშნულის პარალელურად, სოციალური ქსელის საშუალებით ახორციელებდა ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, ამყოფებდა მუდმივ სტრესსა და შიშში, უქმნიდა იმის განცდას, რომ მუდმივად მის მიმართ ეწეოდა უკანონო თვალთვალსა და ადევნებას. ს.შ.-ს არაერთჯერადი განმარტებისა, რომ თავი დაენებებინა მისთვის, ვ.ჭ. კვლავაც აგრძელებდა ს.შ.-ს სისტემატურ უკანონო თვალთვალსა და მასთან არასასურველი კომუნიკაციის დამყარებას ტელეფონითა და ელექტრონული საშუალების გამოყენებით. აღნიშნულმა გარემოებებმა ს.შ.-ს მნიშვნელოვანი შეფერხება შეუქმნა საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობის მიღებაში, რაც, თავის მხრივ, მას ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის. კერძოდ: აღნიშნულის გამო ს.შ. იძულებული გახდა დროებით დაეტოვებინა თავისი სახლი, ასევე შეცვალა მისი პირადი მობილური ტელეფონის ნომერი და შეწყვიტა სოციალური ქსელით სარგებლობა, შეზღუდა საკუთარი თავი არ გასულიყო გარკვეული პერიოდით გარეთ, ჰქონდა გადაწყვეტილი გაეყიდა თავისი საცხოვრებელი სახლი და გადასულიყო სხვაგან ვ.ჭ.-სთვის თავის არიდების მიზნით. ყოველივე ზემოთნახსენებმა გარემოებებმა – განცდილმა სისტემატიურმა შეურაცხყოფამ, დამცირებამ და შანტაჟმა გამოიწვია ს.შ.-ს ფსიქიკური ტანჯვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაზარალებულ ს.შ.-ს, რომელიც ქალია, ბრალდებულ ვ.ჭ.-ს მხრიდან გამოხატული გადაკიდების გამო, შეეზღუდა ისეთი უფლებები, რომელიც საკუთარი შეხედულებისამებრ უნდა განეხორციელებინა. ამიტომ, სასამართლომ დაადგინა, რომ ვ.ჭ.-ს მხრიდან განხორციელებულმა ქმედებებმა, რომლებიც მისი მხრიდან „სასიყვარულო გრძნობების“ შინაარსით იყო მოტივირებული, გამოიწვია ს.შ.-ს უფლებებისა და თავისუფლებების გაუმართლებელი შეზღუდვა. რაც შეეხება ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის საჭიროების შექმნას, ამგვარად სასამართლომ მიიჩნია ს.შ.-ს მიერ დროებით საცხოვრებელი სახლის დატოვება, მობილური ტელეფონის ნომრის შეცვლა, სოციალური ქსელით სარგებლობის შეწყვეტა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღება, რომ გაეყიდა საცხოვრებელი სახლი და გადასულიყო სხვაგან. იმავე მოტივით ჩადენილი ადევნება გვხვდება შემდეგ განაჩენში, რომელიც ასევე გამოტანილია ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ, რომლის მიხედვითაც ი.კ.-ს მსჯავრი დაედო შემდეგი ქმედების ჩადენაში:

ნ.ლ.-მ ქარხანაში გაიცნო ი.კ., რომელთანაც ჩამოუყალიბდა საქმიანი ურთიერთობა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ნ.ლ.-მ შეიტყო, რომ ი.კ.-ს უყვარდა იგი, მან ი.კ.-ს კატეგორიულად მოსთხოვა, თავი დაენებებინა მისთვის. აღნიშნული გადაწყვეტილება ი.კ.-სთვის არ აღმოჩნდა მისაღები, რის შემდეგაც იგი განუწყვეტლივ ახორციელებდა ნ.ლ.-ს ადევნებას. კერძოდ, 2018 წლის იანვრის თვის ბოლო რიცხვებამდე, სისტემატურად, პირადად მიდიოდა ნ.ლ.-ს სამუშაო ადგილას, რის

გამოც ნ.ლ.-ს ეზღუდებოდა თავისუფლად გადაადგილების საშუალება. ი.კ. ნ.ლ.-ს აიძულებდა მასთან ურთიერთობას, იგი სოციალური ქსელის საშუალებითა და მობილური ტელეფონის გამოყენებით ახორციელებდა ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, ამყოფებდა მუდმივ სტრესსა და შიშში, უქმნიდა იმის განცდას, რომ მუდმივად მის მიმართ ენეოდა უკანონო თვალთვალსა და ადევნებას. მიუხედავად ნ.ლ.-ს არაერთჯერადი განმარტებისა, რომ თავი დაენებებინა მისთვის, ი.კ.-ს კვლავაც აგრძელებდა მის მიმართ სისტემატურ უკანონო თვალთვალსა და მასთან არასასურველი კომუნიკაციის დამყარებას ტელეფონითა და ელექტრონული საშუალების გამოყენებით.

აღნიშნულმა გარემოებებმა ნ.ლ.-ს მნიშვნელოვანი შეფერხება შეუქმნა საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობის მიღებაში, რაც, თავის მხრივ, მას ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის. კერძოდ: აღნიშნულის გამო ნ.ლ. იძულებული გახდა რამდენჯერმე დაეტოვებინა სამსახური, ასევე შეწყვიტა მობილური ტელეფონითა და სოციალური ქსელით სარგებლობა, შეზღუდა საკუთარი თავი არ გასულიყო გარკვეული პერიოდით გარეთ ი.კ.-სთვის თავის არიდების მიზნით. ყოველივე ზემოთნახსენებმა გარემოებებმა გამოიწვია ნ.ლ.-ს ფსიქიკური ტანჯვა.

თუ გადავხედავთ დანაშაულის მოტივებს, დაზარალებულა და ბრალდებულთა შორის ურთიერთობას სხვა განაჩენების მიხედვით, ადევნების მოტივი თითქმის ყველა შემთხვევაში არის მამაკაცების მხრიდან ე.წ. „სასიყვარულო ურთიერთობის“ ან ცოლად გაყოლის მოთხოვნა ქალებისათვის ან ურთიერთობის აღდგენის მოთხოვნა ყოფილი პარტნიორი ქალბატონის მიმართ.

თუ გავაანალიზებთ არსებულ პრაქტიკას, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ქმედება სულ რამდენიმე თვის კრიმინალიზებულია, საკმაოდ მრავალფეროვანია, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქმედების კრიმინალიზება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მნიშვნელოვანი და პოზიტიურად შესაფასებელი ნაბიჯია.

## დასკვნა

ნაშრომში განხილული იქნა ადევნების შემადგენლობა საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ადევნების სუბიექტი, მსხვერპლი, მისი განხორციელების ფორმები და შედეგი, ადევნების არსებული ქართული სასამართლო პრაქტიკა და ამ დანაშაულის პრევენციის საკითხი.

ადევნება ერთ-ერთი საფრთხის შემცველი ქმედებაა, რომელიც ნამდვილად იმსახურებდა სისხლის სამართლის კანონმდებელთა ყურადღებას. თუ გადავხედავთ საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებს, ჩატარებული კვლევების შედეგებსა და თუნდაც, უკვე არსებულ ქართულ პრაქტიკას, ადევნების დასჯადობის ლეგიტიმაცია ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

როგორც კვლევებმა ცხადყო, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი ან ყოფილი ინტიმური პარტნიორის მიერ ქალთა მკვლელობის ფაქტებს, უმრავლეს შემთხვევაში, წინ უძღვოდა დაზარალებულის ადევნება. ამიტომ, იგი ლიტერატურაში განხილულია, როგორც მომავალი ძალადობის ან მკვლელობის მაუწყებელი.<sup>43</sup>

გარდა მოსალოდნელი საფრთხის პრევენციისა, ადევნების დასჯადობა იმ ფსიქოლოგიური ზიანის პასუხია, რაც ამ ქმედების შედეგად ადგება დაზარალებულს: შიშის, მუდმივი საფრთხის და არასტაბილურობის განცდა, თავისუფალი მოქმედებების შეზღუდვა, შფოთვა, ფსიქოლოგიური ტერორი და ამ ყველაფრით განპირობებული ცხოვრების სტილის შეცვლის აუცილებლობა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ადევნების ზოგიერთი მსხვერპლი საკუთარ მდგომარეობას გამოსატავდა, როგორც „ფსიქოლოგიურ ტერორიზმს“ და „ემოციურ გაუპატიურებას“. სწორედ ამიტომ, ლიტერატურაში რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულებაა ხაზგასმული ადევნების მსხვერპლებთან მუშაობის კუთხით, რაც უნდა იყოს ორიენტირებული მისი ემოციური აშლილობის შესამსუბუქებასა და ინტერპერსონალური, სოციალური და სამუშაო ფუნქციების აღდგენაზე.

<sup>43</sup> Lawson D.M., *Family Violence; Explanations and evidence-based clinical practice*, 2013, 169.

პირველი ქვეყანა, რომელმაც ამ ქმედებით გამოწვეულ საფრთხეს ადევნების კრიმინალიზაციით უპასუხა, ამერიკის შეერთებული შტატები იყო. ბევრი წინააღმდეგობისა და განხილვების შემდეგ, ადევნების კრიმინალიზაცია დაიწყო ევროპის ქვეყნებშიც. ბოლო 6 წლის განმავლობაში ევროკავშირის ქვეყნების რაოდენობა, რომელთან ადევნება კრიმინალიზებული ჰქონდათ, 10-დან 21-მდე გაიზარდა. მათ რიგებს შეუერთდა საქართველოც.

სხვადასხვა კანონმდებლობებში სხვადასხვაგვარია ადევნების შემადგენლობა, თუმცა, მათ რამდენიმე ელემენტი საერთო აქვთ: იმგვარ ქმედებათა ერთობლიობა, რომლებიც შემანუხებელია დაზარალებულისთვის და ამ ქმედებათა სისტემატურობა. რაც შეეხება ნეგატიური შედეგის გამოწვევას, როგორც აუცილებელ შედეგს დაზარალებულისთვის და ამ ნეგატიური შედეგის განმარტებებს – აღნიშნულისადმი განსხვავებული მიდგომებია და არსებობს კანონმდებლობები, სადაც აუცილებელ ელემენტად არ არის განსაზღვრული ამგვარი შედეგი მსხვერპლისთვის.

საქართველომ გაიზიარა „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მიერ ხელმოწერილი სახელმწიფოებისათვის დადგენილი ვალდებულება, მიიღონ ყველა საჭირო ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს მეორე პირის მიმართ მრავალჯერადი მუქარის შემცველი ქცევით გამოხატული წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც მასში საფრთხის შიშს იწვევს. იმავე ძირითადი ელემენტებისგან შედგება სწორედ ადევნების შემადგენლობაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომელმაც სწორად განსაზღვრა ალტერნატიულ შედეგებად ტანჯვა ან შიში, თუმცა, ტანჯვას ან/და შიშთან ერთად, დამატებით აუცილებელ შედეგად განსაზღვრა პირის ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის იძულება ან შეცვლის რეალური საჭიროების არსებობა. ადევნების ეს აუცილებელი შედეგი ასევე გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში გვხვდება. ადევნების ამგვარი შემადგენლობა, როგორცაა ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის იძულება ან შეცვლის რეალური საჭიროების არსებობა, შესაძლოა ზოგ შემთხვევაში აღმოჩნდეს ზედმეტად ორიენტირებული მსხვერპლში გამოწვეულ ნეგატიურ შედეგზე და ბევრი მსხვერპლი დატოვოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიღმა.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151<sup>1</sup>-ე მუხლი ამოქმედდა ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც და არსებულმა სასამართლო განაჩენებმა უკვე დაადასტურა ქმედების კრიმინალიზების სისწორე და მნიშვნელობა. ადევნების კრიმინალიზებით სახელმწიფომ ხაზი გაუსვა ადამიანთა უსაფრთხოებისა და თავისუფლების პრიორიტეტულობას, ევროპის საბჭოს კონვენციისა და აღნიშნული კონვენციის ნორმების პრაქტიკაში იმპლემენტაციის პროგრესულობას.

## საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენება და მისი კანონისმიერი შეზღუდვები

მინდია დავითაძე

ქ. თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი

### შესავალი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (შემდგომში – სსკ), რომელიც მეოცე საუკუნის ბოლოს იქნა მიღებული, სრულად შეესაბამება განვითარებული ქვეყნების მართლმწიფის ძირითად სტანდარტებს. „ახალმა“ სსკ-მა ახლებურად მოაწესრიგა, როგორც კონკრეტული დანაშაულების კრიმინალიზაციის სპეციფიკა, ასევე კოდექსის ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები.

კოდექსის სხვა ღირებებთან ერთად, მნიშვნელოვანია სასჯელის სახეები და მათი ძირითადი მახასიათებლები. ბოლო პერიოდში, კანონმდებლობის ლიბერალიზაციისა და მართლმწიფის განვითარების კვალდაკვალ, მნიშვნელოვნად იზრდება არასაპატიმრო სასჯელთა რიცხვი და მათი გამოყენების შემთხვევები. არასაპატიმრო სასჯელთაგან, უნდა გამოვყოთ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, რომელიც არასაპატიმრო სასჯელის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს და თავისი არსითა და სპეციფიკით, არ არის დაკავშირებული პირის საზოგადოებისაგან იზოლაციასთან. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სასჯელის გამოყენებას გააჩნია თავისი სამართლებრივი საფუძვლები, რაც ნაკარნახევია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური გარემოებებით, თუმცა, კანონმდებელმა ერთი საინტერესო დანაწესი დაადგინა, რომ „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე განვუღო სამხედრო მოსამსახურეს“, რაც განმარტებულია საქართველოს სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილში.

ბოლო დროს, განსაკუთრებით კი 2013 წლიდან, მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია განხორციელდა და წლიდან წლამდე გაიზარდა არასაპატიმრო სასჯელთა გამოყენების რიცხობრივი მაჩვენებელი, სასამართლო პრაქტიკაში, გამოჩნდა ცალკეული შემთხვევები, როდესაც მოსამართლეთა მხრიდან ამა თუ იმ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებული ვერ გახდებოდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების ადრესატი, თუნდაც იმიტომ, რომ იგი იყო მაგ.: მე-2 ჯგუფის ინვალიდი ან ორსული ქალი, დაუნიშნა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

მოცემულ შემთხვევაში, ჩვენი მსჯელობის საგანი იქნება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის თავისებურებანი, მათ შორის საკითხი, თუ რამდენად ჰქონდა, ზემოდასახელებულ შემთხვევაში, მოსამართლეს სამართლებრივი შესაძლებლობა განემარტა ნორმა, ისე როგორც განმარტა და შეეძლო თუ არა ნორმის იმპერატიული დანაწესის არსებობის მიუხედავად, გადაეხვია მისთვის.

ნაშრომის მიზანია საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენების შეზღუდვასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულებების ანალიზი, როგორც

მათი კრიტიკა, ისე დადებითი მხარეების წარმოჩენა. კვლევის მიზანს, აგრეთვე, წარმოადგენს მოცემული შეზღუდვების მორალური და სამართლებრივი ანალიზის წარმოჩენა მკითხველისათვის, თეორეტიკოს და პრაქტიკოს იურისტთა მოსაზრებების თავმოყრა, მათი შეპირისპირება და სწორი დასკვნების გამოტანა. ამავდროულად, ნაშრომის მიზანია საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის შეზღუდვის მომწესრიგებელი კონკრეტული ნორმების განმარტება როგორც ლიტერატურაში გაკეთებული დასკვნების მოშველიებით, ისე პრაქტიკაზე დაყრდნობით, რის გამოც მიმოხილული იქნება საერთო სასამართლოების გადანყვეტილებები.

ნაშრომში გარკვეული საკითხების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით გამოყენებული იქნება, ლოგიკური და სისტემური კვლევის მეთოდები, ამავდროულად, თეორიული მსჯელობის გასამყარებლად მოშველიებული იქნება სასამართლო გადანყვეტილებები, ასევე მცირედი პრაქტიკული კომპონენტები პირადი გამოცდილებიდან.

## 1. სასჯელის ცნება

სსკ-ს პირველი მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „სისხლის სამართლის კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა“. ბუნებრივია, ქმედების დანაშაულად გამოცხადება გულისხმობს შესაბამისი სასჯელის დაწესებასაც. მარტოოდენ ქმედების დანაშაულად გამოცხადება, მისი აკრძალვა, ვერ უზრუნველყოფს დანაშაულებრივ ქმედებათა თავიდან აცილებას. სწორედ დასჯის მუქარასა და სასჯელის გამოყენების უფლებას შეუძლია აზრი მისცეს ამა თუ იმ ქმედების დანაშაულად გამოცხადებასა და, შესაბამისად, მის აკრძალვას, რათა დანაშაულებრივი ქმედებანი თავიდან იქნეს აცილებული.<sup>1</sup>

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში მოცემულ ყველა დანაშაულს თან ახლავს შესაბამისი სასჯელი, ანუ არ არსებობს დანაშაული სასჯელის გარეშე. მაშასადამე, კანონმდებლის მიერ ყოველი დანაშაულისთვის სასჯელის დაწესება გამოხატავს კანონმდებლის ნებას, რომ ესა თუ ის ქმედება აკრძალულია სასჯელის მუქარით.

სასჯელის მიზნები დეკლარირებულია საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომელიც შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული „სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელთა სახეები ამომწურავადაა განსაზღვრული, ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში კონკრეტული დანაშაულისთვის განსაზღვრული სასჯელები დალაგებულია მათი სიმძიმის მიხედვით, მზარდი თანმიმდევრობით.

სასჯელთა სისტემაში ჯერ მსუბუქი სასჯელის და შემდეგ უფრო მძიმე სასჯელის დასახელებით კანონმდებელი ცდილობს სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრისას აქცენტები გადაიტანოს სასჯელის ეკონომიურობასა და ჰუმანიზმის პრინციპზე, ამით იგი გარკვეულწილად უბიძგებს შემფარდებელს ყურადღება, უპირველესა ყოვლისა, მსუბუქ სასჯელებზე გადაიტანოს. ეს წესი ეხება არა მარტო მსჯავრდებულისთვის სასჯელის პირველად შეფარდების, არამედ დანიშნული სასჯელის სხვა უფრო მძიმე სასჯელით შეცვლის შემთხვევასაც.<sup>2</sup>

აქედან გამომდინარე, საქართველოს მართლმსაჯულების სფეროში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს და არა მარტო საკანონმდებლო დონეზე, არამედ პრაქტიკულადაც, საქართველოს სსკ-ს სასჯელთა სისტემაში გათვალისწინებულ არასაპატიმრო სასჯელის ისეთ სახეს, როგორიცაა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.<sup>3</sup>

<sup>1</sup> დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი – სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013წ., გვ. 11.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 38.

<sup>3</sup> ხერხეულიძე ი., „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი“, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2, 2011წ., გვ. 120.



ზოგადად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ყველაზე ნოვატორული სასჯელია, რომელიც შექმნა კანონმდებელმა მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში. პრინციპი შემდეგია: ბრალდებული ვალდებულია გარკვეული საათების განმავლობაში უსასყიდლოდ იმუშაოს საზოგადოებისათვის სასარგებლოდ. ამ სასჯელს ზუსტად განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს: დამნაშავეს ამგვარი საქმიანობა საზოგადოებას აუნაზღაურებს მიყენებულ ზიანს, იმავდროულად უზრუნველყოფს დამნაშავეს რეინტეგრაციას საზოგადოებაში. პრობაციისა და პირობითი სასჯელის დროს ორი მოქმედი პირია – დამნაშავე და პრობაციის სამსახურის აგენტი. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა უმატებს მესამეს, – კომუნას, საზოგადოებას, დაჯგუფებას, ასოციაციას ან სამსახურს, რომელიც სთავაზობს სამუშაოს.<sup>4</sup>

## 2. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის თავისებურებანი

### 2.1. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის არსი

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს პრობაციის ბიურო. ამასთან, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება ორმოციდან რვაას საათამდე ვადით. ჯარიმის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შემთხვევაში, ან სსკ-ს 73-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ანდა თუ მხარეთა შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, იგი შეიძლება დაინიშნოს უფრო მეტი ვადითაც. ყოველდღიურად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს რვა საათს.

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შესახებ (მათ შორის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესით, მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების დადებისას) სასამართლო განაჩენის ასლის ან საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს გადანყვეტილების ასლის აღსასრულებლად მიღების შემდეგ პრობაციის ბიურო განუსაზღვრავს მსჯავრდებულს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახესა და ყოველდღიურ ხანგრძლივობას. ამასთან, პრობაციის ბიუროსა და დამსაქმებელს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც მიეთითება მსჯავრდებულის მიერ შესასრულებელი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახე, მთლიანი ვადა, ყოველდღიური ხანგრძლივობა, სამუშაო ადგილი, დამსაქმებლის დასახელება და მისამართი, აგრეთვე საკითხის გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოებები. ამ ხელშეკრულების ასლი გადაეცემა მსჯავრდებულს.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არასაპატიმრო სასჯელთა კატეგორიას მიეკუთვნება და გამოირჩევა მაღალი მარეაბილიტირებელი ეფექტით – მსჯავრდებული რჩება საზოგადოებაში და ეძლევა შანსი საკუთარი შრომით გამოისყიდოს საზოგადოებისათვის თავისი დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანი, ამასთანავე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა სახელმწიფოსათვის არის ხარჯთეფექტური და ეხმარება მსჯავრდებულს შეიძინოს და გამოიმუშაოს დამატებითი უნარები. სასჯელის სოციალური დანიშნულებაც, ხომ იმაში მდგომარეობს, რომ მსჯავრდებულის გამოყენებით მოხდეს საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.<sup>5</sup>

აღნიშნული სასჯელი შეიძლება გამოიხატოს სკვერების დალაგებაში, მცენარეთა დარგვაში, სამშენებლო სამუშაოების წარმოებაში და ა. შ. არ შეიძლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა დაკავშირებული იყოს ფიზიკურ ტკივილთან ან პიროვნების ღირსების შელახვასთან.<sup>6</sup>

<sup>4</sup> ხერხეულიძე ი., „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი“, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2, 2011წ., გვ. 121.

<sup>5</sup> არსოშვილი გ., დამნაშავეს რესოციალიზაცია, თბ., 2009წ., გვ. 4.

<sup>6</sup> ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბ., 2016წ., გვ. 470.

აღნიშნულს კი საქართველოს კონსტიტუციის დებულებებთან ერთად განამტკიცებს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება. ამ მხრივ, ასევე აღსანიშნავია, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას არ უნდა ჰქონდეს დამამცირებელი ხასიათი და პრობაციის ორგანოები უნდა შეეცადონ ისეთი სამუშაოს მოძიებას, რომელიც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის უნარ-ჩვევების განვითარებას და მის სოციალურ ჩართულობას საზოგადოებაში.<sup>7</sup>

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შესაძლებელია განხორციელდეს დღის ნებისმიერ მონაკვეთში. სამუშაო პერიოდი მაქსიმალურად უნდა იყოს მორგებული მსჯავრდებულის ჩვეულებრივ ცხოვრების რიტმზე, ამასთან, კანონმდებლობა ადგენს, რომ მსჯავრდებულის სურვილის გათვალისწინებით შესაძლებელია სამუშაო განხორციელდეს დასვენების დღეებშიც.

ამდენად, ფაქტია, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა თავისი არსით წარმოადგენს არასაპატიმრო სახის სასჯელს, რომელიც, ჯარიმის შემდეგ, თუ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ სასჯელები ზრდის მიხედვით არის დალაგებული, არის ყველაზე მსუბუქი სახის სასჯელი (რაც შესაძლოა, რომ ძირითად სასჯელად იქნეს დანიშნული). თუმცა საკითხი, ჯარიმა უფრო მსუბუქი სახის სასჯელია თუ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, შეფასებითა და კოდექსში გადმოცემულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე, მსჯელობის საგანს წარმოადგენს, რაც საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს.

საქართველოს სსკ-ს 42-ე მუხლის თანახმად, ჯარიმის მინიმალური ოდენობა 2000 ლარია, თუმცა იმ დანაშაულთათვის, რომლებისთვისაც კანონით სასჯელის მაქსიმალური ზღვარი არ აღემატება სამი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას, მცირდება 500 ლარამდე. ამავე მუხლის, მე-6 ნაწილის თანახმად, თუ პირმა, რომლის მიმართაც სასჯელის სახედ გამოყენებულ იქნა ჯარიმა, თავი აარიდა სასჯელის მოხდას, იგი შეეცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, გამასწორებელი სამუშაოთი, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით, რა დროსაც, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომასთან მიმართებით, მოქმედებს გაანგარიშების შემდეგი პრინციპი, კერძოდ 50 ლარი არის ტოლფასი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის 4 საათისა.

საქართველოს სსკ-ს 44-ე მუხლიდან გამომდინარე, როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება 40-დან 800 საათამდე ვადით, ხოლო თუ პირი უარს განაცხადებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულებაზე ან განზრახ თავს აარიდებს მას, იგი შეეცვლება ჯარიმით, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით, რა დროსაც სასჯელის ცვლილებასთან დაკავშირებით მოქმედებს გაანგარიშების შემდეგი პრინციპი, კერძოდ, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის 5 საათი ტოლფასია შინაპატიმრობის ერთი დღისა და თავისუფლების აღკვეთის 1 დღისა.

კანონი აღნიშნული სასჯელის ჯარიმით შეცვლის შესაძლებლობას უშვებს, თუმცა, სამწუხაროდ, არ მიუთითებს, თუ რა გაანგარიშება უნდა იქნეს გამოყენებული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ჯარიმით შეცვლის შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში, კანონმდებელი გვიბძგებს გამოვიყენოთ კანონის ანალოგია და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ჯარიმით შეცვლის შემთხვევაში, ვიხელმძღვანელოთ საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის გაანგარიშების პრინციპით.

ამდენად გამოდის, რომ ჯარიმის მინიმალური ოდენობა 500 ლარი (თუ საქმე ეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი დანაშაულს, როდესაც შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით), ტოლფასია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მინიმალური ოდენობის – 40 საა-

<sup>7</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010) 1 ნვერი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ, პუნქტი 47.

თისა. იმ შემთხვევაში კი, თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წელზე მეტი ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობის – 2000 ლარის შემთხვევაში, აღნიშნული ტოლფასია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის 500 საათისა.

აღნიშნულ ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ ერთ შემთხვევაში ჯარიმა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა თანაბარი სიმძიმის, ანუ ტოლფასი ღირებულების სასჯელებს წარმოადგენს, ვინაიდან ორივე სასჯელი ტოლფასია 500 ლარისა, ხოლო მეორე შემთხვევაში, ჯარიმა – უფრო მძიმეს, რამეთუ ეს უკანასკნელი შესაძლოა დაინიშნოს მინიმუმ 2000 ლარის ოდენობით, ხოლო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა მინიმუმ 40 საათის ვადით, რაც 500 ლარის ტოლფასია.

## 2.2. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების კანონისმიერი შეზღუდვები

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხუთ შემთხვევაში, როდესაც:

1. სასამართლო დაადგენს გამამტყუნებელ განაჩენს პირის მიერ იმ დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც საქართველოს სსკ-ს კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლი სასჯელის სახედ ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას;

2. სასამართლო დაადგენს გამამტყუნებელ განაჩენს პირის მიერ იმ დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც საქართველოს სსკ-ს კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლი სასჯელის სახედ არ ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, თუმცა მაშინ, როდესაც სასამართლო ამ სასჯელს ნიშნავს დამატებითი სასჯელის სახედ;

3. საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე, როდესაც ძირითადი სასჯელის სახედ ინიშნება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, მაშინ, როდესაც საქართველოს სსკ-ს კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლი სასჯელის სახედ არ ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას;

4. მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას ან თუ გადახდევინება შეუძლებელია (საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილი);

5. საქართველოს სსკ-ის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუძლია მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს თავისუფლების აღკვეთა, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულებისა, სასჯელის მოხდის დროს მისივე თანხმობით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას;

დღეისთვის, მოქმედი კანონმდებლობით სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების წესი გარკვეულ ეტაპებს მოიცავს. კერძოდ, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შესახებ სასამართლოს განაჩენის ასლის აღსასრულებლად მიღების შემდეგ, პრობაციის ბიურო ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოს უგზავნის მოთხოვნას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახისა და მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის განსაზღვრის თაობაზე. მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს სასამართლოს მიერ განსაზღვრული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მთლიანი ვადა და საქართველოს სსკ-ით დადგენილი ასეთი სახის შრომის ყოველდღიური ხანგრძლივობა. თავის მხრივ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ვალდებულია მოთხოვნის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში წერილობით აცნობოს პრობაციის ოფიცერს საზოგადოებისათვის შრომის სახის, ხანგრძლივობისა და მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებას გააჩნია გარკვეული კანონისმიერი შეზღუდვები, რაც გამომდინარეობს საქართველოს სსკ-ს 44-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან, რომლის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება პირვე-

ლი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე, განვეულ სამხედრო მოსამსახურეს.

აღნიშნული ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებით დგინდება, რომ სასჯელის დანიშვნის დროს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების ადრესატთა წრე შეზღუდულია. მოსამართლე ხელმძღვანელობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლითა და სანქციით, ასევე ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებებით, რა დროსაც საქართველოს სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მოკლებულია შესაძლებლობას მითითებულ პირთა მიმართ გამოიყენოს სასჯელის სახე – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, მაგრამ რამდენად სამართლიანია კანონის აღნიშნული დანაწესი?

სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგი ზოგადად სამართლიანია. თუმცა, ზოგჯერ ხდება ისე, რომ ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტება, აშკარად უსამართლო შედეგს იძლევა. რა უნდა ქნას ამ შემთხვევაში ნორმის შემფარდებელმა? დაემორჩილოს უსამართლო ნორმას და დაიცვას ამით სამართლებრივი უსაფრთხოება, თუ განმარტოს ნორმა მისი სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ (*contra legem*) და ამით სამართლიანობა აღადგინოს? აქვს კი ნორმის შემფარდებელს უფლება კანონი შეუსწოროს კანონშემფარდებელს? საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. მაგრამ, უნდა დაემორჩილოს თუ არა მოსამართლე ისეთ კანონს, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან? უნდა დაემორჩილოს თუ არა მოსამართლე „უსამართლო“ კანონს?<sup>8</sup>

გუსტავ რადბრუხი აღნიშნავდა, რომ კანონის არსებობა, საერთო ჯამში, ყოველთვის სჯობს კანონის არარსებობას, ვინაიდან, ეს ყოველივე, როგორც მინიმუმ, უზრუნველყოფს სამართლებრივ უსაფრთხოებას. თუმცა, სამართლებრივი უსაფრთხოება არ გახლავთ სამართლებრივი ეფექტურობის არც ერთადერთი და არც განმსაზღვრელი მახასიათებელი. სამართლებრივ უსაფრთხოებასთან ერთად არსებობს ორი სხვა ღირებულება, მიზნობრიობა და სამართლიანობა.<sup>9</sup> სამართლიანობა იდეალური მდგომარეობაა და წარმოადგენს, როგორც სამართალშემოქმედების, ასევე სამართლის შეფარდების მიზანს.<sup>10</sup>

სასამართლო პრაქტიკაში, არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც მოსამართლეთა მხრიდან საქართველოს სსკ-ს 44-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაწესი მისი სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ იქნა განმარტებული.

2018 წლის 8 იანვრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით რ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 160 საათის ვადით, მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იყო ინფორმაცია მსჯავრდებულის ავადმყოფობის შესახებ, რომ იგი იყო მე-2 ჯგუფის ინვალიდი.<sup>11</sup>

მსგავსი გადაწყვეტილება იქნა მიღებული გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 30 სექტემბრის განაჩენით, ნ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 3 წლის ვადით თავისუფლების აღვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების თანახმად ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით, დამატებითი სასჯელის სახედ კი განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 150 საათის ოდენობით. პრობაციის ბიუროში აღრიცხვაზე აყვანის დროს, დადგინდა, რომ ნ.გ.-ს უჭირდა მხედველობა, რაც, ასევე დაადასტურა სათანადო სამედიცინო ცნობით, რომლის მიხედვითაც გაირკვა, რომ იგი იყო

<sup>8</sup> ხუბუა გ., *contra legem* საქართველოს სახელით? ჟ. „ინტერპრესნიუსი“, 2015წ.

<sup>9</sup> რადბრუხი გ., *სამართლის ფილოსოფიის ხუთი წიგნი, სამართლის ჟურნალი – „სარჩელი“*, 2012წ., გვ. 321.

<sup>10</sup> ხუბუა გ., *სამართლის თეორია, თბ., 2004წ.*, გვ. 67.

<sup>11</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 8 იანვრის განაჩენი საქმეზე N1/5269-17.

მე-2 ჯგუფის ინვალიდი.<sup>12</sup>

საქართველო სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატიური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ემუხლით გათვალისწინებული შედეგი. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებისთვის კანონით, სასჯელის სახედ და ზომად გათვალისწინებული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ორმოციდან ასორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ვადით.

საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. მართალია სასამართლომ მსჯავრდებულს დაუნიშნა შესაბამისი დანაშაულისთვის გათვალისწინებული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში, თუმცა, სადავოა საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, რამდენად ჰქონდა სამართლებრივი შესაძლებლობა გამოეყენებინა სასჯელი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და განემარტა პირდაპირი მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ.

ფაქტია, რომ საქართველოს სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის სიტყვა-სიტყვითი განმარტების თანახმად, ვინაიდან მსჯავრდებული იყო მე-2 ჯგუფის ინვალიდი, მოსამართლეს მისთვის მძიმე სასჯელი უნდა შეეფარდებინა თავისუფლების აღკვეთის სახით, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით სხვა ალტერნატიული სასჯელი არ იყო გათვალისწინებული, ამასთან, კანონი არასაპატიმრო სასჯელის გამოყენების მიზანშეწონილობის შემთხვევაში, თუ დარჩენილი კანონით განსაზღვრული სხვა სასჯელის აღუსრულებლობის გარკვეული ეჭვი არსებობს, მოკლებულია შესაძლებლობას მიმართოს სხვა არასაპატიმრო სასჯელის გამოყენებას.

ამდენად, როდესაც სამართლის ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტება უსამართლო შედეგამდე მიგვიყვანს, ასეთ შემთხვევაში სამართლის შემფარდებელი უფლებამოსილია ნორმა *contra legem*, ანუ მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ განმარტოს და ამით სამართლიანობის პრინციპი დაიცვას. თუმცა, ნორმის განმარტება მისი სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ შეუძლია არა ყველა იურისტს, არამედ ნორმის შემფარდებელ სასამართლოს. აღნიშნული ხორციელდება არა მოსამართლის სუბიექტური შეხედულების საფუძველზე, არამედ მოქმედი მართლწესრიგის ფარგლებში და მისი დაცვის მიზნით.<sup>13</sup>

2018 წლის 8 თებერვლის თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, ზემოხსენებული, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 8 იანვრის განაჩენი უცვლელად იქნა დატოვებული, სამოტივაციო ნაწილში კი ვკითხულობთ „კანონის ზემოთაღნიშნული დანაშაულის მიზანია, არა ამ პირებისთვის უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნა, არამედ ასაკის, ჯანმრთელობის ან სოციალური სტატუსიდან გამომდინარე მათთვის საზოგადოებრივის სასარგებლო შრომის, როგორც სასჯელის მოხდის შეზღუდვა. ანუ, კანონის ეს დათქმა ეფუძნება ჰუმანურობის პრინციპს, მოცემულ ვითარებაში კანონის დანაშაულის პირდაპირ გაგების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული პირები შეღავათის ნაცვლად უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნის უალტერნატივო სუბიექტებად იქცევიან, რაც კანონის მიზანს არ წარმოადგენს“.<sup>14</sup>

პროფესორი მ. ივანიძის მოსაზრებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვამ შესაძლებელია გარკვეულ შემთხვევაში ცუდად იმოქმედოს მსჯავრდებულის მდგომარეობაზე, მაგ.: ქალბატონს, რომელსაც ჰყავს 7 წლამდე ასაკის ბავშვები, შეიძლება შეუმცირდეს ამგვარი ალტერნატიული სასჯელის გამოყ-

<sup>12</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 30 სექტემბრის განაჩენი საქმეზე N1/4311-13.

<sup>13</sup> ხინთიბიძე რ., ნორმათა ინტერპრეტაცია სისხლის სამართალში – ბენვის ხიდი სიკეთესა და ბოროტებას შორის, სამართლის ჟურნალი N1, თბ., 2018წ., გვ. 39.

<sup>14</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 8 თებერვლის განაჩენი საქმეზე N1ბ/119-18.

ენების ფართო არიალი, ალტერნატიული სასჯელების პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით.<sup>15</sup>

პროფესორი ირაკლი დვალაძე მიუთითებს, რომ კანონი კრძალავს, მუხლში ჩამოთვლილი პირებისთვის, მაგალითად იმ ქალისთვის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნას, ვისაც ჰყავს შვიდი წლამდე ასაკის შვილი. კანონმდებლის მიზანია ზემოაღნიშნული შეზღუდვით უზრუნველყოს ბავშვის ნორმალური განვითარება, რომლის ერთ-ერთი წინაპირობა დედის ან მისი გამზრდელი ქალის (მაგალითად როდესაც ბავშვი ნაშვილებია) უშუალო მზრუნველობითა და სიყვარულით აღზრდაა. სწორედ ამიტომ, თუკი იქნება ისეთი შემთხვევა, როდესაც ბავშვი დედასთან ან გამზრდელ ქალთან არ იზრდება, არც უკანონო და არც უსამართლო არ იქნება მისთვის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდება. ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით გამართლებული იქნება მაშინ, როდესაც საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, კონკრეტული დანაშაულისთვის დანესებული სანქციის ფარგლებში, ყველაზე მსუბუქ ალტერნატიულ სასჯელადაა გათვალისწინებული.<sup>16</sup>

განსხვავებულ მოსაზრება განვითარებულია თბილისის საქალაქო სასამართლო 2016 წლის 15 ნოემბრის განაჩენში, რომლის თანახმად თ.ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 თვე თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების შესაბამისად ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასჯელის გამოყენების ნაწილში, გარკვეულწილად, მოტივირებული იყო იმ გარემოებით, რომ მსჯავრდებული იყო მე-2 ჯგუფის ინვალიდი.<sup>17</sup>

ამდენად, იმ პირობებში, როდესაც იხილება სისხლის სამართლის საქმე, დანაშაულისთვის რაც გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით, რომლისთვისაც სასჯელის სახედ გათვალისწინებულია მხოლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან თავისუფლების აღკვეთა, ჰუმანურობის პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოს სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილში ჩამოთვლილ „ჯგუფზე“ მიკუთვნება არ და ვერ უნდა გახდეს, სასამართლოს მიერ აღნიშნული სასჯელის გამოყენებაზე უარის თქმის საფუძველი, რამეთუ კანონმდებლის მიზანი ნამდვილად არის ჩამოთვლილ პირთათვის შეღავათის დანესება, მათი ასაკის, ჯანმრთელობის ან სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, თუმცა ფაქტია, რომ კანონში ჩანანერი იმგვარად იქნა გაკეთებული, რომ პრაქტიკაში შექმნა რიგი პრობლემები.

## დასკვნა

სტატიაში განვიხილეთ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახე და მასთან დაკავშირებული კანონისმიერი შეზღუდვები. ნათელია, რომ საქართველოს სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის არსებობის პირობებში, როდესაც ნორმა შინაარსობრივად ბუნდოვანია და მოსამართლეთა მხრიდან განმარტების სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას უკავშირდება, სასამართლოს ართმევს შესაძლებლობას წარმოდგენილი სასჯელებიდან გამოიყენოს ყველაზე რელევანტური და ბრალდებულს შეუფარდოს სამართლიანი სასჯელი. პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდობა, საპენსიო ასაკს მიღწევა, თუ სხვა, საქართველოს სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული, რომელიმე გარემოების არსებობა, თავისთავად ვერ გამორიცხავს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულების შეუძლებლობას, რამეთუ ყოველი ადამიანის ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობები, მიუხედავად ასაკისა თუ სხვა გარემოებისა არის ინდივიდუალური. ორსული ქალისთვის, ან თუნდაც ქალისთვის რომელსაც ჰყავს მცირეწლოვანი შვილი, აღნიშნული სასჯელის მოხდა რაიმე სახის სირთულეს არ უკავშირდ-

<sup>15</sup> ივანიძე მ., სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016წ., გვ. 339.

<sup>16</sup> დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი – სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013წ., გვ. 50-51.

<sup>17</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის განაჩენი საქმეზე N1/3078-16.

ება. ნათელია, რომ ნორმის მიზანი ჩანასახშივე ხსენებული პირების სამართლის „ბოროტად“ გამოყენებისგან დაცვას წარმოადგენდა, ვინაიდან, აღნიშნული პირების მიერ სასჯელის აღსრულება ვერ გადაწონის სასჯელის მიზანს, მიუხედავად იმისა, რის მიღწევასაც არ უნდა თვალისწინებდეს ის. სასჯელი არ არის და არც შეიძლება იყოს თვითმიზანი, იგი მიზნის მიღწევის საშუალებაა და ეს მიზანი, პირველ რიგში ბრალდებულის რესოციალიზაციას წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, კანონმდებლის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისთვის განსაზღვრული კანონისმიერი შეზღუდვების დაწესების მიზანს, სახელმწიფოსთვის უფრო ღირებული, ოჯახის ერთიანობის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ღირსების დაცვა წარმოადგენს. ვინაიდან, დედის მიერ ყოველდღე 8 საათის განმავლობაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულების შემთხვევაში, შეუძლებელია მან სრულყოფილად აღზარდოს ან თუნდაც მონაწილეობა მიიღოს 7 წლამდე ასაკის ბავშვის აღზრდაში. ამ მიზანს ემსახურებს პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებისთვის მოცემული სასჯელის სახის გამოყენების აკრძალვაც და ა.შ. მაგრამ, როდესაც საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენების შემთხვევაში, არ ირღვევა კონკრეტული პირის უფლებები და მას, მიუხედავად, კონკრეტული სოციალური სტატუსისა მაინც შეუძლია, სრულყოფილად მოიხადოს სასჯელის ეს სახე, ამ შემთხვევაში, მათთვის მსუბუქი სასჯელის მოხდის უფლების წარმევა არ არის სამართლიანი, რომელსაც, ვერ გავამართლებთ ვერცერთი სხვა ინტერესით, თუნდაც ეს სამართლებრივი სტაბილურობის იყოს.

სტატიის ძირითად ნაწილში, მიმოვიხილეთ მაგალითები როდესაც საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისთვის, საქართველოს სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიუხედავად, მე-2 ჯგუფის ინვალიდს დაენიშნა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ვინაიდან სხვა შემთხვევაში იგი დაექვემდებარებოდა ყველაზე მკაცრ სასჯელს – თავისუფლების აღკვეთას. აღნიშნული, რა თქმა უნდა, გამართლებულია, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული სამუშაოს შესრულება ამ პირისთვის იქნება შესაძლებელი და არ შელახავს მის ღირსებასა და პატივს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მსგავსი მსჯელობა ეწინააღმდეგება კანონიერების პრინციპსა და სამართლებრივ სტაბილურობას, რაც თავის მხრივ ხელ-ფეხს უხსნის კანონის არაერთგვაროვან განმარტებას, აღნიშნული კი ბუნებრივია აფერხებს და აზიანებს მართლმსაჯულების პროცესს, რამეთუ სხვადასხვა მოსამართლის მიერ, იდენტური გარემოებების მქონე საქმეებზე, შესაძლოა გამოყენებულ იქნას განსხვავებული სასჯელი, ამით კი გარკვეულ უთანასწორობას შეექმნას საფუძველი.

სტატიაში მოყვანილი გარემოებები უდავოდ წარმოადგენს სამართლებრივ პრობლემას, რომლის სწორად შეფასება და შემდეგ, სწორი გადაწვეტილების მიღება, მხოლოდ და მხოლოდ ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

და ბოლოს, შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენებასთან მიმართებაში, გარკვეული დათქმების თუ გამონაკლისების დაწესების, მით უფრო მაშინ, როდესაც კონკრეტული დანაშალისათვის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომასთან ერთად განსაზღვრულია მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა, აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართლიანობა, როგორც სამართლის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი მიუღწეველი დაგვრჩება, რითაც სამართლის არსებობასაც აზრი ეკარგება.

## მონმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

მარიამ მითაიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მწერალი თანაშემწე,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

### შესავალი

წინამდებარე სტატია შეეხება 2016 წლის 26 თებერვალს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (შემდგომში – სსსკ) მონმეთა გამოძიების სტადიაზე დაკითხვის ახალ წესს და მის შედარებით სამართლებრივ ანალიზს სსსკ-ის 1998 წლის 20 თებერვლის რედაქციასთან და უცხო ქვეყნების სამართლებრივ რეგულირებასთან.

წინამდებარე ნიშნობის მიზანია, რომ მონმის დაკითხვა, როგორც მტკიცებულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახე, პირდაპირ არის დაკავშირებული პირის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობასთან. თუმცა, თემის აქტუალობას განაპირობებს არა მხოლოდ დაკითხვის სამართლებრივი მნიშვნელობა, არამედ იმ საკანონმდებლო სიახლეთა სიმრავლეც, რომლებმაც გამოძიების სტადიაზე მონმის დაკითხვის წესი, ძველ რედაქციასთან შედარებით მნიშვნელოვნად შეცვალა. საინტერესოა, ახალი სამართლებრივი ნორმები, რამდენად ცვლიან მონმის სამართლებრივ მდგომარეობას და ამასთან, რაში მდგომარეობს მათი უპირატესობები, დადებითი თუ უარყოფითი მხარეები. აგრეთვე, საინტერესოა, ზემოაღნიშნული ცვლილების მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა. საყურადღებოა, დაკითხვის საკანონმდებლო წინაპირობები არის თუ არა ამომწურავად/სრულყოფილად რეგულირებული და მოცემულ ცვლილებათა ფონზე, განსახილველია, დაცვისა და ბრალდების მხარის უფლებამოსილებათა გადანაწილება რამდენად პასუხობს შეჯიბრებითობისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპებს.

ამდენად, სტატიის მიზანს წარმოადგენს, გამოძიების სტადიაზე მონმის დაკითხვის წესის ნორმათა შესწავლა, პრაქტიკაში გამოყენება, მისი შედარება ძველად მოქმედ რედაქციასთან და სხვა ქვეყანათა სამართლებრივ მიდგომებთან და აღნიშნულის საფუძველზე, კონკრეტული წინადადების, რეკომენდაციების შემუშავება-შეთავაზება.

### 1. გამოძიების სტადიაზე დაკითხვის არსი და მიზნები

მონმის ჩვენება სისხლისსამართალწარმოებაში ქმედარტების დადგენის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს<sup>1</sup> და მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოძიების სწორად წარმართვისა თუ ფაქტების გამოკვლევა-დადგენისათვის.<sup>2</sup> მის განსაკუთრებულ მნიშვნელობასთან დაკავშირებით, არსებობს აფორიზმიც: „არ არსებობს მონმე, არ არსებობს ქეისი“.<sup>3</sup> ამიტომაც, იგი

<sup>1</sup> სანიკიძე თ., *მონმე ძველ ქართულ სამართალში*, ჟ. „სამართალი“, №1-2, 2004წ., გვ. 108.

<sup>2</sup> Liao M., *How to Improve China's Witness Protection System: an Evaluation on Protection of Witness in the Amendment to the Criminal Procedure Law of China*, *Frontiers of Law in China*, №3, September 2012, 404.

<sup>3</sup> Groom D., *No Witness, No Case: an Assessment on the Conduct and Quality of ICC Investigations*, *Penn State Journal of Law & International Affairs*, №1, 2014, 3.



„ცენტრალურ“<sup>4</sup>, „შეუცვლელ მტკიცებულებად“ არის აღიარებული,<sup>5</sup> ვინაიდან, ფაქტები, რომლებზეც მონმე საუბრობს, როგორც წესი, მან უშუალოდ დაინახა ან/და მოისმინა.<sup>6</sup> მხარეთათვის საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად მონმე შესაძლოა „მთავარ მოთამაშედ“ იქცეს; განსაკუთრებით დაცვის მხარე, სწორედ მონმეთა ჩვენებებით ცდილობს, შეცვალოს მის წინააღმდეგ მიმართული საქმის პირველადი ვერსია.<sup>8</sup>

დაკითხვის მიზანია, „ინფორმაციის მიღება იმ ფაქტების შესახებ, რასაც სინამდვილეში ჰქონდა ადგილი“<sup>9</sup>, ხოლო ამოცანას წარმოადგენს ზემოაღნიშნული გზით მიღებულ ინფორმაციას გააჩნდეს სწორი და ზუსტი ხასიათი.<sup>10</sup> საგულისხმოა, რომ თვითმხილველი მონმის დაკითხვა გამოძიებას მნიშვნელოვნად ეხმარება: 1. სისხლის სამართლის (შემდგომში – სს) საქმის წინსვლაში, 2. დამნაშავეს იდენტიფიცირებასა და 3. უდანაშაულო პირის, შესაძლო ბრალდებისგან გამორიცხვაში.<sup>11</sup>

მოსამართლის მიერ მონმის ვერსიის გაზიარება პირდაპირ შემხებლობაშია მის მიერ გამოტანილ კონკრეტულ გადაწყვეტილებასთან,<sup>12</sup> ვინაიდან, მონმის მიერ აღწერილი ფაქტები წარმოადგენს მტკიცებულებას პირის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობისათვის.<sup>13</sup> სწორედ ამიტომ, ბრალდებულის შესაძლებლობა დაკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მონმეები, განიხილება, როგორც მისი „მინიმალური უფლება“<sup>14</sup> და სამართლიანი სასამართლოს შემადგენელი ელემენტი.<sup>15</sup>

ნიშანდობლივია, რომ ახალი სსკ-ის ამოქმედების ერთ-ერთ ძირითად უპირატესობად, მონმის მხოლოდ სასამართლოში დაკითხვა ითვლებოდა,<sup>16</sup> ვინაიდან, სწორედ იგი წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს გარანტს „მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის უზრუნველსაყოფად.“<sup>17</sup>

საგულისხმოა, რომ სსკ-ში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებით ბარათში (შემდგომში – განმარტებითი ბარათი) აღნიშნულია, რომ კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს: 1. არსებული „პირის გამოკითხვისა და დაკითხვის მექანიზმის დახვეწა“ და 2. საპროცესო ნორმების „საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.“<sup>18</sup> საკანონმდებლო ცვლილებით, კერძოდ, სსკ-ის 113-114-ე მუხლებით, პირის ნების არსებობის შემთხვევაში, მისი გამოკითხვა შესაძლებელია საგამოძიებო ორგანოში, ხოლო ნების არ არსებობისას – მაგისტრატ მოსამართლესთან იკითხება. პირველ შემთხვევაში, ჩვენება წარმოადგენს ცალკეული პირისა და პოლიციის/გამომძიებლის ურთიერთკავშირის პროდუქტს,<sup>19</sup> ხოლო მე-2 შემთხვევაში, პროცესში, აგრეთვე, ერთგვარადაც მაგისტრატი მოსამართლე, რომლის როლიც დაკითხვის პროცესზე კონტროლის განწევში, მონმის უფლებათა და დაკითხვის გაჭიანურების დაცვასა და სხვაგვარი სახის უკანონო

<sup>4</sup> გაბისონია ი., სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში, თბ., 2002წ., 191.

<sup>5</sup> მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ., აქუბარდია ი., აბაშიძე გ., დოლიძე თ., ალანია გ. და სხვ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბ., 2012წ., 47.

<sup>6</sup> აქუბარდია ი., გოგუელიძე რ., ფაფიაშვილი ლ., გოგნიაშვილი ნ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, მე-2 გამოცემა, თბ., 2009წ., 284.

<sup>7</sup> Taslitz A.E., Henderson S.E., *Reforming the Grand Jury to Protect Privacy in Third Party Records*, *American Law Review*, 2014, 222.

<sup>8</sup> Jessica L. West, *Is Injustice Relevant? Narrative and Blameworthiness in Protester Trials*, *Temple Law Review*, 2013, 135.

<sup>9</sup> თრენკელი ერნ., მონმის ჩვენების ფსიქოლოგია, თბ., 2003წ., 56.

<sup>10</sup> ციხისელი თ., დეკანოზიშვილი გ., დაკითხვის ტექტიკა და ფსიქოლოგიური თავისებურებები, თბ., 2005წ., 6.

<sup>11</sup> Reno J., *Eyewitness Evidence, A Guide for Law Enforcement*, U.S Department of Justice, Office of Justice Programs, Research Report, October 1999, 1.

<sup>12</sup> King J.L., Berkovitz J., *Impeaching a Witness's Credibility Throught Prior Inconsistent Statements*, *Personal Injury Practice in Motor Vehicle Cases*, Chapter 50A, 2014, 1.

<sup>13</sup> ბოუმანი დ. პ., ჩხეიძე გ., ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ქართველი იურისტებისთვის, თბ., 2014 წ., 44.

<sup>14</sup> Welch T., Haider H., Meenagh M., M'Boge Y., *Witness Anonymity at the International Criminal Court: Due Process for Defendants, Witness or Both? The Dennig Law Journal*, 2011, 29-30.

<sup>15</sup> *Gravano v. Italy*, [2005] ECHR, 38.

<sup>16</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2014წ., 13 <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3509.pdf> ბოლო ნახვა: 15.04.2018.

<sup>17</sup> იქვე, 2013 წ., 255 <http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf> ბოლო ნახვა: 15.04.2018.

<sup>18</sup> [http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:GEuuxXx7D0J:www.parliament.ge/ge/law/download\\_106183/09122015-pdf+&cd=1&hl=en&ct=clnk&gl=ge](http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:GEuuxXx7D0J:www.parliament.ge/ge/law/download_106183/09122015-pdf+&cd=1&hl=en&ct=clnk&gl=ge) ბოლო ნახვა: 04/04/2016.

<sup>19</sup> Thomson S. G., *Judicial Gatekeeping of Police-Generated Witness Testimony*, *Criminal Law & Criminology*, №2, 2012, 331.

ქმედებების აღკვეთაში გამოიხატება.<sup>20</sup> ამდენად, ამ შემთხვევაში, ჩვენების მიმართ ნდობის ხარისხი გაცილებით მაღალია.

## 2. გამოძიების სტადიაზე მონშის დაკითხვის საფუძველი

საგულისხმოა, რომ სსსკ-ის 114-ე მუხლი პირის მონშედ დაკითხვასთან მიმართებით, შინაარსობრივი თვალსაზრისით ორ ნაწილად იყოფა: მისი 1-ლი ნაწილი ეხება, ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ მაგისტრატ მოსამართლესთან ოთხი კონკრეტული საკანონმდებლო საფუძველის არსებობის შემთხვევაში მონშედ დაკითხვის უფლებამოსილებას, ხოლო მე-2 ნაწილი შეეხება, მხოლოდ ბრალდების მხარის უფლებას – მონშედ დაკითხოს პირი, მისი მხრიდან სს გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის არსებობის შემთხვევაში. ამასთან, თუ დაკითხვის ინიციატორი მხარის შუამდგომლობა გამომდინარეობს სსსკ-ის 114-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და ამავდროულად მე-15 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, დაკითხვას ესწრება, როგორც ინიციატორი, ისე მეორე მხარე; ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შუამდგომლობის საფუძველია: 1. სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 2. ამავდროულად მე-15 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ან 3. დაკმაყოფილებულია შუამდგომლობა მეორე მხარის ინფორმირებისა და დასწრების გარეშე მონშის დაკითხვაზე, დაკითხვას ესწრება მხოლოდ ინიციატორი მხარე.<sup>21</sup>

ნიშანდობლივია, რომ სსსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 294-ე მუხლის თანახმად, პირი დაკითხულ უნდა იქნეს: 1. გამომძიებლის, 2. პროკურორის სამუშაო კაბინეტსა და 3. „სპეციალურად დაკითხვისთვის მონყობილ ოთახში“.<sup>22</sup> ამდენად, სსსკ-ის 1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია, არც ერთ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, არ იცნობს გამოძიების სტადიაზე პირის მოსამართლესთან მონშედ დაკითხვის შესაძლებლობას.

### 2.1. ბრალდებისა და დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მაგისტრატ მოსამართლესთან პირის მონშედ დაკითხვა

როგორც აღინიშნა, სსსკ-ის 114-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ამომწურავად ჩამოთვლის ყველა იმ საკანონმდებლო წინაპირობას, რომელიც დაცვისა და ბრალდების მხარეს გამოძიების სტადიაზე უფლებას ანიჭებს მონშედ დაკითხონ პირი მაგისტრატ მოსამართლესთან. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

#### 2.1.1. პირის სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების საფრთხე

იმისათვის, რომ პირის დაკითხვის საფუძველი გახდეს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების საფრთხე, აუცილებელია, მოცემული საფრთხე იყოს რეალური. რეალურობა საჭიროებს დასაბუთებას. ამდენად, შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტი, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.<sup>23</sup> ასეთი გარემოების მაგალითი შესაძლოა იყოს ისეთი დაავადება, რომელსაც სწრაფად მდგომარეობის დამძიმება ან/და გავრცელებითობა ახასიათებს.

თუ არსებით სასამართლო სხდომაზე პირის დაკითხვა შეუძლებელი იქნება, სსსკ-ის 243-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მოხდება მის მიერ გამოძიების სტადიაზე მიცემული ჩვენების გამოქვეყნება. აღნიშნულ შესაძლებლობას იძლევა სსსკ-ის 1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია.<sup>24</sup>

<sup>20</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაცია, გამოძიების დროს სასამართლოში პირის მონშედ დაკითხვის წესის ამოქმედებასთან დაკავშირებით, 2016წ., მუხლი 8.

<sup>21</sup> იქვე, მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები.

<sup>22</sup> მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, თბ., 2007წ., 559.

<sup>23</sup> ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი და სხვ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015 წ., 380.

<sup>24</sup> 481-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, იგულისხმება საგამოძიებო ორგანოში და არა მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხული მოწმის ჩვენების საჯაროდ წაკითხვა.

### 2.1.2. საქართველოს ტერიტორიის დიდი ხნით დატოვება

საქართველოს ტერიტორიის დიდი ხნით დატოვებაში შესაძლოა იგულისხმებოდეს, პირის საცხოვრებლად ან/და სწავლის მიზნით სხვა ტერიტორიაზე გამგზავრება. აღნიშნულში არ შეიძლება მოვიზროთ პირობითად, ერთ კვირიანი მოგზაურობა. მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობითა და წარდგენილი დოკუმენტაციით უნდა დასტურდებოდეს: 1. როგორც დიდი ხნით გამგზავრების ფაქტი, ისე 2. აუცილებლობა მოცემული მოწმის დაკითხვის შესახებ.<sup>25</sup>

### 2.1.3. აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვების არაგონივრული ძალისხმევის საჭიროება

განსახილველი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, უნდა დასაბუთდეს როგორც: 1. კონკრეტული მტკიცებულების სს საქმისათვის მნიშვნელოვანი ხასიათი, ისე 2. მისი სხვადასხვა წყაროდან მოპოვებისათვის არაგონივრული ძალისხმევის საჭიროება. აღსანიშნავია, რომ მოცემული ნორმა თავისთავში, რესურსების არაპროპორციულად ხარჯვის აღკვეთის პრევენციას ისახავს მიზნად.

### 2.1.4. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საჭიროება

შესაძლებელია, გამოძიების სტადიაზე, მოწმის მიმართ გამოყენებულ იქნას დაცვის სპეციალური ღონისძიება, მაგ. მოხდეს მისი რელოკაცია, რის გამოც, იგი არსებით სხდომაზე ჩვენების მისაცემად ვეღარ გამოცხადდეს; ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, მისი დაკითხვა სწორედ მაგისტრატ მოსამართლესთან.<sup>26</sup>

## 2.2. ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მაგისტრატ მოსამართლესთან პირის მოწმედ დაკითხვა

ზემოთხსენებული ოთხი საგამონაკლისო შემთხვევათა გარდა, პირის მხრიდან, სს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოების შესაძლო ფლობის შემთხვევაში, აგრეთვე, შესაძლებელია პირის დაკითხვა მაგისტრატ მოსამართლესთან. თუმცა, ამ შემთხვევაში, შუამდგომლობის დაყენებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მხოლოდ ბრალდების მხარე. ამასთან, სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იმისათვის რომ ბრალდების მხარემ იშუამდგომლოს მაგისტრატ მოსამართლესთან მოწმის დაკითხვაზე აუცილებელია, არსებობდეს: 1. კონკრეტული ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც თავის მხრივ, დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს დასკვნისათვის, რომ პირი შესაძლოა ფლობს სს საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციას და 2. პირი გამოკითხვაზე უარს უნდა აცხადებდეს (აღნიშნული საკანონმდებლო საფუძვლები ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული).

სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდების მხარე მაგისტრატ მოსამართლესთან მოწმის დაკითხვას შუამდგომლობს სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოწმის დაკითხვას არ ესწრება დაცვის მხარე. ნიშანდობლივია, რომ მეორე მხარის დაუსწრებლად, პირის დაკითხვა, შესაძლებელია, გარკვეულწილად ზღუდავდეს პროცესის ერთ-ერთ ფუნდამენტურ – „შეჯიბრებითობის“ პრინციპს. მოცემული პრინციპი, თავისი არსიდან

<sup>25</sup> ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი და სხვ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015წ., 380.

<sup>26</sup> გვრიტიშვილი ლ., მონმეთა დაცვის სპეციალური პროგრამა, თბ., 2012წ., 69-70.

გამომდინარე, „თანაბარ მდგომარეობაში და პირობებში აყენებს მხარეებს მტკიცებულებათა მოპოვების...მხრივ“.<sup>27</sup> შეჯიბრებითობა გულისხმობს, დაცვისა და ბრალდების, ე.ი. მონინალმდეგე მხარეთა თანაბარ შესაძლებლობებს.<sup>28</sup> შესაბამისად, როდესაც მონმე სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, იკითხება სასამართლოში, მეორე მხარე ფაქტობრივად, არ იმყოფება თანაბარ პირობებში დაკითხვის ინიციატორ მხარესთან შედარებით. ამდენად, ბრალდების მხარე მოცემული სამართლებრივი ფორმულირებით, გარკვეულწილად უპირატეს მდგომარეობაშია<sup>29</sup> და შესაბამისად, დაცვის მხარეს არ აქვს შესაძლებლობა „შეეჯიბროს“ მეორე მხარეს, რის გამოც სამართლიანი პროცესის პრინციპი სუსტდება.<sup>30</sup> განმარტებითი ბარათის თანახმად, დაცვის მხარის დასწრების გარეშე გამოძიების სტადიაზე მონმის დაკითხვის შეუძლებლობა, შევსებულია დაცვის მხარის უფლებრივი გარანტიებით: 1. მოითხოვოს მონმის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა და 2. არსებით სასამართლო სხდომაზე დაკითხოს მონმე.<sup>31</sup>

საგულისხმოა, რომ ზოგადად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში – ევროპული კონვენცია) მე-6 მუხლი, რომლის „უპირველესი ამოცანაა შეაფასოს სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობა“,<sup>32</sup> ვრცელდება წინასწარ გამოძიებაზეც<sup>33</sup> და იგი მონმეთა დაკითხვის წარმართვას თანაბარ პირობებში მოითხოვს.<sup>34</sup> ამასთან, გამოძიების სტადიაზე მე-6 მუხლის გამოყენება დამოკიდებულია სისხლის სამართალწარმოების სპეციფიკასა და კონკრეტულ საქმეთა ფაქტობრივ გარემოებებზე.<sup>35</sup>

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის არააბსოლუტური ხასიათიდან გამომდინარე,<sup>36</sup> გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში – ევროპული სასამართლო) პრაქტიკის თანახმად, სს საქმეში შესაძლოა ერთმანეთს დაუპირისპირდეს ისეთი სახის ინტერესები, როგორც არის ეროვნული უსაფრთხოება, მონმის დაცვის საჭიროება, საგამოძიებო ორგანოების ტაქტიკის საიდუმლოების დაცვა და ბრალდებულის უფლებები, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ და მხოლოდ ზემოაღნიშნული მიზნები შესაძლოა გახდნენ დაცვის უფლების შემზღვეველი საფუძვლები.<sup>37</sup> ამდენად, მოსამართლემ, სასამართლო სხდომამდე უნდა შეამოწმოს თუ რამდენად წონის საჯარო ინტერესი ბრალდებულის ინტერესებს<sup>38</sup> და ამასთან, მხედველობაში უნდა მიიღოს, როგორც საჯარო და დაზარალებულის ინტერესი,<sup>39</sup> ისე მონმის ინტერესები.<sup>40</sup> ზემოაღნიშნულთან ერთად, განსახილველია, ევროპული სასამართლოს პოზიცია, რომ მხარეთა დისბალანს მოცემულ შემთხვევაში, გარკვეულწილად პროცესის სასამართლოს მიერ წარმართვა ავსებს.<sup>41</sup>

<sup>27</sup> თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014წ., 74.

<sup>28</sup> სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის, კვლევა და რეკომენდაციები, საქართველოს იურიდიული ფორუმის ასოციაცია, ფონდი ღია საზოგადოება, თბ., 2015წ., 13, [http://alfg.ge/wp-content/uploads/2015/07/sisxlis-temaze-kvleva\\_opt.pdf](http://alfg.ge/wp-content/uploads/2015/07/sisxlis-temaze-kvleva_opt.pdf) ბოლო ნახვა: 15/04/2018.

<sup>29</sup> აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა, 6 [http://eap-csf.ge/images/doc/publikaciebi/PP\\_WG1\\_Sisxlis%20Samarilis%20Martlmsajuleba.pdf](http://eap-csf.ge/images/doc/publikaciebi/PP_WG1_Sisxlis%20Samarilis%20Martlmsajuleba.pdf) ბოლო ნახვა: 15.04.2018.

<sup>30</sup> ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ. და სხვ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013წ., 541.

<sup>31</sup> [http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:GEucxxXxZD0:www.parliament.ge/ge/law/download\\_106183/09122015-pdf+&cd=1&hl=en&ct=clnk&gl=ge](http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:GEucxxXxZD0:www.parliament.ge/ge/law/download_106183/09122015-pdf+&cd=1&hl=en&ct=clnk&gl=ge) ბოლო ნახვა: 04/04/2016.

<sup>32</sup> *Schatschaschwili v. Germany*, [2015], ECHR, 101.

<sup>33</sup> *Dvorski v. Croatia*, [2015], ECHR, 76; *Salduz v. Turkey*, [2008] ECHR, 50.

<sup>34</sup> *Barberà, Messegué and Jabardo v. Spain* [1988] ECHR, 78.

<sup>35</sup> *Shabelnik v. Ukraine*, [2009] ECHR, 52.

<sup>36</sup> გროესტადი ა., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების გამოყენება სისხლის სამართლის საქმეებზე, თბ., 2009 წ., 31.

<sup>37</sup> *Natunen v. Finland*, [2009] ECHR, 40; *Dowsett v. the United Kingdom* [2003] ECHR, 42.

<sup>38</sup> *Mirilashvili v. Russia*, [2008] ECHR, 205.

<sup>39</sup> *Gäfgen v. Germany* [2010] ECHR, 175.

<sup>40</sup> *Doorson v. the Netherland* [1996] ECHR, 70.

<sup>41</sup> *Natunen v. Finland* [2009] ECHR, 40; *Dowsett v. the United Kingdom* [2003] ECHR, 42.

მხარეთა დისბალანსთან მიმართებით, მნიშვნელოვანია, შემდეგი საკითხის ანალიზიც, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ არსებით სასამართლო სხდომაზე დადგა საჭიროება მოწმის ჩვენების გამოქვეყნებისა (მაგ., მოწმე გარდაიცვალა), რომელმაც გამოძიების სტადიაზე, მაგისრატ მოსამართლესთან სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით, მხოლოდ ბრალდების მხარეს მისცა ჩვენება, დაცვის მხარე ვერც გამოძიების ეტაპზე და ვერც სასამართლოში არსებითად საქმის განხილვისას, ვერ შეძლებს მოწმის ჯვარედინ დაკითხვას.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, იმ პირის მსჯავრდება, რომელიც მხოლოდ ან მეტწილად დაეფუძნა ისეთი მოწმის ჩვენებებს, რომელთა დაკითხვის შესაძლებლობა ბრალდებულს, როგორც გამოძიების სტადიაზე, ისე სასამართლო სხდომაზე არ მისცემია, არ შეესაბამება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს,<sup>42</sup> თუმცა, აღნიშნულ დანაწესს ვინაიდან არ გააჩნია აბსოლუტური ხასიათი, ამდენად, შესაძლებელია, მისი შეზღუდვა ისეთი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, როგორც არის: 1) მოწმის დაუსწრებლობის მიზეზთა სიმყარე, 2) დადგენა, იყო თუ არა ასეთი მოწმის ჩვენება ერთადერთი ან ძირითადი მტკიცებულება პირის მსჯავრდებისათვის,<sup>43</sup> 3) არსებობდა თუ არა დაცვის მხარისათვის დამაბალანსებელი ფაქტორები, ასეთი ჩვენების დაშვების საკომპენსაციოდ.<sup>44</sup> დაუსწრებლობის მიზეზთა სიმყარე შესაძლოა გამომდინარეობდეს პირის გარდაცვალებიდან,<sup>45</sup> შიშის ან/და მოწმის მიუწვდომლობიდან.<sup>46</sup> რაც შეეხება, დაცვის მხარისათვის დამაბალანსებელი ფაქტორების არსებობას, მოცემულთან მიმართებაში, ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ერთ-ერთ საქმეზე დაადგინა, რომ ბრალდებულის მიერ მოწმეების სხვისი მეშვეობით დაკითხვის შეუძლებლობამ, საქმის სასამართლო განხილვა მთლიანობაში უსამართლო გახადა, ვინაიდან, გერმანიის პროკურატურამ ბრალდებულს არ მისცა შესაძლებლობა დაეკითხა მოწმეები დანიშნული ადვოკატის მეშვეობით, იმ ფონზე, რომ პროკურატურამ „გასწავა განჭვრედატი რისკი“, რომ ვერც ბრალდებული და ვერც მისი დამცველი არსებით სასამართლო სხდომაზე, ვეღარ შეძლებდა აღნიშნული მოწმეების ჯვარედინ დაკითხვას.<sup>47</sup> ზემოაღნიშნული გარემოებები ყოველ შემთხვევაში, შეფასებისა და პრაქტიკული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებების კეთილსინდისიერად გაანალიზების საგანს წარმოადგენს, იმგვარად, რომ დაცვის მხარის ინტერესები გაუმართლებლად არ შეიზღუდოს.

საქართველოს კონსტიტუციის (შემდგომში – კონსტიტუცია) 42-ე მუხლის მე-6 ნაწილისა და სსსკ-ის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოწმეთა დაკითხვასთან დაკავშირებით, როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარე, თანაბარი შესაძლებლობით სარგებლობენ. თუმცა, ბრალდებულ/ადვოკატი სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილით არსებული რეგულირებით, მოკლებულია შესაძლებლობას ბრალდებულის დასაცავად უშუალოდ დაკითხოს მოწმე და დროულად შეარჩიოს შესაბამისი დაცვის ტაქტიკა; ამასთან, თვითმხილველ მოწმესთან უშუალოდ და დროულად დააზუსტოს ისეთი სახის გარემოებები, როგორებიც არის მაგ., მოწმის შესაძლებლობა დაენახა ბრალდებული შემთხვევის ადგილას, მოწმის შემთხვევის ადგილზე ყოფნის ინტენსივობა და ა.შ.<sup>48</sup> ამ უფლების არ არსებობა გაცილებით „მძაფრია“ ისეთი სახის დანაშაულებთან მიმართებით, რომელთა გახსნა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოწმის ჩვენებებზე, მაგ., ნარკოტიკული დანაშაული,<sup>49</sup> ქურდული სამყაროს წევრობა. მართალია, სსსკ-ის თანახმად, დაცვის მხარეს უფლება აქვს წაიკითხოს/მოუსმინოს სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მიღებულ მოწმის ჩვენებას, თუმცა, ინიციატორი – ბრალდების მხარის მიერ დასმული შეკითხვები შესაძლოა, არ შეესაბამებოდეს დაცვის მხარის სასურველ შეკითხვებს და მოწმის მიერ დაცვისათვის გამოკითხვაზე უარის მიღე-

<sup>42</sup> მაკბრაიდი ჯ., ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბ., 2011წ., 193.

<sup>43</sup> *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*, [2011], ECHR, 118-120

<sup>44</sup> *Schatschaschwili v. Germany*, [2015], ECHR, 107.

<sup>45</sup> *Mika v. Sweden*, [2009] ECHR, 37; *Ferrantelli and Santangelo v. Italy*, [1996] ECHR, 52.

<sup>46</sup> *Schatschaschwili v. Germany*, [2015] ECHR, 119.

<sup>47</sup> იქვე, 160, 164.

<sup>48</sup> *Investigation and Police Practices, Annual Review of Criminal Procedure*, Editor-in-Chief Henthorne B., 2013, 188.

<sup>49</sup> პრადელი უ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., 1999წ., 322.

ბის შემთხვევაში, დაცვა ვერ შეძლებს მონმის დამოუკიდებლად დაკითხვას არსებით სასამართლო სხდომამდე, თუკი სსსკ-ის 114-ე მუხლის 1-ლი ნაწილით არსებული საფუძვლები არ არის სახეზე. დაცვის მხარისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაკითხვის პროცესში, უშუალოდ ჰქონდეს შესაძლებლობა – დააკვირდეს მონმის ქცევას და მის მანერებს.<sup>50</sup> ამდენად, შესაძლოა ითქვას, რომ დაცვის მხარის გარანტიები აღნიშნულ პროცესში სუსტია.<sup>51</sup> საგულისხმოა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (შემდგომში – საკონსტიტუციო სასამართლო) მიერ ნათლად იქნა განმარტებული, რომ „საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელოვან ყველა გარემოებაზე და მტკიცებულებაზე აზრის გამოთქმის, გაქარწყლების და პასუხის მიღების უფლება თანაბრად უნდა გააჩნდეს ყველა მხარეს.“<sup>52</sup> ამასთან, „შეჯიბრებითი პროცესი დაფუძნებულია რწმენაზე, რომ სათანადოდ მომზადებული და დაინტერესებული მხარეები სასამართლოს წარუდგენენ საკმარის ინფორმაციას და არგუმენტებს.“<sup>53</sup>

### 2.2.1. პირის მიერ ინფორმაციის შესაძლო ფლობა

სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილის გრამატიკული განმარტებიდან გამომდინარე, ბრალდების მხარის მიერ მონმის დაკითხვისათვის, საკმარისია ცალკე აღებული ფაქტის ან ინფორმაციის არსებობა. ამდენად, საინტერესოა, მხოლოდ გამომძიებლის პატაკი ან გამოკითხვა, არის თუ არა პირის მონმედ დაკითხვისათვის საკმარისი წინაპირობა. ვინაიდან, ფაქტისა და ინფორმაციის არსებობის გარდა, აუცილებელია, ობიექტური პირის დაკმაყოფილება, შესაბამისად, ჩნდება კითხვა: არის კი ობიექტური პირისათვის დამაკმაყოფილებელი მხოლოდ ერთი ფაქტი, თუ აუცილებელია ერთ ფაქტს პლუს სხვა ფაქტი/გარემოება. აღსანიშნავია, რომ მაგ., ინგლისში, იმისათვის, რომ მაგისტრატ და გვირგვინის სასამართლოში მონმის დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია იყოს ხელშემწყობი კონკრეტული საქმის წინსვლისათვის, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, არსებობენ „სპეციალური მონმეზე ზრუნვის ოფიცრები“.<sup>54</sup>

შესაძლოა ითქვას, რომ დაკითხვის საკანონმდებლო წინაპირობათა სტანდარტი, დასაბუთებულ ვარაუდზე დაბალი ხარისხისაა,<sup>55</sup> თუმცა, აღნიშნული საკითხი პრაქტიკამ ცალსახად იმგავრად უნდა დაარეგულიროს, რომ არ მოხდეს როგორც მონმის, ისე სასამართლოს რესურსის არამიზნობრივად გახარჯვა.

### 2.2.2. პირის მიერ გამოკითხვაზე უარის გაცხადება

დაკითხვის ადგილი დაკითხვის მომზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს<sup>56</sup> და იგი პირდაპირპროპორციულია მიცემული ჩვენების ხარისხთან.

ნიშანდობლივია, რომ 2016 წლის 20 თებერვლის ცვლილებით, კერძოდ, სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დადგინდა, რომ პირს უფლება აქვს უარი განაცხადოს მონმის სახით გამოკითხვაზე საგამომძიებო ორგანოში. აღნიშნული დანაწესის საპირისპიროდ, სსსკ-ის 1998 წლის 20 თებერვლის რედაქციით, კერძოდ, 94-ე მუხლით, პირი ვალდებული იყო საგამომძიებო ორგანოსთვის მიეცა ჩვენება. ზოგადად, მონმის მიერ დუმილით სარგებლობა, მომდინარეობდა 1963 წლის საბჭოთა კავშირის

<sup>50</sup> მაგ., *P.S. v. Germany*, [2001] ECHR; *Van Mechelen and Others v. the Netherlands* [1997] ECHR.

<sup>51</sup> ხუციშვილი ე., ვერძული ს., ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის მართლმსაჯულებაში, თბ., 2012წ., 42.

<sup>52</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებაზე, №3/1/608,609, 29/09/2015, II-19.

<sup>53</sup> იქვე, II-15.

<sup>54</sup> *Achieving Best Evidence in Criminal Proceedings, Guidance on Interviewing Victims and Witnesses, and Guidance on Using Special Measures*, UK, Ministry of Justice, March 2011, §4. 19, 105.

<sup>55</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2015წ., 650 <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3512.pdf> ბოლო ნახვა: 15.04.2018.

<sup>56</sup> დეკანოზიშვილი გ., დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში, დისერტაცია, თბ., 2009წ., 131.

„ტიპური“ კოდექსებიდან.<sup>57</sup> ამდენად, მონმის ვალდებულება საგამოძიებო ორგანოში მისცეს ჩვენება, შეიცვალა მონმის ვალდებულებით სასამართლოსათვის ჩვენების მიცემით.

სასამართლოს გარეთ გამოძიების დასმულ შეკითხვებზე არ გასცეს პასუხი მონმემ, გამომდინარეობს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლიდან და ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან.<sup>58</sup> საერთო სამართლის ქვეყნებში, მონმის პოლიციის განყოფილებაში დაკითხვა ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს. ასეთი ქვეყნებია მაგ., კანადა, ამერიკა,<sup>59</sup> ინგლისსა და უელსში მონმე ჩვენებას აძლევს მაგისტრატის, გვირგვინისა და არასრულწლოვანთა სასამართლოში.<sup>60</sup> „ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში, როგორც წესი, გამოირიცხება საპოლიციო დაკითხვის ოქმების გამოყენება.“<sup>61</sup> „გერმანიის, ჰოლანდიის, ბელგიის, დანიის და ნორვეგიის პრაქტიკაში მონმის იძულება დასაშვებია მხოლოდ მისი სასამართლოში და არა პოლიციაში გამოცხადების მიზნით.“<sup>62</sup> თუმცა, ზოგადად, ბელგიაში, „მონმე შესაძლოა დაიკითხოს, როგორც სასამართლოში, ასევე წინასწარი გამოძიების სტადიაზე.“<sup>63</sup> კანადის „მტკიცებულებათა აქტის“ 50-ე მუხლის თანახმად, მონმის მიერ საკუთარი თავის საწინააღმდეგო ან სხვა სახის პასუხის გაცემას გააჩნია ნებაყოფლობითი ხასიათი.<sup>64</sup>

სერბიის სისხლის სამართლის პროცესის 101-ე მუხლით, იმ შემთხვევაში, თუ მონმე სათანადოდ დაიბარეს და იგი არ გამოცხადდა, ან დატოვა ის ტერიტორია, სადაც იგი უნდა დაკითხულიყო, პროცესის მწარმოებელმა ორგანომ შესაძლოა გასცეს ბრძანება მისი იძულებით მიყვანის შესახებ, ხოლო სასამართლო ამ შემთხვევაში, უფლებამოსილია მონმე 100.000 დინარით დააჯარიმოს.<sup>65</sup> აღსანიშნავია, რომ ამერიკაში, „ფედერალური მონმის სტატუსის“ თანახმად, დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს მონმის დაკავების ნებართვის მიღება<sup>66</sup> ორი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში: 1. ჩვენება უნდა ეხებოდეს სს პროცესისათვის მნიშვნელოვან გარემოებას; 2. პირის სასამართლოში გამოცხადება უნდა იყოს შეუძლებელი.<sup>67</sup> ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ არ შეიძლება დაკავებას გააჩნდეს ხშირი ხასიათი.<sup>68</sup> რაც შეეხება, პოლიციას, მას არანაირი უფლებამოსილება არ გააჩნია აიძულოს მონმე გამოცხადდეს მასთან ჩვენების მისაცემად.<sup>69</sup> ნიუ-იორკში, მონმე სასამართლოში დასაკითხად მხოლოდ სასამართლო უწყებით განსაზღვრულ დროს უნდა გამოცხადდეს და ამასთან, ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ მას შეუძლია მიიღოს ინფორმაცია მონმეთა დახმარების სპეციალური მომსახურების პერსონალთან.<sup>70</sup>

ამდენად, ამერიკაში იმ საფუძვლების არსებობისას, რასაც ფაქტობრივად, სსკ-ის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს, არსებობს პირის დაკავების შესაძლებლობა. ხოლო, სსკ მაგისტრატ მოსამართლესთან გამოცხადებაზე უარის გაცხადების შემთხვევაში, მონმის დაკავების შესაძლებლობას არ იცნობს. თუკი მონმე დაბარებული იქნება და იგი არ გამოცხადდება სსკ-ის 114-ე

<sup>57</sup> ვილდე ბ. დ., ვოლგერი რ., მონმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში, თბ., 2015წ., 2.

<sup>58</sup> John Murray v. the United Kingdom [1996], ECHR, 45.

<sup>59</sup> ვილდე ბ. დ., ვოლგერი რ., მონმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში, თბ., 2015 წ., 18, 21.

<sup>60</sup> Witness in Court, Criminal Justice System, The Attorney General's Office, The Office for Criminal Justice Reform, August 2009, 7.

<sup>61</sup> გუტენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007წ., 123.

<sup>62</sup> კანონპროექტისთვის: „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (07-2/409, 19/11/2015), საქართველოს პარლამენტი, კვლევითი დეპარტამენტი. კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება, <http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:29ke4inULXA-I:www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/40826/mowmeTa-dakiTxvis-wesi+&cd=1&hl=en&ct=clnk&gl=ge> 3, ბოლო ნახვა: 11/04/2016.

<sup>63</sup> ვინგაერტი კ. ვ. დ., ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, 2002წ., 57.

<sup>64</sup> Canada Evidence Act, R.S.C., 1985, c. C-5, გამოქვეყნებულია: <http://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/c-5/fulltext.html> ბოლო ნახვა: 24/08/2016.

<sup>65</sup> The Criminal Procedure Code of Republic Serbia, September 26, 2011, გამოქვეყნებულია: <http://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes> ბოლო ნახვა: 24/08/2016.

<sup>66</sup> *ib. Studnicki S. M., Apol J. P., Witness Detention and Intimidation: The History and Future of Material Witness Law, St. John's Law Review, N3, 2002, 496.*

<sup>67</sup> იქვე.

<sup>68</sup> იქვე, 485.

<sup>69</sup> ვილდე ბ. დ., ვოლგერი რ., მონმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში, თბ., 2015წ., 18.

<sup>70</sup> Vance C. R., Services for Crime, Victims, Witnesses and Their Families, 11/2010, 5-6 <http://manhattanda.org/sites/default/files/WASU.pdf> ბოლო ნახვა: 22/08/16.

მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, იგი სსსკ-ის 149-ე მუხლის შესაბამისად, შესაძლოა იძულებით მიიყვანონ. ანალოგიურად, საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლის თანახმად, უწყებთ დაბარებული მონმის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მის მიმართ იძულებითი ღონისძიება, კერძოდ, მიყვანა ხორციელდება იმ მოსამართლესთან, რომელმაც გასცა ორდერი მონმის მოყვანის შესახებ.<sup>71</sup>

ამდენად, „ნებაყოფლობითობა, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ გარანტს პირის უფლებების ხელყოფისგან, არ ვრცელდება სასამართლოს მიერ მონმის გამოძახებასა და მხარეების მიერ სასამართლოში მის დაკითხვაზე.“<sup>72</sup>

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება, სრულად არ ვრცელდება სსკ-თი გათვალისწინებულ მუხლებზე, ვინაიდან, სსსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გარკვეულ მუხლებთან მიმართებაში, ახალი წესი ამოქმედდება – 2019 წლის 1-ლი იანვრიდან, მაგ., სსკ-ის 325-ე, 329-ე მუხლებზე.

### 3. მაგისტრატ მოსამართლესთან მონმის დაკითხვის ვადის გონივრულობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები

კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მონმის გონივრულ ვადაში დაკითხვის საკითხს, კერძოდ, 114-ე მუხლის მე-6 ნაწილი განმარტავს, რომ „შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მონმე უნდა დაიკითხოს გონივრულ ვადაში.“ მოცემულ შემთხვევაში, საქართველოში მეტი ყურადღება ვადაზე გამახვილებული, ვიდრე მონმის მდგომარეობის გათვალისწინებაზე, მაგ., შესაძლოა, შუამდგომლობის დაკმაყოფილების დროს, დაზარალებული ან თვითმხილველი მონმე ფსიქოლოგიურად არ გრძნობდეს თავს კარგად. მოცემული გარემოება თავის მხრივ, სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებად შესაძლოა არც მოიაზრებოდეს.

ზოგადად, მონმის დროულად დაკითხვის მიზანს წარმოადგენს მიღებული ჩვენება ჭეშმარიტებასთან რაც შეიძლება ახლოს იყოს<sup>73</sup> და რომ მონმეს არ მოუხდეს „გონების დაძაბვა“ მნიშვნელოვანი ფაქტების გახსენებისათვის. ვინაიდან, ჩვენების ფორმირების სტადიათა ერთ-ერთი ნაწილი, სწორედ ამა თუ იმ ფაქტის „კვლავ წარმოქმნისგან“ შედგება.<sup>74</sup> ამდენად, მონმის დაკითხვა „უნდა ჩატარდეს დროის რაც შეიძლება მოკლე მონაკვეთში, ანუ მანამ სანამ, მონმეს შესაძლებლობა აქვს კარგად გაიხსენოს შემთხვევის დეტალები“.<sup>75</sup> მაშასადამე, მონმის დროული დაკითხვა პირდაპირდაკავშირებულია მიღებულ შედეგთან.<sup>76</sup>

საბოლოოდ, წინამდებარე ნაშრომის ავტორის აზრით, მონმის გონივრულ ვადაში დაკითხვის შეფასებისათვის, აუცილებელია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება: 1. სასამართლოში შესულ შუამდგომლობათა რაოდენობა. იმ შემთხვევაში, თუკი დღის განმავლობაში მრავალი შუამდგომლობა იქნება შეტანილი სასამართლოში, მონმის დაბარება მცირე დროში შესაძლებელია ვერ მოხერხდეს, ვინაიდან, შუამდგომლობის შესვლის დროს, სავსებით შესაძლებელია, მოსამართლეები სხდომებზე მიყოფებოდნენ (მითუმეტეს, რომ მონმეთა დაკითხვას თბილისის საქალაქო სასამართლოში ის მოსამართლეები განიხილავენ, რომლებიც აღკვეთის ღონისძიების, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის და სხვა მსგავს საკითხებს მცირე ვადაში წყვეტენ); 2. მონმის

<sup>71</sup> Criminal Procedure Code of the French Republic, June 15, 2000, <http://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes> ბოლო ნახვა: 24/08/2016.

<sup>72</sup> გიორგაძე გ., ბარამიძე ა., სახელმძღვანელო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გაძლიერებული ტრენინგისთვის, თბ., 2012წ., 23.

<sup>73</sup> შინდელიშვილი გ., ექვმიტანილის და ბრალდებულის დაკითხვის მომზადება, ჟ. „სამართალი“, №4, 2001წ., 62.

<sup>74</sup> სახელმძღვანელო წინადადებები, სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბ., 2015წ., 50.

<sup>75</sup> მამაცაშვილი მ., მათიაშვილი მ., ლორია ა., ჭელიძე თ., პირდაპირი დაკითხვა, ჯვარედინი დაკითხვა (სახელმძღვანელო იურისტებისთვის), თბ., 2013წ., 49.

<sup>76</sup> შინდელიშვილი გ., ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის ტაქტიკური ხერხები, ჟ. „სამართალი“, №7, 2001წ., 90.



ადგილსამყოფელის მანძილი სასამართლომდე. აღნიშნულში იგულისხმება თბილისში არსებული საცხოვრებელი მისამართის გათვალისწინება; 3. დაკითხვის ინიციატორი მხარის სამსახურებრივი დატვირთულობა. მოცემული გარემოება უნდა იქნეს გაგებული ვინ როდ. აღნიშნულში შესაძლოა იგულისხმებოდეს გაუთვალისწინებელი შემთხვევა, როდესაც პირის სავარაუდო დაკითხვის დროს ემთხვევა პროკურორის მიერ დაკავებული პირისათვის ბრალის შესახებ დადგენილების შედგენა-გაცნობის დროს; 4. მოწმის სურვილის შემთხვევაში ადვოკატთან დაკავშირების ან/და აყვანის დროის გათვალისწინება; 5. სასამართლოში შუამდგომლობის შესვლის დრო. მაგ., თუ შუამდგომლობა შეტანილ იქნა 17:50 საათზე, აღნიშნული მოწმის იმავე დღეს დაბარება აზრს კარგავს, ვინაიდან, პროცედურული საკითხების გადაწყვეტის შემდეგ, დიდია ალბათობა, რომ მცირე ვადაში დაკითხვის შეწყვეტის საჭიროება იარსებებს 22:00 საათის შესრულების გამო; 6. სასამართლოში გამოძახებისათვის გამოყენებული საშუალების სახე. სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, დაბარება შესაძლოა როგორც ტელეფონით, ისე სასამართლო უწყებით და ა.შ. თუკი ტელეფონით პირის დაბარება ვერ მოხერხდა, მას აუცილებლად უნდა გაეგზავნოს სასამართლო უწყება, რაც, თავის მხრივ, გაცილებით მეტ დროს საჭიროებს ვიდრე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით პირის დაბარება. ამასთან, 7. ბავშვთან მიმართებით, დაკითხვის დაგეგმვისას, აუცილებელია, მისი დღის რეჟიმის გათვალისწინება/მხედველობაში მიღება.<sup>77</sup>

#### 4. დაკითხვის ინიციატორი მხარისათვის მოწმის ჩვენების გადაცემა

ნიშანდობლივია, რომ სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაცვის მხარე: 1. არათუ არ ესწრება მოწმის დაკითხვას, არამედ მას 2. აგრეთვე, არ აქვს უფლება დაკითხვის დასრულებისთანავე სასამართლოსაგან მოითხოვოს მოწმის მიერ მიცემული ჩვენების გადაცემა, ვინაიდან სასამართლოში მიცემული ჩვენება გადაეცემა დაკითხვის ინიციატორ მხარეს.

ამასთან, სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, ჩვენების გადაცემა უნდა მოხდეს დაკითხვის დასრულებისთანავე. თუმცა, აღნიშნული ტერმინი საჭიროებს განმარტებას, ვინაიდან, ჩვენების ჩაწერა წარმოებს როგორც წერილობითი, ისე ელექტრონული ფორმით, ლოგიკურია, რომ წერილობით ჩვენებას გარკვეული ტექნიკური რედაქტირება დასჭირდება, რომელიც თავის მხრივ, გარკვეულ დროს მოითხოვს. სწორედ ამიტომ, იუსტიციის საბჭოს რეკომენდაციით, დაკონკრეტდა, რომ ოქმის ტექნიკური გამართვა „გონივრულ ვადაში“ უნდა მოხდეს.<sup>78</sup> ამდენად, უმჯობესი იქნებოდა, თუკი საკანონმდებლო ნორმაში – „დაკითხვის დასრულებისთანავეს“ ნაცვლად, ჩაინერგებოდა სიტყვები – „გონივრულ ვადაში“.

განსახილველია საკითხი იმის თაობაზეც გადაცემული დოკუმენტის სამართლებრივი სახე არის: ჩვენება თუ ოქმი. სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, აღნიშნულია, რომ დაკითხვის ინიციატორ მხარეს გადაეცემა ჩვენება. წინამდებარე ნაშრომის ავტორის აზრით, აღნიშნული დოკუმენტი არის ოქმი და არა ჩვენება, ვინაიდან: 1. აღნიშნული ჩვენების ჩაწერას სასამართლოში აწარმოებს სხდომის მდივანი, რომელიც სსსკ-ის 24-ე და 195-ე მუხლების თანახმად, აწარმოებს სხდომის ოქმს; 2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად,<sup>79</sup> სხდომის ოქმში ჩვენების გარდა აღნიშნული უნდა იყოს მოსამართლის მიერ გაკეთებული განმარტებები, მხარეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები/შენიშვნები და ა.შ. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ჩვენება არის ოქმის ძირითადი შემადგენელი ნაწილი, ვინაიდან, ჩვენების გარდა ყველა სხვა მოქმედებაც ოქმში აისახება და შესაბამისად, იმ ჩანაწერის შინაარსის თანახმად, რასაც მთლიანობაში სხდომის მდივანი აწარმოებს სახეზეა სხდომის ოქმი და არა ცალკე აღებული მოწმის ჩვენება.

<sup>77</sup> თავართქილაძე ე. (ქ.), მარგალიტაძე ქ., დავითიშვილი ქ., მომიყევი რა მოხდა, დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა, სახელმძღვანელო ტერენურებისა და პროფესიონალებისათვის, 2014წ., 72.

<sup>78</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაცია, გამოძიების დროს სასამართლოში პირის მოწმედ დაკითხვის წესის ამოქმედებასთან დაკავშირებით, 2016წ., მე-9 მუხლის მე-5 ნაწილი.

<sup>79</sup> იქვე.

## 5. გამოძიების ეტაპზე დაკითხული მონმის ჩვენების დაუშვებლობა

### 5.1. შუამდგომლობის დაყენებაზე უფლებამოსილი პირი

საგულისხმოა, რომ ზოგადად, წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის უფლებამოსილება გააჩნია როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს. თუმცა, სპეციალური ნორმის, კერძოდ, სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, წინასასამართლო სხდომაზე მონმედ დაკითხული პირის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ შუამდგომლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს – მხოლოდ დაცვის მხარე. განმარტებითი ბარათის შესაბამისად, ზემოაღნიშნული დანაწესი გათვალისწინებულ იქნა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვის მიზნით.<sup>80</sup> თუმცა, საინტერესოა, ბრალდების მხარის მიერ ინიცირებული მონმის დაკითხვის შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლებამოსილება არის კი საკმარისი არგუმენტაცია იმისათვის, რომ მოცემულის საპირწონედ გასაჩივრების უფლება მხოლოდ დაცვის მხარეს გააჩნდეს, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ სსსკ-ის 114-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დაცვის მხარესაც თანაბარი უფლებამოსილებები აკისრია მაგისტრატ მოსამართლესთან მონმის დაკითხვასთან დაკავშირებით.

პრაქტიკული მაგალითი, როდესაც ბრალდების მხარეს შესაძლოა გაუჩნდეს სურვილი მაგისტრატის მოსამართლის წინაშე მონმედ დაკითხული პირის ჩვენების წინასასამართლო სხდომაზე დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა, იქნება შემთხვევა, თუ მაგისტრატის მოსამართლე არ მისცემს პროკურორს მონმისათვის სრულყოფილად კითხვების დასმის შესაძლებლობას ან/და უშუალოდ თვითონაც დაუსვამს მონმეს შეკითხვებს.

### 5.2. კანონის არსებითი დარღვევა

აღსანიშნავია, რომ მონმის ჩვენება „განაპირობებს სასამართლოში საქმის წარმართვის ბედს და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების საფუძველი ხდება“.<sup>81</sup> ამდენად, უმნიშვნელოვანესია, საბოლოო გადაწყვეტილება თავისუფალი იყოს ყოველგვარი არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებებისგან, რის განსახორციელებლად აუცილებელია – მხარის შესაბამისი შუამდგომლობის არსებობა.

განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, ტერმინი – „არსებითი“ გულისხმობს: „მეტად მნიშვნელოვანს“.<sup>82</sup> სასამართლოში საქმის „კანონის არსებითი დარღვევა“ მოსამართლისათვის წარმოადგენს ფართო შეფასების საგანს, რომელიც, თავის მხრივ, ყოველი კონკრეტული შემთხვევის ანალიზზეა დამოკიდებული. მაგ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს შეფასებით, მასში შესაძლოა მოიაზრებოდეს, გამოძიების ცალმხრივად წარმართვა, საპროცესო კანონით დადგენილი კრიტერიუმის საფუძველზე, ბრალდებისა და დაცვის მხარის მტკიცებულებათა ერთნაირი გულმოდგინებით შეფასების არარსებობა, ისეთი სახის საპროცესო დარღვევა, რომელიც გავლენას მოახდენს „საქმის შედეგზე კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგენის თვალსაზრისით“,<sup>83</sup> პირის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების ერთნაირი გულმოდგინებით შეუსწავლელობა, თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაუცველობა.<sup>84</sup> სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კანონის არსებითი დარღვევა შესაძლოა, გამოინვიოს ბრალდების მხარის მიერ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, ისეთი პირობების შექმნის არარსებობამ, რომელიც უზრუნ-

<sup>80</sup> [http://webcache.googleusercontent.com/search?q=ache:GEucxxXx7D0\\_I:www.parliament.ge/ge/law/download\\_106183/09122015-pdf+&cd=1&hl=en&ct=clnk&gl=ge](http://webcache.googleusercontent.com/search?q=ache:GEucxxXx7D0_I:www.parliament.ge/ge/law/download_106183/09122015-pdf+&cd=1&hl=en&ct=clnk&gl=ge) ბოლო ნახვა: 04/04/2016.

<sup>81</sup> კვაჭაძე მ., მელაშვილი ლ., შონია ნ., მამალაძე ე., ირიბი ჩვენებები, საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა, თბ., 2016წ., 1.

<sup>82</sup> <http://ena.ge/explanatory-online> ბოლო ნახვა: 15/04/2018.

<sup>83</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, კერძო ნაწილი, 2009წ., №3, განჩინება №308-აპ-08, 11/11/2008, იხ. სამოტივაციო ნაწილი.

<sup>84</sup> იქვე, განჩინება №1068-აპ, 29/12/2008, იხ. სამოტივაციო ნაწილი.

ველყოფდა ბრალდებულის დაცვის უფლებას.<sup>85</sup> რაც შეეხება, საკონსტიტუციო სასამართლოს, იგი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ბრალდებულის უფლებათა რეალიზაციის არსებობის შესაძლებლობას კონკრეტულ მტკიცებულებათა მოპოვების დროს.<sup>86</sup>

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გარდა, არსებითი დარღვევა შესაძლოა გამოიწვიოს დაკითხვის ღამით ჩატარებამ, დაკითხვის სურვილის შემთხვევაში პირის გამოკითხვამ, დაკითხვის ინიციატორი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მონმის დაკითხვამ, მაგისტრატის მოსამართლის მიერ მონმისათვის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კითხვების დასმამ, მონმის არაგონივრულ ვადაში დაკითხვამ და ა.შ.

## დასკვნა

კანონმდებელმა განხორციელებული ცვლილებით, ფაქტობრივად, მთლიანად შეცვალა დაკითხვის წესი და ამასთან, სცადა მისი საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება. თუმცა, ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ამ საკითხთან დაკავშირებული ნორმები დღევანდელი მდგომარეობით, სრულყოფილად რეგულირებული არ არის და რიგ შემთხვევებში, ხარვეზებს შეიცავს. ამავდროულად, გარკვეულ ნორმათა შინაარსის განსაზღვრა სასამართლო პრაქტიკაზე დამოკიდებული.

პირველყოვლისა აღსანიშნავია, რომ დაკითხვის ახალი წესი რიგ შემთხვევებში, ბრალდებისა და დაცვის მხარეს არ აყენებს თანაბარ მდგომარეობაში, რაც, თავის მხრივ, შეჯიბრებითობისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპის პრაქტიკაში რეალიზებას საფრთხის ქვეშ აყენებს. სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-2, მე-13 და მე-14 ნაწილები ზოგიერთ შემთხვევაში, უფლებამოსილ სუბიექტად მხოლოდ ბრალდების მხარეს მიიჩნევს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი პირიქით. კერძოდ, ზემოაღნიშნული დისბალანსი გამოხატულია შემდეგში: 1. იმ შემთხვევაში, თუკი პირი ფლობს ინფორმაციას სს საქმის გარემოებების შესახებ და იგი უარს აცხადებს გამოკითხვაზე, მხოლოდ ბრალდების მხარეა უფლებამოსილი მაგისტრატ მოსამართლესთან იშუამდგომლოს მოცემული პირის სასამართლოში მონმედ დაკითხვის შესახებ; 2. მონმის დაკითხვის დასრულების შემდეგ, მონმის ჩვენების მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, მხოლოდ მონმის დაკითხვის ინიციატორ მხარეს გადაეცემა ჩვენება, 3. მხოლოდ დაცვის მხარეა უფლებამოსილი, წინასასამართლო სხდომაზე დააყენოს შუამდგომლობა მაგისტრატ მოსამართლესთან მონმედ დაკითხული პირის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ. ამდენად, ზემოაღნიშნულ რეგულირებათა ანალიზი ცხადყოფს, რომ დაკითხვის წარმოების დროს, მხარეები არ იმყოფებიან თანაბარ მდგომარეობაში. ამასთან, დაცვის მხარე მოცემულ დისბალანსში მეტად სუსტია. პირობითად, თუკი დაცვის მხარეს პირი უარს განუცხადებს გამოკითხვაზე და ამასთან, სახეზე არ არის 114-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, მას კანონმდებლობა არ აძლევს დაკითხვის შესახებ სასამართლოში შუამდგომლობის შეტანის შესაძლებლობას, ხოლო თუ მაგ., მონმის დაკითხვის დროს მაგისტრატმა მოსამართლემ შეკითხვები დაუსვა მონმეს, სახელმწიფო ბრალდება ვერ მოითხოვს აღნიშნული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას 114-ე მუხლის მე-14 ნაწილიდან გამომდინარე.

ამასთან, როგორც აღინიშნა, არსებობს გარკვეული საკითხები, რომლებიც სასამართლო პრაქტიკით ცალსახად უნდა იქნეს დადგენილი. კერძოდ, იმისათვის რომ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მონმე გონივრულ ვადაში დაიკითხოს, აუცილებელია, ყოველ შემთხვევაში, ისეთ საკითხთა ერთობლივად გათვალისწინება, როგორებიც არის მაგ., შუამდგომლობის სასამართლოში შესვლის დრო, მონმის სასამართლოში გამოძახებისათვის გამოყენებული საშუალების სახე და ა.შ. რაც შეეხება, კანონის არსებითი დარღვევის შემთხვევაში, მტკიცებულების წინასასამართლო სხდომაზე დაუშვებლად ცნობას, მნიშვნელოვანია, რომ სახეზე იყოს არა უბრალოდ დარღვევა

<sup>85</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია, განჩინება N-1გ/1507 02/08/2015, იხ. აღწერილობით-სამოტივაციო ნაწ., გამოქვეყნებულია: <http://library.court.ge/judgements/89612015-10-13.pdf> ბოლო ნახვა: 15/04/2018.

<sup>86</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №2/2/579, 31/07/2015, II-4.

არამედ არსებითი დარღვევა, რაც თავის თავში პირობითად შესაძლოა მოიცავდეს ნორმის იმპერატიული ჩანაწერის აშკარა უგულებელყოფას. მცირე დარღვევის შემთხვევაში, მიზანშეწონელია მოსამართლემ მტკიცებულება დაუშველად ცნოს.

საბოლოოდ, შესაძლოა ითქვას, რომ გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, 2016 წლის 20 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილება უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოსათვის, ვინაიდან, მონმის გამოძიების სტადიაზე დაკითხვის არსებული სამართლებრივი რეგულირება ცდილობს მიუახლოვდეს საერთო სამართლისა და ევროპის განვითარებულ სახელმწიფოთა დადგენილ სტანდარტებს. ამდენად, სასამართლო, დაცვისა და ბრალდების მხარე, მაქსიმალურად უნდა შეეცადოს მოცემული ნორმები პრაქტიკაში ჯეროვნად გამოიყენოს, ხოლო კანონმდებელმა მეტად უნდა სრულყოს კანონი შეჯიბრებითობისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპთა დაცვის ფონზე.

## ფემიციდი, როგორც გენდერული ნიშნით ქალთა მკვლელობა

თამარ მაზანაშვილი

გორის რაიონული სასამართლოს სხდომის მდივანი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

### შესავალი

ქალთა მიმართ ძალადობა უნივერსალური პრობლემაა, რომელიც დამახასიათებელია ნებისმიერი საზოგადოებისთვის, მათი კულტურული, ეთნიკური, ქონებრივი მდგომარეობის განურჩევლად. ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს არღვევს. ტერმინი ქალთა მიმართ ძალადობა ქმედებათა ფართო სპექტრს მოიცავს, რომელთა შორისაცაა ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობა, მკვლელობა, ადევნება, იძულებითი ქორწინება, გენიტალიების დაზიანება, და ა.შ. მოცემულ კვლევაში მხოლოდ ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობა იქნება განხილული. თითოეული ზემოაღნიშნული ქმედება (დანაშაული) არის აგრესიული და ის უარყოფითად აისახება ქალებზე.

სტატია ეძღვნება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორც ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით მკვლელობა გახლავთ. თემის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოება, რომ თვით სამართლებრივად კარგად განვითარებულ და დემოკრატიის დიდი ტრადიციების მქონე ქვეყნებშიც ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული მონყვლადი ჯგუფების მიმართ სქესის ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტები. მით უფრო აქტუალურია ეს პრობლემა საქართველოში, სადაც სისხლის სამართლის კანონმდებლობა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად ეხლა იკრებს ძალებს.

საქართველოში, ბოლო პერიოდში ქალთა მიმართ ძალადობის (მათ შორის მკვლელობის) საგანგაშო სტატისტიკური მონაცემების არსებობამ და მისმა გასაჯაროებამ, ქვეყნის წინაშე ქალთა ძალადობასთან ბრძოლის ეფექტური სამოქმედო სტრატეგიის შემუშავების საკითხი მწვავედ დააყენა. სახელმწიფოს მხრიდან ერთ-ერთი ბოლოდროინდელი პოზიტიური ნაბიჯი ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს (სტამბოლის) კონვენციის ხელმოწერა გახლდათ. აღნიშნული ინოვაციური კონვენცია გმობს ქალთა მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობას. სტამბოლის კონვენციის ჰარმონიზაცია ქართულ კანონმდებლობაში თანდათან ხორციელდება. საქართველოს მთავრობამ ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა. აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება, ქვეყნის მხრიდან კიდევ უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს კანონის პრაქტიკაში ჯეროვანი აღსრულების თვალსაზრისით.

ნაშრომში წარმოჩენილია ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა, მისი გამომწვევი მიზეზები. საგულისხმოა კაცის დომინანტური და შესაბამისად ქალის დაქვემდებარებული პოზიცია, რაც ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზი შეიძლება გახდეს. ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობის არსის განსაზღვრას. შემდეგ თავში გაანალიზებულია ფემიციდის ისეთი გავრცელებული ფორმები, როგორცაა ინტიმური ფემიციდი და ღირსების აღდგენის სახელით ჩადენილი ფემიციდი. სტატიის შემდეგ თავში წარმოჩენილია ქალთა გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლელობის რეგულირების შესაძლებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კანონ-

მდებლობის მიხედვით. ასევე განხილულია კანონპროექტი, რომლის მიზანი გახლდათ, გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების პრევენცია ფემიციდის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად აღიარების გზით. კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები გულისხმობდნენ ფემიციდის ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად აღიარებას და მის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიაში მოქცევას. სტატიაში განხილულია ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობის მოტივი და მისი დადგენის აუცილებლობა სამართლიანი სასჯელის დანიშვნისათვის, რამეთუ მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც სასჯელის სიმძიმის, ასევე სასჯელის მიზნების მიღწევის თვალსაზრისითაც.

## 1. ფემიციდის ზოგადი დახასიათება

სოციოლოგებისა და კრიმინოლოგების მიერ შემუშავდა ძალადობის დეფინიცია. ერთ-ერთი განმარტების თანახმად ძალადობა არის ძალაუფლების ან/და ბატონობის, მბრძანებლობის მანიფესტირება, რომლის მიზანია ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფებისთვის ზიანის მიყენება.<sup>1</sup> კიდევ ერთი განმარტების თანახმად, ძალადობა გახლავთ „ნებისმიერი ქმედება, რომელიც იწვევს ტკივილს ან დაზიანებას“.<sup>2</sup>

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, ქალთა დაახლოებით 70% განიცდის ძალადობას ცხოვრების მანძილზე. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით კი, 15-44 წლამდე ასაკის ქალები უფრო მეტად ძალადობის რისკის ქვეშ არიან, ვიდრე კიბოს, ავტოკატასტროფების, ომის ან მალარიის შემთხვევების.<sup>3</sup> აღნიშნული მონაცემები ადასტურებს, რომ ძალადობის შედეგად ილახება ქალთა უფლებები, მათი სოციალური ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათი ეკონომიკური, თუ სოციალური კეთილდღეობა საფრთხის ქვეშ დგება.

ქალების მნიშვნელოვანი რაოდენობა ყოველდღიურად ძალადობას განიცდის. ხშირად ქალები და გოგონები განიცდიან ძალადობის ისეთ სერიოზულ ფორმებს, როგორებიცაა ოჯახში ძალადობა, სქესობრივი ძალადობა, იძულებითი ქორწინება, სასქესო ორგანოების დასახიჩრება და ა.შ. გარდა ამისა, ძალადობას შეიძლება ჰქონდეს ფსიქოლოგიური ხასიათი და შედეგობდეს სიტყვიერი შეურაცხყოფისაგან, კრიტიკისაგან, იზოლაციისაგან, მუქარისაგან, შევიწროებისა და აკვიატებული დევნისაგან. ის, რომ ასეთი ძალადობა ფიზიკური ხასიათის არ გახლავთ სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ნაკლები ზიანის მომტანია.

საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულია, რომ ქალთა მიმართ ძალადობა მზარდი პრობლემაა დღევანდელ საზოგადოებაში. ფემიციდი გახლავთ ქალის მიმართ ძალადობის უკიდურესი გამოხატულება. „ქალთა მკვლელობა მოტივირებული სიძულვილით, სიამოვნებით ანდა ქალის საკუთრებად წარმოდგენით“<sup>4</sup> სიცოცხლის უფლება კი მიეკუთვნება უზენაეს სამართლებრივ ღირებულებებს.<sup>5</sup>

ქალთა მიმართ სხვადასხვა ფორმით გამოვლენილ ძალადობას თუ კუმულაციურად განვიხილავთ, საბოლოოდ ამ ქმედებებს ქალთა მკვლელობამდე ანუ ფემიციდამდე მიყვავართ. ძალადობის ფორმებს შორის ფიზიკური ძალადობა ყველაზე საშიში და ზიანის მომტანია. მისი გამოვლენა შედარებით იოლია, ვინაიდან იგი თვალსაჩინო კვალს ტოვებს მსხვერპლზე. ფიზიკური ძალადობის რისკის ქვეშ განსაკუთრებით იმყოფებიან ქალები, ვინაიდან, როგორც წესი, ეს უკანასკნელნი ფიზიკური მონაცემებით ჩამოუვარდებიან საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს, რომელთა მხრიდანაც, მაღალი ალბათობით, შეიძლება მომდინარეობდეს ძალადობის აქტი. ამგვარი ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ცემაში, წამებაში, ჯანმრთელობის დაზიანებაში. ყველაზე უარეს

<sup>1</sup> შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, (სახელმძღვანელო), მესამე გამოცემა, თბ., 2017წ., გვ.233.

<sup>2</sup> Gelles R. J., Straw M. A., DETERMINANTS OF VIOLENCE IN THE FAMILY: TOWARD A THEORETICAL INTEGRATION, New York: Free Press, 1979, P. 554. <http://pubpages.unh.edu/~mas2/v10r.pdf> ბოლოს ნანახია 15.06.2017.

<sup>3</sup> <http://www.un.org/en/women/endviolence/situation.shtml> ბოლოს ნანახია 20.06.2018.

<sup>4</sup> Russell D., Femicide: Politicizing the Killing of Females, 2008, P. 2.

<sup>5</sup> კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, იურიდიული სახელმძღვანელო, თბ., 2014წ., გვ. 124.

შემთხვევაში კი მკვლელობაში.

მკვლელობის ობიექტი ადამიანის სიცოცხლეა. კანონი იცავს ადამიანის სიცოცხლეს დაბადებიდან სიკვდილამდე.<sup>6</sup> ფემიციდი არის მკვლელობა, რომლის მსხვერპლი არის ქალი და რომელიც ხდება ქალის გენდერთან დაკავშირებული მიზეზით. ფემიციდი არის გენდერული დანაშაული, რომელიც სტრუქტურული უთანასწორობის, დაქვემდებარებულობისა და ქალთა მიმართ ძალადობის ზოგადი კონტექსტის ნაწილია.

ამჟამად, ევროპაში ტერმინი ფემიციდი ფართოდ გავრცელებულია დაიანა რასელის მიერ დამკვიდრებული მნიშვნელობით – ფემიციდი არის ქალის მკვლელობა, რომელიც განპირობებულია სექსიზმით და მოტივირებულია „ქალზე უფლების ქონის სურვილით, ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით, სიამოვნების მიღების ან სადისტური სურვილებით, ან ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებებით“<sup>7</sup> ტერმინი ხშირად გამოიყენება სოციოლოგებისა და კრიმინოლოგების მიერ, თვითმკვლელობათა გენდერული პერსპექტივით შესწავლისთვისაც. ის წარმოადგენს ქალის მიმართ ძალადობის ყველაზე ექსტრემალურ ფორმას. გენდერული ნიშნით მკვლელობა, როგორც წესი, არ არის იზოლირებული ქმედება, რომელიც ხდება უეცრად და მოულოდნელად, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, არის გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და ძალადობის განგრძობადი ქმედების საბოლოო აქტი.<sup>8</sup>

ფემიციდისგან განსხვავებით, ტერმინი „ფემინიციდი“, რომელიც მექსიკელმა მკვლევარმა მარსელ ალევარდმა დაამკვიდრა, აღნიშნავს სახელმწიფოს უმოქმედობას ქალთა მკვლელობებთან მიმართებით – როდესაც სახელმწიფოს არ აქვს პოლიტიკური ნება, მოახდინოს ამგვარი დანაშაულების გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა.<sup>9</sup>

ქალის მკვლელობა ხდება საზოგადოებაში ქალის დაქვემდებარებული როლის და სოციალურ-კულტურული ნორმების ზეგავლენის შედეგად, რომლებიც აღიარებს მამაკაცის უპირატესობას, ხოლო ქალის სიცოცხლე ნაკლებ პატივისცემას იმსახურებს. კულტურული ელემენტები უბიძგებს დამნაშავეს, დაიჯეროს რომ მას აქვს უფლება, გადანყვეტილება მიიღოს ქალის ქცევისა, უფრო მეტიც, სიცოცხლის თაობაზე. ფემიციდი ინარჩუნებს და განამტკიცებს დაქვემდებარებულობისა და ჩაგვრის სოციალურ და კულტურულ ნორმებს, რაც, ხშირ შემთხვევაში, საშუალებას აძლევს დამნაშავეს, შეაფასოს მკვლელობა, როგორც მისი „მამაკაცური ღირსების“ საქმე.<sup>10</sup>

## 2. ფემიციდის გავრცელებული ფორმები

ფემიციდის სხვადასხვა ტიპი არსებობს, რომლებიც თავის მხრივ პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმის ფემიციდს განეკუთვნება. პირდაპირი ფემიციდი მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

- ოჯახში ძალადობის შედეგად ქალთა მკვლელობა ინტიმური პარტნიორის მიერ;
- ქალთა მკვლელობა სიძულვილის ნიშნით;
- ქალთა მკვლელობა ღირსების სახელით;
- ქალთა მკვლელობა შეიარაღებული კონფლიქტების დროს;
- ქალთა სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული მკვლელობა;
- სქესის ნიშნით სელექცია (მკვლელობა);
- ეთნიკურობასთან დაკავშირებული მკვლელობა.<sup>11</sup>

არაპირდაპირი ფემიციდს განეკუთვნება:

- უკანონო აბორტის შედეგად ქალთა სიცოცხლის მოსპობა;

<sup>6</sup> მაკაშვილი ვ., მაჭავარიანი მ., ნერეთელი თ., შავგულიძე თ., დანაშაულის პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980წ., გვ. 6.

<sup>7</sup> Harmes R., Russell D., *Femicide in Global Perspective*, New York: Teachers College, 2001, P. 77-78.

<sup>8</sup> კურტანიძე მ., აბრამიშვილი ნ., პატარაია ბ., ფემიციდი, დისკრიმინაციული დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულება, საფარი, თბ., 2016წ., გვ. 24.

<sup>9</sup> Fregoso R. L., Bejarano C., eds. *Terrorizing Women: Femicide in the Americas*. Duke UP, 2010.

<sup>10</sup> ლათინო-ამერიკული სახელმძღვანელო ოქმი, გვ. 36.

<sup>11</sup> Manjoo R., *Report of the Special Rapporteur on Violence Against Women, its Causes and Consequences*, A/HRC/20/16, 23 May 2012, P. 4.

- დედათა სიკვდილიანობა;
- საზიანო ქმედებები (მაგალითად, ქალის სასქესო ორგანოების დაზიანების შედეგად სიცოცხლის მოსპობა);
- ადამიანით ვაჭრობასთან, ნარკოტიკების მოხმარებასთან, იარაღის გავრცელებასთან, ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული საქმიანობა;
- გოგონების და ქალების შიმშილობა და არასათანადო მოპყრობა;
- სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან უმოქმედობა.<sup>12</sup>

სტატიის შეზღუდული მოცულობიდან გამომდინარე, შეუძლებელია ყველა მათგანის განხილვა, თუმცა, ყურადღებას შევაჩერებ ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმებზე.

**ფემიციდი ინტიმური პარტნიორის მიერ** – ქალის მკვლელობა მამაკაცის მიერ, რომელთანაც ქალს ჰქონდა ინტიმური (ემოციური ან/და სექსუალური) ურთიერთობა. ამ ფორმით ჩადენილი ფემიციდის სუბიექტი შეიძლება იყოს მეუღლე, ყოფილი მეუღლე, სექსუალური პარტნიორი, ყოფილი სექსუალური პარტნიორი, შეყვარებული, ყოფილი შეყვარებული ან მამაკაცი, რომელთანაც ქალს ჰყავს შვილი.<sup>13</sup> დანაშაული, ასევე შესაძლოა ჩაიდინოს მამაკაცმა, რომელიც ქალს კლავს იმის გამო, რომ ქალი უარს ამბობს მასთან ინტიმურ (ემოციურ თუ სექსუალურ) ურთიერთობაზე. საქართველოში ფემიციდთა უმრავლესობა მეუღლის ან ყოფილი მეუღლის მიერ არის ჩადენილი – აქედან გამომდინარე, ოჯახური ფემიციდი ამ დანაშაულის ერთ-ერთი მთავარი ფორმაა.<sup>14</sup> ფემიციდის მსხვერპლი ქალების 70% სიკვდილამდე იყო დაქვემდებარებული მათი მკვლეელი პარტნიორების მიერ ფიზიკურ ძალადობას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მსხვერპლის მიმართ ძალადობა არის

**ღირსების სახელით ჩადენილი ფემიციდი** – „ღირსების სახელით“ ჩადენილი მკვლელობები განსაკუთრებით უკავშირდება მამაკაცის სირცხვილის განცდას. პატრიარქალურ სამყაროში მათი მოვალეობაა ქალის ქცევაზე კონტროლის შენარჩუნება, განსაკუთრებით ეს უკავშირდება ოჯახურ ურთიერთობებს. მამაკაცი, როდესაც ხვდება, რომ ქალი მას „არ ემორჩილება“ ის იწყებს ძალადობას. იმისათვის, რომ შერცხვენილი სტატუსი ჩამოინდოს, ის აკეთებს იმას, რასაც „კულტურა და ტრადიციები“ მოითხოვს.<sup>15</sup>

„ღირსების“ სახელით ჩადენილ მკვლელობას ძირითადად უკავშირდება ოჯახში ჩადენილი დანაშაული, ვინაიდან მსხვერპლი ძირითადად ოჯახის წევრი გახლავთ, კერძოდ, ქალი. რაც შეეხება, დამნაშავეს ძირითადად მამაკაცები არიან. იშვიათ შემთხვევაში დამნაშავე შეიძლება ქალიც იყოს. ქალი შეიძლება სხვადასხვა მიზეზით აღმოჩნდეს „ღირსების“ სახელით ჩადენილი მკვლელობის მსხვერპლი. მაგალითად, ქორწინებაზე უარის თქმის, განქორწინების შესახებ სურვილს გამოთქმის, ლალატის გამო. ეს ფაქტები შესაძლოა გადაჭარბებით მტკივნეულად იქნას აღქმული მამაკაცის მხრიდან.

„ღირსების“ სახელით ჩადენილი მკვლელობა კონკრეტული სოციალური გარემოს შედეგია, რომელიც ძლიერ პატრიარქალურ სანყისებზეა აღმოცენებული. ამგვარი მკვლელობები ხარისხობრივად განსხვავდება სხვა სახის მკვლელობებისგან. დამნაშავეები ცალსახად იმართებიან კონკრეტული კულტურის გავლენით. მათთვის დამახასიათებელია სპეციფიკური ლოგიკა, რაც უკავშირდება სირცხვილისა და პატივისცემის არასწორ გაგებას. ამგვარი ლოგიკით გამოდის, რომ თუ ქალმა უარი თქვა სოციუმში დადგენილი ნორმების შესაფერისად ცხოვრებაზე, მისი „უზნეო ქცევა“ მთელს ოჯახს დააზარალებს. ოჯახის სინდისის დასაცავად, ანდა აღსადგენად კი საჭიროა კულტურის ნორმების უარყოფელი ქალის მოკვლა. აქედან გამომდინარე, დამნაშავეები თვლიან,

<sup>12</sup> Sarmiento C. B., Acosta M. L., Roth F., Zambrano M., *Latin American Model Protocol for the investigation of gender-related killings of women (femicide/feminicide)*, Regional Office for Central America, P.14.

<sup>13</sup> მესხი მ., ფემიციდი – საკანონმდებლო რეგულირების გამოცდილება და გამოწვევები, ჟ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, N2, თბ., 2017წ., გვ. 18.

<sup>14</sup> დეკანოსიძე თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბ., 2016წ., გვ. 5.

<sup>15</sup> Ullah M. Z., *Honour Killing in Pakistan Under Theoretical, Legal and Religious Perspectives, An Analytical Study of Honour Killings Abuse and Disconnecting Islam from This Ancient Brutal Tradition*, Malmö University, Sweden, 2010. P. 15.



რომ ზნეობრივად ნებადართულია მათი ქმედება, რადგან ის მიზნად მორალური წესრიგის დაცვას ისახავს.<sup>16</sup> მათი აზრით ოჯახის „ღირსება“ აღდგება მხოლოდ „შემარცხვენელი“ ქალის სიკვდილის შემდგომ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ღირსების“ დანაშაული არ არის სქესის მიხედვით შეზღუდული. მამაკაცები ასევე შეიძლება გახდნენ მსხვერპლნი.<sup>17</sup>

დანაშაულის „ღირსების“ სახელით ჩადენა მიუღებელ გამართლებადაა მიჩნეული სტამბოლის კონვენციის მიხედვით. კერძოდ, აღნიშნული კონვენციის 42-ე მუხლში ნათქვამია, რომ მხარეებმა უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ძალადობრივი აქტი არ იქნეს გამართლებული „ღირსების“ ცნებასთან დაკავშირებული მოსაზრებით. კონვენციაში საუბარია იმ შემთხვევებზე, როდესაც პირს სჯიან, რადგან მან დაარღვია შესაბამისი კულტურული, რელიგიური, სოციალური ან ტრადიციული ქცევის ნორმები ან ჩვევები.<sup>18</sup>

### 3. ქალთა გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლელობის რეგულირება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით

ფემიციდს, როგორც ცალკე დანაშაულს საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს. შესაბამისად, ქალთა სიცოცხლის მოსპობის ყველა შემთხვევის გამოძიება და დასჯა ხდება ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ზოგად კონტექსტში.

2014 წელს, მას შემდეგ, რაც, სტატისტიკურმა მონაცემებმა ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად აჩვენა ქალთა მკვლელობებთან მიმართებით შემამოფოთებელი მდგომარეობა, საზოგადოებაში გაჩნდა ლოგიკური პროტესტის გრძნობა, რაც ერთგვარად სახელმწიფოში არასაკმარისი ბერკეტების არსებობას უკავშირდებოდა. ამის საპასუხოდ, 2014 წელს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა პარტნიორების მიერ ქალთა მკვლელობის მზარდი რიცხვის გამო შეუფოთება გამოთქვა და რეკომენდაციები გასცა პრევენციული ზომების მისაღებად.<sup>19</sup> ასევე, სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში ნათქვამია, რომ უნდა შეიქმნას ცალკე ორგანო ფემიციდის ყოველი შემთხვევის გაანალიზებისათვის.<sup>20</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის კიდევ ერთი უძძიმესი შედეგი თვითმკვლელობამდე მიყვანაა, ხოლო ყველაზე სამწუხარო ტენდენცია დანაშაულის ჩამდენის დასჯის სირთულეებია.<sup>21</sup> ქალთა მკვლელობებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას საჭიროებს ქალთა თვითმკვლელობის ის შემთხვევები, რომელთა შესაძლო მიზეზიც, სისტემატური ხასიათის ოჯახში ძალადობა გახდა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი არაერთი შემთხვევიდან იკვეთება, რომ მათი, როგორც თვითმკვლელობამდე მიყვანის კვალიფიკაცია ხშირად იმიტომ ვერ ხერხდება, რომ ძალადობის ფაქტები სამართალდამცავი ორგანოებისთვის გარდაცვალებამდე არ ხდება ცნობილი.

მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან. 2016 წლის 27 სექტემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის თანახმად,<sup>22</sup> ზ.კ.-ს ბრალად ედებოდა ოჯახის წევრის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა მსხვერპლისადმი სასტიკი მოპყრობითა და მისი პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირებით, რაც გამოიხატა შემდეგში: ზ.კ., მ.ნ.-ს, რომელთანაც მუდმივად ერთან საოჯახო მეურნეობას ეწეოდა, სისტემატურად ამცირებდა, არ აძლევდა მუშაობის უფლებას, აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას. კერძოდ, ურტყამდა სახის და სხეულის არეში, რის გამოც მ.ნ. განიცდიდა ფიზიკურ ტკივილს. სისტემატური დამცირებით და ძალადობით შეურაცხყოფ-

<sup>16</sup> Fateh N. S., *Honour Killing, University of Toronto, Department of Law, 2012, P. 3.*

<sup>17</sup> Bloom S. S., *Violence Against Women And Girls, USAID, East Africa, P. 176.*

<sup>18</sup> ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს (სტამბოლის) კონვენცია, მ. 42.

<sup>19</sup> ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, დასკვნითი შენიშვნები, გვ. 4-5.

<sup>20</sup> სიმონოვიჩი დ., ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, 2016წ., გვ. 36.

<sup>21</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა, გვ. 37.

<sup>22</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, 2016 წლის 27 სექტემბერი, საქმის ნომერი დაშტრიხულია.

ოფილი მ.ნ. თვითმკვლელობის მიზნით, მეტეხის ხიდიდან გადახტა მტკვარში, თუმცა, დროულად მოხერხდა მისი ამოყვანა და განუვლი სამედიცინო დახმარების შედეგად გადაურჩა სიკვდილს.

სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ზ.კ. აღიარებდა და ინანიებდა ჩადენილ ქმედებას, იყო ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, ჰყავდა მცირეწლოვანი შვილი, რომელსაც ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა ჰქონდა, რაც დასტურდებოდა სასამართლოსთვის წარდგენილი დოკუმენტებით. ამასთან, ზ.კ.-ს არ გააჩნდა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ ზ.კ.-ს სასჯელის სახით განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რაც საქართველოს 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაუთვალა პირობით 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

აღნიშნულ განაჩენში არ არის მითითება დანაშაულის მოტივზე, თუმცა საქმის ფაქტობრივი გარემოებების აღწერით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა გენდერული ნიშნით მოტივირებულ დანაშაულს, მაშინ როდესაც მეუღლე არ აძლევს მის ცოლს მუშაობის უფლებას, შეიძლება გამოიკვეთოს ქალი, როგორც დაქვემდებარებული პირი. მოცემულ საქმეში აშკარად იკვეთება მოტივი, რომელის შემდეგში გამოიხატება: ზ.კ. მისი მეუღლეს მ.ნ.-ს დაქვემდებარებულ ობიექტად აღიქვამს, რომელიც უნდა ემორჩილებოდეს მას, არ ქონდეს სამსახური, იმიტომ, რომ ზ.კ.-ს ესე სურს, ხოლო ამ უკანასკნელს თავი დომინანტი, უპირატესობის მქონე სუბიექტად მიაჩნდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარე ვალდებული იყო გამოეყვინა გენდერული ნიშნით მოტივი და ემტკიცებინა ის სასამართლოზე.

ქალთა მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის რაოდენობრივი მაჩვენებლების შეჯამებით გამოიკვეთა, რომ შემთხვევათა უმრავლესობა ჩადენილია პარტნიორის, ყოფილი პარტნიორის ან პირის მიერ, რომელსაც უარი ეთქვა პარტნიორულ ურთიერთობაზე. ქალთა მკვლელობისა თუ მკვლელობის მცდელობის 50% ჩადენილია ქმრის მიერ ან ცალმხრივი სიყვარულის გამო, 25% სხვა ოჯახის წევრის მიერ, 25% კი სხვა გარემოებაში, როგორც არის ყაჩაღობა ან სამეზობლო კონფლიქტი.<sup>23</sup> მართალია, 2014 წელთან შედარებით 2015 წელს ქალთა მკვლელობა შემცირდა, თუმცა სტატისტიკა კვლავ შემაშფოთებელი იყო. შესაბამისად, ერთგვარ გამოძახილს წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობების სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე მუხლით გამოყოფას. სხვა საკითხია კანონპროექტი სამართლებრივად რამდენად გამართული იყო. საკითხი შემდეგნაირად შეგვიძლია განვიხილოთ, არის კი აუცილებელი სისხლის სამართლის კოდექსში ახალი ნორმა. იქნებ მოქმედი კანონმდებლობა ამ დანაშაულთან ბრძოლის სათანადო საშუალებას იძლევა.

### 3.1. ფემიციდის სისხლის სამართლის კოდექსის ცალკე მუხლით რეგულირების მცდელობა

კანონპროექტის მიზანი გახლდათ, გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების პრევენცია ფემიციდის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად აღიარების გზით. კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები გულისხმობენ ფემიციდის ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად აღიარებას და მის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიაში მოქცევას.<sup>24</sup>

აღნიშნული კანონპროექტი ითვალისწინებდა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს უნდა დამატებოდა 108<sup>1</sup> მუხლი სახელწოდებით ფემიციდი – გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალის განზრახ მკვლელობა. მუხლის დისპოზიცია შემდეგნაირად იქნა ჩამოყალიბებული: ფემიციდი – გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალის განზრახ მკვლელობა მეუღლის, ყოფილი მეუღლის, პარტნიორის ან ოჯახის სხვა წევრის მიერ. რაც შეეხება სანქციას, დანიშნული სასჯელი უნდა ყოფილიყო თავისუფლების აღკვეთა თერთმეტიდან თოთხმეტი წლამდე, რაც ნიშნავს,

<sup>23</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა, 2015წ., გვ. 36.

<sup>24</sup> <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/122481> [ბოლოს ნანახია 20.06.2018].

რომ პროექტის ავტორებს აღნიშნული მუხლი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის რანგში გააჰყავდათ. მუხლი, ასევე ითვალისწინებდა მეორე და მესამე ნაწილების შემდეგი დამამძიმებელი გარემოებებით: ორსული ქალის მიმართ, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, ჯგუფურად; ორი ან მეტი პირის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით, შეკვეთით.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში მისი მიღების მთავარ მიზეზად გენდერული ნიშნით ჩადენილი ქალთა მკვლელობების გახშირება იყო დასახელებული და აღნიშნული გახლდათ, რომ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზისის არ არსებობის გამო, სამართალდამცავი ორგანოებისათვის გართულებული გახლდათ გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების პრევენცია, ხოლო ეფექტური პრევენცია კი, კანონპროექტის ავტორების აზრით, ფემიციდის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად აღიარების გზით მიიღწეოდა.

აღსანიშნავია, რომ ფემიციდის კანონპროექტში მოყვანილი ფორმულირება არ შეესაბამება ფემიციდის განმარტებას და აქცენტს სვამს მხოლოდ ოჯახის წევრებზე. ამით ისახება დანაშაულის სპეციალური სუბიექტი, რომელიც მხოლოდ ოჯახის წევრი შეიძლება იყოს. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ კანონპროექტის ავტორები ქალთა მკვლელობების გამომწვევ ძირითად მიზეზად ქალის მიმართ მესაკუთრულ დამოკიდებულებას ხედავენ, რაც უპირველესად, სწორედ, ოჯახის წევრების მხრიდან შეიძლება მომდინარეობდეს. მაგრამ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დისკრიმინაცია მხოლოდ ოჯახის წევრებიდან არ მოდის. ქალთა მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომებს შეიძლება შევხვდეთ ნებისმიერ სოციალურ წრეში, ამიტომ დანაშაულის სუბიექტის ამგვარი დავინროება მიზანშეწონილი არ არის.

### 3.2. სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსის ფარგლებში გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლელობათა რეგულირების შესაძლებლობა

აუცილებელია დაისვას საკითხი საჭიროებს თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ზემოაღნიშნულ ცვლილებას? თუ საკითხს ჩავუღრმავდებით ამ კითხვაზე შესაძლოა ლოგიკურად უარყოფითი პასუხი გავცეთ, ვინაიდან ის სენსიტიური მიზნები, რასაც კანონპროექტი ემსახურებოდა დაცული შეიძლება იქნას კანონპროექტის შემუშავების დროისთვის არსებული სისხლის სამართლის კოდექსის ფარგლებშიც. კერძოდ, აქ იგულისხმება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> ნაწილი, (კანონპროექტის შეტანის მომენტისთვის სისხლის სამართლის კოდექსში არსებობდა) რომელიც დანაშაულის ჩადენას დისკრიმინაციის, მათ შორის სქესის შემცველი ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განიხილავს. მაშასადამე, თუ ქალი მოკლული იქნა გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით, იმიტომ რომ იგი ქალია და ამასთან, დანაშაული ჩადენილია ოჯახის წევრის მიერ, შესაბამის პირობებში შესაძლებელია, სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციისას გამოყენებული იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე ან 109-ე მუხლი მე-11<sup>1</sup> მუხლთან ერთობლიობაში, ხოლო სასჯელის დანიშვნისას კი მკაცრი სასჯელი დაინიშნოს ამავე კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლზე მითითებით. (აღნიშნული მუხლი 2017 წლის 1 ივნისიდან ამოქმედდა).

ასევე, შეიძლება გამოინახოს კიდევ ერთი „გამოსავალი“, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი განზრახ მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს აღნიშნული დანაშაულის ჩადენას რასობრივი, რელიგიური, ეროვნული და ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო, თუმცა სქესი მითითებული არ არის. კოდექსში დამატებითი მუხლის შემოღების ნაცვლად, შესაძლებელია, რომ ცვლილება განხორციელდეს ზემოაღნიშნულ ნორმაში და რასობრივ, რელიგიურ, ეროვნულ და ეთნიკურ შეუწყნარებლობას, სქესის ნიშნით შეუწყნარებლობაც დაემატოს.

თუმცა, აღნიშნულის გარეშე, სწორი მიდგომისა და უკვე არსებული საკანონმდებლო ბერკეტების გამართულად ფუნქციონირების შემთხვევაში, დამატებითი მუხლის შემოუღებლადაც

შეიძლება მიღწეულ იქნას მიზანი ფემინიზმის შემთხვევების შემცირების და სასჯელი იმგვარად მკაცრად იქნას გამოყენებული, რაც უზრუნველყოფს მისი პრევენციული ფუნქციის შესრულებას.

ვფიქრობთ, რომ კანონპროექტი მართებულად არ იქნა მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ. ამის მიუხედავად, ფემინიზმი უდაოდ მნიშვნელოვანი საკითხია და მისასაღებელია ამ თემაზე საკანონმდებლო განხილვების არსებობის პრევენტი. საკითხის დასმა და მასზე მსჯელობა ამაღლებს საზოგადოების ცნობიერებას და ამ კუთხით, რაც თავის მხრივ, შესაძლოა, ყველაზე ეფექტურ პრევენციად მივიჩნიოთ.

#### 4. ქალთა მკვლელობის მოტივის დადგენის მნიშვნელობა სამართლიანი სასჯელის დანიშვნისათვის

იმისთვის, რომ განისაზღვროს იყო თუ არა დანაშაული ფემინიზმი, უნდა მოხდეს ქალთა მკვლელობებსა/თვითმკვლელობამდე მიყვანის შესახებ გამოტანილი თითოეული განაჩენის (სადაც მსხვერპლი ქალია) განალიზება და საქმის გარემოებების მიხედვით იმის განსაზღვრა, თუ რომელ შემთხვევაში არის დანაშაული ფემინიზმი. ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფაქტზე უნდა დადგინდეს დანაშაულის მოტივი, რომლის გამოკვეთის მიზნით ყურადღება უნდა გამახვილდეს დანაშაულის მიერ გამოთქმულ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებზე, რომელიც დაზარალებულის სქესს იხსენიებს აუგად, მის რეპუტაციას აყენებს ეჭვქვეშ, ყურადღებას ამახვილებს მის ფუნქციებზე და სტერეოტიპულ როლზე საზოგადოებასა და ოჯახში.<sup>25</sup>

ფემინიზმსა და ოჯახში ჩადენილ დანაშაულს შორის ცალსახა ურთიერთმიმართება. წლების განმავლობაში იქმნებოდა თეორიები, თუმცა რეალური, პრაქტიკული განმარტებები თუ რა შეიძლება კონკრეტულად ინვესტდეს ფემინიზმს, არ არსებობს. სახელმწიფო არ ანარმოებს იმ მონაცემებს რა ურთიერთკავშირი არსებობდა მსხვერპლსა და დანაშაულს შორის. მიიჩნევენ რომ ფემინიზმი გარკვეულწილად შედეგია ოჯახური ძალადობისა. ყოველი მეათე მოკლული ქალიდან, 3 მათგანი წარსულში ყოფილა ოჯახური ძალადობის მსხვერპლი და მიმართული ჰქონდა შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისთვის. თუმცა ფემინიზმი არ არის მხოლოდ ოჯახური კონფლიქტის ერთგვარი რეზულტატი.<sup>26</sup> საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში უმეტეს შემთხვევაში ქალთა მკვლელობა ოჯახის წევრის მიერ არის ჩადენილი.

გენდერული მოტივის გამოკვეთა სირთულეს წარმოადგენს, როგორც გამოძიების მიმდინარეობისას, ასევე სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას.<sup>27</sup> პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ფემინიზმის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოები ან/და სასამართლო თავს არიდებენ, ან ვერ ახერხებენ, საქმის საგამოძიებო და სასამართლო განხილვის ეტაპებზე, შესაძლო დისკრიმინაციული მოტივის გამოკვლევას ან მისთვის სათანადო შეფასების მიცემას. ზემოაღნიშნული აისახება სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებებში, რომლებშიც, ფაქტობრივად, არ არის განვითარებული მსჯელობა გენდერული მოტივის არსებობაზე. ფემინიზმის საქმეებზე სასამართლოები, ძირითადად, შემოიფარგლებიან ყოფით მოტივებზე (ეჭვიანობა, შურისძიება) მითითებით, რაც, თავისთავად, არ გამოორიცხავს/არ უნდა გამოორიცხავდეს სხვა მოტივის არსებობასაც. განაჩენთა უმეტესობაში საერთოდ არ არის დაკონკრეტებული დანაშაულის ჩადენის მოტივი, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, საქმეში არსებული მასალებიდან და განაჩენში აღწერილი ინფორმაციიდან გამომდინარე, თავისუფლად იყო შესაძლებელი მოტივის დადგენა. ქალის მკვლელობის დანაშაულის გამოძიებისა და, შემდგომში, სასამართლო განხილვის ეტაპზე მოტივის, თითოეულ შემთხვევაში, სათანადო გამოკვლევა და ადეკვატური შეფასება ესაჭიროება გენდერული ხედვის და

<sup>25</sup> ბაქრაძე მ., კვირიკაშვილი მ., მერებაშვილი ნ., პრაქტიკული სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის საგარანტიოდ, ევროპის საბჭო, 2017წ., გვ. 42.

<sup>26</sup> Musalo K., Bookey B., *Crimes Without Punishment: An Update on Violence Against Women and Impunity in Guatemala*, HASTINGS RACE AND POVERTY LAW JOURNAL, Vol.10, 2013, P. 273.

<sup>27</sup> შენგელია ს., ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, ჟ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, N2, 2017წ., გვ. 43.

პრობლემატიკის გათვალისწინებით. დისკრიმინაციული მოტივის გამოსაკვეთად, პირველ რიგში, აუცილებელია მსხვერპლისა და დანაშაულებრივი ქმედებისადმი დამნაშავის დამოკიდებულების სათანადო კვლევა საგამოძიებო და სასამართლო განხილვის ეტაპებზე. საჭიროა, ზედმინევენით იყოს გამოკვლეული, ხომ არ ითამაშა მსხვერპლის მისამართით დისკრიმინაციული, სექსისტური, მესაკუთრული ან სტერეოტიპული დამოკიდებულების არსებობამ არსებითი როლი მართლსაწინააღმდეგო ქმედების პროვოცირებაში. ამ მხრივ, არ უნდა გამოირიცხოს ერთდროულად რამდენიმე მოტივის არსებობაც, რომელთაგან თითოეულს უნდა მიეცეს დამოუკიდებელი შეფასება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ასევე, ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის თავიდან აცილებისა და აღკვეთის შესახებ სტამბოლის კონვენციის თანახმად, ქალის მიმართ გენდერული ძალადობა არის ქალის დისკრიმინაციის ფორმა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ქალთა მკვლევლობების საქმეებში სასამართლო და ბრალდების ორგანოები აღარ შემოიფარგლონ მხოლოდ შურისძიების, ეჭვიანობის ან სხვა ამგვარ მოტივებზე მითითებით და რეალურად გამოიკვლიონ, ყველაფერთან ერთად, ხომ არ სჩადიოდა ბრალდებული დანაშაულს დისკრიმინაციული მოტივით.

პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც დანაშაულების ფაქტობრივი გარემოებები, თითოეულ შემთხვევაში, გენდერული მოტივის არსებობაზე მეტყველებდა, რამაც ქალის მკვლელობა განაპირობა. დამნაშავე იჩენდა მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციულ და მესაკუთრულ დამოკიდებულებას, აკონტროლებდა მის ქცევას და მოუწოდებდა გენდერული როლების მიმართ მკაცრი მორჩილებისკენ. მსხვერპლის დაუმორჩილებლობა და აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა, როგორც განაჩენების ანალიზი ცხადყოფს, გახდა დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩადენის მოტივი.<sup>28</sup>

კანონმდებელი სასამართლოს ავალდებულებს სასჯელის დანიშვნის დროს გაითვალისწინოს დანაშაულის მოტივი და მიზანი, ვინაიდან ამ შემთხვევაში ნათელი ეფინება პიროვნების შინაგან სამყაროს, მის ღირებულებით ორიენტაციებს და ა.შ.<sup>29</sup> დანაშაულის მოტივთან მიმართებით მნიშვნელოვან რეგულირებას ადგენს ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმადაც, გამამტყუნებელი განაჩენის აღწერით-სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერას, რომელიც სასამართლომ დადგენილად ცნო. განაჩენში მითითებული უნდა იყოს მისი ჩადენის ადგილი, დრო და ხერხი, ბრალის ფორმა, დანაშაულის მოტივი, მიზანი და შედეგი. შესაბამისად, მოტივის დადგენა სისხლის სამართალწარმოების პროცესში მოსამართლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, რომლის შეუსრულებლობამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს თავად განაჩენის კანონიერება ან/და დასაბუთებულობა.

მკვლევლობის მოტივის დადგენას ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მოტივი ფსიქოლოგიური მეცნიერების მიხედვით არის მოტივაციის შედეგი.<sup>30</sup> მოტივი მოტივაციის ის საბოლოო შემაჯამებელი ფსიქოლოგიური აქტია, რომელიც პრაქტიკულად მოქმედებას იწვევს.<sup>31</sup> ქცევის მიზანდასახულობა ემსახურება გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილებას. გადანწყვეტილების მისაღებად სუბიექტი ითვალისწინებს სხვადასხვა გარემოებას, მაგრამ გადანწყვეტილების საფუძველში მაინც ერთი მოტივი დევს, რადგან ქცევას ფსიქოლოგიურად მხოლოდ ერთი ფსიქიკური საზრისი აქვს. შესაბამისად, მოტივი სისხლის სამართალში ქმედების შეფასების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.<sup>32</sup> მოტივის დადგენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის თავიდან

<sup>28</sup> დეკანოსიძე თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბ., 2016წ., გვ. 31.

<sup>29</sup> დვალიძე ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციაზე და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, სადისერტაციო ნაშრომი, 2008წ., გვ. 132.

<sup>30</sup> გაბრიჩიძე ნ., საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი მკვლევლობის გამოძიების მეთოდოლოგია, თბ., 2005წ., გვ. 104.

<sup>31</sup> დვალიძე ი., მოტივი და მიზანი საქართველოს სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში, ჟ. „ქართული სამართლის მომხილვა“, 10 N2-3, 2007წ., გვ. 242.

<sup>32</sup> ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, (სახელმძღვანელო), თბ., 2015წ., გვ. 287.

აცილებს ღონისძიებათა დაგეგმვისა და დასაბუთებულობისათვის.<sup>33</sup> ზოგადად მოტივისა და მიზნის დადგენას ოთხი ფუნქცია აქვს: დანაშაულების ერთმანეთისგან გამიჯვნა; დანაშაულის კვალიფიციური შემადგენლობის შექმნა; სასჯელის დამძიმება; შემსუბუქება.<sup>34</sup>

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ვიმსჯელოთ მოტივის იმ ფუნქციაზე, რომლის მიხედვითაც ის სასჯელს ამკაცრებს. მოსამართლის მიერ დანაშაულებრივი ქმედებისათვის სამართლიანი სასჯელის შეფარდება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარებას ემსახურება. ამიტომაცაა, რომ დამნაშავის ქმედებაში მოტივისა და მიზნის ზუსტი დადგენა დანაშაულის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოების გათვალისწინების აუცილებელი პირობაა, რომელსაც არამხოლოდ თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია.<sup>35</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დანაშაულის გამოძიება უნდა მოხდეს „ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად“. პროკურატურა, როგორც სისხლის-სამართლებრივი დევნის ორგანო, ხელმძღვანელობს გამოძიების პროცესს და სასამართლო პროცესზე მას ეკისრება ტვირთი, რომ ამტკიცოს პირის ბრალეულობა. სისხლის სამართლის პროცესი წარმოებს შეჯიბრებითი მოდელის საფუძველზე. სასამართლო ვალდებულია, ბრალდებისა და დაცვის მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები და არცერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. აღნიშნულ მოდელში მოსამართლის მიმართ ნეიტრალურობისა და პასიურობის მოლოდინი მოქმედებს.

მხარეთა თანასწორობა და სამართალწარმოების შეჯიბრებითი ხასიათი უზრუნველყოფილია საქმისწარმოების ყველა სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან სამართალწარმოების დასრულებამდე. სასამართლო გამოდის მედიატორის როლში, არ მონაწილეობს მტკიცებულებათა მოძიებაში, არ გააჩნია საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებათა გამოკვლევის უფლება, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფისათვის, შეუძლია მხარეებთან შეთანხმებით დასვას დამაზუსტებელი კითხვა.<sup>36</sup> შესაბამისად, დანაშაულის თაობაზე მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა არის ბრალდების მხარის ვალდებულება. სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სწორედ ბრალდების მხარეა ვალდებული, მიაწოდოს სასამართლოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებულ გარემოებებზე. ეს თანაბრად ეხება, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ, ისე სასჯელის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს. მაგალითად, სწორედ ბრალდებამ უნდა წარუდგინოს სასამართლოს მტკიცებულებები ფემინიზმის საქმეში არსებული დისკრიმინაციული მოტივის თაობაზე და დაანახოს სასამართლოს დანაშაულში გენდერის ნიშნის არსებობა. გამოძიებას სათანადო გეზს აძლევს კონფლიქტის ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაცია. მისი გამოკვლევის შედეგად ვლინდება დამნაშავის მოტივი, დანაშაულის ჩადენის გარემოებები.<sup>37</sup> ბრალდების მხარე ვალდებულია, მოიპოვოს და სასამართლოში წარადგინოს ყველა ის მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს დანაშაულის გენდერულ ნიშანზე და სქესის ნიშნით დისკრიმინაციაზე. თუ საგამოძიებო ორგანო, დანაშაულში გენდერის ნიშნის არსებობის შემთხვევაში, არ წარადგენს სასამართლოში შესაბამის მტკიცებულებებს და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, ირღვევა დანაშაულის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების ვალდებულება. სასამართლო ვალდებულია, სათანადო შეფასება მისცეს მის წინაშე წარმოდგენილ მტკიცებულებებს და დაუმიძიოს დამნაშავეს სასჯელი გენდერული დანაშაულის ჩადენის გამო. თუმცა, მეორე მხრივ, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, დანაშაულის

<sup>33</sup> დვალაძე ი., მოტივი და მიზანი საქართველოს სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში, *ქართული სამართლის მიმოხილვა*, N2-3, 2007წ., გვ. 264.

<sup>34</sup> იქვე, გვ. 264.

<sup>35</sup> ლეკვეიშვილი მ., სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, *თბ.*, 2016წ., გვ. 254.

<sup>36</sup> ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., ლიბარტელიანი ლ., და სხვ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, *თბ.*, 2015წ., გვ. 85.

<sup>37</sup> გაბრიჩიძე ნ., საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი მკვლელობის გამოძიების მეთოდოლოგია, *თბ.*, 2005წ., გვ. 98.

გენდერული ნიშნით ჩადენის თაობაზე პროკურორის მიერ მტკიცებულებების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, თავად გამოიკვლიოს დანაშაულის მოტივი და განიხილოს დანაშაულში არსებული შესაძლო დისკრიმინაციული ნიშნები. რაც შეეხება დანაშაულის კვალიფიკაციას, მოსამართლე არ არის უფლებამოსილი, გადააკვალიფიციროს დანაშაული უფრო მძიმე დანაშაულზე, ვიდრე ბრალდების მხარის მიერ არის წარდგენილი. სასამართლოს განაჩენი, გარდა კანონიერისა, უნდა იყოს დასაბუთებული და სამართლიანი. განაჩენი უნდა ემყარებოდეს სასამართლო პროცესზე გამოკვლევულ ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებებს და განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადანყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი, ანუ სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. ამდენად, ფემიციდის საქმეებზე, როგორც ბრალდების ორგანოებს, ისე სასამართლოს, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აკისრიათ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისა და სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

მოტივისა და მიზნის შესწავლას, არა მარტო სასჯელის სიმძიმის, არამედ სასჯელის მიზნებისთვისაც აქვს მნიშვნელობა.<sup>38</sup> ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სწორი შეფასებისა და სისხლის სამართლის ამ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის გარეშე კანონიერი, სამართლიანი, ყოველმხრივ დასაბუთებული გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა შეუძლებელია.<sup>39</sup>

მსჯავრდებულისთვის დანიშნულ სასჯელზე მთლიანად მოსამართლეა პასუხისმგებელი, რომელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული სასჯელის მიზნები. სასჯელის ისეთი მიზანი, როგორცაა სამართლიანობის აღდგენა სამართლიანი სასჯელის დანიშვნის გზით მიიღწევა.<sup>40</sup> სასჯელმა თავის მიზანს მაშინ შეიძლება მიაღწიოს, როდესაც იგი მიზანშეწონილი, თანაზომიერი და სამართლიანია. ეს კი თავის მხრივ გულისხმობს, რომ სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპით. ვინაიდან სასჯელის მიზანი სამართლიანობის აღდგენა და რესოციალიზაციაა, სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს პირის ინდივიდუალურ ბრალს, იყოს ჰუმანური და მიზანშეწონილი. სამართლიანი სასჯელის დასადგენად მნიშვნელოვანი პირობაა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სწორი იურიდიული შეფასება.<sup>41</sup>

გამოყენებული სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სამ მიზანს: სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავეს რესოციალიზაციას. სასჯელი ყველა შემთხვევაში უნდა იყოს დასაბუთებული – არსებითია, რომ სასამართლოები ფორმალურად არ მიუდგენენ სასჯელის დასაბუთების პროცესს, რაც ხშირად ხდება პრაქტიკაში.<sup>42</sup>

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ დამნაშავეს ქმედებაში მოტივისა ზუსტ დადგენას თითქმის გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პირისათვის სამართლიანი სასჯელის შეფარდებისათვის. ამის გარდა, უნდა შევნიშნოთ, რომ ვინაიდან საქართველოს სსკ-ში არ არსებობს შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა ამომწურავი ჩამონათვალი, სწორედ მოსამართლის სამართლიან გადანყვეტილებაზეა დაფუძნებული სასჯელის ინდივიდუალიზაციის ცხოვრებაში გატარების რეალური საფუძველი.<sup>43</sup> სასამართლო ვალდებულია დაადგინოს დამნაშავეს პასუხისმგებლობის ყველა ის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სასჯელის სახესა და ზომაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა კანონის მოთხოვნა სამარ-

<sup>38</sup> დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013წ., გვ. 87.

<sup>39</sup> ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2015წ., გვ. 157.

<sup>40</sup> ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, სადისერტაციო ნაშრომი, 2016წ., გვ. 140.

<sup>41</sup> ლეკვეიშვილი მ., სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016წ., გვ. 199.

<sup>42</sup> ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, უ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 4(43) 14, გვ. 26.

<sup>43</sup> ლეკვეიშვილი მ., სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016წ., გვ. 258.

თლიანი სასჯელის დანიშვნის თაობაზე.<sup>44</sup>

სასჯელის პროპორციულობა გულისხმობს დანაშაულის ჩამდენისათვის ისეთი სასჯელის შეფარდებას, რომელიც უზრუნველყოფს იმ მიზნის მიღწევას, რასაც სასჯელი ისახავს. სასჯელის მიზნების მიღწევის საშუალება მხოლოდ პროპორციული სასჯელია.<sup>45</sup> არაპროპორციული სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის ერთ-ერთი მიზნის მიღწევას – დაზარალებულის დაკმაყოფილებას. თუმცა, ამ მიზნის მიღწევა, დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე, ზოგჯერ შეუძლებელია. მაგალითად, მკვლელობის დროს ვერცერთი სასჯელით ვერ ანაზღაურდება დანაშაულით გამონვეული ზარალი.<sup>46</sup>

ბრალდების და სასამართლო ორგანოების მიერ, მათი უფლებამოსილების ფარგლებში, გენდერის ნიშნით ჩადენილი მკვლელობების/თვითმკვლელობამდე მიყვანის სათანადო შეფასების გარეშე დატოვება ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, არყევს ძალადობის მსხვერპლი ქალების და მათი ოჯახების ნდობას სამართალდამცავი ორგანოებისა და მართლმსაჯულების სისტემის მიმართ და ინარჩუნებს საზოგადოებაში არსებულ გენდერულ დისკრიმინაციასა და სუბორდინაციას.<sup>47</sup>

ფემიციდის ეფექტური გამოძიება, დასჯა და მართლმსაჯულების პროცესში გენდერული ხედვის გათვალისწინება მნიშვნელოვანია გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალთა სიცოცხლის მოსპობის სიმწვავისა და მასშტაბის აღიარების, სამართლიანობის აღდგენის, ფემიციდის განმეორების თავიდან აცილებისა და ქალთა ტრანსფორმაციული თანასწორობის მისაღწევად.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ფემიციდი არის ქალის წინააღმდეგ ჩადენილი ყველაზე საშიში დანაშაული, რომელიც დისკრიმინაციული ხასიათისაა. იგი მთელს მსოფლიოში გახლავთ გავრცელებული. გენდერული თანასწორობის მიღწევა ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა თანამედროვე საზოგადოებაში.

ნაშრომის კვლევის ფარგლებში გამოვლინდა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ყურადღებას მოითხოვს. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები უტყუარად ასახავენ ქვეყანაში მდგარ გამოწვევებს, რომელიც ქალთა ძალადობის სხვადასხვა ფორმას ეხება. მიუხედავად იმისა, რომ დისკრიმინაციის აკრძალვა ე.წ. აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება და მისი დარღვევა განსაკუთრებით შეუწყნარებელია ყოველ დემოკრატიულ საზოგადოებაში, სამწუხაროდ, თვით სამართლებრივად კარგად განვითარებულ და დემოკრატიის დიდი ტრადიციების მქონე ქვეყნებშიც ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული მონყვლადი ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტები.

2014 წელს ქალთა მკვლელობების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა. მნიშვნელოვანია წარმოვაჩინოთ, ის არასწორი დამოკიდებულება, რაც გამოვლინდა როგორც გამოძიების ეტაპზე, ასევე სასამართლოში. ამათგან უმთავრესია მოტივის დადგენა, რაც საქმეზე ქეშმარიტების დადგენით არის განმტკიცებული. შესაბამისად არასწორად იქნა შეფარდებული სასჯელიც, რადგან სქესის მიხედვით დისკრიმინაციის გამოვლენა, თავისთავად გულისხმობს უფრო მკაცრ სასჯელს.

აშკარაა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურესი ფორმა – ფემიციდი, სახელმწიფოთა მხრიდან მაღალი ხარისხით ჩარევას მოითხოვს. მართლაც, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნევრ სახელმწიფოებს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხთან დაკავშირებით პოზიტიური ვალდებულება გააჩნიათ, რომელიც აუცილებელია, რომ გულმოდგინედ იქნას შესრულებული.

<sup>44</sup> გოთუა ზ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბ., 2001წ., გვ. 37.

<sup>45</sup> ცქიტიშვილი თ., სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016წ., გვ. 524.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 512.

<sup>47</sup> დეკანოსიძე თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბ., 2016წ., გვ. 28.



ნაშრომის ფარგლებში განვიხილეთ ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე საშიში ფორმა – მკვლელობა გენდერული ნიშნით. კვლევამ გვიჩვენა, რომ ერთი კონკრეტული მიზეზი არ არსებობს, რაც ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით მკვლელობას იწვევს. ამის მიუხედავად პატრიარქალური შეხედულებები ერთ-ერთ მონინავე მიზეზთა შორის უნდა მოვიზიაროთ.

ფემიციდთან ბრძოლის კუთხით მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ სისხლის სამართლის კოდექსის სრულიად ახალი მუხლი – ადევნება (სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლი). სასამართლოს პრაქტიკის განზოგადებამ ცალსახად გამოკვეთა, რომ მანამ, სანამ მძიმე ფორმის დანაშაულს ჩაიდენდა მოძალადე, ყოველივეს ამ ფაქტს ადევნება უძღვოდა წინ. თუმცა იმის გამო, რომ ადევნება არ იყო დასჯადი, პოლიცია უძღური გახლდათ ამგვარი ქმედებების წინააღმდეგ, ერთადერთი ბერკეტი რისი გამოყენების საშუალებაც ქონდათ ხელწერილის ჩამორთმევა იყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დადებითი პოზიცია გამოვხატოთ, იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო ცდილობს დახვეწოს კანონმდებლობა, რიგი ცვლილებები სულ ცოტა ხნის წინ შევიდა. ამავდროულად, უნდა გამოვასპეკაროთ ყველა ის პრობლემა რომელიც ჯერ კიდევ არსებობს. ამასთანავე, მინდა იმედი გამოვთქვა, რომ თითოეულ ნორმას, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია ქალთა ძალადობასთან ბრძოლის კუთხით ექნება რეალური, ჯეროვანი აღსრულება.

## მკვლევლობის მომზადების დასჯადობის საკითხი

ზურაბ გოგშელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციისა  
და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი სპეციალისტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

### შესავალი

დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საკითხი ერთ-ერთი პრობლემურია სისხლის სამართლის დოგმატიკასა და დოქტრინაში. მასზე არსებობს რამდენიმე თეორია.<sup>1</sup> ამ საკითხზე დაწერილია არაერთი ნაშრომი როგორც უცხო, ისე ქართულ ენაზე. განსაკუთრებით ინტერესს იწვევს დანაშაულის მომზადება, რადგან საქართველოში დასჯადი სტადია იწყება დანაშაულის მომზადებიდან.

ჩვენი დაინტერესება ამ საკითხით იმითაა განპირობებული, რომ იგი ბოლო პერიოდში სამართლო პრაქტიკაში აქტუალური გახდა. სასამართლო პრაქტიკა დადგა იმ პრობლემის წინაშე, თუ რა შემთხვევაში უნდა შეფასდეს პირის ქმედება დანაშაულის მომზადებად? რამდენად სწორად ესმით პრაქტიკაში სსკ მე-18 მუხლის შინაარსი? კერძოდ, საკმარისია თუ არა ქმედების დანაშაულის მომზადებად შეფასებისათვის შექმნილი იყოს ერთი, ან თუნდაც რამდენიმე პირობა? როგორ გავიგოთ დოქტრინაში აღიარებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მომზადება მაშინაა დასჯადი, როცა იგი ახლოს დგას მცდელობასთან?

დასმული საკითხი ნაშრომში განხილული იქნება მკვლევლობის მომზადების მაგალითზე, რადგან სწორედ ამ კატეგორიის საქმეში უფრო ნათლად იკვეთება პრობლემის ყველა სადავო მხარე. მკვლევლობის მომზადების დასჯადობასთან დაკავშირებით ნაშრომში განხილული იქნება ორი საკითხი: 1. რა პირობების არსებობისას უნდა დადგეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მკვლევლობის მომზადებისათვის; 2. სასჯელის დანიშვნის საკითხი მკვლევლობის მომზადებისას.

### 1. რა პირობების არსებობისას უნდა დადგეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მკვლევლობის მომზადებისათვის?

დავას არ იწვევს ის, რომ სისხლის სამართალი უპირველესად ქმედების სამართალია. იგი მხოლოდ მეორე რიგში არის მომქმედის სამართალი.<sup>2</sup> ამიტომ განზრახვის აღმოცენება ან მისი სხვა პირისათვის გამჟღავნება მოკლებულია სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის თვალსაზრისით (ირელევანტურია სისხლისსამართლებრივად).

დასჯადი სტადია სს კანონმდებლობით შეიძლება დაინყოს დანაშაულის მომზადებიდან.

დანაშაულის მომზადების დასჯადობის საკითხი დოქტრინაში სადავოა. ევროპის მთელი რიგი

<sup>1</sup> ამ თეორიების შესახებ იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი პირველი, გვ. 359-376; მჭედლიძე-ლი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011წ., გვ. 6-10.

<sup>2</sup> ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2018წ., გვ. 55; თოდუა ნ., სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016წ., გვ. 462-463.

ქვეყნების კანონმდებლობა მას არ მიიჩნევს დასჯად სტადიად. შესაბამისად, ეს ქვეყნები დასჯას იწყებენ დანაშაულის მცდელობიდან.

საქართველოში კი დასჯადი სტადია იწყება დანაშაულის მომზადებიდან. დანაშაულის მომზადების ცნება მოცემულია სსკ მე-18 მუხლში: „დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა“.

როგორც ვხედავთ, ჩვენი კანონმდებელი არ აკონკრეტებს, კერძოდ, რა ქმედებებში შეიძლება გამოიხატოს პირობების განზრახ შექმნა. იგი გვაძლევს მხოლოდ მის განზოგადებულ ცნებას, რის გამოც არსებობს იმის საფრთხე, რომ ისეთი ქმედება, როცა მართალია, დაწყებულია დანაშაულის მომზადება, მაგრამ იგი არაა ბოლომდე მიყვანილი, სასამართლო პრაქტიკაში ჩითვალოს დასჯად მომზადებად.

საერთოდ დანაშაულის ჩასადენად პირობების განზრახ შექმნაში იგულისხმება კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად საჭირო იარაღისა თუ საშუალების გამოძებნა, მისი შექმნა, მსხვერპლის ადგილსამყოფელის დადგენა, მისი სავარაუდო მარშრუტის შესწავლა, შემთხვევის ადგილის ნინასწარი დათვალიერება, რათა ყველა დეტალი ნინასწარ იყოს გათვალისწინებული, სხვა თანაამსრულებლის დაყოლიება ამ დანაშაულის ჩასადენად, შემთხვევის ადგილამდე მისვლა, ჩასაფრება და ა.შ.<sup>3</sup>

ამასთან ეს იარაღები და საშუალებები შექმნილი უნდა იყოს კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის პირობების შესაქმნელად. ანუ პირს უკვე განსაზღვრული უნდა ჰქონდეს ხელყოფის უშუალო ობიექტი. ამიტომ არ ჩაითვლება დანაშაულის მომზადებად ისეთი შემთხვევა, როცა პირმა შეიძინა იარაღი იმ განზრახვით, რომ იქნებ ვინმე მოვკლაო.<sup>4</sup>

ისმის კითხვა: საკმარისია კი ზემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი ქმედების ჩადენა ქმედების დანაშაულის მომზადებად შეფასებისა და სს-ვი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის? სხვაგვარად რომ ვთქვათ, მომზადების დაწყება, როცა განხორციელებულია ერთი ან რამდენიმე ქმედება, მაგრამ ჯერ არაა შექმნილი ყველა პირობა დანაშაულის ჩასადენად (დაუმთავრებელი მომზადება), თუ არის დასჯადი სტადია?

დაუმთავრებელია მომზადება, როცა პირმა შეიძინა იარაღი მკვლელობის ჩასადენად, მაგრამ სხვა პირობები მკვლელობისათვის ჯერ არ შეუქმნია. ხოლო დამთავრებულია მომზადება, როცა პირმა ყველა პირობა შექმნა დანაშაულის ჩასადენად. მაგალითად, მკვლელობის მიზნით იარაღმომარჯვებული პირი ჩაუსაფრდა მსხვერპლს, თუმცა მკვლელობის მცდელობაზე ჯერ არ გადასულა.

ამდენად, ზემოთ დასმული კითხვა ასეთნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: თუ არის დასჯადი დაუმთავრებელი მომზადება?

სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, უნდა ითქვას შემდეგი: ისევე როგორც მომზადება, მცდელობაც იყოფა დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად.<sup>5</sup>

ამდენად, აქვე მოკლედ უნდა აღინიშნოს, თუ რას ნიშნავს დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობა.

დაუმთავრებელია მცდელობა, როცა პირმა დაიწყო კონკრეტული დანაშაულის (მაგ., მკვლელობის) ობიექტური შემადგენლობის განხორციელება, მაგრამ ჯერ ყველაფერი არ გაუკეთებია დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად. მაგალითად, დაუმიზნა თოფი მსხვერპლს, მაგრამ ჯერ არ გაუსვრია. ანდა მსხვერპლს ყავაში ჩაუყარა სანამლავი, მაგრამ მსხვერპლს ჯერ არა დაუღვია იგი.

<sup>3</sup> დანაშაულის მომზადებაზე იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი პირველი, თბ., 2007წ., გვ. 377-406; სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტ. კოლ. თბ., 2007წ., გვ. 156-159; გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი, მე-3, თბ., 2013წ., გვ. 236-242; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013წ., გვ. 304-308; მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011წ., გვ. 21-35; მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტ. კოლ. თბ., 2018წ., გვ. 265-266.

<sup>4</sup> შეად. მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტ. კოლ. თბ., 2018წ., გვ. 265-266.

<sup>5</sup> ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007წ., გვ. 157-158.

ხოლო დამთავრებულია მცდელობა, როცა პირმა ყველაფერი გააკეთა დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად, მაგრამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი ჯერ არა დამდგარა. მაგალითად, პეტრემ მსხვერპლს გულის არეში დაახალა ტყვია, მაგრამ იგი გადაარჩინეს. ანდა პეტრემ მოტყუებით დააღვინა მსხვერპლს მონამლული ყავა, მაგრამ იგი დროული დახმარების შედეგად გადარჩა.<sup>6</sup>

შესაბამისად, დანაშაულის მცდელობა შედეგიანი დანაშაულის მიმართ ზოგადად შეიძლება წარმოვადგინოთ ასეთი ფორმულით:

შედეგიანი დანაშაულის (მაგ. მკვლელობის) მცდელობა = პირდაპირ განზრახვას<sup>7</sup> + ქმედება + დანაშაულის (მაგ. მკვლელობის) ობიექტური შემადგენლობა – მართლსაწინააღმდეგო შედეგი (სიკვდილი).

დოქტრინაში აღიარებულია, რომ მცდელობა ახასიათებს შედეგგარეშე დანაშაულსაც, თუკი იგი ორაქტიანი შემდგენლობითაა წარმოდგენილი.<sup>8</sup>

დანაშაულის მცდელობა ორაქტიანი შედეგგარეშე დანაშაულის (მაგ. გაუპატიურების) მიმართ, შეიძლება ასეთი ფორმულით გამოვსახოთ:

შედეგგარეშე ორაქტიანი დანაშაულის (მაგ. გაუპატიურების) მცდელობა = პირდაპირ განზრახვას + ქმედება + ფორმალური დანაშაულის პირველი აქტი (მაგ. ძალადობა) – ამ დანაშაულის მეორე აქტი (მაგ. სქესობრივი კავშირი).

განსხვავებით მომზადებისაგან, სადავო არაა, რომ დანაშაულის მცდელობა დასჯადია იმის მიუხედავად, სახეზეა დაუმთავრებელი, თუ დამთავრებული მცდელობა.

რატომ არაა სადავო? ამ საკითხს პასუხს ცოტა ქვევით გავცემთ.

რაც შეეხება დანაშაულის მომზადების ფორმულას, იგი ასეთნაირად უნდა იქნეს წარმოდგენილი:

დანაშაულის მომზადება = პირდაპირ განზრახვას + ქმედება – ამ დანაშაულის (მაგ. მკვლელობის) ობიექტური შემადგენლობა.<sup>9</sup>

ამ ფორმულიდანაც ნათლად ჩანს, თუ რატომ არაა სადავო დასჯადობის საკითხი როგორც დამთავრებული, ისე დაუმთავრებელი მცდელობის დროს და რატომაა დაუშვებელი ქმედების დასჯა როგორც დაუმთავრებელი, ისე დამთავრებული მომზადებისას.

საქმე ისაა, რომ განსხვავებით დანაშაულის მომზადებისაგან, მცდელობის დროს ქმედება უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მცდელობის დროს ჩადენილია ისეთი ქმედება, რაც იმნუთიერ (და არა სამომავლო) საფრთხეს უქმნის სამართლებრივ სიკეთეს.<sup>10</sup>

„უშუალოდ“ და „მიმართული“ კი იმას ნიშნავს, რომ პირის ქმედებით უკვე დაწყებულია კონკ-

<sup>6</sup> დაუმთავრებელ და დამთავრებულ მცდელობაზე იხ., ნერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი პირვ., თბ., 2007წ., გვ. 450-460; დვალაძე ი., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახლმძღვანელო, თბ., 2007წ., გვ. 164-165.

<sup>7</sup> იურიდიულ ლიტერატურაში სადავოა საკითხი არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულში მცდელობის შესაძლებლობის შესახებ. ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებების შესახებ იხ. (მცდელობის შესაძლებლობის მონაწილედგენი): ნერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, პირვ. ტომი, თბ., 2007წ., გვ. 486-493; გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, თბ., 2013წ., გვ. 244-246; მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011წ., გვ. 70-83; მამულაშვილი გ., სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, ნიგნი პირველი, თბ., 2016წ., გვ. 170-178; (მცდელობის შესაძლებლობის მომხრენი): ტურავეა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013წ., გვ. 310-311; ხარანაული ლ., დაუმთავრებული დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, ნიგნი II, გვ. 147-182.

<sup>8</sup> ამ საკითხზე იხ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011წ., გვ. 61.

<sup>9</sup> მართალია, ზოგიერთ დანაშაულს არ ახასიათებს მომზადების ან მცდელობის სტადია, მაგრამ ეს საკითხი ამჟამად არაა ჩვენი განხილვის საგანი (ამ საკითხზე იხ. ნერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი პირვ. თბ., 2007წ., გვ. 483-505; მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011წ., გვ. 59-62; დვალაძე ი., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახლმძღვანელო, თბ., 2007წ., გვ. 169-174).

<sup>10</sup> ვესელსი ი., ბოილკე ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, (ქართული გამოცემა), გვ. 343-344.

რეტული დანაშაულის (მაგ. მკვლელობის) ობიექტური შემადგენლობის განხორციელება.<sup>11</sup> ამდენად, სამართლებრივ სიკეთეს (მაგ., ადამიანის სიცოცხლეს) უკვე ექმნება იმნუთიერი საფრთხე.

ხოლო მომზადების დროს ჯერ არაა დაწყებული კონკრეტული დანაშაულის (მაგ., მკვლელობის) ობიექტური შემადგენლობის განხორციელება, არამედ ადგილი აქვს მხოლოდ პირობების შექმნას დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის მომავალში განხორციელებისათვის (იარაღის შეძენა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება და ა.შ.). ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამართლებრივ სიკეთეს ექმნება არა იმნუთიერი, არამედ სამომავლო საფრთხე.<sup>12</sup>

სწორედ ამის გამოა მომზადების დასჯადობის საკითხი პრობლემური იურიდიულ ლიტერატურაში. მის დასჯადობას მეცნიერთა ნაწილი საერთოდ არ უჭერს მხარს (თუნდაც დამთავრებული მომზადების დროს). მთელი რიგი ქვეყნების სს კანონმდებლობით დანაშაულის მომზადება არაა მიჩნეული დასჯად სტადიად (მაგ., ფვ-ში). ამ ქვეყნებს სსკ მხოლოდ კერძო ნაწილში აქვთ გათვალისწინებული მომზადების სტადიიდან ქმედების სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადობისათვის ცალკეული ე.წ. შეკვეცილი შემადგენლობები.

მომზადების დასჯადობაზე უარის თქმისათვის არსებობს შემდეგი არგუმენტები:

ა) მომზადების დროს სამართლებრივ სიკეთეს ექმნება სამომავლო და არა იმნუთიერი საფრთხე;

ბ) მომზადება შეიძლება ისეთ ქმედებაში გამოიხატოს, რაც საზოგადოდ სოციალურად ადეკვატურია. მაგალითად, ადამიანმა შხამი შეიძლება შეიძინოს როგორც მღრღნელების გასანადგურებლად, ასევე მკვლელობის ჩასადენად;<sup>13</sup>

გ) აქედან გამომდინარე, პროცესუალურადაც ძნელია იმის მტკიცება, რომ პირი ამა თუ იმ კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად ემზადება;<sup>14</sup>

დ) მომზადების შემდეგ პირს ჯერ კიდევ აქვს დრო დაფიქრებისათვის, რა დროსაც მან შეიძლება არ გააგრძელოს ნამოწყებული ქმედება და ისე წაილოს იგი უკან, რომ სამართლებრივ სიკეთეს არავითარი ზიანი (და არც საფრთხე) არ მიადგეს.<sup>15</sup>

აქედან გამომდინარე, იურიდიულ ლიტერატურაში დავას არ იწვევს, რომ თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობა აღიარებს მომზადების დასჯადობას, კანონმდებლის ასეთი გადწყვეტილება გამართლებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევის დასჯადობისას, როცა დანაშაულის მომზადება ახლოს დგას დანაშაულის მცდელობასთან.<sup>16</sup>

სწორედ ამ მოსაზრების მიხედვითაა აგებული ჩვენი კანონმდებლობაც.

ახლა კი პასუხი უნდა გავცეთ მთავარ კითხვას: როდის დგას მომზადება ახლოს მცდელობასთან?

პასუხი ასეთია: იგი ახლოს მაშინაა მცდელობასთან, როცა პირმა კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად შექმნა ყველა პირობა და იგი დაუყონებლივ შეიძლება გადაიზარდოს ამ დანაშაულის მცდელობაში. ანუ შესაძლებელია, დაუყონებლივ დაიწყოს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება, რადგან ქმედება დროსა და სივრცეში უკვე ახლოსაა მცდელობასთან.

<sup>11</sup> *ნერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი პირვ., გვ. 406-421; გამყრელიძე ო., დასახ. ნაშრ. გვ. 244; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტ. კოლ., თბ., 2018წ., გვ. 267; ტურავა მ., დასახ. ნაშრ. გვ. 305; დვალიძე ი., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტ. კოლ., თბ., 2007წ., გვ. 161; თოდუა ნ., სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები), სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ., 2015წ., გვ. 29-33.*

<sup>12</sup> *ამ საკითხზე იხ. Maurach/GÖssel/Zipf, AT & 39/Rn. 19; Stratenwerth/Kuhlen, AT & 11/Rn. 8 (ციტატა აღებულია ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 24); ნერეთელი თ., დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961წ., გვ. 84; А. Н. Траинин, общее учение о преступлении, М., 1957, стр. 300-302; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დასახ. სახელმძღვანელო, გვ. 265-266; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013წ., გვ. 301.*

<sup>13</sup> *შეად. ნერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი პირვ., 2007წ., გვ. 394.*

<sup>14</sup> *შეად. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011წ., გვ. 24-25.*

<sup>15</sup> *ტურავა მ., დასახ. ნაშრ., გვ. 301.*

<sup>16</sup> *ნერეთელი თ., დანაშაულის მომზადება და მცდელობა, გვ. 88; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დასახ. სახელმძღვანელო, გვ. 265-266.*

გამომდინარე აქედან, როდესაც პირს სურს დანაშაული ჩაიდინოს ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ქმედების მომზადებად შეფასებისათვის არაა საკმარისი დანაშაულის იარაღისა თუ საშუალების გამოწვავა და შეძენა, მსხვერპლის ადგილსამყოფელის დადგენა და საქართველოს საბაჟო საზღვრამდე მისვლა. ასევე აუცილებელია, პირმა შეძლოს იმ ქვეყანის შესაბამის ქალაქში ჩასვლა, სადაც იმყოფება სავარაუდო მსხვერპლი. მანამდე კი მას არა აქვს შექმნილი ყველა პირობა, რადგან წინ გადასალახი აქვს მგზავრობასთან დაკავშირებული ფორმალური პროცედურები (ბარგის შემოწმება და სხვ.), ასევე გასავლელი აქვს დიდი გზა. გამომდინარე აქედან, სიცოცხლისათვის შექმნილი საფრთხე იმდენად სამომავლო და სათუთაა, რომ არავინ იცის, გადაიზრდება თუ არა იგი, ანდა როდის გადაიზრდება იმწუთიერ საფრთხეში

## 2. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი განსახილველ საკითხზე

### 2.1. მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან N1

2009 წლის 24 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა სს საქმე შ. შ.-შვილის მიმართ, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ 18, 109-ე მ-ის მე-2 ნაწ. „ა“ და „ბ“ ქვ-ებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწ. „ა“ და „გ“ ქვ-ებით, 19, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით და 353-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, შ. შ.-შვილს ბრალი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა ანგარეობით და შეკვეთით სამი პირის, მათ შორის დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მკვლელობის მომზადება ჯგუფურად;

მანვე ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენის მცდელობა;

მანვე ჩაიდინა პოლიციის მუშაკების მიმართ წინააღმდეგობა, მათი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით (სასამართლომ ეს უკანასკნელი ბრალდება მოუხსნა ბრალდებულებს მისი დაუდასტურებლობის გამო).<sup>17</sup>

შ. შ.-შვილის მიერ დანაშაულების ჩადენა გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის ნოემბრის თვეში, ისრაელის მოქალაქე რ. გ.-მა თავისი მამის – ე. გ.-ის კუთვნილი ქონებიდან მემკვიდრეობის გზით უფრო მეტი ქონების მიღების მიზნით და ამავე გზით თავისი დედინაცვლის – ლ. ზ.-შვილის კუთვნილი ქონების დასაუფლებლად, გადანყვიტა ქ. თბილისში მცხოვრები სამი პირის, კერძოდ: ლ. ზ.-შვილის, ამ უკანასკნელის პირველი ქორწინებიდან შეძენილი შვილის – დ. გ.-სა და მეორე ქორწინებიდან ე. გ.-ისაგან შეძენილი შვილის, ე.ი. თავისი ნახევარი ძმის, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, 1994 წელს დაბადებულის – მ. გ.-ის მკვლელობა, რის შესახებაც დანაშაულებრივად დაუკავშირდა და დასახელებულ პირთა მკვლელობა შეუკვეთა თავის მამიდაშვილს, ისრაელის მოქალაქეს შ.შ.-შვილს, რაზედაც ეს უკანასკნელი დასთანხმდა.

აღნიშნულის შემდეგ, რ. გ. და შ. შ.-შვილი შეთანხმდნენ, რომ მკვლელობის ორგანიზებას უზრუნველყოფდა რ. გ., ხოლო შ.შ.-შვილი იმოქმედებდა მისი მითითების შესაბამისად. კერძოდ, მკვლელობის განსახორციელებლად შ. შ.-შვილი ქ.თბილისში დაიქირავებდა რ. გ.-ის მიერ მითითებულ სასტუმროსა და ავტომანქანას; შეიძინდა მკვლელობის განსახორციელებლად ცეცხლსასროლ იარაღს და მასთან სატელეფონო კავშირებისთვის საჭირო ორ მობილურ ტელეფონს სიმბარათებით. აღნიშნულისათვის საჭირო ხარჯებს გაიღებდა პირადად რ. გ. და მკვლელობასთან დაკავშირებული დრო, ადგილი და გარემოებები გადანყვიტებდა მხოლოდ მასთან შეთანხმებით. ამასთან ერთად რ. გ.-მა შ. შ.-შვილს გაანდო, რომ მკვლელობის საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაითანხმებდა ქ.თბილისში მცხოვრებ ე.გ.-ისა და თავის პირად მძღოლს – მ. ს.-შვილს.

რ.გ.-მა 2008 წლის ნოემბრის თვეში, ქ.თბილისში ყოფნისას, პირად მძღოლს – მ. ს.-შვილს

<sup>17</sup> ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე №1/1113-09.

განდო რა თავისი განზრახვა, დაავალა ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა, რაც საჭირო იქნებოდა დანაშაულის სისრულეში მოსაყვანად. მძლოლ მ. ს.-შვილისაგან თანხმობის მიღების შემდეგ, რ. გ.-მა დატოვა საქართველო.

2009 წლის 04 იანვარს რ. გ.-ი ისრავლიდან ქ. თბილისში მობილური ტელეფონით დაუკავშირდა მ. ს.-შვილს და აცნობა, რომ იგივე მიზნით 2009 წლის 05 იანვარს თბილისში ჩამოფრინდებოდა შ. შ.-შვილი და დაავალა ემოქმედათ ერთად, მისი ე.ი. რ. გ.-ის მითითების შესაბამისად.

თავის მხრივ, მძლოლმა მ. ს.-შვილმა, რ. გ.-ის დავალებით და დაფინანსებით შეიძინა „NOKIA-1200“ მოდელის ორი ცალი მობილური ტელეფონი და ორი „სიმ ბარათი“: 893 44-58-26 და 893-44-58-76, რომელთა საშუალებითაც ისინი, ე.ი. მ. ს.-შვილი და შ.შ.-შვილი უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, ამასთან სისტემატურად აწვდიდნენ ინფორმაციებს რ. გ.-ს და ქ. თბილისში მოქმედებდნენ ამ უკანასკნელთან შეთანხმებული შესაბამისი მითითებებით.

2009 წლის 05 იანვარს შ.შ.-შვილი ქ. თბილისში ჩამოსვლისთანავე შეხვდა რა მ. ს.-შვილს, ამ უკანასკნელის დახმარებით და რ.გ.-თან შეთანხმებით დაბინავდა იგი სასტუმრო „ლილე“-ში. ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქ. N5-ში მდებარე ფირმიდან იქირავა ავტომანქანა „ნისან X-ტერა“ სახ., რომლის მეშვეობითაც მ.ს.-შვილთან ერთად მოძრაობდა იგი და დაადგინა ლ.ზ.-შვილის, მისი შვილებისა და პირადი მძლოლის ყოველდღიური ცხოვრების წესი, გადაადგილების დრო, მარშრუტი, მათთან დაკავშირებულ პირთა წრე და სხვა გარემოებები, რომელთა გათვალისწინებაც საჭირო იყო მათი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად.

აღნიშნულის შესახებ შ. შ.-ვილმა ინფორმაციები მიაწოდა რა რ. გ.-ს, ამ უკანასკნელის დავალებით და დაფინანსებით შეეცადა იგი ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექენას.

ლ. ზ.-შვილის და მისი შვილების განზრახ მკვლევლობისათვის ცეცხლსასროლი იარაღის შექენისათვის სათანადო თანხის მოსაპოვებლად, რ. გ. მობილური ტელეფონით დაუკავშირდა ქ. თბილისში მის ბიზნესპარტნიორს ა. გ.-შვილს და სთხოვა მ. ს.-შვილისათვის გადაეცა 1400 ევრო, რაც ა. გ.-შვილმა შეასრულა. თავის მხრივ მ. ს.-შვილმა დასახელებული თანხა გადასცა შ. შ.-შვილს.

2009 წლის 06 იანვარს, დაახლოებით 14 საათზე, ქ.თბილისში, მარჯანიშვილის ქ. N-5-ში მდებარე „ჩაის სახლში“, შ. შ.-ვილი მ. ს.-შვილთან ერთად რ. გ.-თან შეთანხმებით შეხვდა ფაქტიურად დანაშაულებრივ ჯგუფში ჩანერგილ საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომელს, მისთვის უცნობ კახა ჩიხლაძეს.

მოლაპარაკების თანახმად, კახა ჩიხლაძე შ. შ.-შვილს წარუდგენდა სხვადასხვა კონსტრუქციის მაყუჩიან ცეცხლსასროლ პისტოლეტებს, რომელთაგანაც ერთ-ერთს ვაზნებთან ერთად შეარჩევდა და 1000 აშშ დოლარად შეიძენდა შ. შ.-შვილი.

შეთანხმების საფუძველზე, 2009 წლის 08 იანვარს, დაახლოებით 12 საათზე, შ.შ.-შვილი მ. ს.-შვილთან ერთად ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვდნენ კახა ჩიხლაძეს, რა დროსაც კახა ჩიხლაძემ შ. შ.-შვილს წარუდგინა ხუთი ცალი სხვადასხვა მოდელის მაყუჩიანი პისტოლეტი, საიდანაც შ.შ.-შვილმა შეიძენს მიზნით შეარჩია „G<““-ს მოდელის მაყუჩიანი პისტოლეტი N – H 141 K, პისტოლეტ „G<““-ის მაყუჩი N204, 18 ცალი ვაზნა და დაიწყო მისი ბრძოლისუნარიანობის შემოწმება. შემოწმების პროცესში იგი დაკავებულ იქნა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ.

აღნიშნული განაჩენით სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა ბრალდება მკვლევლობის მომზადების მიზნით.

საქმეში არსებული მტკიცებულებების შესწავლით სასამართლომ ასევე დადასტურებულად მიიჩნია, რომ რ. გ.-ს ამოძრავებდა არამართო ფიზიკური ანგარიშსწორება ლ. ზ.-შვილისა და მისი შვილების მიმართ, არამედ ანგარება, კერძოდ, მატერიალური გამორჩენის მიღება, რაც განხორციელდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ლ. ზ.-შვილისა და მისი შვილების მოკვლის შემდეგ იგი გახდებოდა მისი მამის ქონებიდან უფრო მეტი წილის მიმღები. ის, რომ მზადდებოდა შეკვეთილი მკვლევობა ანგარებით, დადასტურებულად ჩათვალა ასევე მოწმე მ. ს.-შვილის ჩვენებითაც, სადაც იგი აღნიშნავს, რომ შეკვეთილი მკვლევობის წარმატებით შესრულების შემთხვევაში რ. გ.-ი

შეპირდა „ყველანი კარგად ვიქნებით“ აღნიშნული მოგვიანებით მას შ. შ.-შვილმაც დაუდასტურა: „საქმის დამთავრების შემდეგ რ.-ი სახლს აგიშენებს და ავტომანქანას გიყიდისო“.<sup>18</sup>

ამრიგად, სასამართლომ დამტკიცებულად სცნო, რომ განსასჯელმა შ. შ.-შვილმა ჩაიდინა ანგარებით და შეკვეთით სამი პირის, მათ შორის დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მკვლელობის მომზადება ჯგუფურად. მან დანაშაულის ჩასადენად პირობების შესაქმნელად აქტიურად იმოქმედა, დაბინავდა სასტუმროში, იქირავა მანქანა, შეისწავლა მსხვერპლთა ცხოვრების პირობები, მათი დღის განრიგი და მოძრაობის მარშრუტი, მ. სარდლიშვილის დახმარებით მონახა პირი, რომლისგანაც აპირებდა მაყუჩიანი ცეცხლსასროლი იარაღის შეძენას, მაგრამ დანაშაულის მომზადების პროცესშივე იქნა იგი მხილებული, რითაც თავიდან იქნა აცილებული მოსალოდნელი შედეგი.

თავდაპირველად შევაფასოთ ეს განაჩენი მხოლოდ მკვლელობის მომზადების ნაწილში.

ამისათვის დავთქვათ შემდეგი: სადავოდ არ ვხდით იმას, რომ მსჯავრდებულები ემზადებოდნენ რამდენიმე პირის (მათ შორის, არასრულწლოვნის) მკვლელობისათვის.

საკითხავია, თუ შეძლეს მათ მკვლელობის ჩასადენად ყველა საჭირო პირობის შექმნა? სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ იყო მათ მიერ ჩადენილი ქმედება იმ დონემდე მიყვანილი, რომ იგი დროსა და სივრცეში ახლოს იყო მცდელობასთან, ე.ი. არაფერი უშლიდათ ხელს, გადასულიყვნენ მცდელობის სტადიაზე?

მართალია, დადასტურებულია ის ფაქტი, რომ ისინი იმყოფებოდნენ იმავე ქალაქში, სადაც ცხოვრობდნენ სავარაუდო მსხვერპლნი, ასევე მათ შესძლეს მათი სამოძრაო მარშრუტის შესწავლა, ხელთ ჰყავდათ ა/მანქანა, რომლითაც აპირებდნენ ჩასაფრებას, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჯერ არ ჰქონდათ შექმნილი მთავარი პირობა. კერძოდ, არ ჰქონდათ შეძენილი დანაშაულის იარაღი (ცეცხლსასროლი იარაღი), რითაც ისინი გეგმავდნენ ამ პირთა მოკვდინებას. იარაღის გარეშე კი ისინი ვერ გადავიდოდნენ მკვლელობის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაზე – მკვლელობის მცდელობაზე, რადგანაც მათ არ ჰქონდათ განზრახული ქუჩაში დახვედროდნენ ამ პირებს და ფიზიკური ძალის გამოყენებით (მაგ. დახრჩობით) მოეკლათ ისინი. სწორედ ამიტომ გადანყვიტეს, რომ უნდა დახარჯულიყო სახიფათო შრომა და სოლიდური თანხა იარაღის შესაძენად. სწორედ ამიტომ მიდიოდნენ ისინი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენასთან დაკავშირებულ რისკზე. ეს რისკი დაკავშირებული იყო როგორც საჭირო თანხის მიღების მიზნით განხორციელებულ სატელეფონო საუბრებთან, ასევე (და რაც მთავარია) თავად იარაღის შეძენის პროცესთან.

საბოლოოდ უნდა ითქვას შემდეგი: მათ რომ მოეხერხებინათ ცეცხლსასროლი იარაღის შეძენაც, ამ დროისათვის უკვე ყველა პირობა იქნებოდა შექმნილი მკვლელობის ჩასადენად და თუ რა სისწრაფით გადავიდოდნენ ისინი მცდელობის სტადიაზე, ეს ძირითადად მხოლოდ მათზე იქნებოდა დამოკიდებული.

შესაბამისად, მკვლელობის ჩასადენად პირობები იმგვარად იქნებოდა შექმნილი, რომ იგი არ იქნებოდა დამორებული მცდელობასთან დროითი და სივრცითი ფაქტორებით.

საკითხავია: ამ მაგალითში რატომ არაა დამთავრებული ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და რატომაა სახეზე მისი მცდელობა?

საქმე ისაა, რომ როცა იარაღის შეძენა ხდება სხვა პირისაგან (და ადგილი არა აქვს ნაპოვარის მითვისებას) მისი შეძენისათვის საჭიროა, სახეზე იყოს რეალური გამსაღებელი, რომლის მიზანია იარაღის გასხვისება. მოცემულ შემთხვევაში კი ასეთი პირი არ იყო სახეზე. სახეზე იყო პოლიციის ჩანერგილი თანამშრომელი, რომლის მიზანი იყო არა იარაღის გასაღება, არამედ ამ პირთა მხილება. ამდენად, ის ფაქტი, რომ პირს გადაეცა იარაღი ვითომც მისი გამოცდის მიზნით, რათა საბოლოოდ შეეძინა იგი, არ იყო რეალური. სინამდვილეში პირს იარაღი გადაეცა მისი მხილების მიზნით. შესაბამისად, იგი მან ვერ შეიძინა (ამდენად, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმას, იყო თუ არა გადაცემული შეპირებული თანხა სავარაუდო გამსაღებელზე).

მოცემულ შემთხვევაში პოლიციის თანამშრომლის ნაცვლად სახეზე რომ ყოფილიყო კერძო პირი, რომელმაც გადასცა პირს იარაღი და მათ შორის გარიგება შესდგა (თანხაც გადაეცა გამსაღებელს), სახეზე იქნებოდა სსკ 236-ე მუხლის დამთავრებული შემადგენლობა, რადგან შემძენს

<sup>18</sup> იხ. სასამართლო სხდომის ოქმი



უკვე მიცემული ჰქონდა შესაძლებლობა, თავისი შეხედულებისამებრ გამოეყენებინა იგი. ამგვარ ვითარებას კი განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია – შ. შ.-შვილს არ ჰქონდა შესაძლებლობა, გამოეყენებინა ეს იარაღი თავისი შეხედულებისამებრ, რადგან ტარდებოდა სპეც. ოპერაცია და იქვე ჩასაფრებული იყვნენ პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც მას ამის საშუალებას არ მისცემდნენ (საკონტროლო გასროლა იარაღის ვარგისიანობის შემოწმების მიზნით არ ნიშნავს იმას, რომ პირს შეეძლო მისი შემდგომი გამოყენება საკუთარი შეხედულებისამებრ).

ამდენად, ამ ნაწილში ჩადენილი ქმედება სწორადაა შეფასებული, როგორც დანაშაულის მცდელობა (19, 236-ე მ. პირვ. ნაწ.).

ყველაფერი ეს კი იმას ნიშნავს, რომ მკვლელობის ჩასადენად ჯერ არ იყო შექმნილი პირობები (ანუ ყველა საჭირო პირობა). სასამართლომ ისე ჩათვალა დადასტურებულად დანაშაულის მომზადების არსებობა, რომ ხსენებულ საკითხზე საერთოდ არ მიუქცევია ყურადღება, რაც ამ განაჩენის ყველაზე სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

მართალია, ეს საკითხი პირდაპირი კავშირში არაა განსახილველ თემასთან, მაგრამ ორიოდ სიტყვით უნდა შევეხოთ ამ განაჩენში არსებულ სხვა პრობლემასაც. კერძოდ, იმას, რომ ქმედება შეფასდა, როგორც ჯგუფური მკვლელობის მომზადება, რაც განაჩენში შემდეგნაირადაა დასაბუთებული:

სასამართლოს ასევე დადასტურებულად მიაჩნია შ. შ.-შვილის მიერ მკვლელობის ჯგუფურად ჩადენის მზადება, რადგან იგი დაკავებამდე იყო დარწმუნებული, რომ რ. გ.-ის შეკვეთას ის მ. ს.-შვილთან ერთად შეასრულებდა, ხოლო ის გარემოება, რომ მ. ს.-შვილს ამ დროისათვის უკვე სხვა პოზიცია ეკავა, რაც თავად შ. შ.-შვილისათვის ცნობილი არ იყო, გავლენას ვერ იქონიებს ამ უკანასკნელის ქმედების კვალიფიკაციაზე.

რა შეცდომაა დაშვებული განაჩენის ამ ნაწილში?

დავინყოთ თავდაპირველი არგუმენტის (რადგან იგი დაკავებამდე იყო დარწმუნებული, რომ რ. გ.-ის შეკვეთას ის მ. ს.-შვილთან ერთად შეასრულებდა) შეფასებით.

ისმის კითხვა: რას ნიშნავს, რომ იგი რ. გ.-ის შეკვეთას მ. ს.-შვილთან ერთად შეასრულებდა? ეს არგუმენტი ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის მომზადებით ქმედების კვალიფიკაციისათვის არ გამოდგება, რადგან საქმის მასალებით არაა დადგენილი, რომ მკვლელობა ორივეს – შ. შ.-შვილსა და მ. ს.-შვილს ერთობლივად უნდა ჩაედინათ.

უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, არაა დადასტურებული, რომ მკვლელობის ობიექტური შემადგენლობა მათ ერთობლივად უნდა განეხორციელებინათ. საქმე ისაა, რომ როგორც ირკვევა, მათ გადანყვეტილი ჰქონდათ მხოლოდ ერთი ცეცხლსასრული იარაღის შეძენა, რასაც შეეცადნენ კიდევ. ხოლო ერთ იარაღის ერთდროულად ორივე ვერ გამოიყენებდა. საქმის მასალებში საერთოდ არაა არანაირი მტკიცებულება იმის შესახებ (და არც არავინ ცდილობს ამის დასაბუთებას), რომ მათ გადანყვეტილი ჰქონდათ, რიგ-რიგობით გამოეყენებინათ ეს იარაღი. არც ისაა დასაბუთებული (უფრო მეტიც, ამაზე საუბარიც კი არაა), რომ რომელიმე მათგანი აპირებდა მსხვერპლთა რამენაირად გაკავებას ან შეკავებას, ხოლო მეორე – ცეცხლსასრული იარაღით მათ მოკვდინებას. შესაბამისად, რადგან მკვლელობის ამსრულებლის მხოლოდ გვერდით ყოფნის ფაქტი (თუნდაც მისი მიყვანა შემთხვევის ადგილამდე და შემდეგ მის გვერდით ყოფნა) შედეგიან დანაშაულში არაა საკმარისი თანამსრულებლობისათვის,<sup>19</sup> ამდენად, ასეთი ქმედება ვერ შეფასდება ჯგუფურ მკვლელობად (ასევე მის დაუმთავრებელ სტადიად). მკვლელობის (ისევე როგორც სხვა დანაშაულის) ჯგუფურად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, სახეზე იყოს თანამსრულებლობა.<sup>20</sup> ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორი ან მეტი პირი უნდა ასრულებდეს ამ დანაშაულის ობიექტური

<sup>19</sup> თუ რა განსხვავებაა ამ მხრივ შედეგიანი და შედეგგარეშე დანაშაულებში, ამ საკითხზე იხ. თოდუა ნ., სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები), სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ., 2015წ., გვ. 33-38; ასევე თოდუა ნ., ნიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დასახ. სახელმძღვანელო, გვ. 339-342.

<sup>20</sup> ნერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-2, თბ., 2007წ., გვ. 134-141; გამყრელიძე ო., დასახ. ნაშრ. გვ. 261; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013წ., გვ. 325; თოდუა ნ., ნიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დასახ. სახელმძღვანელო. გვ. 347-352.

შემადგენლობის ნაწილს მაინც.<sup>21</sup>

რაც შეეხება განაჩენში მოყვანილ მეორე არგუმენტს (ის გარემოება, რომ მ. ს.-შვილს ამ დროისათვის უკვე სხვა პოზიცია ეკავა, რაც თავად შ. შ.-შვილისათვის ცნობილი არ იყო, გავლენას ვერ იქონიებს ამ უკანასკნელის ქმედების კვალიფიკაციაზე), არც მისი გაზიარებაა მიზანშეწონილი შემდეგი გარემოების გამო:

საქმე ისაა, რომ მკვლელობა, ჩადენილი ჯგუფურად, დამძიმებულია არა სუბიექტური (თუ რა ეგონა პირს), არამედ ობიექტური ნიშნით – რეალურად სახეზე უნდა იყოს ორი ან მეტი ამსრულებელი, რომელსაც სურს დანაშაულის ერთობლივად ჩადენა, რაც მისი განხორციელების შემთხვევაში ზრდის ამ უმართლობის ხარისხს (სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს).<sup>22</sup> ამდენად, ქმედების ამ დამამძიმებელი გარემოებით კვალიფიკაციისათვის არაა საკმარისი მხოლოდ პირის წარმოდგენა იმაზე, რომ მას სხვასთან ერთად უნდა განეხორციელებინა ეს შედეგიანი დანაშაული, თუ მარტო.

მოცემულ საქმეში დადგენილია, რომ შ. შ.-ვილმა ნებაყოფლობით მიმართა სამართალდამცავ ორგანოს და შეატყობინა, თუ რა იგეგმებოდა. მისი შემდგომი უშუალო ხელშეწყობით მოხდა ამ ფაქტის გამოაშკარავება. შესაბამისად, ის ვერ ჩაითვლება ამ მკვლელობის პოტენციურ ამსრულებლად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქმეში დარჩენილი იყო მხოლოდ ერთი პოტენციური ამსრულებელი.

### 3. სასჯელის საკითხი დანაშაულის მომზადების დროს

საინტერესოა საკითხი, თუ რა წესით დანიშნა სასჯელი სასამართლომ მკვლელობის მომზადებისათვის? საერთოდ, სასამართლო პრაქტიკაში პრობლემურია სასჯელის დანიშვნის საკითხი და სსკ 53-ე მუხლის გამოყენება ამ მიმართებით, რის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ამ საკითხზე არსებული ლიტერატურის სიმცირე. მით უფრო პრობლემურია ეს საკითხი დაუმთავრებელ დანაშაულში და განსაკუთრებით კი დანაშაულის მომზადებისას, რადგან ეს ის შემთხვევაა, როცა მართალია, განხორციელებულია გარკვეული ქმედებები, მაგრამ ჯერ არაა დაწყებული ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა.

სასჯელის საკითხთან დაკავშირებით განსახილველ განაჩენში ვკითხულობთ:

სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს განსასჯელის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის პიროვნებას, მის ოჯახურ მდგომარეობას, ქმედების მაღალ საზოგადოებრივ საშიშროებას, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო მხედველობაში იღებს იმ უმძიმეს ფსიქიკურ მდგომარეობასაც, რომელშიც დაზარალებულები აღმოჩნდნენ.

ეტაპობრივად მივყვეთ განაჩენის ამ მონაკვეთის იმ ადგილების შეფასებას, რაც მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია სასჯელის საკითხთან მომზადების სტადიის დროს.

ა) სასამართლო ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს.

საკითხავია, დანაშაულის რომელი მოტივი ან მიზანი გაითვალისწინა სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას? ანდა რა სახით გაითვალისწინა ისინი – როგორც შემამსუბუქებელი, თუ როგორც დამამძიმებელი გარემოება?

ამ საკითხზე განაჩენში არაფერია ნათქვამი. ამდენად, თუკი მასში ნაგულისხმევია ანგარების მოტივი, იგი ხომ ისედაც აქვს წარდგენილი მსჯავრდებულს მკვლელობის მაკვალიფიცირებელ გარემოებად? სადავო არაა, რომ თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ან მუხლის ნაწილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად ითვალისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებას, იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება (სსკ 53-ე მ. მე-4 ნაწ.).

<sup>21</sup> ამსრულებლისა და თანამონაწილის გამიჯვნის საკითხზე იხ. თ. ნერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-2, გვ. 111-121; თოდუა ნ., დასახელებულ სახელმძღვანელოში, გვ. 336-346.

<sup>22</sup> ობიექტური და სუბიექტური ნიშნით დამძიმებულ გარემოებაზე იხ. თოდუა ნ., დასახელებული სახელმძღვანელო, გვ. 352-363.

რაც შეეხება სხვა რაიმე მოტივს, იგი არც ბრალდების და არც სასჯელის ნაწილში განაჩენში არაა ნახსენები. არც რაიმე მიზანზეა მასში საუბარი. ამდენად, გაუგებარია, რა მოტივი და მიზანი მიიღო მხედველობაში სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას, რაც ამ განაჩენის ერთ-ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

ბ) შემდეგ განაჩენის ამ მონაკვეთში ნათქვამია, რომ სასამართლო მხედველობაში იღებს ჩადენილი ქმედების სახესა და ხერხს, თუმცა ერთი წინადადებაც კი არაა ნათქვამი იმაზე, თუ ქმედების რომელ სახესა და რა ხერხს გულისხმობს მასში.

ამდენად, გაუგებარია, ჩადენილი ქმედების რა სახე (მაგალითად, მსხვერპლის მარშრუტის შესწავლა, ან ა/მანქანის შეძენა თუ სხვა რამ), ან რა ხერხი გაითვალისწინა სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას. ასევე გაუგებარია, ქმედების ეს ნაგულისხმევი სახე ან ხერხი ჩაითვალა დამამძიმებელ, თუ შემამსუბუქებელ გარემოებად. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სასამართლომ მხოლოდ ფორმალურად გადმოწერა სსკ 53-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან ეს გასათვალისწინებელი გარემოებები და არც კი უფიქრია მათზე.

გ) სასჯელის ნაწილში ასევე ნათქვამია, რომ სასამართლო ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგს, თუმცა კერძოდ, რას, ამაზეც ერთი სიტყვა არაა ნათქვამი.

საზოგადოდ საინტერესო საკითხია, რა შედეგი შეიძლება გაითვალისწინოს სასამართლომ სსკ 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის მხედველობაში მიღებით სასჯელის დანიშვნისას?

მოკლედ განვიხილოთ დასმული საკითხი მკვლევობასთან მიმართებაში.

მკვლევობა არის შედეგიანი დანაშაული,<sup>23</sup> რაც იმას ნიშნავს, რომ თუ პირის განზრახ ქმედებას არ მოჰყვა მართლსაწინააღმდეგო შედეგი (მსხვერპლის სიკვდილი), სახეზე არაა დამთავრებული მკვლევობა. სახეზე შეიძლება იყოს მკვლევობის დაუმთავრებელი სტადია – მომზადება ან მცდელობა. ამიტომ როცა სახეზეა დამთავრებული მკვლევობა, დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგს (სიკვდილს) სასამართლო ვერ გაითვალისწინებს სასჯელის დანიშვნისას, რადგან საკითხის ასეთი გადაწყვეტა წინააღმდეგობაში მოვა როგორც მოქმედ კანონმდებლობასთან, ისე სისხლის სამართლის ერთ-ერთ ძირეულ პრინციპთან. კერძოდ, სამართლიანობის პრინციპთან.<sup>24</sup> მართალია, ლიტერატურაში სადავოა საკითხი, თუ შეიძლება ქმედების ორი ან მეტი პირის მკვლევობით კვალიფიკაციისას სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლომ მხედველობაში მიიღოს მოკლულ პირთა რაოდენობა (მაგ. ერთიანი განზრახვით მოკლულია ორი, თუ ვთქვათ, 5 პირი), მაგრამ ეს საკითხის სხვა მხარეა და მას აქ ვერ განვიხილავთ.<sup>25</sup>

ამდენად, საკითხავია, საერთოდ, რა სახის მართლსაწინააღმდეგო შედეგი შეიძლება გაითვალისწინოს სასამართლომ დაუმთავრებელი მკვლევობისათვის სასჯელის დანიშვნისას?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა გაირკვეს:

ა) შესაძლებელია თუ არა ასეთი შედეგი სახეზე იყოს მკვლევობის მცდელობისას? და ბ) მით უფრო საინტერესოა, შესაძლებელია თუ არა სახეზე იყოს რაიმე მართლსაწინააღმდეგო შედეგი დანაშაულის (მაგ. მკვლევობის) მომზადებისას, როცა ჯერ დაწყებულიც კი არაა ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა ნაკლებად პრობლემურია მკვლევობის მცდელობისას, როცა მართალია, სახეზე არაა ამ მუხლით გათვალისწინებული შედეგი (სიკვდილი), მაგრამ შესაძლოა სახეზე იყოს სხვა ნაკლოვანი შედეგი, რაც სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სასჯელის დანიშვნისას, როგორც დამამძიმებელი გარემოება. მაგალითად, მოკვლის განზრახვით პირმა ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანა მსხვერპლს, რომელიც დროული დახმარების შედეგად სიკვდილს გადაარჩინეს. არაა გამორიცხული, მკვლევობის მცდელობისას სახეზე იყოს ისეთი მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რომ სასამართლომ პირს დაუნიშნოს სსკ კერძო ნაწილის შესა-

<sup>23</sup> შედეგიანი დანაშაულის იურიდიულ ბუნებაზე იხ. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ., 2013წ., გვ. 246-250; მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის დასახ. სახელმძღვანელო, გვ. 271-272.

<sup>24</sup> ამ პრინციპის შესახებ იხ. ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2016წ., გვ. 65-67.

<sup>25</sup> ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებების შესახებ იხ. გოთუა ზ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბ., 2001წ., გვ. 37-38; დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლის-სამართლებრივი შედეგები, თბ., 2013წ., გვ. 97.

ბამისი მუხლით (მაგ. 108-ე მ.) გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური ზომა (მაგ. თ.ა. ვადით 15 წლით). მაგალითად, მიყენებული დაზიანების შედეგად მსხვერპლი სამუდამოდ მიეჯავჭვა ლოგინს. ეს გარემოებაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობით (სსკ 56-ე მ.) დანაშაულის მცდელობისას სასამართლოს უფლება აქვს, დანიშნოს ნებისმიერი სახისა და ზომის სასჯელი (გარდა უვადო თავისუფლების აღკვეთისა). 2006 წლის 29 დეკემბრის კანონით გაუქმდა ამ მუხლის მე-3 მანლით გათვალისწინებული დანაშაული, რომლის ძალითაც სასამართლო ვალდებული იყო დანაშაულის მცდელობისას ამ მუხლით დადგენილ ფარგლებში (ამ მუხლით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სასჯელის ერთი მეოთხედით) შეემცილებინა ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ზომა.

რაც შეეხება დანაშაულის მომზადებას, აქ საკითხი უფრო რთულადაა, რადგან მომზადებისას არაა დაწყებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება. თუმცა ამის მიუხედავად რიგ შემთხვევაში არაა გამორიცხული, მომზადების სტადიაზეც სახეზე იყოს რაიმე მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

ჩვენს მიერ განსახილველ საქმეში სახეზე იყო ასეთი შედეგი. კერძოდ, როგორც გაირკვა, დაზარალებულებმა ქმედების აღკვეთამდე შეიტყვეს, რომ იგეგმებოდა მათზე თავდასხმა, რის გამოც ისინი მძიმე ფსიქიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. სწორედ ეს გარემოება (თუკი იგი ნამდვილად დასტურდება საქმის მასალებით), შეეძლო სასამართლოს შეეფასებინა მომზადების ეტაპზე დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგად, რაც წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას.

თუმცა როგორც განაჩენის ზემოთ მოყვანილი ამონარიდიდან ჩანს, ეს გარემოება სასამართლოს ცალკე აქვს ნახსენები სასჯელის დანიშვნისას და იგი არა აქვს შეფასებული იმ მართლსაწინააღმდეგო შედეგად, რაც უნდა ჩაითვალოს სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად.

საბოლოოდ, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ მომზადების სტადიაზე მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა არაა ტიპური შემთხვევა – მას ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში. ამიტომ გაუმართლებლად მიგვაჩნია ის, რომ 2006 წლის 29 დეკემბრის კანონით ასევე გაუქმდა 56-ე მუხლის მე-2 მანლის დანაშაული, რითაც დანაშაულის მომზადებისათვის სასამართლოს შეეძლო დაენიშნა შესაბამისი მუხლის ყველაზე მკაცრი სასჯელის მხოლოდ ნახევარი. ასეთი ცვლილება იმას ნიშნავს, რომ დღეის მდგომარეობით სასამართლოს დანაშაულის მომზადების დროსაც შეუძლია დანიშნოს შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის მაქსიმალური ვადა (მაგ. სსკ 18, 108-ე მუხლით დანიშნოს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა), რაც არაა გამართლებული, რადგან დანაშაულის მომზადებისას სამართლებრივ სიკეთეს ექმნება მხოლოდ სამომავლო საფრთხე (არაა დაწყებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა), შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა ამ ეტაპზე არატიპური შემთხვევაა.

დ) ასევე გაუგებარია სასჯელის დანიშვნისას მითითება ქმედების მაღალ საზოგადოებრივ საშიშროებაზე. კერძოდ, განაჩენიდან არ ჩანს, რატომ იყო ჩადენილი ქმედება განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროებროების შემცველი? თუკი აქ ნაგულისხმევია დანაშაულის შეკვეთის ფაქტი და ანგარების მოტივი, ეს ხომ მკვლელობის მაკვალიფიცირებელი გარემოებებია, რომელთა მომეტებული საშიშროება თავად კანონმდებლის მიერაა შეფასებული სსკ 109-ე მუხლის შესაბამის ქვეპუნქტებში მათი გათვალისწინებით? ამდენად, ამ გარემოების ხელმეორედ გათვალისწინება სასჯელის დროს დაუშვებელია (რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი – სსკ 53-ე მ. მე-4 ნაწ.).

საბოლოოდ, როგორც ირკვევა, დანაშაულის მომზადების დასჯადობის საკითხი სასამართლო პრაქტიკაში პრობლემურია, რის ძირითად მიზეზად შეიძლება სსკ მე-18 მუხლის ბუნდოვანება დასახელდეს.

გამომდინარე აქედან, გასაზიარებელია ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ საჭიროა ამ მუხლის რედაქციის იმგვარად დახვეწა, რაც გამორიცხავს დაუმთავრებელი მომზადების დასჯადობას.

კერძოდ: „დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩასადენად პირობების განზრახ შექმნა, როცა პირს დაუყონებლივ შეუძლია დაინყოს დანაშაულის მცდელობა“ ან შემდეგნაირად:

„დანაშაულის მომზადება არის დანაშაულის ჩასადენად პირობების განზრახ შექმნა, რაც დაუყოვნებლივ შეიძლება გადაიზარდოს დანაშაულის მცდელობაში“.<sup>26</sup>

ვფიქრობ, მომზადების საკითხზე ამ ორი შემოთავაზებული ალტერნატიული ცნების გაერთიანება უფრო გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ ასეთი გაერთიანებული ცნება უფრო მოხერხებული იქნება ისეთი სადავო შემთხვევისათვის, როცა პირი ქმედებას სჩადის ადგილზე არმყოფი მსხვერპლის მიმართ. მაგალითად, მოამზადებს რა პირობებს დანაშაულის ჩასადენად (მტრის ბინაში არსებულ მაცივარში შედგა მონამლული ღვინო), შემდეგ ხელიდან უშვებს მიზეზობრივი კავშირის შემდგომ განვითარებაზე ბატონობას (ტოვებს მტრის ბინას). თუმცა, ამ საკითხის ჩაღრმავების პრეტენზიას მოცემულ შემთხვევაში მიზნად ვერ დავისახავ.

## დასკვნა

განსახილველი პრობლემის ანალიზის შედეგად მივედი იმ დასკვნამდე, რომ განსხვავებით მცდელობისაგან (როცა უკვე დაწყებულია დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება), დასჯადი არაა ე.წ. დაუმთავრებელი მომზადება, როცა დანაშაულის ჩასადენად შექმნილია ერთი, ან თუნდაც რამდენიმე პირობა, მაგრამ არაა შექმნილი ყველა პირობა და პირს ჯერ არა აქვს შესაძლებლობა, გადავიდეს დანაშაულის მცდელობაზე, ანუ ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაზე;

საქართველოს სსკ მე-18 მუხლის დანაწესი: „დანაშაულის მომზადება ნიშნავს დანაშაულის ჩასადენად პირობების განზრახ შექმნას“, უნდა გავიგოთ იმგვარად, რომ მომზადების სტადია დროსა და სივრცეში ახლოს უნდა იდგეს მცდელობასთან. ამიტომაც სსკ მე-18 მუხლში ხაზგასმით აღნიშნული „პირობების“ და არა „პირობის“ შექმნა;

როცა მზადდება დანაშაული, რაც უნდა განხორციელდეს საზღვარგარეთ, ქმედების მომზადებად შეფასებისათვის არაა საკმარისი დანაშაულის იარაღისა თუ საშუალების გამოჩენა და შექმნა, მსხვერპლის ადგილსამყოფელის დადგენა და საქართველოს საბაჟო საზღვრამდე მისვლა. აუცილებელია, პირმა შეძლოს იმ ქვეყანის შესაბამის ქალაქში ჩასვლა, სადაც იმყოფება სავარაუდო მსხვერპლი. გამომდინარე აქედან, სიცოცხლისათვის შექმნილი საფრთხე იმდენად სამომავლო და სათუთაა, რომ არავინ იცის, გადაიზრდება თუ არა იგი იმნუთიერ საფრთხეში;

როცა პირი ცეცხლსასროლი იარაღით (ან სხვა სახის იარაღით) ემზადება მკვლელობისათვის, ქმედების მომზადებად კვალიფიკაციისათვის არაა საკმარისი მსხვერპლის ადგილსამყოფელ ქალაქში მისვლა, მისი სამოძრაო მარშრუტის შესწავლა და იმ სატრანსპორტო საშუალების შექმნა (მაგ. ა/მანქანის), რითაც აპირებს ჩასაფრებას. აუცილებელია, პირმა შეძლოს იარაღის შექმნა, რისი გამოყენებითაც აქვს გადაწყვეტილი, ჩაიდინოს ეს დანაშაული. თუ მან ვერ მოახერხა ამ იარაღის შექმნა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ არაა აქვს შექმნილი პირობები მკვლელობის ჩასადენად – ჯერ არ შეუძლია გადავიდეს მცდელობის სტადიაზე;

დანაშაულის მომზადებისათვის სასჯელის დანიშვნისას ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია სახეზე იყოს მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რაც სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად;

ამასთან, არ უნდა ჩაითვალოს გამართლებულად სსკ 56-ე მუხლის დანაწესი, რითაც სასამართლოს შეუძლია, დანაშაულის მომზადებისათვის დანიშნოს სსკ კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური ზომა. მაგალითად, ქმედების 18, 108-ე მუხლით კვალიფიკაციისას დანიშნოს ამ მუხლით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით, რადგან მომზადებისას სამართლებრივ სიკეთეს არ ექმნება იმნუთიერი საფრთხე, რის გამოც დანაშაულის ამ სტადიის დასჯადობის საკითხიც კი სადავოა.

<sup>26</sup> თოდუა ნ., სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები), სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ., 2015წ., გვ. 50-51.

ISSN 2449-3112



9 772449 311009